



გვანცა გვანცელაძე

ადამიანი და ცხოველები

**ცხოველებთან
დაკავშირებული ლექსიკის
პრაგმატული ლექსიკონი**



გამომცემლობა „უნიონპრესი“
თბილისი 2009

წინამდებარე გამოცემაში ქართული მხატვრული ლიტერატურისა და სასაუბრო მეტყველების მონაცემთა საფუძველზე წარმოდგენილია ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული ლექსიკის მეტაფორული გამოყენების ამსახველი მასალა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობები ენიჭება აღნიშნულ ლექსიკას ადამიანის მახასიათებელთა როლში გამოსვლისას.

წიგნი გამოადგებათ ლინგვისტებს, ლიტერატორებს, ეთნოლოგებს, ფსიქოლოგებს, აგრეთვე სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, საინტერესო იქნება ქართული ენის ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ამგვარი ლექსიკონი ჩვენში პირველად იბეჭდება. ბუნებრივია, მას არა აქვს სისრულისა და ამომწურავობის პრეტენზია. ყოველ სამართლიან შენიშვნას ავტორი მადლიერებით მიიღებს.

285.2.26

რედაქტორი

გუნა კვარაცხელია

რეცენზენტები:

ირინე ქერქაძე
მურმან სუხიშვილი

© გ. გვანცელაძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-820-2

წინასიტყვაობა

თანამედროვე ენათმეცნიერების საკვლევ საკითხთა შორის ამ ბოლო დროს აქტუალური გახდა კონკრეტულ ენათა ლექსიკის პრაგმატიკის საკითხთა ანალიზი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოცემულია ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თეორიული ნაშრომები, აგრეთვე პრაგმატიკული ლექსიკონები. მუშაობა ამ მიმართულებით ჩვენში არც ისე დიდი ხანია დაიწყო. ქართული სამწიგნობრო ენისა და ცოცხალი მეტყველების მონაცემთა ანალიზი სწორედ პრაგმატიკის თვალსაზრისით აქტუალური და პერსპექტიულია. პირადად ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით გაწეულია გარკვეული მუშაობა, რომლის შედეგებიც ორი თეორიული ნაშრომის სახით უკვე გამოცემულია (იხ.: გ. გვანცელაძე ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში, I ნაწილი. თბილისი, 2005; გ. გვანცელაძე ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში, II ნაწილი. თბილისი, 2009). დასახელებულ ნაშრომებში პროსპექტული ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია, თუ როგორ გამოიყენება ცხოველთა სახელები ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტში, ორიგინალურ ქართულ სასულიერო მწერლობაში, შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანში”, ქართულ ხალხურ პოეზიაში, ანდაზების ენაში, თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენასა და ცოცხალ მეტყველებაში (ქარგონის ჩათვლით). განხილულია აგრეთვე ცხოველთა სახელების ადამიანის საკუთარ სახელებად (ანთროპონიმებად და გვარებად) გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკის პროსპექტულმა ანალიზმა გამოავლინა ლექსიკის ამ დარგის მეორეული

მნიშვნელობით (მხატვრული შედარებებისა და მეტაფორების სახით) გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მრავალი თავისებურება, რაც საშუალებას გვაძლევს, თვალისა და გონების ადრე მნიშვნელოვანი დარგის, როგორც ქართული კულტურული კოდის განუყოფელი ნაწილის, განვითარების გზას, ქართული ეთნოფსიქოლოგიის სპეციფიკას ცხოველისა და ადამიანის ურთიერთობის ასახვის თვალსაზრისით და ა. შ.

წინამდებარე ლექსიკონი ორგანული გაგრძელებაა ჩვენ მიერ ადრე შესრულებული მუშაობისა. მასში შევიტანეთ თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაში არსებული ცხოველთა სახელები, ცხოველთა ანატომია-ფიზიოლოგიასთან, მათი ქცევის სპეციფიკასთან, ხშიანობასთან, ბიოტოპთან (საბინადროსთან) დაკავშირებული ლექსიკა: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები, მასდარები (საწყისები), მიმღებები. ყოველ სიტყვას მიწერილი აქვს მისი ძირითადი, პირდაპირი მნიშვნელობა, რომელსაც მოსდევს მეორეული მნიშვნელობები, კერძოდ, აღინუსხება ცხოველთან დაკავშირებული სიტყვის ის მნიშვნელობები, რომლებიც გამოიყენება ადამიანის ექსპრესიულ-ემოციური მახასიათებლის როლში.

განსამარტავი ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის“ (ქეგლ) აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შემუშავებული პრინციპების საფუძველზე. მეტიც, ვიყენებთ წინამდებარე ლექსიკონში შეტანილი ლექსიკის ძირითად მნიშვნელობათა ქეგლ-ისეულ განმარტებებს, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ჩვენ მიერ გამოვლენილი მეორეული მნიშვნელობები. თითოეული მნიშვნელობა შექმნის დაგვარად სრულად დოკუმენტირებულია XIX-XX საუკუნეთა გამოჩენილი ქართველი მწერლების მხატვრული ნაწარმოებებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან აღებული ტიპური ფრაზებით, რომლებშიც უკეთ ჩანს ეს მნიშვნელობები.

მკითხველი უეჭველად შენიშნავს, რომ ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს ძალზე ბევრი მეორეული მნიშვნელობა აქვს, ხოლო ზოგიერთს – თითო-ოროლა. ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ სიტყვას ჩვენს ხელთ არსებულ მა-



სალაში არ დაუდასტურდა გადატანითი მნიშვნელობა მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ასეთი მნიშვნელობები არ არსებობდეს. თუ ამგვარი რამ აღმოჩნდება, ლექსიკონის მომდევნო გამოცემაში აუცილებლად ჩავამატებთ მას.

ცნობილია, რომ ცხოველებთან დაკავშირებული სიტყვები მეორეული გამოყენების დროს აღნიშნავს ადამიანის მრავალ თვისებას: ფიზიკურ მახასიათებლებს, ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, ხასიათის სპეციფიკას, ირონიულ დამოკიდებულებას, დადებით თუ უარყოფით კონოტაციას, გენდერულ და ასაკობრივ ნიშნებს და ა.შ. ყველა ეს მხარე ლექსიკონში წარმოდგენილ დარგობრივ ლექსიკაშიც რელიეფურად არის ასახული, თუმცა ჩვენ საჭიროდ არ ჩავთვალეთ (მოცულობის პრობლემის გამო), ყოველ განსამარტავ სიტყვასთან მიგვეთითებინა, რომ მეორეული მნიშვნელობა გამოხატავს ირონიას, ადამიანისადმი დადებით ან უარყოფით შეფასებით დამოკიდებულებას, გენდერულ ან ასაკობრივ თავისებურებებს. ამას ქართველი მკითხველი დამოუკიდებლადაც იოლად მიხვდება.

ლექსიკონს არა აქვს სისრულისა და ამომწურავობის პრეტენზია. შესაძლებელია, მკითხველმა ხარვეზებიც შენიშნოს. გამოთქვამთ იმედს, რომ დაინტერესებული მკითხველი მოგვაწვდის ობიექტურ და საქმიან შენიშვნებს, რასაც მადლიერებით მივიღებთ.

ააკნავლებს – კნავილს დააწყებინებს (კატას). წერილ ხმას გამოაცემინებს (ადამიანს): ახლა თავის გოგოს მისცემს გიტარას და ააკნავლებს.

ააკრიახებს – კრიახს დააწყებინებს (ქათამს). კრუსუნს დააწყებინებს: წელი გაუცივდა და ტკივილმა ააკრიახა.

ააყროყინებს – ყროყინს დააწყებინებს (სახედარს). მაღალ, უშნო ხმაზე ააყვირებს: ამ ერთხელ მაინც დაუჯერე და ნუ ააყროყინებ!

ააფთრებს – აცოფებს, აბრაზებს, აშმაგებს: მამაშენი იმან გაააფთრა, თავისი რომ ვერ გაიტანა.

ააფრენს – ფრინველს, ან სხვა საგანს ზევით გააფრენს. სისულელეს იტყვის, ან ჩაიდენს, გაგიჟდება: რას ჩადი, ხომ არ ააფრინებ?!

აალოღდება – ღოღვით ავა ვინმეზე ან რამეზე (მკებნარი, ჭიანჭველა, ადამიანი): ბავშვი მამამისს მხარზე აალოღდა.

ააყეფებს – ყეფას დააწყებინებს (ძაღლს). ლანძღვას, ჩხუბს, ჯაჯღანს დააწყებინებს: ბავშვებმა პაპას ნერვები მოუშალეს და ააყეფეს.

ააყმუელებს – ყმუილს დააწყებინებს (ძაღლს, მგელს). გაბმული ხმით აატირებს: მაგ ბავშვს შეეშვი, ნულა აყმუელებ! შენ გაჭირდება არ გინახავს, თორემ ნახავდი, როგორაც აგაყმუელებდა.

ააყროყინებს – ყროყინს დააწყებინებს (სახედარს). მაღალ, უშნო ხმაზე ააყვირებს: ამ ერთხელ მაინც დაუჯერე და



ნუ ააყროყინებ, თორემ მთელ დღეს აღარ გაჩუმდება!

აახხავლებს - ჩხავილს დააწყებინებს. **უსიამო ხმას** ცემინებს: ეგეც ვითომ მომღერალი მყავდეს, დააყენებენ სცენაზე და აჩხავლებენ.

ააძაღლებს - გაააფებს, **გაამწარებს**: რაც მაგას აწვალებენ, ააძაღლეს საწყალი!

ააწრუწუნებს - 1. წრუწუნს დააწყებინებს: ჩუმაღ ვუჩქმიტე და ავაწრუწუნე. 2. შაე დღეს დააყრის, სეირს აჩვენებს: თუ ხელში ჩაუვარდა, ის კი ააწრუწუნებს.

ააჭიკჭიკებს - ჭიკჭიკს დააწყებინებს (ფრინველს). **ლაპარაკის საღერდელს აუშლის, აალაპარაკებს**: მაგას ახლა ღვინო აჭიკჭიკებს.

ააჭიხვინებს - ჭიხვინს დააწყებინებს (ცხენს, კვიცს). **ხამაღალ სიცილს დააწყებინებს**: რა მოგდის? რა გაჭიხვინებს? გაჩუმდი, სირცხვილია!

აახვიხვინებს - ხვიხვინს დააწყებინებს (ცხენს). **უშნოდ, ხამაღლა სიცილს დააწყებინებს**: რა ჯანდაბა მოგდის, მთელი დღე რა გაახვიხვინებს?!

აბალახებს - აძოვებს (საქონელს)). **ქონების უკანონოდ მოხევეჭის საშუალებას აძლევს**: რაც იმ ადგილზე დანიშნეს, სულ თავისიანები დააწინაურა და კარგად აბალახებს.

აბამს - რამეზე ამაგრებს (თოკით, თასმით, ჯაჭვით). **ცდილობს ქალი დაითანხმოს**: სამ ნაშას დავებაზრე, მარა ვერცერთი ვერ შევაბი.

აბზუილდება - ბზუილს დაიწყებს (ბუზი, კოლო, ხოჭო). **გაუთაგებლად, ერთფეროვნად და მომაბეზრებლად ალაპარაკდება**: ჯერ ბებიანემი აბზუილდა, მერე დედაჩემიც აჰყვა, ტვინი წაიღეს ღარიგებებით.

აბუება - ვისიმე დაბრყევება (ეტიმოლოგიურად: ბუსავით აბუჩად აგდება).

აბუებული - აბუჩად აგდებული, დაბრყევებული: ბიჭებს აბუებული ჰყავთ ეგ საწყალი და რასაც უნდათ, იმას უზა-

მენ.

აბუზული – კისერში მხრებჩარგული და ბუმბულაშლილი (ფრინველი). **მორცხვობის, მორიდების გამო აწურული:** ბიჭი აბუზული იდგა კედელთან და შორიდან შეჰყურებდა სხვა ბავშვებს.

აბულბულებს – 1. ზედაპირულად სწავლობს. 2. სხაპასხუპით ჰყვება რამეს.

აბღავლდება – ბღავილს დაიწყებს (საქონელი). გაბმით ყვირილს, ტირილს დაიწყებს (ადამიანი): ბავშვმა შექნა ღრიალი, აბღავლდა მეორე იქვე მყოფი უფროსი გოც... (დ. კლდიაშვილი).

აგოგმანებს – გოგმანით, მოხდენილი ნაბიჯით დაჰყავს (ცხენი, ქალი): ყოველდღე სადღაც მიაგოგმანებს თავის უშნო ცოლს.

აგაზა – მტაცებელი ცხოველი. 1. მოქნილი, ძალზე მოძრავი ადამიანი: აგაზასავით მოქნილი ბიჭები სავარჯიშოდ ემზადებოდნენ. 2. დაუნდობელი, სასტიკი, სისხლისმსმელი ადამიანი: აგაზასავით დაუნდობელია.

აზავერ-ი – ტვირთმზიდავი ხარი. 1. ღონიერი მამაკაცი: აზავერით ღონიერია. 2. ჯანმრთელი ადამიანი: აზავერით ჯანსაღია.

აიბუებს – დაიბრთყვებს, აბუჩად აიგდებს: ამხანაგებმა აიგდეს საცინლად, აიბუეს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ (აკაკი).

აიბუზება – კისერს მხრებში ჩამალავს და ბუმბულს აიშლის (ფრინველი). **მორცხვობისაგან, შიშისაგან აიწურება:** იმდენი ხალხი რომ დავინახე, მომერიდა და კუთხეში ავიბუზე.

აიფხორება – ბუმბულს, ან ბეწვს აიშლის და ტანს ასწევს (ფრინველი, ცხოველი). **ნაწყენის, გაჯავრებულის, გაბუტულის იერს მიიღებს:** ეს ბავშვი რატომ აიფხორა, ხომ არავინ აწყენინა?

აიშვებს – დაბმული თავს დაიხსნის, თავს გაითავისუფლებს (საქონელი, ღორი, ძაღლი). **გათავხედდება, თავს გაუვა, გატუტუცდება**: ამ ბიჭმა ძალიან აიშვა, მინდევს უნდა!

აიწყვეტს – საბელს, თოკს გაწყვეტს და თავს გაითავისუფლებს (საქონელი, ღორი, ძაღლი). **გათავხედდება, თავს გაუვა, გატუტუცდება**: რაც დედამისმა მუშაობა დაიწყო, ნიკომ მთლად აიწყვიტა.

აკაკანდება – კაკანს დაიწყებს (ქათამი). **ჩხუბს, ლანძღვას დაიწყებს (ქალი)**: ქეთო გაწყრა და აკაკანდა.

აკენკავს – ნისკარტით აკრეფს მარცვლებს (ფრინველი). **განგებ ნათქვამ ტყუილს მართლად მიიღებს**: ასეთ მისატყუარზე იგი [მასა] ან სულ არ მიდის, ან მივა, აკენკავს, სიყალბეს იგრძნობს და საქმის პირველსავე ნაბიჯებზე მიგატოვებს (ჭ. ამირეჯიბი). მასწავლებელს ტყუილი ვუთხარი, მაგრამ მშვენივრად აკენკა.

აკნავლდება – კნავილს დაიწყებს (კატა). **სუსტი ხმით, გაუბედავად იტყვის, ან წამოიტირებს**: ეს ბავშვი რაღამ ააკნავლა ნეტავი?

აკნავლებს – კნავილს აწყებინებს (კატას). **სუსტი ხმით ალაპარაკებს, ან ატირებს**: შეეშვი მაგ ბაღლს, ნუ აკნავლებ, ცოდოა!

აკრიახდება – კრიახს დაიწყებს (ქათამი). **წვრილი ხმით ჩხუბს, ლანძღვას დაიწყებს (ქალი)**: აკრიახდი ახლა, ჰო! რატომ იწყევლები? რა გინდა?

აკუტკუტდება – კუტკუტს დაიწყებს (კრუხი).

ალაგმავს – ლაგამს ამოხდებს, დაიმორჩილებს (ცხენს). **გასაქანს არ მისცემს, სხვა გზას არ დაუტოვებს, მოაჭკვიანებს**: ეგ ბავშვი ძალიან იყო აშვებული, მაგრამ მამამისმა ალაგმა.

ალაგმვა – ცხენისათვის ლაგამის ამოღება, დამორჩილება. **ვისიმე თავხედობის აღკვეთა, მოჭკვიანება.**

ალაგმულ-ი — ლაგამამოდებული, დამორჩილებული ცხენი.
სწორ გზაზე დაყენებული, კალაპოტში ჩაყენებული, მთოთკი-
ლი ადამიანი: მაგას უკვე ეშველა, ალაგმული მშობლებს.

ალალ-ი — ქორის მსგავსი პატარა მტაცებელი ფრინველი.

1. საშიში, მისაჩიდალი ადამიანი: ჯგუფად რომ გლექსაცობა მდგარიყო... და ოთარაანთ ქერივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო (ილია). **2. აგრესიული ადამიანი:** მისთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ მაინც ალალივით მომაფრინდა უეცრად. **3. მტაცებელი, გლეჯია ადამიანი:** მაგისი ბიჭი ნათიას ალალივით დააცხრა და სათამაშო წაჰგლიჯა.

ალიკაპი — ხის აღვირი ცხოველებისათვის, რათა ვინმეს არ უკბინონ, ან მცენარეული არ შეჭამონ. **ალიკაპის ამოდება** — ვისიმე მთვინიერება, **ალაგმვა:** ავარდნილი ბიჭი იყო, მაგრამ მამამისმა ალიკაპი ამოსდო.

ალკუნ-ი — პატარა გარეული ფრინველი.

ალხ-ი — ნაზამთრი მჭლე პირუტყვი.

ამათრახებს — **1. მათრახით სცემს (პირუტყვს, ადამიანს).**

2. სასტიკად გაკიცხავს, გაკილავს, გააკრიტიკებს: პოეტი სასტიკად ამათრახებს ხელისუფლებას.

ამაიმუნებს — **1. სასაცილოს ხდის:** მამამისი მაგას კარგს არაფერს ასწავლის, მთელი დღე ამაიმუნებს. **2. ამასხრებს, დასცინის:** მასწავლებელს ნუ ამაიმუნებ, ეგ შენი დასაცინი არ არის!

ამება — წყლის უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი. **გონებრივად განუვითარებელი, უტვინო, პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი:** მაგ უტვინოს რა უნდა ელაპარაკო? ნამდვილი ამებაა!

ამლაყ-ი — ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი.

ამოაძუებინებს — კუდს ამოაძუებინებს გაწბილებულს გაუშ-



ვებს: დილით მომადგა პატიოსანი კაცივით, მაგრამ სიმართლე პირში მივახალე და კუდი ამოვაძუებინე.

ამოიკნაველებს – კნავილს გამოსცემს (კატა). ძლივს, საცოდავად, სუსტი ხმით იტყვის: “ლიზა, ლიზა, შეილო!” ოდნავ ამოიკნაველა საცოდავმა... (ეკ. გაბაშვილი).

ამოიცოხნის – ცოხნას დაიწყებს, შეჭმულ საკვებს კუჭიდან ხელახლა დასადეჭად ამოიღებს (პირუტყვი). სათქმელს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გაუგებრად გაიმეორებს.

ამოიძუებს – კუდს ამოიძუებს კუდს დაუშვებს და ფეხებს შორის მოიქცევს (ძაღლი). **კუდს ამოიძუებს** – ა) შერცხვენილი წავა, გაწბილებული დარჩება: ვაითუ ირანის ლომმაც აქ ამოიძუოს კუდი?! (აკაკი). ველარაფერი გამოიბედა, კუდი ამოიძუა და წაეთრა; ბ) ვინმეს დარცხვენით, ან ეშმაკურად თავს შეაფარებს: ზოგი საწყალი მენშევიკი გლახა მწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავრობას და ჩვენთან ამოიძუა კუდი (პ. კაკაბაძე).

ამოკნაველება – კნავილის გამოცემა (კატის მიერ). ძლივს, საცოდავად, სუსტი ხმით თქმა: თავის სამართლებლად ერთი-ორი სიტყვის ამოკნაველება დავაპირე, მაგრამ ვინ მაცალა!

ამოსვლეს – ენის ამოსმით შეჭამს (კატა, ძაღლი, ადამიანი).

ამოფრენა – ფრენით ამოსვლა (ფრინველისა). სწრაფად ამოსვლა, ამოფარდნა.

ამოფრინდება – ფრენით ამოვა (ფრინველი). სწრაფად ამოვა, ამოფარდება (გახარებული, შეშინებული, ან რაიმე მიზნით გატაცებული ადამიანი): ორმოს ფსკერიდან რაღაც უცნაური ხმა მომესმა და გულგახეთქილი ამოფრინდი იქიდან.

ამოცოხნა – პირუტყვის მიერ ცოხნის დაწყება, კუჭიდან შეჭმული საკვების ხელახლა დასადეჭად ამოღება. სათქმელის ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გაუგებრად გამეორება.

ამოძუება: კუდის ამოძუება – კუდის დაშვება და ფეხებს შორის მოქცევა (ძაღლის მიერ).

ამუნა // ამუნია - (ბავშვთა მეტყველებაში) ძაღლი. ადამიანი, ვისითაც აშინებენ ვისმე: ამუნია ხომ არ ეპირება ჩვენი ლებრივი ადამიანი გახლავარ.

ამფიბია - ცხოველი, რომელიც წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც. 1. წყლის, ცურვის გადამტეხულად მოყვარული ადამიანი: ეს ბავშვი წყალზე გიჟდება, ნამდვილი ამფიბიაა! 2. კარგი მოცურავე: შენი ძმა ამფიბიასავით ცურავს.

ამძუნდება - მძუნობა დაეწყება, ატყდება (ძაღლი, მხეცი). სექსუალურად აღიზნება (უპირატესად ქალი): მაგ გოგოს დროზე უნდა გათხოვება, თორემ ამძუნებულა და რას იზამს, არავენ იცის.

ამძუნება - მძუნობის დაწყება, ძაღლისა და მხეცის ატყდომა. ქალის სექსუალური აღზნება.

ამძუნებულ-ი - რაც ამძუნდა (ძაღლი, მხეცი). სექსუალურად აღზნებული ადამიანი (უპირატესად ქალი): ეგ გოგო დროზე მაინც გაათხოვონ, თორემ ისეა ამძუნებული, რაღაც უბედურებას გადაეყრება.

ანკარა - უშხამო გველი, ძლოკვი. 1. მოქნილი ადამიანი, ვინც იოლად გაძვრება ვიწრო ხვრელში: ბიჭი ხვრელში ანკარასავით გაძვრა და ბურთი გამოიტანა. 2. კარგი მოცურავე: ბიჭმა ანკარასავით ცურვა იცის.

ანოფელეს-ი - მალარიის გადამტანი კოლო.

აჟივჟივდება - ჟივჟივს, ჭიკჭიკს, ჟრიაჟულს დაიწყებს (ფრინველი). ახმაურდება (ბავშვი): საბავშვო ბაღის ეზოში პატარები აჟივჟივდნენ.

აჟივჟივება - ფრინველთა ახმაურება. ბავშვების ახმაურება.

აჟივჟივებულ-ი - აჭიკჭიკებული, აჟრიაჟულებული (ფრინველი). ახმაურებული ბავშვები: აპურებდა ბახა მის ფართო მკერდზე მართლაც ბარტყებივით აჟივჟივებულ ბავშვებს (ო. ჭილაძე). აჟივჟივებული პატარების დაწყნარებას დიდი ხანი დასჭირდა.



აჟიენდება - ატიკტიკდება, აჟრიამულდება (ფრინველი),
ახმაურდება, აყვირდება. აყაყანდება (ხალხი): უეცრად ხალხი
 ხი ისე აჟიენდა, რომ ვერაფერს გაიგებდი.

აჟიენება - ატიკტიკება, აჟრიამულება (ფრინველებისა).
ახმაურება, აყვირება, აყაყანება (ხალხისა).

აჟურტულდება - ჟურტულს დაიწყებს, ატიკტიკდება
 (ფრინველი). **სასიამოვნოდ ახმაურდება, ალაპარაკდება (ბავ-**
შვი): მაგისი გოგო უკვე აჟურტულდება და ლექსებ-
 საც კი ამბობს.

აჟურტულება - ატიკტიკება, სასიამოვნო გალობა (ჩიტი-
 სა). **სასიამოვნოდ ალაპარაკება (ბავშვისა):** ბავშვის აჟურ-
 ტულება მთელ ოჯახს ახარებდა.

აჟურტულებული - ატიკტიკებული, აჟრიამულებული
 (ფრინველი). **სასიამოვნოდ ახმაურებული (ადამიანი):** მი-
 ყვარს აჟურტულებული ბავშვების სმენა.

არვე - თხისა და მისთანათა ჯოგი.

არჩვი - გარეული თხის სახეობა, ფსიტი. 1. **მოხდენილი,**
კოხტა, ტანადი ქალი: არჩვივით კოხტა გოგოა. 2. **მფრთხა-**
ლი ქალი: აგერ მორბის დამკრთალს არჩვსავით მოხე-
 ვის რომელიმე შავთვალა ქალი (აღ. ყაზბეგი).

არწივი - დიდი, ღონიერი, დიდნისკარტიანი მტაცებელი
 ფრინველი. 1. **საუკეთესო ვაჟკაცი, უებრო მფომარი:** კმ, ვის
 უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას!.. არწივს ფრენაში გა-
 ჯიბრებია ახლად აღნაეებული მართვე! (კ. გამსახურ-
 დია). კვაჭმა იმ მინდორს არწივივით ჩაუქროლა და
 შვიდი კაცი შვიდი ტყვიით მიაწვინა (მ. ჯავახიშვილი).
 რას [გეტყვი], ჩემო შალვა, და იმას, აღი ხორავას
 მკვახე მანდარინებმა რომ დიზენტერია დაგმართეს შენ
 და შენს არწივებს (ნ. დუმბაძე). მომყევით, არწივებო!
 მტერს საკადრისი პასუხი გავცეთ! 2. **დიდცხვირა, კეხი-**
ნი ცხვირის მქონე მამაკაცი: შიშის ზარს სცემდა ყვე-
 ლას მისი გარეგნობა და არწივის ცხვირი. 3. **თვალე-**
ბრიალა ვაჟკაცი: სოფლის გოგო-ბიჭები შიშით გაეკერი-

ან ხოლმე ღობეს, როდესაც ის შეხვედრახე გადაატყვი-
ტავს ხოლმე იმათ არწივივით დაბრიალებულ თევზებს
(ე.ე. გაბაშვილი). 4. თავდაჯერებული, ამაყი, გამბედავი, ბა-
ტივისცემის, მოწიწების გამომწვევი გარეგნობის მქონე ადა-
მიანი: თუმც [ხელმძღვანელი] აღელვებულია, ნაბიჯი მა-
ინც მტკიცე აქვს, გამართულია, პალტო კოსტად აზის
ათლეტურ ტანზე, აქონრილი თმა აქვს, გამჭოლი მზე-
რა, რადაცით არწივსა ჰგავს, გაბედული (გ. დოხანაშვი-
ლი). 5. დაუმორჩილებელი ადამიანი: როგორც არწივს ვერ
გაწვრთნი, ისე ვერც მაგას დაიმორჩილებ. ფრთამოტე-
ხილი არწივი – დასუსტებული გმირი: კვაჭს თითქოს სა-
ძირკველი გამოეცალა, თითქოს მარჯვენა მოსწყდა და
ფრთამოტეხილ არწივს დაემზგავსა (მ. ჯავახიშვილი).
არწივის გამოსხედვა // მზერა – ამაყი, ვაჟკაცური მზერა.
არწივის ყივილი – ვაჟკაცური შებახილი.

არწივა – საშუალო სიდიდის არწივი.

ასავსავეებს: ენას ასავსავეებს – ენას აქეთ-იქით ამოდრა-
ვეებს (გველი). ბორცოდ ლაპარაკობს, ჭორებს ავრცელებს:
მთელი დღე ენას ასავსავეებს და ჭორებს ავრცელებს.

ასარსალებს: ენას ასარსალებს – ენას ასავსავეებს, აქეთ-
იქით ამოდრავეებს (გველი). ბორცოდ ლაპარაკობს, ჭო-
რებს ავრცელებს: მთელი დღე ენას ასარსალებს და ჭო-
რებს ავრცელებს.

ასთაკვი – კიბოს მსგავსი ცხოველი.

ასისინდება – სისინს დაიწყებს (გველი, ბატი, ქარი). ბო-
რცოდ ლაპარაკს დაიწყებს, საშინელ ჭორს გაავრცელებს:
მაგათ ენას რა დააყენებს?! საბაბი აქეთ, თუ არა, მა-
ინც ასისინდებიან ხოლმე.

ასისინებულ-ი – რაც ასისინდა (გველი, ბატი, ქარი). ბო-
რცოდ ალაპარაკებული, ვინც საშინელ ჭორს ავრცელებს:
სანამ მისი მშობლები ასისინებული ასპიტებივით იგეს-
ლებოდნენ, შიშისაგან ძელებიც უკანკალებდა (ო. ჭი-
ლაძე). ასისინებული ჭორიკანების გაჩუმება იოლი სუ-
ლაც არ არის.

ასპიტ-ი - ძლიერ შესამიანი ერთგვარი ჭრელი გველი. 1. ავი, ანჩხლი, მოჩხუბარი ადამიანი (უპირატესად ქალი): ნამ მისი მშობლები ასისინებული ასპიტებით ივლებოდნენ, შიშისაგან ძვლებიც უკანკალებდა (ო. ჭილაძე). ქალი კი არა ასპიტია! სულ ჩხუბობს, ვერავის ეგუება. 2. ავენიანი ქალი, ვინც სულ იღანძვება: ასპიტის ენა აქვს, კარგს ვერ ათქმევინებ. მაგ ქალმა ასპიტით დაგესლვა იცის, ერიდე! 3. ბორთი, ადამიანი, ვინც სიამოვნებით ჩადის ბორთებას: შენი სიდედრი მართლა ასპიტია, საქმე წამიხდინა და თვითონ კმაყოფილია.

ასპუჭაკ-ი // ასპუჭაკა - პატარა გარეული მგალობელი ფრინველი.

ატეხილ-ი - იგივეა, რაც ამძუნებული. სექსუალურად ადგზნებული ადამიანი (უპირატესად ქალი): იმ გოგოს ასი თვალი და ასი ყური სჭირდება, ძალიანაა ატეხილი.

აუა - ძალღი (ბავშვთა მეტყველებაში). მილიციელი, პოლიციელი: ვუ პოლიციაში მუშაობს, აუაა.

აულრინდება - მისი აღრინდება (ძალღი). გული აულრინდება - გაბზანდება, აღშფოთდება: დღეს ვერა ვცნობ, რაღაცაზე გული აულრინდა.

აუწვეს: კუდს აუწვეს - მის მხარეს დაიჭერს, ტყუილზე დაემოწმება: ქმარი ტყუოდა, მაგრამ ცოლმა კუდი მაინც აუწია.

აუწვაგს: კუდს აუწვაგს - სიმართლე გუნებას წაუხდენს, გულზე მოხედება: ჩემმა ნათქვამმა სიმართლემ კუდი აუწვა.

აფთარი - მძორის მჭამელი მტაცებელი ცხოველი. 1. ავი, ბრაზიანი ადამიანი: ნინოს აფთარი დედამთილი ჰყავს, ძალიან ავი ქალია. 2. მოძალადე, გლეჯია ადამიანი: მაგ ოჯახში ყველა აფთარივითაა, სულ იმას ფიქრობენ, რა წაგართვან და შეგიჭამონ.

აფთრდება - შმაგდება, მძინვარდება (ძალღი, ადამიანი): შე-



ნიშვნას ვერ იტანს, მაშინვე გააფთრდება ხოლმე.

აფოფრილი-ი – ბუმბულაშლილი (ფრინველი). **გაშმაგებული**, **გამძინვარებული**, **გადარეული**, **საჩხუბრად შემართული**: ისეა აფოფრილი, მაგას ვერაფერი დააწყენარებს.

აფოფრვა – ბუმბულის აშლა (ფრინველის მიერ). **გაშმაგება**, **გამძინვარება**, **გადარევა**, **საჩხუბრად შემართვა**: მაგან იმისთანა აფოფრვა იცის, მტერს!

აფრენს – ფრენით ატარებს. 1. **სასწრაფოდ [გა]გზაინის ვის-მე**: ჩემი ძიძა დარწმუნებულა, რომ სწორედ გასჭრა შელოცვამ, გამობრუნდა ყმაწვილი, ახლა აღარ უჭირს რაო და მახარობელიც უფრენია სასახლეში (აკაკი). ავეტიკა გავარდა და აფრინა ბიჭი ექიმზე (გ. წერეთელი). 2. **შტერია, სულელია, ბრყვია, გიჟია**: შენ ხომ არ აფრენ? ეგ რამ მოგაფიქრა?

აფრენილი-ი – 1. ვინც, რაც აფრინდა. 2. **სინარულისაგან აფრენილი** – აღტაცებული, აღფრთოვანებული: დაბოლოს [გალაქტიონი] გამოემშვიდობა ყმაწვილ კაცს და სინარულისაგან აფრენილმა, რომ საქმე სასურველად ეწყობოდა, გასწია შინისაკენ (დ. კლდიაშვილი).

აფრთხილდება – ფრთხილთა აფრინდება, ფრთხილს დაიწყებს (ფრინველი). 1. **სინარულისაგან, დაბნეულობისაგან, ან მოულოდნელობისაგან აქეთ-იქით სირბილს, ბორი-აღს დაიწყებს**: ჩემი ძმა სინარულისაგან აფრთხილდა და აქეთ-იქით ბორი-აღს მოჰყვა. 2. **ძალიან გაეხარდება**: ბებია ჩვენს მისვლაზე აფრთხილდა და აღარ იცოდა, რა ექნა.

აფრთხილება – ფრთხილთა აფრენა, ფრთხილის დაწყება (ფრინველისაგან). 1. **სინარულისაგან, დაბნეულობისაგან, მოულოდნელობისაგან აქეთ-იქით სირბილის, ბორი-აღის დაწყება**. 2. **ძალიან გახარება**.

აფრთხილებული-ი – ვინც, რაც აფრთხილდა.

აფრუტუნდება – ფრუტუნს დაიწყებს (ცხენი). **თავისებურად ჩაიციინებს, ცდილობს, არ გაეცინოს, მაგრამ ვერ ახერხებს**





თავის შეკავებას: გიოს ცელქობაზე ბავშვები აფრუტუნდნენ.

აფრუტუნება – ფრუტუნის დაწყება (ცხენის მიერ). თავისებურად ჩაცინება, როცა ცდილობენ, არ გაიციონ, მაგრამ თავს ვერ იკავენ: ჩვენი აფრუტუნება მასწავლებელს არ მოეწონა და გაგვიწყრა.

აფრუტუნებულ-ი – რაც, ან ვინც აფრუტუნდა: აფრუტუნებული კლასის დაწყნარება იოლი არ იყო.

აფხორვა – ბუმბულის ან ბეწვის აშლა და ტანის აწევა (ფრინველის, ან ცხოველის მიერ). ნაწყენის, გაჯაგრებულის იერის მიღება: მაგან ასე იცის უმიზეზოდ აფხორვა.

აფხორილ-ი – ვინც, ან რაც აიფხორა: კატუნია დაჯდა თავის ალაგას აფხორილი (გ. წერეთელი). ეგ სულ აფხორილი დადის.

აქიცინებს – აქეთ-იქით აქნევს (კუდს, თავს). კუდს აქიცინებს – პირფერობს, მლიქვნელობს, ფარისეველობს: ეგ ყველა უფროსთან ასე აქიცინებს კუდს, იქნებ ვასიამოვნო.

აქლემ-ი – მაღალფეხება კუზიანი ცხოველი, რომელიც კუხით წყალს იმარაგებს. იცის ფურთხება. 1. უშნოდ აწოწილი, მაღალი ადამიანი: ეგ ბიჭი რა მოსაწონია, აწოწილა აქლემივით! 2. კუზიანი, ან წელში მოდრეკილი ადამიანი: რას დამსგავსებია?! აქლემივით მოდრეკილი დადის. 3. ვინც იშვიათად, ან ცოტას სვამს წყალს, ვინც იშვიათად, ან მცირედ იკვებება: მოდი, რამე შეჭამე, აქლემივით ორ დღეში ერთხელ ჭამა ხომ არ გეყოფა?! 4. ფურთხია, დორბლიანი,

უზრდელი: თინიკო ნეტარებით ახრანტალებს: “ხიფ, ხიფთ, პხუჟა” და ორკუზიანი აქლემივით იპურტყება, – ტფუს! (ზ. სამადაშვილი). იქონიე ზრდილობა, ნუ იფურთხები აქლემივით! 5. შემძლე ადამიანი, ვინც დროებით დაუძლეურებისას ძნელი მოსაგლეღია: გამიშვით, თორემ აქლემივით დავევარდები და ვერავინ ვეღარ ამაყენებს (მ. ჯავახიშვილი).

აქმა! - ფრინველის დასაფრთხოვ-გასარეკი შეძახილი.
ადამიანის გასაგდები დამამცირებელი შეძახილი: აბა, აქმა!
ჩემი ეზოდან, თქვე მამაძაღლებო!

აღავდავდება - ღავდავს დაიწყებს (ძაღლი). ლანძღვას,
ჩხუბს დაიწყებს: ეგ ბებერი რას აღავდავდა ამ დილი-
დანვე?!

აღავდავება - ღავდავის დაწყება (ძაღლის მიერ). ლან-
ძღვის, ჩხუბის დაწყება: მაგისი აღავდავებაღა გვაკლდა!
ახლა მთელი დღე არ გაჩუმდება.

აღავდავებულ-ი - ვინც, რაც აღავდავდა: მამაშენი აღავდა-
ვებული დაეცოვე, აჯობებს, ჯერ არ დაენახო!

აღაფრთოვანებს - (ეტიმოლოგიურად: ფრთას გამოასხამს)
1. გაამხნევეს, იმედს ჩაუსახავს სამოქმედოდ: მისმა ქებამ
აღაფრთოვანა და ახალი საქმის დასაწყებად განმა-
წყო. 2. აღტაცებას მოჰგვრის: მისმა სიმღერამ ყველა
აღაფრთოვანა.

აღვირ-ი - ცხენის სამართავი თასმები. აღვირის ამოღება
- ვისიმე აღავგზა, დაოკება, კალაპოტში ჩაყენება: მაგ ხუ-
ლიგანს აღვირი ვერავინ ამოსდო, მაინც თავისას შერე-
ბა.

აღვირაშეგებულ-ი - უტიფარი, თავხედი, თავაშეგებული ადამი-
ანი: შენი მეზობელი დიდი უტიფარი და აღვირაშეგებული
კაცია, არავისი მორიდება არა აქვს.

აღვირახსნილ-ი - 1. უტიფარი, თავხედი, მოურიდებელი, უზ-
რდელი ადამიანი: შენი მეზობელი დიდი უტიფარი და
აღვირახსნილი კაცია, არავისი მორიდება არა აქვს. 2.
უზნეო, მექალთანე: მაგისი ქმარი ერთი აღვირახსნილი
ვინმეა, სულ ქალებში დაეთრევა.

აღვირახსნილობა - 1. უტიფრობა, თავხედობა, უზრდელობა:
აუტანელია მისი აღვირახსნილობა - ზრდილობა მაგას
არა აქვს და მორიდება. 2. უზნეობა, მექალთანეობა: გა-
საკვირია, როგორ უთმენს ცოლი აღვირახსნილობას
და ქალებში წანწალს.



აღმაფრენა – (ეტიმოლოგიურად: **მაღლა აფრენა**) 1. ყოველდღიურობისაგან წარმოსახვით განყენება. 2. შემოქმედებითი გაქანება.

აღმუვლდება – ღმუილს დაიწყებს (ცხოველი, ადამიანი): ვეღარ დააკავა ზეგავივით მომდგარი სიხარული და გაღალახული ძაღლივით აღმუვლდა (ნ. დუმბაძე).

აღმუვლება – ღმუილის დაწყება.

აღმუვლებს – ღმუილს აწყებინებს: რა გაღმუვლებს, კაცო? ადამიანურად თქვი, რა მოგივიდა.

აღმუვლებულ-ი – გინც, რაც **აღმუვლდა**.

აღრენილ-ი – რაც აღრინდა (ძაღლი). გუნებააშლილი, საჩხუბრად განწყობილი, ბრაზით საგსე ადამიანი: დილიდან აღრენილი იყო და ჩხუბის საბაბს ეძებდა.

აღრინდება – ღრენას დაიწყებს (ძაღლი). ღანძვას, ჩხუბს დაიწყებს: დილიდან აღრინდა და ჩხუბს ჯერაც არ მორჩენილა.


აღრუტუნდება – ღრუტუნს დაიწყებს (ღორი). თავისებური ხმით, გაურკვევლად ადუღუნდება: რა გაღრუტუნებს? გაურკვევით თქვი, რა გინდა.

აღრუტუნება – ღრუტუნის დაწყება. თავისებური ხმით, გაურკვევლად ადუღუნება.

აღფრთოვანდება – 1. გამხნევდება, სამოქმედოდ იმედი ჩაესახება: ქების შემდეგ აღფრთოვანდა და მაშინვე შეუდგა საქმეს. 2. აღტაცება დაეფლავს: მსმენელი ახალი ლექსებით აღფრთოვანდა.

აღფრთოვანება – 1. ვისიმე გამხნევება, სამოქმედოდ იმედის ჩასახვა: გეგმის მოწონებამ აღფრთოვანება მოჰგვარა და მაშინვე შეუდგა მზადებას. 2. აღტაცება: ლექსმა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

აყეფდება – ყეფას დაიწყებს (ძაღლი). ღანძვას დაიწყებს: ჩემი მეზობელი ხშირად უმიზეზოდაც აყეფდება ხოლმე.



აყეფება – ყეფის დაწყება; ყეფის დაწყებინება. 1. **ღანძვის დაწყება:** მაგის აყეფებასაც მალე ნახავს. 2. **მცინეში საღანძვად განწყება, გამოწყევა:** და როგორც დიდი ორატორი აცლის ხოლმე სხვა წერილფეხას, აყეფებს, ალაქლაქებს, რათა რიგიანპირიანად თავი მოაძულონ ხალხს და მერმე ადგება, დარბაისლური ნაბიჯით ტრიბუნისაკენ გაემართება და სულ მცირე ხანში ააგრიანებს ტაშების ზღვას, ისე გამოვიდა კაც ზვამბაია... (კ. გამსახურდია).

აყეფებულ-ი – რაც აყეფდა. **აჩხუბებული, აყვირებული, აყაყანებული, მღანძავი:** თავის აყეფებულ დედამთილს ერთ სიტყვას ეტყვის და უცებ ჩააჩუმებს ხოლმე.

აყივლდება – ყივილს დაიწყებს (მამალი). **მაღალი ხმით გაბმით აყვირდება:** მეჩეთიდან მოლა აყივლდა.

აყივლება – ყივილის დაწყება. **მაღალი ხმით გაბმით აყვირება.**

აყიყინდება – ყიყინს დაიწყებს (ბაყაყი, ბატი). **მაღალი, უშნო ხმით ალაპარაკდება, აყაყანდება, ან აყვირდება:** ნუ აყიყინდი ბატივით, წყნარად მითხარი სათქმელი!

აყიყინება – ყიყინის დაწყება. **მაღალი, უშნო ხმით ალაპარაკება, აყაყანება, აყვირება:** მაგის აყიყინებას დიდი ამბავი არ უნდა.

აყიყინებულ-ი – ვინც, რაც აყიყინდა: აყიყინებული ქალების დაწყნარებას დიდი დრო დასჭირდა.

აყმუვლდება – ყმუილს დაიწყებს (ძალი, მგელი). **გაბმულ, ერთფეროვან ხმას გამოსცემს:** ნუ აყმუვლდები ახლა, მაგით საქმეს ვერ უშველი!

აყმუვლება – ყმუილის დაწყება.

აყმუვლებს – აძიულებს იყმუვლოს (ცხოველმა, ადამიანმა): ნუ აყმუვლებ ბავშვებს, შეეშვი!

აყმუვლებულ-ი – ვინც, რაც აყმუვლდა.



აყროყინდება – ყროყინს დაიწყებს (სახედარი). ბოხი, უხე
 ში ხმით აყვირდება: ნუ აყროყინდი! მაგას სიმღერა
 ჰყვია.

აყროყინება – ყროყინის დაწყება.

აყროყინებულ-ი – ვინც, რაც აყროყინდა.

აჩხავლდება – ჩხავილს დაიწყებს (ზოგი ფრინველი, ადამიან-
 ნი): ბავშვი უცებ უმიზეზოდ აჩხავლდა.

აჩხავლება – 1. ჩხავილის დაწყება. 2. ჩხავილის დაწყები-
 ნება.

აჩხავლებს – ჩხავილს აწყებინებს (ფრინველს, ადამიანს): მაგ
 ბავშვის წვალება უყვარს და სულ ასე აჩხავლებს.

აჩხავლებულ-ი – ვინც, რაც აჩხავლდა, ან ააჩხავლეს: აჩხავ-
 ლებული ბავშვის გაჩუმებას კაიხანს მოეუნდი.

აძაღლდება – ძაღლივით ავი გახდება: რას აძაღლდი?! რა
 მოგივიდა? რამ გაგაცოფა ამ უთენია?

აძაღლებულ-ი – 1. ვინც აძაღლდა, ძაღლივით ავი გახდა:
 აძაღლებული ფიდუა ეშმაკურაშვილი ჩვენის ხელით
 აწყუხზეა ასაგები, აწყუხზე! (ს. მგალობლიშვილი). მა-
 გისი აძაღლებული დედამთილი სულ შარზეა. 2. იგი-
 ვეა, რაც სულძაღლი.

აძოვებს – ძოვის საშუალებას აძლევს. ქონების მოხვეჭის,
 გამდიდრების საშუალებას აძლევს: თავის ახლობლებს
 კაი-კაი თანამდებობები დაურიგა და აძოვებს ხალხის
 ხარჯზე.

აწკავწკავდება – წკავწკავს დაიწყებს (ძაღლი). წვრილი
 ხმით ჩხუბს, ან ტირილს დაიწყებს: ბავშვი გაჭირვეულდა
 და აწკავწკავდა.

აწკავწკავებს – წკავწკავს აწყებინებს (ძაღლს). წვრილი
 ხმით ჩხუბს, ან ტირილს აწყებინებს: ნეტავი გამაგებინა,
 რა გაწკავწკავებს.

აწკაფწკაფება – წკაფწკაფის დაწყება (ძაღლისა). წყრილი ხმით ჩსუბის, ან ტირილის დაწყება: მაგის აწკაფწკაფებას დიდი არაფერი უნდა, საბაბს ყოველთვის პოულობს.

აწკაფწკაფებულ-ი – ვინც, რაც აწკაფწკაფდა: აწკაფწკაფებულ ბავშვებს თვალები დაუბრიალა და ისინიც მაშინვე გაჩუმდნენ.

აწკმუტუნდება – წკმუტუნს დაიწყებს (ძაღლი). წყრილი ხმით ტირილს გააბამს: ბიჭი საცოდავად აწკმუტუნდა.

აწკმუტუნება – წკმუტუნის დაწყება. წყრილი ხმით ტირილის გაბმა: პატარა მიზეზიც კმარა მაგის აწკმუტუნებისათვის.

აწკმუტუნებს – წკმუტუნს აწყებინებს. წყრილი ხმით ატირებს: შე არგასაზრდელო, ნუ აწკმუტუნებ მაგ ბავშვს!

აწკმუტუნებულ-ი – ვინც, რაც აწკმუტუნდა: აწკმუტუნებული ბავშვები ბებოს დანახვაზე უცებ გაჩუმდნენ და მისკენ გაიქცნენ.

აწრუწუნდება – წრუწუნს დაიწყებს (თაგვი). დაბალი სუსტი ხმით ახმიანდება: აწრუწუნდა თაგვივით და აღარ ჩერდება.

აწრუწუნება – წრუწუნის დაწყება. დაბალი სუსტი ხმით ახმიანება: ახლა მე მაცალეთ და მაგის აწრუწუნებასაც გაჩვენებთ.

აწრუწუნებს – 1. წრუწუნს აწყებინებს: ხან სათამაშოს წაართმევს, ხან თავში წამოარტყამს და აწრუწუნებს მთელი დღე. 2. აწვალებს: ნუ აწრუწუნებ, ნუ აწვალებ!

აწრუწუნებულ-ი – ვინც, რაც აწრუწუნდა: თვითონ სადღაც გაიქცა და ბავშვი აწრუწუნებული დამიტოვა.

აჭიკჭიკდება – ჭიკჭიკს დაიწყებს (ჩიტი, მერცხალი). 1. ღაპარაკს დაიწყებს: ორ ჭიქას დაღვეს და აჭიკჭიკდება. 2. გამოტყდება: პირზე რომ დაადგებიან, აჭიკჭიკდება, აბა, რას იზამს.

აჭიკტიკება – ჭიკტიკის დაწყება (ფრინველის მიერ).

1. ლაპარაკის დაწყება. 2. გამოტყდომა.



აჭიკტიკებულ-ი – რაც აჭიკტიკდა (ჩიტი, მერცხალი).

1. ვინც აჭიკტიკდა, ვინც ალაპარაკდა: მაგას ბლომად აქვს მირთმეული ღვინო და იმიტომაცაა ასე აჭიკტიკებული. 2. ვინც გამოტყდა რაშიმე: ვნახავ მაგას აჭიკტიკებულს, პოლიცია რომ სტაციებს ხელს!

აჭიხვინდება – ჭიხვინს დაიწყებს (ცხენი). უწნოდ, თავშეუკავებლად და ხმამაღლა გაიცინებს: საზღვარს რომ გასცდნენ, ბოჩოლებივით ახტუნავდნენ და კვიცებივით აჭიხვინდნენ (მ. ჯავახიშვილი). დაჯდება და აჭიხვინდება, ვითომ საქმე არ ჰქონდეს.

აჭიხვინება – ჭიხვინის დაწყება. უწნოდ, თავშეუკავებლად და ხმამაღლა გაიცინება: მაგის აჭიხვინებას დიდი მიზეზი არ უნდა.

აჭიხვინებს – ჭიხვინს აწყებინებს. უწნოდ, თავშეუკავებლად და ხმამაღლა აცინებს: ნეტავი რა გაჭიხვინებს მთელი დღე? საქმე არაფერი გაქვს?

აჭიხვინებულ-ი – რაც აჭიხვინდა. ვინც უწნოდ, თავშეუკავებლად და ხმამაღლა გაიცინა: ასეთი აჭიხვინებული კაცი ცუდი სანახავია.

აჭყვირდება – ჭყვირილს დაიწყებს (ღორი, გოჭი). გაბმით წვრილი ხმით ატირდება: სათამაშო წაართვეს და მაშინვე აჭყვირდა.

აჭყვირება – ჭყვირილის დაწყება. გაბმით წვრილი ხმით ატირება: მაგისი აჭყვირებაღა გვაკლია, წაიყვანე კინოში!

აჭყვირებს – ჭყვირილს აწყებინებს. გაბმით წვრილი ხმით ატირებს: ნუ აჭყვირებ, დაუბრუნე თავისი წიგნი!

აჭყვირებულ-ი – ვინც, რაც აჭყვირდა: აჭყვირებული ბავშვი დედამ ძლივს დააწყნარა.

ახვიხვინდება – ხვიხვინს დაიწყებს (ცხენი). ბოხი ხმით უშ-



ნოდ გაიცინებს: გადმოყარა კბილები და ახვიხინდა ცხენით.

ახვიხინება – ხვიხინის დაწყება. **ბოხი ხმით უწოდ** გაცი-
ნება: მაგისი ახვიხინება ძნელი არ არის.

ახვიხინებულ-ი – ვინც, რაც ახვიხინდა: ახვიხინებული
კაცები ველარ ჩუმდებოდნენ.

ახლადმოჩიტულ-ი (ეტიმოლოგიურად: ჩიტად ახლახან
ქცეული) – ახლახან წამოზრდილი: ახლადმოჩიტული
თაობა შორიდან უჭვრეტდა (კ. გამსახურდია).

ახრამუნებს – 1. მაგარ, ხმელ რამეს ჭამს ხმაურით (ცხოვე-
ლი, ადამიანი): ბიჭი ხმელ ორცხობილას ახრამუნებდა.
2. გემრიელად, მადიანად ჭამს (ადამიანი): გუშინ ცხვარი
დაკვალით და მწვადები ვახრამუნეთ.

ახურებულ-ი – რაც ახურდა, გასანაყოფიერებლად მზა-
დაა (ძროხა, ფურკამეჩი). **სექსუალურად აღზნებული ადა-**
მიანი: ახურებულ ქალებთან პატიოსან ქალს რა ესაქმე-
ბა?

აჯილდა – დაუკოდავი ცხენი. 1. **აღვირახსნილი მამაკაცი,**
მექალთანე: სულ ქალებისკენ უჭირავს დასავესები თვა-
ლები მაგ აჯილდას. 2. **დაუოკებელი, ენერგიამოჭარბეუ-**
ლი მამაკაცი: ისეთია, ვერ დადლი, აჯილდასავით ენერ-
გიულია. **აჯილდას გაგდებული** – უჯიშო, გადაგვარებული:
მომკალი, შე აჯილდას გაგდებულო, არ ვარ მე აქედან
ფეხის მომცველი... (ნ. დუმბაძე).

ბაბაყულ-ი – დიდი ბუ, ბაიყუში. **უჟმური, უცხვირპირო** ადამიანი: ჩემიმეზობელი ნამდვილი ბაბაყულია, ზის სახლში და არავის ეკარება.

ბაბაჭუა – ობობა. 1. მტაცებელი, გლეჯია, ვინც მოხერხებულად აბამს ადამიანებს მახეში: ბაბაჭუა არის მეტსახელი ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟისა ეკ. გაბაშვილის მოთხრობაში “სახრჩობელაზედ”. 2. ვეჩაგი, ავაზაკი: დახეთ, დახეთ, სად გადამიბნელა დღე! გამიტეხა ნათელ-მირონი ამ ბაბაჭუა ფეიქარმა! (გ. ლეონიძე).

ბაბრ-ი – 1. იგივეა, რაც ჯიქი. 2. დიდი დათვი. ღონიერი და მოუხეშავი ადამიანი: ბაბრივით მეცა და დამბუბნა.

ბაგა – საკვების ჩასაყრელი მოწყობილობა დაბმული პირუტყვისათვის. საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დაწესებულება მცირეწლოვანი ბავშვებისათვის: ბავშვთა ბაგა.

ბაგელ-ი – სეზონზე პირველად დაჭერილი დასაგეში ფრინველი (ქორი, მიმინო, შავარდენი).

ბაზ-ი – სანადირო ფრინველი (ქორი, მიმინო, შავარდენი...).

ბაიყუშ-ი – დიდი ბუ. 1. განმარტოების მოყვარული, უკარება ადამიანი: რაც სახელი შეგარქვეს [– ბაიყუში], ის ხასიათი გაქვს, სწორედ! მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო, – არ უსწავლებიათ პატარაობისას შენთვის ეს ანდაზა, დავით ბატონო? მარტო არ უნდა იყო, ვინმეს მხარეზე უნდა იყო, თვარა ნაბეგვი იქნები სულ (ჭ. ამირჯიბი). 2. **უჟმური, უცხვირპირო** ადამიანი: ბაიყუში არის მეტსახელი უჟმური პერსონაჟისა გ. წერეთლის მოთხრობაში “ჩვენი ცხოვრების ყვავილი”. მაგ ბაიყუშს კაცი ვერ დაელაპარაკება, დიდი უჟმური ვინმეა. 3. **ბაიყუშის ბაიყუში** – **უჟმურზე უჟმური**: ...მე ვიცი, ყურებზედ ხახვს დამატრი, ბაიყუშის ბაიყუშო! (ილია).

ბალანი - ზოგი ცხოველის ბეწვი. ადამიანის თმა: დაბერ-
და და თაეზე ბალანი აღარ შერჩა. ბალანი აქმნდა წყლი-
გაბრაზდა, განრისხდა: ამ ამბის გაგებამ ბალანი აუკონკო
და შინ ყველაფერი დაღეწა. 2. შიშისაგან თმა ყალყზე
დაუდგა: გველის დანახვაზე შიშისაგან ბალანი ეშლება.

ბალანდამწვარი - გველის ტაბუირებული სახელი. 1. ბო-
როტი, მაგნე ადამიანი, ვისაც ფარულად მოქმედება სჩვევია:
მაგ ბალანდამწვარმა საქმე ჩუმად ჩამიშალა. 2. საზი-
ზღარი ადამიანი, ვისი სახელის ხსენებაც კი საძულველია:
მაგისი სახელი არ გამაგონო, მაგ ბალანდამწვარის!

ბალახობს - ბალახს ძოვს. 1. სხვის პურმარიღზე ქეიფობს,
სხვის ხარჯზე ცხოვრობს თვითონ კაპიკს არ დახარჯავს,
სულ სხვის სუფრაზე ბალახობს. 2. თავის ნებაზე ეპყრო-
ბა სხვის, ან სახელმწიფოს ქონებას, სხვის შემოსავალს არ-
ხეინად ითვისებს: კაი თანამდებობა აქვს და ბალახობს
თავის ნებაზე.

ბარი - დიდი მტაცებელი ფრინველი.

ბარაკეულ - ექესი თვის ძროხა.

ბარტყი - ფრინველის ნაშიერი. 1. შვილი, ბავშვი: აპურებ-
და ბახა მის ფართო მკერდზე მართლაც ბარტყებივით
აჟიჟიჟებულ ბავშვებს (ო. ჭილაძე). ჩემს ბარტყებს
თვითონაც კარგად მოეუფლი. 2. სუსტი ადამიანი, ვისაც
ძლიერის მფარველობა და ზრუნვა სჭირდება: მოვაგროვებ-
დი პურს, წამოვიკიდებდი ზურგზე და მიეუტანდი
ცოლ-შვილს. ვკვებავდი, როგორც ჩიტი თავის ბარ-
ტყებს (ვაჟა). ...ბეჟიას ციცია, როგორც ბარტყი, ისე შე-
ეფარებინა თავის ნაბდის ქვეშ (ალ. ყაზბეგი). ცისანა
ხუთი წლისაა, დალი კიდევ სამის. სულ ბარტყებივით
შეკვურებენ დედას სახეში და ხელებში (რ. ინანიშვი-
ლი). [ბიჭები] აქედან მთლად პატარები ჩანდნენ, დაუ-
ბუმბლავი ბარტყებივით ერთმანეთს მიკრულნი... (რ.
ინანიშვილი). ეშმაკის ბარტყი - ეშმაკის შვილი, პატარა
ეშმაკი, მაგნე: შენ გატეხე, შენა, მაიმუნო, ეშმაკის ბარ-
ტყო! (ეკ. გაბაშვილი).

ბატი - ბოკნისკარტა ფეხაპკიანი მოზრდილი მცურავი

ფრინველი. 1. **უჭკუო, შტერი, ჩერჩეტი:** მაგი იცი თუ არა შენ, ბატივით შტერო მოშიაშვილო, რომ ჩემს ძარღვებში ოთხმოცი პროცენტი ცისფერი ლაზური სისხლი სჩქევს და რომ დედაჩემის ბების ბებია და კიდევ იმის ბებია მედღა იყო კოლხი! (ნ. დუმბაძე). მაგ ჩერჩეტი ბატის მოტყუებას დიდი არაფერი უნდა. 2. **უნიჭო, უინტელექტო ადამიანი:** ეგ ბატი ტყუილად დადის სკოლაში, მაინც ვერაფერს სწავლობს. 3. **უხეირო, უგერგილო, უთავბოლო ადამიანი:** იმისთანა გლახა ჩხუბში არა გინახავს-რა. ბატსავით უხეიროა, ერთიცახე სიმარდე არა აქვს (გ. წერეთელი). საქმეს თავს ვერ აბამს ეგ ბატი. 4. **დაბნეული, გულმაფიწვი ადამიანი:** რად დაეხეტები დაკარგული ბატივით ქუჩებში, კვაჭი? (მ. ჯავახიშვილი). ყველაფერი ავიწყდება მაგ ბატს. 5. **მწკრივად მთარული ადამიანები:** ბატებივით მოჰყვენენ ერთმანეთს გუბერნატორი, პოლიცემისტერი, ქალაქის მაგისტრი და მრავალნი სხვა ჯილდოს მაძიებელნი (მ. ჯავახიშვილი). [გოგოები] მაღე, ბატებივით დამწკრივებულნი, ტაძრისაკენ მიმავალ ბილიკს მიყვებოდნენ (ო. ჭილაძე). 6. **ბაჯბაჯით მთარული ადამიანი:** ღიზა-ხანუმი წამოდგა და ბატის ნაბიჯით წავიდა კარებისკენ... (მ. ჯავახიშვილი). 7. **მუჭარანარევი სისინით მოლაპარაკე:** გაბრაზებული ბატივით სისინით ჩაილაპარაკა. 8. **მყივანა ხმით მოლაპარაკე:** მამალი ბატივით ყივის. ბატების მოკორტნილი // ნაკორტნი ბალახივით // კონინდარივით თმები - უსუსური, მეჩხერი თმები: პირი აარიდა ბერიკაცის მოტვლეპილ თავს, მთლად უსუსური, ბატების მიერ მოკორტნილ კონინდარსავით საცოდავი თმები დარჩენილიყო აქა-იქ (კ. გამსახურდია).

ბატასინი - გარეული ბატი.

ბატატურა - ცხენი, რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს.

ბატისტინა - 1. **უჭკუო, შტერი, ჩერჩეტი:** შენ რად ღრიალებ აგრე, ხრიტანიუკ, ბატისტინო!... (ლ. ქიანელი). 2. **უნიჭო, უინტელექტო.** 3. **უხეირო, უგერგილო, უთავბოლო ადამი-**

ანი. 4. დაბნეული, გულმაგიწვი ადამიანი.

ბატკი - 1. ჩვილი თიკანი. 2. შემოდგომაზე მოგებულ სბო.

ბატკანი - კრავი, ცხვრის ნაშიერი ექვსი თვის ასაკამდე.

1. უწყინარი, მოჩილი, თვინიერი, ბრძოლის უნარს მოკლებული ადამიანი: კვირა რომ დადგება, ჯურხა ამოვარდუბა, ჩვენს ქონებას იღლიაში ამოიჩრის და ბატკნებივით "წავგვალავს" (მ. ჯავახიშვილი). მე მაშინვე ვერ მოვიფიქრე, რომ უნდა მგელი ყოფილიყავი, რომ მგლებში მგლურად გელმუილა, რომ ბატკანს უთუოდ გადაგყლაპავდნენ (ეკ. გაბაშვილი). 2. ვისიმე უმწყო მსხვერპლი: ბოშებს უხაროდათ, რომ ოხერი გულკეთილი იპოვნეს. შესაბრაღისი იყო მაშინ თამარი. ვის არ შეებრაღება მგლის პირში ბატკანი? (ვაჟა). მე ძალა მქონდა და შემეძლო ათი, ასი, ორასი კაცი, ჩემი სურვილის აღსრულებისათვის, ორ ბატკანსავით შემეწირა... (ალ. ყაზბეგი). 3. უზრუნველი, მიაშიტი, დაუფიქრებელი ადამიანი, ვინც საფრთხეს ვერ ხედავს: ამ საერთო მხიარულების დროს, როდესაც გუგუას სახლში თავმოყრილი გულები მხიარულად ყინულზედ გამოსულს უზრუნველს ბატკნებსავით თამაშობდნენ, ონისე პირქვე ეგდო და დამძიმებული, გახურებული თავი ბალიშიდან ვერ აეღო (ალ. ყაზბეგი). მამა აბრამის ბატკანი - ვითომდა უცოდველი, ვითომდა მართალი ადამიანი: ისე იქცევა, ვითომ მამა აბრამის ბატკანი იყოს.

ბატკანმერი - დიდი მძორისმჭამელი გარეული ფრინველი.

ბაღლინჯო - პარაზიტი, სისხლის მწოველი მყრალსუნინანი მწერი. 1. უვარგისი, უღირსებო ადამიანი, არარაობა: კაცი კი არა, ბაღლინჯოა, არავითარი ღირსება მაგას არ გააჩნია. 2. უშნო, შეუხედავი ადამიანი: რასა ჰგავეს ებ უბედური, ნამდვილი ბაღლინჯოა! 3. ტურტლიანი, ჭუჭყიანი, ტანდაუბანელი, აყროლებული ადამიანი: ტანს კვირაობით არ იბანს, ბაღლინჯოსავით ყარს. 4. საზიზღარი ადამიანი: შე საზიზღარო ბაღლინ-



ჯოვ, ქვემძრომო, არა-კაცო! (ეკ. გაბაშვილი).

ბაყაყი – უკუდო, ხტუნია, ყიყინა, თვალებგადმოკარკლული წყალხმელეთა ცხოველი. 1. **ტანმომცრო დაგრეხილკიდურებიანი ადამიანი:** იმას ვინ შეირთავს? ბაყაყით ტან-ფეხი აქვს. 2. **თვალებდაკარკლული ადამიანი:** რას დაგიკუსავს თვალები ბაყაყით?! 3. **უსიამო ხმის მქონე ადამიანი:** მთელი დღე ბაყაყით ყიყინებს, წაიღო ტვინი. მაგან სიმღერა არ იცის, ბაყაყით ყიყინებს. 2. **კარგი მოცურავე ადამიანი:** კარგი ცურვა იცის, წყალში ბაყაყით გრძნობს თავს. 4. **წყლისა და ბანაობის დიდად მოყვარული ადამიანი:** ბავშვი კი არა, ბაყაყია, სულ წყალში ყოფნა სურს. 4. **უშნოდ მოცურავე ადამიანი:** შენ რომ ცურვა იცი, ისეთი მე უკვე დამავეიწყდა, წყალში ბაყაყით ფართხალებ. 5. **ხტუნია ადამიანი:** წესიერად გაიარე, ბაყაყით ნუ მიხტი!

ბაყაყიჭამია – იგივეა, რაც **ყანჩა**.

ბაყაყური – ცურვის სახეობა, ხელფეხის წვეილ-წვეილად მოსმა: [ბიჭმა] ორმოცი მეტრი კიდევ იცურა მკლავურით, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. იგი ფეხებს ბოლომდე ღუნავდა და ლამაზი, მოქნილი მოძრაობით აძლევდა ბიძგს წყალზე ჰორიზონტალურად გაწოლილ სხეულს. ერთდროულად გამართულ ხელებს ოდნავ მოუსვამდა, თავს ამოჰყოფდა მაღლა, შეისუნთქავდა და ისევ იმეორებდა იმავე მოძრაობებს (გ. რჩეულიშვილი).

ბაჩა – 1. პატარა ტანის საქონელი. 2. ცხენი, რომელსაც ძუა-ფაფარი გაკრეჭილი აქვს. შდრ.: მეტსახელი და ანთროპონიმი **ბაჩანა**.

ბაცაცა – ბაჭიას ეპითეტია. **ქურდი**, **მპარავე**: ჩვენც გულახუყებულებმა ეს ქურდი, გაწუწკებული ბაცაცა, ეს მანე, მგლის კბილი, ეს ხეძგერა, ეს მიწის ღუკმა ყველაზე ძვირფას ადამიანად ვიწამეთ ახლა დედამიწაზე! (გ. ლეონიძე).

ბაჭია – კურდღლის ნაშიერი. **აღერსიანი მიმართვა** ბავშვი-

სადმი: აბა, ბატია, მოცუნცულდი ჩემთან!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბახ-ი – უვარგისი ცხენი.

ბახალა – ყვავის, ყორნის, ჭილყვავის, კაჭკაჭის ბარტყი.

1. ვისიმე უშნო ბავშვი: მაგას თავისი ბახალა ყველა ბავშვს ურჩევნია. 2. უმწეო ადამიანი, ჩვეულებრივ, ბავშვი, ვისაც უფროსის ან ძლიერის ზრუნვა ესაჭიროება: ისინი თავისი კარგი კაცობისა და ღირსების გამო მჭლე ქვეყანაში წირეს გარეთ დარჩენილიყვნენ და შაშვის ბახალასავით აღებდნენ პირს... (გ. წერეთელი). 3. შაგტუნა, გარუჯული ბავშვი: ეს ბავშვი მზეზე როგორ დამწვარა, მთლად ყვავის ბახალაა!

ბედაურ-ი – კარგი მორბენალი, წვივმაგარი და ჯიშინი ცხენი. 1. კარგი, სანაქებო ადამიანი: ბედაური ბიჭია, წუნს ვერ დასდებ. 2. ჯიშინი, ტანადი, კოხტა ადამიანი: ეგენი ბედაური ხალხია, ყველა კოხტა და ტანადია.

ბეკეკა – 1. თხა. 2. ბატკანი. 1. აღერსიანი მიმართვა ბავშვისადმი: ჩემო ბეკეკებო, რას თამაშობთ? 2. პატარა, გამხდარი და ცელქი ბავშვი: ეს პატარა, გაჩხინკული და ჭორფლიანი გოგო, მართლაც ბეკეკას ჰგავდა (ო. ჭილაძე).

ბელ-ი – დათვის ნაშიერი. 1. ბუთხუზა, ღონიერი და ლამაზი ბავშვი: დათვის ბელებივით ღონიერი ვაჟები ყირაზე გადადიოდნენ (ო. ჭილაძე). თამარს დათვის ბელივით ბუთხუზა და საყვარელი ბიჭი ჰყავს. 2. ბაჯბაჯა ბავშვი: ...უფროსი [ძმა] წელში გამართული, მსუბუქად დააბიჯებდა, პატარა კი დათვის ბელივით მიბაჯბაჯებდა ... (გ. გეგეშიძე).

ბელეშა – რქებდახრილი მსხვილფეხა საქონელი, ლაბა. უხეირო, უშნო, უსუფთაო ქალი: ერთი ბელეშა ვინმეა, მაგის გაკეთებულ საჭმელს ვერ მიეკარები.

ბერწი – უნაყოფო ფური. შვიდოსნობის უნარს მოკლებული ქალი: ცოლი ბერწი გამოადგა, შვილი არ ეყოლა.



ბელურა - პატარა ჩიტი. 1. ალერსიანი მიმართვა ბავშვისა და საყვარელი ქალისადმი: ჩემო ბელურა, დღეს ბევრი ითამაშე შე? 2. სიცივისაგან, შიშისა, ან დარღისაგან მობუზუნად ადამიანი: ყალთაბანდი იანვრის ბელურასავით მოიბუზა, მოიკუნტა, ისეთი საბრალო გახდა, რაღა დავმალო და, შემეცოდა (ჭ. ამირეჯიბი). ბავშვები სიცივისაგან ბელურებივით მოიბუზუნენ. რას მობუზუნლხარ ბელურასავით? ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება!

ბეხრეკი - ბებერი, გამხდარი და უღონო პირუტყვი. **ბეხერი, გამხდარი და დაუძლურებული ადამიანი:** მაგისი ბეხრეკი ქმარი დიდხანს ვერ გაატანს.

ბეჭემოთი - ზორბა ტანის სქელტყავიანი ძუძუმწოვარი ცხოველი. **ზორბა, მოუქნელი, ზანტი ადამიანი:** ზუსტად ამ წამს, ღმერთი, რჯული, გაოგნებული ზაზა მართლაც ძალიან ჰგავს სირბილით დაღლილ ბეჭემოტს (ზ. სამადაშვილი). სანამ ეგ ბეჭემოთი მაგ საქმეს გააკეთებს, დაღამდება კიდევაც. ბეჭემოთივით ზანტია. **ბეჭემოთის გამოსხდვა - უმეტყველო გამოსხდვა:** ბეჭემოთის გამოსხდვა აქვს, ვერ შეატყობ, ფიქრობს თუ არა.

ბეწვია - ბოლოქანქარას მსგავსი პატარა ჩიტი.

ბზიკი - იგივეა, რაც **კრაზანა**. 1. **შემაწუნებელი ადამიანი, ვისი თავიდან მოცილება ძნელია:** ბზიკივით შეგიჩნდება და მოსვენებას არ მოგცემს. 2. **ვისი ხმა და ლაპარაკიც მომაბეზრებელია:** ბზიკივით თავს დამბზუის, ყურები წაიღო ერთი და იმავეს ლაპარაკით.

ბზუის - ბზუილი გააქვს. 1. **ერთსა და იმავეს იმეორებს მობაბეზრებლად, ღიჭინებს:** დამანებე, ბიჭო, თავი, დილიდან ნუ დამბზუი თავს! 2. **გაუთავებლად ტირის:** სულ ტირის და ბზუის ეს უბედური.

ბზუილი - მწერის ფრთების ხმა. 1. **ერთისა და იმავეს მობაბეზრებლად გამეორება, ღიჭინი:** ამ ბავშვმა ბზუილით თავი მომაბეზრა, მეხვეწება, საბანაოდ გამიშვიო. 2. **ბავშვის ან ქალის გაუთავებელი ტირილი:** მთელი დღე ტირის, ყურები წაიღო ბზუილით.

ბზუკუნ-ი – ბზუილი. ერთ ხმაზე გაბმული მომაბზრებელი ტირილი: ბავშვმა ბზუკუნი მორთო და აღარ გაჩერდა.

ბზუკუნებს – ბზუის. მომაბზრებლად ერთ ხმაზე ტირის: რას ბზუკუნებ გაუთავებლად?

ბიჭაბატკან-ი – დოლის დაწყებამდე დაბადებული ბატკანი.

ბიჭოფოგია – მგალობელი ფრინველი, მოლალური, გულყვითელი.

ბობოლა – მსხვილი მატლი. 1. **გაველენიანი და გლეჯია მოხელე**: მეტსახელი დიდი მოხელისა აკაკის მოთხრობაში “ძველი ჩინოვნიკის აღსარება”. თუ წელან ჩემს უფროსთან ჭია ვიყავი, ახლა ხომ ამ ჩემ ხელქვეითთან ბობოლა ვარო (აკაკი). ერთიც ვნახოთ, რაღაც მოჰფიქრებია ჩვენ ბობოლა უფროსს და მოადგა ჩვენს სტოლს (აკაკი). ვინ არ იცნობდა თურმე [იაგორას] თბილისში, ვინ არ უტარებია თავისი ეტლით – თავადი, ბობოლა, მოხელე თუ დიდი ვაჭარი? (გ. ლეონიძე). 2. **შექლებული გლეხი, რომელსაც კომუნისტები “კულაკს” ეძახდნენ და ებრძოდნენ**: ძირს ბობოლა კულაკები! (კომუნისტური პრესა).

ბოთვერა – ბუნწულა, მსუქანი ძაღლი, ან ლეკვი. **ბუთხუზა, პუტკუნა, ღონიერი და საყვარელი ბავშვი (ბიჭი)**: მაგას ძალიან საყვარელი ბოთვერა ბიჭები ჰყავს.

ბოინ-ი – 1. ფრინველთა გუნდი. 2. ფრინველის ნებიერი ფრენა ჰაერში, ლივლივი.

ბოკვერ-ი – ღომისა და ვეფხვის ლეკვი. 1. **კუნთმაგარი და ღონიერი ბავშვი (ბიჭი)**: ჩემს ბოკვერსაც წამოვიყვან, ვნახოთ, ვინ აჯობებს ჭიდაობაში! 2. **ტანმკვრივი ბავშვი**: ციხის ეზოში ზრიალით გარბოდნენ ბოკვერებივით მკვრივი, ხელშუბშემართული პატარა ბიჭები და გოგოები (რ. ინანიშვილი).

ბოკენისკარტა – 1. ზოგადი სახელი ფრინველებისა, რომელთაც ბოკო, ე.ი. მომრგვალებული ნისკარტი აქვთ



(ბატი, იხვი). 2. წყლის ფრინველის ერთ-ერთი სახეობა.

ბოკოლა – მოკლე და მსხვილი რქების (ბოკოების) მქონე პირუტყვი.

ბოლო – კუდი (თევზისა, ფრინველისა).

ბოლობუკედა – დიდი მტაცებელი ფრინველი.

ბოლოკარკაზი – ტანმომცრო მტაცებელი ფრინველი.

ბოლოქანქარა // **ბოლოქანქალა** – პატარა ჩიტი, რომელიც ერთ ადგილას არ ჩერდება, დადის და ბოლოს აქნევს (აბზაკუნებს) ზევით-ქვევით, მაბზაკუნა, თოხიტარა.

1. უნაყოფოდ მისაქმე ადამიანი: ნამდვილი ბოლოქანქარაა, ვითომ რაღაცას აკეთებს, მაგრამ იმ საქმის შედეგი არ ჩანს. 2. არასერიოზული, მოუსვენარი და მოხეტიალე ადამიანი: მთელი დღე ბოლოქანქარასავით დახტის აქეთ-იქით. 3. თავისებურად მაგალი ადამიანი: ...ლიმილიანი შიშით მეჩურჩულებოდა ბებია, – ქალს უნდა უფროთხილდე, შვილო, ბოლოქანქალასავით მოსიარულე ქალს (რ. ინანიშვილი).

ბოლოშავი // **ბოლოშავა** – შაშვის მსგავსი ფრინველი.

ბოლოცეცხლა – პატარა მგალობელი ფრინველი, რომელსაც წითელი ბოლო აქვს.

ბოლოწითელი – პატარა წითელბოლოიანი ჩიტი.

ბოლოუქი – ცხოველთა ჯგუფი, გუნდი.

ბომბორა – გრძელბაღნიანი, ხშირბაღნიანი ძაღლი. ზოგბა ადამიანი: ქუჩაში ერთი ბომბორა კაცი მიდიოდა.

ბორა I – ფრთიანი მწერი, რომლის ჭუპრებიც პარაზიტობენ ცხენის, ხარ-ძროხისა და ცხვრის ორგანიზმში.

ბორა II – ძერის მსგავსი მტაცებელი ფრინველი. აგრესორი, მოძალადე ადამიანი, ვინც მსხვერპლს იოლად არ შეეშვება: ბორასავით მიტრიალა, მაგრამ თავისას მაინც ვერ მიაღწია.

ბორბალა – ობობა.



ბოსტანა – ბოსტნის მავნებელი მწერი, მახრა.

ბოტი – მამალი დაუკოდავი თხა, ფარის წინამძღოლი და ღონიერი და ამპარტავანი კაცი: ბოტივით თავაწეული დიდის.

ბოდვერა – ჯოგის დიდი ძაღლი. კუნთმაგარი, ღონიერი, ძლიერი ბიჭი: საჭიდაოდ ბოდვერა ბიჭები გამოვიდნენ.

ბოდრია – ღონიერი და ღრენია ძაღლი. მძლე და ბრგე ვაჟკაცი, ვინც მტრის ჯაფრს არ შეჭამს: აი, ბიჭებო, წინანდელი ფშავლები როგორი ბოდრეები ყოფილან (ვაჟა).

ბოჩოლა – ხბო. 1. დედას ბიჭი, ქალაჩუნა: შენი ბიჭი ბოჩოლაა, ყველაფრის ეშინია. 2. აღერსიანი მიმართვა ბიჭისადმი: მოდი ჩემთან, ბოჩოლა, რაღაცა უნდა მოგცე! 3. თავქარიანი, არასერიოზული ადამიანი: საზღვარს რომ გასცდნენ, ბოჩოლებივით ახტუნავენ და კვიციბივით აჭიხვინდნენ (მ. ჯავახიშვილი).

ბოცვერი – 1. შინაური კურდღელი. 2. ბაჭია. 1. კბილებგადმოყრილი ადამიანი: ბოცვერივით გადმოყრილი კბილები აქვს. 2. მოკლე, ზღარბა თმის მქონე ადამიანი: ბოცვერივით თმები აქვს. 3. აღერსიანი მიმართვა ბავშვისადმი: ხომ არ დაიღალე, ჩემო კურდღლის ბოცვერო? (გ. წერეთელი).

ბოცომკაღი – დიდი კალია.

ბოხმეჭა – უფეხო ხვლიკი, მყვრელი.

ბჟიტი – ბატის ჭუჭყული. ყვითელთმიანი ადამიანი: ბჟიტივით ყვითელი თმები აქვს.

ბრდღვინავს – ღრიალებს და ტოტებით მიწას თხრის (ლომი, ვეფხვი, დათვი). მრისხანებს და ბოხი ხმით ყვირის: სიწყნარე მხოლოდ იაღბუზზეა! მერე, განა შენ არა ბრდღვინავდი წინათ, ფაფარაყრილი? (გ. ლეონიძე). უფროსი ისეთი გაცეცხლებული იყო, სულ ბრდღვინავდა.

ბრდღვინვა - მხეცის ღრიალი და მიწის ტოტებით თხრობა. მრისხანება და ბოხი ხმით ყვირილი: წამოიძახა იმან ისეთი ბოხი ხმით, რომ სწორეთ ლომის ბრდღვინვა გონდებოდა (გ. წერეთელი). სიტყვა ჯერ არ დამესრულებინა, რომ იმან ბრდღვინვა დაიწყო.

ბრჭყალ-ი - ფრინველის, ან ზოგი ცხოველის ბასრი და კაუჭა ფრჩხილი. 1. ადამიანის ბასრი და კაუჭა წამოზრდილი ფრჩხილი: ეგ ბრჭყალები როდის უნდა დაიქნა? 2. ხელი: მაგის ბრჭყალებში მტერი ჩაყარდა! ბრჭყალებს აჩენს - აჩვენებს, რომ ანგარიშგასაწვეი ძალა აქვს, რომ შეუძლია პრობლემის შექმნა: აქამდე მიყუჩებული იყო, მაგრამ ახლა ბრჭყალებიც გამოაჩინა.

ბუ - დამის მტაცებელი ფრინველი, აქვს მსხვილი თავი. 1. ადამიანი, ვინც ღამით უფრო აქტიურია, ან გვიანამდე არ იძინებს: ...ამბობდა მწუხარედ თავის გუნებაში ჩვენი მგზავრი, რომელიც ბუსავით ღამე გამოცოცხლდა და მის გულს კაეშანი აეხადა (ს. მგალობლიშვილი). მე ბუ ვარ - გვიანამდე არ ვიძინებ, ეგ ტოროლაა - უთენია დგება. 2. განმარტებული და ჩუმად მყოფი, განაბული ადამიანი: როცა არც კაბების გაგეგება რამე და არც კომპლიმენტების, ჩაიგდე ენა და იჯექი ჩუმად, ბუსავით, გაიგე? (ზ. სამადაშვილი). ათას ცხრაას ოთხი წლის ადრე გაზაფხულზე მინისტრს გადადგომის პატაკი მივართვი და პასუხის მოლოდინში ბუსავით გავინაბე (ჭ. ამირეჯიბი). 3. ათვალწუნებული, აბუნად აგდებული: განათლებული ადამიანი ყოველთვის სასიამოვნოა სოფელში და ეს ჩვენი ბატონი მასწავლებლები კი ბუსავით გვიყურებენ თავადიშვილებს (ეკ. გაბაშვილი). [სტუმრები] ისე მეხვეოდნენ თავს, როგორც ჩხიკვი ბუს (აკაკი). - ...აღქალას, ოქროქალას, თვალუუუნას მეძახდნენ. / - ახლა კი ბუს გეძახიან! - წამოიძახა კიტრიპარია ბიჭმა... (გ. ლეონიძე).

ბუდე - ცხოველის ბინა. ადამიანის სადგომი, ბინა: ს...ს ქალი, როგორც ახალი ინსტიტუტ-დამთავრებული, თუ მხიარული იყო, სულ იცინოდა და თუ რამე შეაკრთობ-

და, მაშინ ჩიტვით თავის ბუდეში იმალებოდა (გ. წერეთელი). დაღონებული სტუმრები მალე წავიდნენ თავის სოფელში მიქარებოდათ. ომი იწყებოდა, ვეველა თავის ბუდეს ეშურებოდა (გ. ლეონიძე).

ბუდობს – ბუდე აქვს. **ბინადრობს, ცხოვრობს, სახლობს, თავს აფარებს:** ამ ტყეში წინათ ყაჩაღები ბუდობდნენ.

ბუზი – ფრთოსანი მწერი. 1. **ბრბო, მრავალი ადამიანი:** აღბად კაი კაცებსაც თაფლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით ზედ ეხევეა!... (ილია). ის მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირევოდა იმის გარშემო (ილია). “გავაიაფეთ, აქეთ, აქეთ!” – იწვევდნენ მოვაჭრეთ, რომელნიც ბუზებივით ირეოდნენ ამ ვიწრო და ტალახიან ქუჩაზე (ეკ. გაბაშვილი). ნაცნობები და ახალი მეგობრები თაფლიან კვაჭს ბუზებივით მიეხევივნენ (მ. ჯავახიშვილი). 2. **სუფრის მუსუსი, მუქთი ლუკმის მაძიებელი ადამიანი:** კვაჭი ივან ივანიჩს ისე მიეკრო, როგორც ბუზი თაფლს (მ. ჯავახიშვილი). როგორც ბუზი ჯიგარს, ისე გაჰყვებოდა სუფრას ვისიც და სადაც გინდ ყოფილიყო (გ. ლეონიძე). 3. **არარაობა, აბუზი ადამიანი:** ბუზადაც აღარ ჩაგვაგდეს, ხალხის თვალში დედამიწასთან გაგვასწორეს (აკაკი). ქალი, რომელმაც წუღან ლამის დააჩოქა, ლამის კაბა და ქოშები გამოსტყუა, მისთვის ახლა იგივე იყო, რაც გამაძლარი ობობასათვის მკვდარი ბუზი (ო. ჭილაძე). 4. **შემოდგომის ბუზი** – უძალე, უძლური, მაგრამ აბეზარი ადამიანი: შემოდგომის ბუზივით გადაგეკიდება და მოსვენებას არ მოგცემს. **შემოდგომის ბუზივით იკბინება** – აბეზარია, მოსვენებას არ მოგცემს. **ნოემბრის ბუზივით ბუზილი** – უაზროდ, უმიზნოდ, უსაქმოდ ხეტიალი, ბოღიალი: რას დაბუზილობ ნოემბრის ბუზივით?

ბუზანკალი – საქონლის მკბენარი ფრთოსანი მწერი. **აბეზარი, შემადღონებელი ადამიანი:** ბუზანკალივით შეგიჩნდება და არ მოგასვენებს, სანამ თავისას არ გაიტანს.

ბუის (ეტიმოლოგიურად: **ბუსავითაა, ბუობს**) – იბუტება, იბღვირება.: პატარძალი ბუის.

ბუკიოტ-ი - პატარა ბუ. **ბუკიოტივით გაჰკივის** - ყურისწამდე-
ბად ყვირის, გაჰკივის: ყურები ნუ გამიხვრიტე, ნუ გაჰკი-
ვი ბუკიოტივით!

ბუკნაჭო // ბუკნაჭოტ-ი - ბუკიოტზე პატარა ბუ.

ბულბულ-ი - მგალობელი ფრინველი. 1. **კარგი მომღერალი, ტკილხმოვანი მომღერალი**: ეგ ბიჭი ნამდვილი ბულბულ-
ლია, შესანიშნავად მღერის! 2. **დიდოსტატი პოეტი**: აკაკი
წერეთელი საქართველოს ბულბული იყო. 3. **ბულბულის ხმა** - მომჯადოებელი სასიმღერო ხმა: ამ ბავშვს ბულბუ-
ლის ხმა აქვს.

ბულბულა - ბელურასოდენა გარეული ფრინველი.

ბულდოგი-ი - ძაღლის ჯიში, ღონიერი და უშნო. **უშნო, და-
მაფრთხობელი გარეგნობის მქონე ავი აღამიანი**: იმ გოგოს
ბულდოგი მამა ჰყავს, თუ გაგიგო, რომ მისი შვილი
გიყვარს, მტერს!

ბუმბულ-ი - ფრინველის სხეულის საფარველი.

ბუნაგი-ი - ნადირის ბინა. 1. **უბადრუკი საცხოვრებელი**: ცო-
ცხალი თუ წამიხვედი, როგორ ფერდებს შეიტან უკან
მაგ შენს ბუნაგში, იმასაც ვნახავ! (ჭ. ამირეჯიბი). 2.
დამნაშავეთა თავშესაფარი, ან თავშესაყარი ბინა: პოლიცი-
ამ ნარკომანების ბუნაგი ვერ მოშალა.

ბუნაგობს - ბუნაგი აქვს სადმე. **ცხოვრობს, თავს აფარებს**:
ქურდები და ნაძირალები აქ ბუნაგობენ.

ბუქედენდ-ი - მწერი, რომლისგანაც ამავე სახელწოდების
წითელ საღებავს ამზადებდნენ.

ბურგაკი-ი - დიდი გოჭი. **ღონიერი ბიჭი**: ბურგაკივით ბიჭია.

ბურნა // ბურნაკი-ი - წვრილი მწერი, ეხვევა ღვინოსა და
ძმარს. **ღოთი**: ეგ ბურნა ღვინოს ვერ გადაეჩვია, სა-
სმელში იხრჩობს თავს.

ბურღლა // ბუნღლა - ბუმბული. ა. **ბურღლას გააცლის** -
შავ დღეს დააყრის: მტერს, იმას რომ რომ დღე დაადგა,

სულ ბურღლა გააცალეს! ბ. შენი ბურღლა არ იყოს // არ
ენახო აქ! — აქ არ დაგინახო! დაიკარგე აქედან! მთ. შორდი
აქურობას! გ. ჩემს ბურღლას ვერ ნახავ აქ — ზაღაფიკარგუ-
ბი, უკვალოდ გავექრები: რო ვიბრუნებ პირს, ნაცარქექია
ჩემ ბუნდლასაც ვერ ნახავს (პ. კაკაბაძე).

ბურტყელ-ი — მსხვილი ბუმბული, ან ბალანი. **ბურტყელს** გა-
აცლის — შავ დღეს დააყრის: საცოდავს შვილებმა ყველა-
ფერი წაართვეს, სულ ბურტყელი გააცალეს.

ბურჩნა — ხბოს, გოჭის, თიკნის მიერ წოვის დროს დედის
ძუძუებისთვის დრუნჩის კერა.

ბურჩნის — წოვის დროს ძუძუს დრუნჩს ჰკრავს.

ბურძე-ი — მსხვილი, ჯაგარივით ბალანი.

ბუსკნაობა — ცხოველების მიერ ერთმანეთზე შუბლით
დატაკება. **ბავშვების ჭიდილი:** ბავშვები მთელი დღე ბუს-
კნაობენ.

ბუტბუტა — მჭირდავას მსგავსი პატარა გარეული ფრინვე-
ლი.

ბულა — დაუკოდავი, სანაშენე ხარი. 1. ძალზე დონიერი, უძ-
ლეველი კაცი: მტერს დაეტაკა მაგისი ბულა ძმა! ბულა-
სავით დონიერია. 2. ძალიან ჯანმრთელი კაცი: ბულასა-
ვით ჯანსაღია. 3. მექალთანე კაცი: სულ ქალებში დაეთ-
რევა ბულასავით. 4. ქალის საყვარელი მამაკაცი, სექსუა-
ლური პარტნიორი: აგერ მოდის შენი მეზობლის ბულა.

ბულრაობს — ხარი რქებითა და ჩლიქებით მიწას თხრის
და ბუბუნებს (ორთაბრძოლის წინ). **კაცები თავგანწირ-
ვით ჭიდაობენ და ბულს აყენებენ:** ზურნის ხმაზე კაცები
ბულრაობდნენ.

ბულრაობა — ორთაბრძოლის წინ ხარის მიერ რქებითა და
ჩლიქებით მიწის თხრა და ბუბუნი. **ჭიდაობა, ბლლარძუნი:**
ბიჭები ნახერხში ბულრაობენ.

ბუნაობა — ხბორების, თიკნების, კრავების მიერ ერთმანე-
თის რქენა. **ერთმანეთთან ბლლარძუნი:** ბავშვებმა ბუნაობა
დაიწყეს.

- ბუნაობს** – ირქინება (ხბო, თიკანი, კრავი). **ბავშვები**
ბლარძუნობენ: ბავშვები ნახერხში ბუნაობენ.
- ბუბი** – 1. წაბლის ეკლიანი საფარი. 2. ზღარბის გარეთა საფარი. 3. ზღარბი. **ანეზილი (თმა)**: სარკეში მაინც ჩაიხედე, რას გიგავს ეგ შენი ბუბი თმები!
- ბუწი** – თოხლი, ექვსი თვიდან ერთ წლამდე ასაკის ბატკანი.
- ბუჭყა** – 1. მაგარმხრიანი მწერების საერთო სახელწოდება. 2. იგივეა, რაც **ხოჭო**. **ნამცეცა**, **არარაობა (ადამ)**: მავ ბუჭყა ერთ ლუკმად არ მეყოფა, შუაზე გაგვლეჯ!
- ბუხუნ-ი** – ღომის, ღორის ხმიანობა. **ბოხი**, **ვაჟკაციური**, **შიშის მომგვრელი ხმა**: ბიძაშენის ბუხუნს ათას ხმაში გამოვარჩევ.
- ბუხუნებს** – ბუხუნს გამოსცემს (**ღომი**, **ღორი**, **ვაჟკაცი**).
- ბუხუნძელა** – ერთგვარი მატლი. **არარაობა**, **უვარგისი ადამიანი**: “ლექსი მოლექსემ უნდა თქვას, ვაჟმა, ვინც იზამს სახელსაო!” – და არა შენსავით ჩანჩურამ, ჭიასავით რომ დასცოცავ! ვის რად უნდა შენი ლექსი, შე ბუხუნძელა! (გ. ლეონიძე).
- ბღაგილი-ი** – 1. ცხოველის, ადამიანის გაბმული ხმამაღალი ხმიანობა. 2. ხმამაღალი ტირილი.
- ბღაგის** – 1. გაბმულად ხმამაღლა ხმიანობს (ცხოველი, ადამიანი). 2. ხმამაღლა ტირის.
- ბღუილი-ი** – ცხოველის, ან ადამიანის (კაცის) გაბმული ხმიანობა.
- ბღუის** – გაბმით ხმიანობს: ბიჭო, რას ბღუი?
- ბღუნძელა** – ერთგვარი მატლი.
- ბწკალი-ი** – ბრჭყალი, კლანჭი. **ფრჩხილი**.
- ბჯღალი-ი** – იგივეა, რაც **ბრჭყალი**. **ფრჩხილი**: გამისომდა ბჯღალს ქორხზე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა ბჯღალიო (ვაჟა).

გაასპიტებული-ი - გააგებული, გაცხარებული, გაშმაგებული, გაბორტებული: ის იღგა გაასპიტებული, გააფთრებული და ისე მიყურებდა, თითქოს თვალებით ჩაყლაპვას მიპირებდა (აღ. ყაზბეგი).

გააფთრება - გააგება, გაცხარება, გაშმაგება: მაგისი გააფთრება მაშინ ნახეთ, ყველაფერს რომ გაიგებს!

გააფთრდება - გააგდება, გაცხარდება, გაშმაგდება: აბა, შენც მოგიკლას ვინმემ შეილი, ან ცოლი, ან ძმა, როგორც უწინ უხოცდნენ, ისე გააფთრდება, როგორც ძულომი (ს. მგალობლიშვილი).

გააფთრებული-ი - გააგებული, გაცხარებული, გაშმაგებული: ის იღგა გაასპიტებული, გააფთრებული და ისე მიყურებდა, თითქოს თვალებით ჩაყლაპვას მიპირებდა (აღ. ყაზბეგი). ქვრივი ისეთი გააფთრებული შეიქნა ნათელაზე, როგორც ძულომი თავის ლეკვებზე (გ. წერეთელი). არზაყანის მოზვერს ქვიშორას გააფთრებული დასდევდნენ მამა და ორივე შეილი (კ. გამსახურდია).

გააძაღლებს - ძაღლად აქცევს. 1. გაააგებს, გააბორტებს: ამ გაჭირვებამ გამააგა და გამაძაღლა. 2. გააწამებს, გააწვალებს: ამ დანამ გამაძაღლა, სრულებით არ ჭრის ოხერი.

გააჭენებს - ჭენებით წაიყვანს (ცხენს). გაუტევს, ცუდად, უაზროდ ლაპარაკს განაგრძობს, თავისას არ მოიშლის: ჯერ ერთი სისულელე თქვა, მერე კი გააჭენა და სისულელეების კორიანტელი დააყენა.

გაბობოლავებული-ი - ბობოლად ქცეული: ამგვარად გაწვრთნილმა წამოვიწყე ხელი, შევიძინე მამულები, ავაშენე სახლი, გავასესხე ფულები და ხალხის თვალში გაბობოლავებულს ცამდის ამელო თავი (აკაკი).



გაგარეულობა - შინაური გარეული გახდება: ეს ბავშვი მთლად გაგარეულდა, სახლში გული არ უჩერდება.

გაგარეულება - შინაურის გარეულად გახდომა: არ მომწონს მაგ ბიჭის გაგარეულება.

გაგარეულებული - ფინტ, რაც გარეული გახდა: მაგისი ქმარი ისეა გაგარეულებული, რომ ალბათ სულაც წავა სახლიდან.

გადააბულბულებინებს - ზერელედ გადააკითხებს: ახლა გაზეთი რომ მოვა ხოლმე, უწინ სალომეს უნდა გადააბულბულებიონ (ს. მგალობლიშვილი).

გადააბულბულებს - 1. სხაპასხუპით წაიკითხავს, ან იტყვის: ლექსი ზეპირად ვიცოდი და უცებ გადავაბულბულე. 2. ზერელედ გადააკითხავს: ვითომ ისწავლა გაკვეთილი, უცებ გადააბულბულა და სათამაშოდ გაიქცა.


გადაბულბულება - 1. სხაპასხუპით წაკითხვა, ან წარმოთქმა. 2. ზერელედ გადაკითხვა.

გადაბულბულებული - ზერელედ, ან რამდენიმეჯერ გადაკითხული: ჰო, აი თუ ერთს არ წაუკითხავს სტენდალი, მეორეს კი გადაბულბულებული აქვს, განა შეიძლება, ამ ორ კაცს ერთი და იგივე სიტყვებით მიმართო? (გ. დოჩანაშვილი).

გადაკრუხდება - კრუხობის დრო გადაუვლის (ქათამს, ფრინველს). საქორწინო ასაკი გადაუვლის, დაბერდება: ეპი, მერცხლის თვალებავ, ისევე ცალადი ხარ? რატომ არა თხოვდები, ხომ არ გადაკრუხებულხარ?... (გ. ლეონიძე). ეგ თუ მალე არ გათხოვდა, გადაკრუხდება და ზედაც აღარავინ შეხედავს.

გადაკრუხებული - ქათამი, ფრინველი, რომელსაც კრუხობამ გაუარა. საქორწინო ასაკს გადაცილებული ადამიანი (უპიკატესად ქალი): რაღა დროს მაგისი გათხოვებაა, უკვე კაი ხნის გადაკრუხებულია.

გადამფრენი - გადამფრენი ფრინველი - ფრინველი, რო-



მელიც სხვა ქვეყანაში ბინადრობს და გაზაფხულსა და შემოდგომაზე გადაიფრენს საქართველოს ტერიტორიაზე. ვისაც საკუთარ სახლში გული არ უდგება, მოხეტიალე: გადამფრენი ფრინველივით თუ შეივლის სახლში, თორემ სულ გარე-გარე დაწანწალებს.

გადასაფრენი – რაც უნდა გადაფრინდეს, რაც უნდა გადააფრინონ. **გადასაფრენი ბარტყი** – გასათხოვარი ქალი: ეგ გოგო გადასაფრენი ბარტყია, მალე გათხოვდება.

გადენის – გარეკავს (პირუტყვს, ფრინველს). იძულებით გაუშვებს (ადამიანებს): ეს ბავშვები დღეს სკოლაში ვერ გავდენე.

გადმოკატუნება (ეტიმოლოგიურად: კატასავით აქეთ გადმოსვლა) – მოჩვენებით აქეთკენ, ვისიმე მხარეს დადგომა: გაილაშქრა, მაგრამ... მალე კი გაიგო თავისი შეცდომა და მონიდომა ახალთაობისაკენ გადმოკატუნება (აკაკი).

გავა – ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი კუდამდე. ადამიანის უკანალი.

გავაზი – ერთგვარი მტაცებელი ფრინველი. **სხარტი**, მოქნილი და კოხტა ვაჟაკი, ან ქალიშვილი: სოფელში გავაზივით კოხტა გოგო-ბიჭები გვყავს.

გაველურდება – შინაური გარეული, ველური გახდება (ცხოველი). **გამხეცდება**, **ადამიანურ სახეს დაკარგავს**: ეს ბიჭი მთლად გაველურდა, არავისი ესმის.

გაველურება – ველურად ქცევა. **გამხეცება**, **ადამიანური სახის დაკარგვა**.

გაველურებული – ველურად ქცეული ცხოველი. **გამხეცებული ადამიანი**: ეგ ისეა გაველურებული, რომ აღარაფერი ეშველება.

გაიტრუნება – სუნთქვას შეიკრავს და დაიმალება (ნადირ-ფრინველი). **სუნთქვას შეიკრავს და გაჩუმდება**, **გატვრინდება**: შიშისაგან გული გამისკდა და ბუჩქებში გავიტრუნე.



გაიფაფრება - ბუმბულს აიშლის (ფრინველი). **გაცხარდება**, **საჩხუბრად აიმჩივება**: სიძეს ვერ იტანს და მის დასახეზე გაიფაფრება ხოლმე.

გაიფხორება - ბუმბულს აიშლის (ფრინველი). 1. **საჩხუბრად მომზადებული აიმჩივება**: ჩემი სიდედრი გაიფხორა და საჩხუბრად მოემზადა, მაგრამ ვერ ამიყოლია. 2. **გაიბერება**, **გაიბლინძება**, **ამპარტაგნულ იერს მიიღებს**: არიქა, ჩემმა ქმარმა კაი სამსახური იშოვნაო და გაიფხორა.

გაიქუცება - ბეწვი გასცვივა (ცხოველს). **ფული შემოეღევა**, **გაღარბდება**: ერთ დროს კარგ ფულს შოულობდა, ახლა კი მთლად გაიქუცა, პურის ფულიც არა აქვს.

გალაღაფს - გადენის, გარეკავს (საქონელს). **აღამიანებს იძულებით წაიყვანს**: ბავშვები ძლივს გავგლაღე სკოლაში.

გალაღვა - გადენა, გარეკვა (საქონლისა). **აღამიანთა იძულებით წაყვანა**: მაგათ სკოლაში გალაღვას დიდხანს მოეუნდი.

გალია - ბადით შემოზღუდული სადგომი საქონლისა და ფრინველისათვის. **ციხის საკანი**: პოლიციამ სტაცა ხელი და გალიაში გამოამწყვდია.

გალობა - ფრინველის სასიამოვნო ხმიანობა. 1. **საეკლეზიო სიმღერა**. 2. **ტკბილად მღერა**.

გალობს - ფრინველი სასიამოვნოდ ხმიანობს. 1. **საეკლეზიო საგალობელს მღერის**: საკვირველია, რომ [რუსები და ქართველები] სხვადასხვა ენაზე გალობდნენ, სხვადასხვა კილოთი და ჰარმონია კი ერთია (აკაკი). მაგისი ვაჟი ეკლესიის გუნდში გალობს. 2. **ტკბილად მღერის**: ასმათი გალობდა, მისი თვალები ბუდიდგან ამოვარდნას აპირებდნენ (გ. წერეთელი). ქალი თუ არ ჭიკჭიკებს და გალობს, ისე რა ქალია (რ. ინანიშვილი).

გალომდება - ღომად გადაიქცევა (ღომის ბოკვერი). 1. **მამაცი, შეუპოვარი გახდება**: ჩვენი ვაჟკაცები მართლაც რომ გალომდნენ და ერთად შეუტიეს გადამთიელებს.



- 2. გაშმაგდება, გაცხარდება: ბიჭი გაცხარდა, გააღლომდა.
- 3. ძალას მოიცემს, ძალიან მომძლავრდება: ძალა მოიკრებო, გააღლომდა.

გაღლომებულ-ი – ლომად ქცეული (ბოკვერი). 1. გამამაცებუ-
ლი, შეუპოვრად ქცეული: გაღლომებულ ქართველებს მტე-
რი უფრთხოდა. 2. გაშმაგებული, გაცხარებული: გაშმაგე-
ბული, გაღლომებული კაცი ვერაფერს დაძლია. 3. ძალამო-
ცემული, ძალიან მომძლავრებული: ექვსმა კაცმა ძლივს
დაამაგრა გაღლომებული სალომე (გ. წერეთელი).

გამაიმუნება – 1. სასაცილოდ ქცევა. 2. ვისიმე გამასხრება,
ვინმეს დაცინვა.

გამგელებული-ი – 1. გაშმაგებული, გააფთრებული: ორი მტე-
რი, ორი გამგელებული, ორივე ადგზნებულის წადილით
გულში, იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და ერთმანეთს
ადგზნებულის თვალებით ზომავდნენ (აღ. ყაზბეგი).
გუშინ კი გამგელებული მიაქროლებდა ცხენს დაბისა-
კენ (კ. გამსახურდია). 2. ძალიან მოშიებული, დამშეული,
საჭმელს დახარბებული: მთელი დღის უჭმელი პურს გამ-
გელებული ეცა. 3. მონღოებული: – წაგებული ვარ! –
გამგელებული მუშაობდა ყარამანა (რ. ინანიშვილი).

გამოაჭენებს – ჭენებით გამოიყვანს (ცხენს). 1. ვისიმე სა-
სირცხო ამბავს გააფრცვლებს: აბა, მიყურე, თუ შენი უნა-
მუსობა საქვეყნოდ არ გამოვაჭენო და ყველას არ გავა-
გებინო! 2. საქვეყნოდ შეარცხვენს, სახელს გაუტეხს, თავზე
ლაფს დაასხამს, გააბიაბრუებს: ამას გეხვეწებით და გე-
მუდარებით, ქვეყანაში ნუ გამომაჭენებთ, ნუ შემარ-
ცხვენთ... ქალს ნუ მიმიტოვებთ... (დ. კლდიაშვილი). იმ
უსინდისომ ჭორი მომიგონა და საქვეყნოდ გამომაჭენა.

გამოიჯაგება – ბევრი შრომით გაიხედნება (ხარი, კამეჩი).
ბევრი ჯაფით, ან გაჭირვებასთან ბრძოლით დაოსტატდება,
გამოიწვრთნება: ამდენმა ჯაფამ გამოიჯაგა და დააოსტატა.

გამოქათამებულ-ი – გამოშტერებული, შტერი, ჩერჩეტი, ლენ-
ჩი, უტვინო.

გამორჩევილები - პატივსაცემი გამხდარი, მგალობელი: ბავშვი კი არა, მოდი, წიპრუა გავიყვანოთ მთვარეუო, იქნება მთვარემ გაავსოსო, თორემ სანამდის უნდა იაროს, დაღუეულმა და გამორჩევილებო!... (გ. ლეონიძე).

გამოტყენება - ცხენის აქეთ წამოყვანა ტყენებით. 1. ვისიმე სასირცხო ამბის გაგრცელება. 2. ვისიმე საქვეყნოდ შერცხენა, სახელის გატყენა, თავზე ლაფის დასხმა, გაბიაბრუება: - რას ვიზამ? რას ვიზამ და მოგიტაცებ - ამას ვიზამ [- თქვა არისტომ]. / - უიმე... უიმე!.. - და პირზე ხელი მიიფარა ელენემ. - უიმე!... ჩემი გამოტყენება გინდა ამ მოხუცებულობის ხანს?... (დ. კლდიაშვილი).

გამოტყუებულ-ი - 1. გაშტერებული, გამორჩევილებული, გამოშტერებული: გამოტყუებულ ბაბუაშენს ხომ მაინც ვჯობივარ?! 2. გამომთვრალი, გამტყუვრალი, სიმთვრალისაგან გამოთაყვანებული: მობრძანდა წუხელ გამოტყუებული და რას ბოდავდა, ვერ გაუგებდი.

გამოჯაგულ-ი - კარგად გახედნილი (ხარი, კამენი). გამოცდილი, დაოსტატებული, ჯაფაგამოყლილი: პატარაობიდან ჯაფაში ვარ გამოჯაგული.

გამუტრუკება - ბიჭის უზრდელად, ტუტუცად, თავხედად ქცევა: ამ ბიჭის გამუტრუკება მისი მშობლების ბრალია.


გამუტრუკდება - გაუზრდელდება, გატუტუცდება, გათავხედდება (ბიჭი): ეს ბიჭი მთლად გამუტრუკდა და გათავხედდა.

გამუტრუკებულ-ი - უზრდელად ქცეული, გატუტუცებული, გათავხედებული: ეგ უკვე ისეა გამუტრუკებული, რომ არაფერი ეშველება.

გამხეცდება - გამმეფინვარდება, დაუნდობელი გახდება: რას გამხეცდი, რას დაერიე ამ საწყალ ბავშვებს?!

გამხეცება - გამმეფინვარება, დაუნდობლად გახდომა.

გამხეცებულ-ი - გამმეფინვარებული, დაუნდობელი: ... ჩამოცვივდა მთელი სოფელი, რომელმაც ცოცხალმკვდარი ციცკა ხელიდან გააგდებინა გამხეცებულს სალდა-



თებს... (ალ. ყაზბეგი). გაჩუმებული თუ გულწასული ეგ-
დო ქუჩე მიწაზედ და უსიტყვოდ იტანდა გამხეცებული
ღვიძლი მშობლებისაგან ტანჯვას (ეკ. გაბაშვილი). კვა-
ჭი გამხეცებულ გრიშკას ამშვიდებდა (მ. ჯავახიშვი-
ლი). ბალტიის მხრიდან გამოსულ გერმანულ ბარონებს
მოგვიჩენდნენ, გამხეცებული ვახმისტრები და კორნეტე-
ბი გეროზგაოდნენ, გვაწამებდნენ, დედას გვაგინებდნენ
(კ. გამსახურდია).

განაბულ-ი - შემდგარი და მსხვერპლზე თავდასასხმე-
ლად მომზადებული (მონადირე ძაღლი). 1. **სუნთქვაშეკ-
რული და გაყურებული, გატვრენილი** (ცხოველი, ადამიანი):
ეგ ისეა განაბული, ეტყობა, მამამისის მოსვლის ეშინია.
2. **ჩასაფრებული, მსხვერპლის მომლოდინე ადამიანი**: ბიჭები
ბუჩქებში ვისხედით განაბული, გოგოების შეშინება
გვინდოდა.

განადირდება - გაველურდება, გაგარეულდება (ცხოვე-
ლი). უხეში, უზრდელი, თავხედი გახდება: მაგისი ბიჭები
მთლად განადირდნენ.

განადირება - გაველურება, გაგარეულება (ცხოველისა).
გაუხეშება, გაუზრდელება, გათავხედება.

განადირებულ-ი - გაველურებული, გაგარეულებული
(ცხოველი). გაუხეშებული, გაუზრდელებული, გათავხედე-
ბული: ისეა განადირებული, არავისი სჯერა.

განაყოფიერდება - ნაყოფი ჩაესახება (ცხოველს, მცენარეს,
ადამიანს).

განაყოფიერება - ნაყოფის ჩასახვა (ცხოველისა, მცენარისა,
ადამიანისა).

განაყოფიერებულ-ი - ნაყოფჩასახული კვერცხუჯრედი, ან
ბუტკო.

განგურ-ი - 1. პირუტყვის განაცვივნი ბეწვი. 2. ცხოველის,
ფრინველის მიერ ბეწვის სეზონურად ცვლა.

გარეულ-ი - ველური (ცხოველი, ფრინველი).



გაჩიელ-ი - ბატისებრი გარეული ფრინველი.

გასახედნი-ი - რაც უნდა გახედნონ (ცხენი, ხარი). მოსაყვანი, მოსარჯულბელი: ეს ბიჭი დროზეა გასახედნი, თორემ მერე გვიან იქნება.

გატყრენილ-ი - ვინც, რაც გატყრინდა, გაიტრუნა.

გატყრინდება - სუნთქვას შეიკრავს და გაყურდება (ნადირ-ფრინველი). **სუნთქვას შეიკრავს და გაჩუმდება, გაიტრუნება:** შიშისაგან გული გამისკდა და ბუნჩებში გატყვრინდი.

გაუმუტრუკდება - გაუზურდელდება, გაუზრტუცდება, გაუთაფხედდება: შენი ჭირიმე, ეგებ მიშველო რამე, შვილი გამიმუტრუკდა, ნაქართლი გახლავსო (აკაკი).

გაუფრინდება - მისგან ფრენით წავა (ფრინველი). **წაუვა:** ქალიშვილი გაუფრინდა, გათხოვდა.

გაუხედნაფ-ი - რაც არ გახედნილა (კვიცი, მოზვერი).

1. გაუწვრთნელი, ქცევის ნორმების უცოდინარი ადამიანი: რასა სტოკავ გაუხედნაფი კვიცივით! (მ. ჯავახიშვილი).
2. ვინც ძნელი დასამორჩილებელია, დაუოკებელი, თავისუფალი, ლადი: სანამ ჯალილა აცმევდა, კვაჭი გაუხედნაფი კვიცივით სტოკავდა (მ. ჯავახიშვილი).

გაუხედნელ-ი - რაც არ გახედნილა (კვიცი, მოზვერი).

1. გაუწვრთნელი, ქცევის ნორმების უცოდინარი ადამიანი.
2. ვინც ძნელი დასამორჩილებელია, დაუოკებელია, თავისუფალი, ლადი.

გაფრენა - ფრენით წასვლა (ფრინველისა). 1. სწრაფად წასვლა. 2. რაიმე დადებითი თვისება: პურადი კაცი გულად-ზე ერთი გაფრენით მეტია (ანდაზა).

გაფრინდება - ფრენით წავა (ფრინველი). **სწრაფად წავა:** არიქა, დედა-შვილობას, ახლავე გაფრინდი, ჩემი ოთარი მომგვარე! (გ. წერეთელი).

გაფხორცა - ბუმბულის აშლა (ფრინველის მიერ). 1. სა-

ჩხუბრად მომზადება: აჰა, დაიწყო გაფხორვა, ეტყობა, ჩხუბს აპირებს. 2. გაბერვა, გაბღენმა, ამპარტავენტილი... რის მიღება: რაც მინისტრად დანიშნეს, მას წყო გაფხორვა.

გაფხორილ-ი - ბუმბულაშლილი (ფრინველი). 1. საჩხუბრად მომზადებული: მაგ საცოდავს შავი დღე დაადგება, მისი ცოლი ევერ დგას გაფხორილი. 2. გაბერილი, გაბღენპილი: იმას ვამბობდი, - სამი ახვარი შემოვიდა-მეთქი. დგანან გაფხორილები, ადგილს ეძებენ და ადგილი კი არ არის (ჭ. ამირეჯიბი).

გაქირ-ი - ჯიუტი (სახეღარი, ჯორი, ადამიანი): ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე თუნდა შეინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევიწნებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს (ილია).

გაქსუებულ-ი - გაგარეულებული, უკარება (ცხოველი, ფრინველი, ადამიანი): ეს ბავშვი გაქსუებულია, არავის ეკარება.

გასჩხავის - ჩხავილით იძახის (ყვავი, ყორანი...). უსიამოვნო იძახის, ჩხუბობს: მთელი დღე მაგის ენა არ ჩერდება, სულ გასჩხავის.

გაცოფდება - 1. ცოფით დასნებოვნდება (ცხოველი, ადამიანი). 2. განრისხდება, მეტისმეტად გაბრაზდება, გაცეცხლდება, გადაიჩევა, გაშმაგდება: ეს რომ უთხრეს, გაცოფდა.

გაცოფება - 1. ცოფით დასნებოვნება (ცხოველისა, ადამიანისა). 2. განრისხება, მეტისმეტად გაბრაზება, გაცეცხლება, გადარევა, გაშმაგება: მაგან თუ ეს ამბავი გაიგო, გაცოფება მერე ნახეთ!

გაცოფებულ-ი - 1. ცოფით დასნებოვნებული (ცხოველი, ადამიანი). 2. განრისხებული, მეტისმეტად გაბრაზებული, გაცეცხლებული, გადარეული, გაშმაგებული: ...ჩვენ რომ არა, იმ გაცოფებულ ნაძირალებს დათა თუთაშხია იქნებ სიკვდილის პირამდეც მიეყვანათ... (ჭ. ამირეჯიბი).

გაცოხნის - უხალისოდ გაღეჭავს, შეჭამს (ადამიანი).

გაძაღლდება - ძაღლურ ყოფაში ჩაგარდება, ცუდ დღეში ჩაგარდება, ძალიან გაწამდება: მეტი აღარ შემიძლია ცხოვრება, გაგძაღლდი კაცი!

გაძაღლება - ძაღლურ ყოფაში ჩაგარდნა, ცუდ დღეში ჩაგარდნა, ძალიან გაწამება: ვაი, როგორ გაძაღლებით გავატარე ჩემი წუთისოფელი!.. (გ. წერეთელი).

გაძაღლებული - 1. ვინც გაძაღლდა: ...რა რჩება იმას თავის შემდეგ? სრულებით არაფერი, ოხერი, ყველასაგან მოძულებული თავის მეტი და მარტო ამ გაძაღლებული თავისთვის, ნუთუ გგონიათ, ვისმე შეაკვდეს!? (გ. წერეთელი). 2. გამწარებული სიცოცხლე, სული: - ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა! - თავისთვის ღაპარაკობდა სასოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მაშვალი. - ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძაღლებული ცხოვრებაც!.. (დ. კლდიაშვილი). თავი არ მოგეჭრა, გოგო, მთლად არ წაუმწარო ბედშავ მამაშენს ისედაც გაძაღლებული სიცოცხლე (კ. გამსახურდია). ...ვაითუ სიბერე ისეთი მტარვალია, ეს გაძაღლებული ცხოვრება ჩვენც სანატრელი გაგვიხდესო (ო. ჭილაძე). ...ეს გაძაღლებული სული ტკბილი ყოფილა, ტკბილი (კ. გამსახურდია).

გაძუნძულდება - ძუნძულით წაგა (მგელი, ძაღლი, ადამიანი): ეგ ახლა სახლისკენ გაძუნძულდა ღვინის მოსატანად.

გაჭენდება - ჭენებით წაგა (ცხენი). სირბილით წაგა, გაიქცევა: ეს თქვა და უცებ გაჭენდა.

გაჭენება 1. ჭენებით წასვლა (ცხენისა). 2. ჭენებით წაყვანა (ცხენისა). 1. გაქცევა (ადამიანისა). 2. გაქცუნება, სირბილით წაყვანა (ადამიანისა).

გახედნა - შესაჯდომად, ან უღელში გასაბმელად გაწვრთნა (ცხენისა, ხარისა, კამეჩისა). ჭკუის სწავლება, მოთვინიერება, ქცევის წესების სწავლება: მაგ ბავშვმა სწორად მოქცევა არ იცის, გახედნა სჭირდება. ყურის გახედნა - ვისიმე შეჩვევა რაიმე საკითხისადმი: ყოველდღე



აწვეთებდნენ, შემცირების გამო სამსახურები უნდა წახვიდეთ და ნელ-ნელა შეაჩვიეს ამ აზრს, ეფუძნება ხედნეს.

გახედნის – შესაჯდომად, ან უღელში გასაბმელად გაწვრთნის (ცხენს, ხარს, კამეჩს). **ჭკუას ასწავლის, მოათვინიერებს, ქცევის წესებს ასწავლის:** კაი თავხედი იყო მაგისი ბიჭი, მაგრამ დროზე გახედნეს.

გახედნილი-ი – შესაჯდომად, ან უღელში შესაბმელად გაწვრთნილი (ცხენი, ხარი, კამეჩი). **ვინმესგან მოჭკვიანებული, მოთვინიერებული:** ადრე ავარდნილი იყო, ახლა კია გახედნილი.

გახელდება – გაცოფდება (ცხოველი). 1. **გაშმაგდება, გაგიჟდება, გადარევა:** ისეთი რამ მითხრა, კინაღამ გავეხელდი. 2. **გაღიზიანდება.**

გახელება – გაცოფება (ცხოველისა). 1. **გაშმაგება, გაგიჟება, გადარევა:** მაგას კიდევ გახელება უნდა? ისედაც გადარეულია! 2. **ვინმესგან გაღიზიანება.**

გახელებული-ი – გაცოფებული (ცხოველი). 1. **გაშმაგებული, გაგიჟებული, გადარეული:** სახლში გახელებული მოვარდა, რას ჰქვია, ბავშვი საბანაოდ გაუშვითო. 2. **ვინმესგან გაღიზიანებული:** უეჭველად ცოლისგანაა გახელებული.

გაჯიქება – გაჯიუტება: ამ ბავშვმა უშნოდ გაჯიქება იცის, ხანდახან წკეპლა მოუხდებოდა.

გაჯიქდება – გაჯიუტდება: თუ ერთი გაჯიქდა, საქმეს ვეღარ გააკეთებინებ.

გაჯიქებული-ი – გაჯიუტებული: ისე იყო გაჯიქებული, სანამ არ დაეუცაცხანე, სკოლაში არ მიდიოდა.

გაჯორავს – ძალზე დატუქსავს, გაწყრობა: გუშინ გაკვეთილები გაეცდინე და მამაჩემმა გამჯორა.

გაჯორვა – ძალზე დატუქსვა, გაწყრომა: მაგას ერთი კარგი გაჯორვა სჭირდება.

გაჯორილი-ი — დატუქსული: გაჯორილი ბიჭი ჩუმად სლუ-
კუნებდა.



გედ-ი — გრძელკისერა წყლის დიდი გარეული ფრინველი.

1. ტანადი, ყელმოდერებული კოხტა ქალიშვილი: ნახე, რა ყელმოდერებული მოდის, გოგო კი არა, გედია! 2. ვინც ღამაზად კედება, ვისი სიკვდილიც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს: [გველებისაგან დაკბენილი ქალი] დარეტიანებულ გედად ტორტმანით დაეშვა ნოხზე (ნ. ლორთქიფანიძე). გედის სიმღერა — ნიჭის უკანასკნელი მშვენიერი გამოვლენა: ეს ღექსი პოეტის გედის სიმღერა იყო.

გეზელ-ი — მამალი მონადირე ფრინველი (მიმინო, შავარდენი, ქორი).

გეზელქორ-ი — მამალი ქორი. 1. შამაცი, საუკეთესო, უდრეკი გაჟაკცი: გეზელქორით ბიჭები მტერს არ ეპუებოდნენ. 2. წამგლეჯი, ტაცია. 3. ამპარტაგანი, ქელმაღალი. 4. მხდალი, მშიშარა (თუშურად).

გელაქნურ-ი — კალმახის სახეობა (გელაქუნის, ანუ სევა-ნის ტბის ბინადარი).

გერმა — რბილი, წმინდა ბუმბული (უპირატესად ბატისა).

გესლ-ი — ქვეწარმავალთა შხამი. ყურში გესლის ჩაწვეთება — ვინმესთვის ბოროტი ჭორის მიწვდენა: მეგობრები რომ გადაეკიდებინა, ვიას ყურში გესლი ჩააწვეთა. გესლს ანთხევს — საზიზღარ რამეს ამბობს და აგრცვლებს: ბოროტია და სულ გესლს ანთხევს, კარგს ვერ ათქმევინებ.

გესლიან-ი — რასაც გესლი ურევია. გესლიანი სიტყვა — მწარე სათქმელი, ბოროტი ჭორი: გესლიანი სიტყვის თქმა სჩვევია.

გეშავს — ძაღლს ნადირის კვალის აღებას ასწავლის, წერთის. თავის ჭკუაზე ზრდის, ცუდ რამეს ასწავლის: მაგას ქურდები გეშავდნენ.

გველ-ი — უფეხო, კლაკნით მავალი, შხამიანი ან უშხამო ქვეწარმავალი. 1. ვინც უხმაუროდ და მოხერხებულად ხო-

ხაგს: ...ერთბაშიად ბოროტად გაიღიმა, გველივით გაცურდა ხუთეულების შუა და ჩავიდა დუქანში, სადაც ვამეღელი ჯარის აფიცრები დროებას ატარებდნენ და კარგად გადაეკრათ (აღ. ყაზბეგი). ყმაწვილებს გველებსავეთ უნდა ეფორთხათ ამ ეკალნარში და ამგვარად თუ მიაწევდნენ დიდს კარვამდის, თორემ სხვა გზით ვერა (გ. წერეთელი).

2. ვინც იკლაკნება: ამას რომ ამბობდა, თან ჯოხ-დაკრული გველივით იკლაკნებოდა (გ. წერეთელი).

3. ვისაც მოქნილი ხელები აქვს: ... [მაყვალამ] ორივე ხელი ყელზედ მაგრად გველსავით შემოაჭდო (აღ. ყაზბეგი).

4. მოქნილი, სწრაფად მოძრავი, მოუხელთებელი: ...პატონი, ერთი წამი რომ კიდევ დაეცლია, ხანჯალს ვფუშავდი მუცელში, მარა ის წუწკის შვილი გველივით გამისრიალდა ხელიდან (გ. წერეთელი).

5. დაუნანებლად მოსაკლავი, იოლად გასამეტებელი: გინდა გველივით გამსრისე, გინდა დამისხენ წაწყმეღისაგან! (ილია). [ფარნაოზი] სცემეს, არა, კი არ სცემეს, გველივით ჩაქოლეს (ო. ჭილაძე).

6. სახიფათო, საშიში ადამიანი, ვინც ძაღას აცღის, ბრძოლის უნარს აკარგვენებს სხვას: ...ჩახედა სახეში და სისხლი სამუდამოდ გაუყინა, სამუდამოდ გააბრუა და გამოაღენჩა, როგორც გველმა ბელურა (ო. ჭილაძე). მაგ წყეულმა გველივით მომწუსხა, ძაღა გამომაცალა.

7. ბოროტი და საზიზღარი: ეკარ ხელი შეუბრალებლად იმ უბედურსა და მკერდიდამ, როგორც გველი, ისე მოვიშორე (ილია). – გველო, დაშხამულო გველო! – ხელის კვრით მოიშორა ქალი, – ნეტავ შემეძლოს, თავი გაგისრისო! (აღ. ყაზბეგი). თავათ ძაბული და მისი სხეული ჭრელი გველივით შესძულდა არზაყანს (კ. გამსახურდია).

8. ცივი, მომწუსხელი, ბოროტების გამომხატველი მზერის მქონე: ...პირის კანს თვალებამდე აიტანდა, კაკლის ფოთოლივით მწვანე თვალებს, რომლებიც მუდამ წამს გველსავით გინესტრავდნენ გულსა, საშიშრად დააჭყეტდა ხოლმე, – ეს იყო გაბრაზების ნიშანი (ს. მგალობლიშვილი). ...მწვანე თვალები ჰქონდა, გველის. რომ იღიმებოდა, მარტო ტუჩები უღიმოდა, თვალები და სახე ისევ ისე ქვასავით გაყინული ჰქონდა (ნ. დუმბაძე).

9. ავისმომასწავებელი,



ბორტოტი ხმის მქონე: - შენ გიყვარს, მაგრამ მარის არ უყვარხარ, - გველსავით გაისისინა მოხუცებულმა (აღსკრინებელი). 10. ფარისეველი: ოო, ჭრელო გველო, ფარისეველო! რარიგად უძერება გულში!.. უი, ნეტავი, შენი ბატონი მე ვიყო!.. (ილია). 11. ბორტოტი, გაიძვერა და ქლეხა, პირფერი: ჩემ წინაშე გველივით მუცელზე დახოხავს, მაგრამ გულში ბოროტება უდევს. 12. ბრძენი, ღრმა საიდუმლოს მცოდნე: თამადა გველივით ბრძენი იყო (კ. გამსახურდია). 13. ხვეული, მოქნილი (თმა): იმ გოგოს გველივით დალაღები აქვს. გველის ენა - ლაქარდიანი, ნამდვილი ზრახვის დამფარავი მეტყველება: გველის ენით მელაპარაკება. გველის თვალები, გველის მზერა - გაყინული, მომწუსხავი მზერა: ამ დროს მისი თვალები მოაგონებდა კაცს ზღაპრულს აღმასის გველის თვალებს, რომელიც ყოველსავე ახმობდა და აშეშებდა, რასაც-კი შეხედავდა (გ. წერეთელი). გველის მართვე, გველის სინსილა, გველის წიწილი - საბაგელი, საზიზღარი ბავშვი, ან ჭაბუკი: თუ გზაში ვერ ნახეთ, შინ მიუხუცქარდებით არხაყანს და ოთხში ამოვიღებთ მაგ გველის მართვეს (კ. გამსახურდია). ისინი... ხშირად ასმენდნენ ზედამხედველს: "ეს გველის სინსილა აქ ვინ შემოაგდოვო?" (გ. წერეთელი). რაც უნდა იყოს, მე ეგენი, ეგ გველის წიწილები, მაინც ჩემად მეგულებიან, შვილებსავით დაგვიზღია, დიდი სიბრალული მაქვს (ილია). გველის სინსინი - ბორტოტი ხმა, ბორტოდ ლაპარაკი: - მხეცო, უნამუსოვ! რას შერები მაგას? - გველის სინსინივით მოესმა ღუარსაბს... (ეკ. გაბაშვილი). გველის ჭკუა - ნაძირაღას დიდი ჭკუა: ნადირის აღლო აქვს და გველის ჭკუა (ჭ. ამირჯიბი). გველივით გაჭრელება - მაგრად, დაუნდობლად ცემა, მიბეგვა: ...ანაზღეულად გაჩნდნენ ზაქარას ძმები სახრეებით და გველივით გააჭრელეს სოსიკა მოურავი (ხ. მგალობლიშვილი).

გველაძუა - 1. გველის წიწილი. 2. ბეწვიანი, წერილი, სწრაფი პარაზიტი ჭია. 1. ეშმაკი, გაიძვერა ადამიანი. 2. ფლიდი, ორპირი ადამიანი: გასწი აქედან, გასწი!.. თორემ წითელ კვერცხივით შეგიღებავ მაგ გველაძუა თავ-

პირსა (ს. მგალობლიშვილი).



- გველ-ბაყაყი** – გველები და ბაყაყები, ქვემძრომნორეული
ზინულირთუქ
- გველგესლა** – შხამიანი გველის სახეობა. 1. **ბორტტი, მზაკვარი**: ეგ არამზადა ადამიანი კი არა, გველგესლაა. 2. **ბორტტი ენის მქონე**: მაგის სიდედრი ნამდვილი გველგესლაა, ტკბილ სიტყვას ვერ ათქმევინებ.
- გველეშაპი** – ზღაპრული ფრთიანი გველი. **ზორბა ტანის ბორტტი, ტაცია ადამიანი**: მაგ გველეშაპმა ყველა მეზობელს წაართვა მიწა და სასახლე აიშენა.
- გველთევზა** – გველისებური სხეულის მქონე თევზი. **მოქნილი, სხმარტალა ადამიანი, მოზუხელთებელი**: გველთევზასავით მოქნილია, ვერაფრით მოიხელთებ.
- გველიყლაპია** – არწივის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.
- გველობა** – გველად ყოფნა. **ფლიდობა, გაიძვერობა**: ...თქვენს საქციელს, რომელიც გველობით და ბორტტებით სავსე იყო და არის... (აღ. ყაზბეგი).
- გველურ-ი** – გველისათვის დამახასიათებელი. **გველური საქციელი** – ფლიდობა, ბორტტება. **გველური თვალით გამონედვა, გველური მზერა** – ბორტტი, მზაკვრული მზერა. **გველური სიცილი, გველური ღიმილი** – მზაკვრული, ფლიდი სიცილი, ღიმილი.
- გველხოკერა** – გველის მსგავსი უფეხო ხვლიკი. **არამზადა, მზაკვარი, ბორტტი**: გამოოვედი გარედ, – ეს ძაღლ... კინაღამ არ წამცდა – ეს გველხოკერა იქავ ჩემთან ახლო დგას... (ილია).
- გვიძინ-ი** – იგივეა, რაც **გულიო**.
- გვრიტ-ი** – მტრედის მსგავსი გარეული ფრინველი. 1. **კობტა, ტურფა ქალი**: ოთხი თუმანი დაგვრჩება, ნახევარ წელიწადს ქე გვეყოფა და მერე კიდევ გავასაღებ [გავათხოვებ] ერთ გვრიტს და იქიდანაც ხელის ჭუჭყი შემოგვივა!.. (დ. კლდიაშვილი). **ყვარყვარე** – (აღელვებუ-

ლი გულთამზეს ალერსით) რას მთხოვ, შე გვრიტო... (პ. კაკაბაძე). მაგას გვრიტით კოხტა გოგო ჰყავს.

2. მეძაგი: ისეთი გვრიტები ჰყავს, რომ შენს მადუნს სულ გააფასებენ (მ. ჯავახიშვილი). 3. უცოდველი, უმანკო: უცოდველია, როგორც გვრიტი (ილია). 4. წყნარი, მშვიდი, უწყინარი (უპირატესად ბავშვი): ეს გვრიტი ვისი შვილია? 5. მოხდენილად მავალი ქალი: ყვარყვარე — ეს არის მარმარილოს კიბე. აქედან შემობრძანდება შენი ქალიშვილი. აქ, ამ განიერ დარბაზში. გვრიტით მოგოგმანდება და აქ ნესვივით გაგორდება (პ. კაკაბაძე). 6. მრ. რ.: გვრიტები — შეხმატკბილებული წყვილი: ახ, ნეტავი კი ეს საქმე [ქორწინებისა] მოვახდინო და! სწორედ გვრიტები იქნებით, გვრიტები!.. (ილია). ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურს ყაყანს მოშორებულნი (ილია). 7. საყვარელი, ძვირფასი ადამიანი: შენი ჭირიმე... შენ დაგენაცვლა მამიდა-შენი ელენე, შენ! ჩემო გვრიტო და მალხაზო... (დ. კლდიაშვილი). ბოლოგაშლილი გვრიტი — მშვენიერი ქალი: ჩემო ბოლოგაშლილო გვრიტო!

გვრიტნიტა — საშუალო ზომის გარეული ფრინველი.

გნოლი — კაკბის მსგავსი ფრინველი. კოხტად მთარული ქალი: ეს გოგო გნოლივით დაგოგმანებს.

გოგავს — მოხდენილად დადის (გნოლი, კაკაბი, მწყერი). კოხტად დადის (ქალი): ეს ქალი ლამაზად დაგოგავს.

გოგვა — მოხდენილად სიარული (გნოლისა, კაკბისა, მწყერისა). კოხტად სიარული (ქალისა).

გოგმანი — იგივეა, რაც გოგვა: ...შენი ფეხის გოგმანის ჭირიმე! (გ. წერეთელი).

გოგმანი — მოხდენილად მთარული ფრინველი, ქალი.

გოგმანებს — მოხდენილად დადის (ფრინველი, ქალი).

გომბეშო — ბაყაყზე დიდი ამფიბია. უშნო და მსუქანი ქალი:

მე რატომ უნდა ვიყო ყველაფერში გამორჩეული, როცა თავიანთ გომბეშო ცოლებს ქმრები ვირებით ვსწავრიან ბენო (ო. ჭილაძე).

გოშია – პატარა ტანის ძალღი, ფინია. 1. **სხვისი ხელის შემყურე, სხვისი ნების ამსრულებელი:** ქვეყანა გოშიებით აივსო, კაცობა არ ფასობს. 2. **უღირსებო ადამიანი:** ვინ არი?... ჩია თუ ქია? გინდაც ფთია იყოს! ერთი გოშია კაცი, უნდო ვილაც, ჟიჟილა თუ ყაყლაჩა!... (გ. ლეონიძე). ბიძამისი ერთი უვარგისი, გოშია კაცი. **ამირანის გოშია** – ვისიმე ძალიან ერთგული ადამიანი: ორი ერთგული კაცი რომ მომყვა ამირანის გოშიებით, სად დამიდუპეთ? (პ. კაკაბაძე).

გოჭი – ღორის ნაშიერი. 1. **პუტკუნა და საყვარელი ბავშვი:** გოჭო, ვისი ხარ ასეთი საყვარელი? 2. **გაბუშტულცხვირიანი ბავშვი:** ეს ბავშვი გოჭივით დინგიანია. 3. **მტირალა, ვინც წვერილი ხმით, ხმამაღლა ტირის:** ბავშვები კი ისევე ღრიალებდნენ ბოსტანთან; ერთი მიწაზე ფართხალებდა და გოჭივით ჭყვიროდა (დ. კლდიაშვილი). 4. **მრ. რ.: გოჭები – ვისაც ერთად, ჩახუტებით წოლა სჩვევია:** იმათ ერგოთ საერთო ხალიჩა და ზედ ერთიმეორეზე მიეყრებოდნენ გოჭებივით (გ. წერეთელი). ამ საწოლში გოჭებივით მაინც არ იხურხლებოდნენ, როგორც ეს დიტოს სჩვეოდა თავის ფაცხაში (გ. წერეთელი). 3. **ვისაც ძალიან დასცხება:** მოშორდით მაგ ცეცხლს, თორემ გოჭივით შეიწვებით!

გოჭა – 1. კოკორინას მსგავსი ფრინველი. 2. კობრი (თევზის სახეობა).

გოჭისკუდა – ტანმომცრო ადამიანი, ქონდრისკაცი: – ჰაი, შე კეტურავ [აყლაყუდავ], ჰაი, შე გოჭისკუდავ! – აღერსობდნენ [სტუმრები] ქიმუნჯისა და წიკპურტის წაკვრით (გ. ლეონიძე).

გრატა – ბელურასოდენა გარეული ფრინველი.

გუგულ-ი გარეული ფრინველი, რომელიც ბუდეს არ იკე-



თებს და კვერცხებს სხვის ბუდეში დებს. 1. წყნარი, მშვიდი (ბავშვი): აგერ, უყურეთ ამ ბავშვს, ზის თავისთვის წყნარად, გუგულივით. 2. ვინც სხვას უკეთებს საქმეს, თავისთვის კი არ ცდილობს: ეგ გუგულივით სხვის ბუდეში დებს კვერცხებს, ოჯახი კი არ ახსოვს. 3. გუგულის ბარტყი - სხვა ჯგუფში შემეფრალი ადამიანი, ვინც იმ ჯგუფს კარგს არ უქადის: ეგ თქვენიანი ნუ გგონიათ, მალე ნახავთ, რომ გუგულის ბარტყია.

გულიო - მტრედის მსგავსი გარეული ფრინველი.

გულყვითელა - ყვითელბუმბულიანი გარეული ფრინველი, მოლალური, ბიჭოგოგია.

გულწითელა - წითელმკერდიანი გარეული ფრინველი.

ფ

დააფრთიანებს - ბარტყებს, წიწილებს დაზრდის (ფრინველი). ბავშვებს დაზრდის, მოაღონიერებს, გზაზე დააყენებს: შვილები დიდი წვალებით დააფრთიანა.

დაბზუის - 1. ბზუილის ხმას გამოსცემს (მწერი). 2. რამის თავზე ბზუის. 1. უსაქმოდ, უმიზნოდ დადის აქეთ-იქით და ერთობა (თავქარიანი ადამიანი): სულ ასე დაბზუის ეგ უსაქმური. 2. ერთი და იმავეს ლაპარაკით ვინმეს თავს აბზურებს: ნაყინი მიყიდეო, მთელ დღეს ამას დამბზუოდა თავს.

დაბუდდება - ბუდეს დაიდებს (ფრინველი). საბინადროდ, სამყოფლად ადგილს აირჩევს, დაბინადდება (ჩვეულებრივ, ცუდი ადამიანი): ავარები მაგასთან დაბუდდნენ.

დაბუდება - ბუდის გაკეთება და შიგ დაბინავენება (ფრინველის მიერ). სამყოფლად ადგილის არჩევა, დაბინავენება (ჩვეულებრივ, ცუდი ადამიანის მიერ).

დაბუდებულ-ი - ვინც, რაც დაბუდდა.

დაგესვლა – კენა და გესლის შეშვება (გველის, მორიელის მიერ). ვინმესთვის გულის მომკვლელი რამის თქმა.

დაგესლაგს – უკენს და გესლს შეუშვებს (გველი, მორიელი). ვინმეს გულის მომკვლელ რამეს ეტყვის: რაღაც საზიზღობა მითხრა და დამგესლა.

დაგეშავს – გემის, კვალის აღებას ასწავლის (მონადირე ძაღლს, სანადირო ფრინველს). რაიმეს (ჩვეულებრივ, ცუდი საქმის) კეთებას ასწავლის, ცუდ საქმეში გაწვრთის: თავისი შვილებიც ისე დაგეშა, რომ კარგ საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ.

დაგეშვა – გემის, კვალის აღების სწავლება (მონადირე ძაღლისთვის, სანადირო ფრინველისთვის). რაიმეს (ჩვეულებრივ, ცუდი საქმის) სწავლება, ცუდ საქმეში გაწვრთნა.

დაგეშილი – გაწვრთნილი ძაღლი, ან სანადირო ფრინველი. ვინმესაგან ცუდ საქმეს დაჩვეული: მაგისი შვილებიც მამას ჰგვანან, ყველანი დაგეშილი ჰყავს.

დაგოგავს – მოხდენილად დადის (გნოლი, კაკაბი, მტრედი, ქალი).

დაგოგმანებს – მოხდენილად დადის (გნოლი, კაკაბი, მტრედი, ქალი).

დათე – დიდი, ღონიერი, ბაჯბაჯა მტაცებელი ცხოველი.


1. **ზორბა და ღონიერი კაცი**: რესტორნის პატრონი კვაჭს დათვივით დაეძგერა (მ. ჯავახიშვილი). 2. **ზორბა და მთუხეშავი, ტლანქი კაცი**: მიხვრა-მოხვრაში დათუნა მართლაც დათვის მოდგმისა იყო (გ. წერეთელი). როდესაც დაფეთებული და მიბნედილი გრიგოლი საბოლოოდ გამოფხიზლდა, კვაჭს დათვივით გადაეხვია, ატირდა და ალუღლუღდა (მ. ჯავახიშვილი). ქორივით შლიდა ხელებს აყლაყუდა მალხაზი და მურა დათვივით იქნევედა ტორებს სოლომონი (მ. მოსულიშვილი). 3. **ბაჯბაჯით მთარული**: ბიჭო, დათვივით კი ნუ დაბაჯბაჯებ, წესიერად გაიარე! 4. **აგრესიული და საშიში კაცი**: დიდი იყო, მამაძაღლი, ატოტებული დათვივით მოიწევდა (ჭ.

ამირეჯიბი). ერთდღე მაგ კაცს, დაჭრილ დათესავით სა-
 შიშია! 5. **ბოხი ხმით მოლაპარაკე, ღრიალა, საზარლად**
მყვირალი: ეს უზარმაზარი ვაჟკაცი თოფნაკრავ დათესა-
 ვით აბლავლდა (კ. გამსახურდია). ქანაობს მახვშ თავის
 საკარცხლულზე, ცალი ხელით ყბას მობლაუჭებია და
 დაჭრილ დათესავით ღრიალებს (კ. გამსახურდია). 6.
მობუტბუტე, ბურტყუნა: [თოთია] ფუტკრისგან დაკბენილი
 დათვივით ბუტბუტებდა (მ. ჯავახიშვილი). 7. **ვისაც ძუნ-**
ძულით სვლა სჩვევია: კაკუტა – ჩვენმა ჯარმა უკან დაი-
 ხია და მე და ქუჩარამ ნიჩბები მივაგდეთ თხრილში და
 რო ვიბრუნეთ პირი, სულ დათვებივით მოვძუნძულე-
 დით (პ. კაკაბაძე).

დათვისბელა – დათვის ბელის მსგავსი, ბუთხუზა ბავშვი: ვუ-
 ნაცვალე ჩემს კაკოს! (ბავშვობისას კაკოს მეძახდნენ)
 ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყო: დაიბადა ერთი
 რაღაც დათვისბელა, ბამბისქულა და ისე გაეკმიდა სუ-
 ლი, რომ კრინტს არა სძრავდაო!.. (აკაკი).

დათვური – დათვის შესაფერისი. 1. **დიდი, ზორბა:** ...იმან,
 ვისაც ლიჩელი უწოდეს, თავისი გრძელი, დათვური თა-
 თი დაადო მხარზე ჩაღმას (კ. გამსახურდია). მკვეთ-
 რად ჩამრჩა მესხიერებაში ღვინჯუა. მაღალი, დათვუ-
 რად ნაკვეთი, მკერდჯაგრიანი, მსხვილად დაყრილი
 ულვაშები... (გ. ლეონიძე). 2. **უხეში, ტლანქი, მოუხეშავი:**
 როცა მე და კიკოლიკი დავცინებდით დათვური მიხრა-
 მოხრისათვის, თუმცა არას იტყოდა, მაგრამ გულში
 სწყინდა (გ. წერეთელი). 3. **დათვური სამსახური** – **სარგებ-**
ლობის ნაცვლად ვნების მომტანი სამსახური: კუსა, შეიძ-
 ლება, მართლა მისულიყო შეავთვალება მაღალოსთან
 და სიკეთის ნაცვლად დათვური სამსახური გაეწია (ო.
 ჭილაძე).

დაიკიკინებს – კიკინს დაიწყებს (ცხოველი). **მორიდებით,**
საწყლად იტყვის: იასონსაც ცხვრის ქურქი უნდა ჩაეცვა,
 თავი ჩაელუნა და მორიდებით დაეკიკინებინა თავისი
 გასაჭირი, იქნებ ასე მაინც მოეგო გული ამ მრისხანე
 მეფისთვის (ო. ჭილაძე).



- დაიფრენს** – დააფრთხოვს და გააქცევს: ეს გოგოები ვინ ყოფილან? სიტყვა არ მათქმევეინეს, ისე დამიფრინეს.
- დაკნაველება** – კნაველის ამოშვება (კატის მიერ). **სუსტი ხმით და გაუბედავად რისამე თქმა**: ერთი დაკნაველება გაუბედე, მეც წამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ მერე გაეჩუმდი.
- დამაკდება** – მაკე გახდება (საქონელი). **დაორსულდება**, **დაფხმპიმდება** (ქალი).
- დამაკება** – მაკედ გახდომა (საქონლისა). **დაორსულება**, **დაფხმპიმება** (ქალისა).
- დანესტრავს** – ნესტარით უჩხვლეტს, დაკბენს (მწერი). **შხამიან, დვარპლიან სიტყვას ეტყვის**: –შენის შიშით კაცი ქალს ვერ დალაპარაკებია, ქალი – კაცს, ვაჟკაცს ღვინო ვერ დაუღვავია, ქალს ვერ გაუცინია, ბავშვს ვერ უცვლქნია! ფულიდა გვაკლია შენს სახელზე მოჭრილი! / – დამნესტრე განა, სათოკე კაცო, – უპასუხა ციციკორემ და გულაგრილებით განაგრძო გზა (გ. ლეონიძე).
- დაოთხებულ-ი** – გატყენებული (ცხენი). **სწრაფად მორბენალი (ადამიანი)**: ...კვაჭი არ იდრიკებოდა და თავგამწვევი ცხენივით დაოთხებული მიჰქროდა თავის საბედო ვარსკვლავისკენ (მ. ჯავახიშვილი).
- დასაფრენ-ი** – ბუდიდან ასაფრენი ბარტყები. **ფეხზე დასაყენებელი, გზაზე დასაყენებელი, გასაზრდელი ბავშვები**: მაგისი შვილები ჯერ დასაფრენი ბარტყები არიან.
- დასუნსულებს** – აქეთ-იქით სუნსულით დადის (ძაღლი, მელა, თაგვი). **სარჩოს, საკბილოს ხელში ჩასაგდებად დაპრწის**: კაცო, რას დასუნსულებ ამ შუალამისას, რას ეძებ?
- დატორავს** – ტორებით სცემს, დაბეგავს (დათვი). **მსხვილი, ტლანქი ხელებით სცემს**: გუშინ წამეჩხუბა და დამტორა.
- დატორვა** – ტორების დარტყმა (დათვის მიერ). **მსხვილი ხელის დაკვრა**.



დაუბუმბლაფი - რასაც ჯერ ბუმბული არ ამოსვლია (ბარტყი). **სუსტი, უსუსური, უძლური:** [ბიჭები] აქედან მთლად პატარები ჩანდნენ, დაუბუმბლავი ბარტყებივით ერთმანეთს მიკრულნი... (რ. ინანიშვილი).

დაულრენს - ღრენას დაუწყებს (ძაღლი). **ბრახიანად ეტყვის:** მამაჩემს რაღაცა ვკითხე და გაბრაზებით დამიღრინა, თავიდან მომწყვდიო.

დაფრთიანება - ბარტყების, წიწილების დაზრდა (ფრინველის მიერ). **ბავშვების დაზრდა, მოღონიერება, გზაზე დაყენება:** შვილების დაფრთიანებას მოუთმენლად ელოდება.

დაფრთიანებულ-ი - **დაზრდილი, წამოზრდილი** (ბარტყები, ბავშვები).

დაფრინავს - ფრენით მოძრაობს (ფრინველი). 1. **სწრაფად მოძრაობს (ადამიანი):** მაგან ნელი სიარული არ იცის, დაფრინავს. 2. **სიხარულისგან აღტაცებულია:** იმ დღეს სიხარულისგან დაუფრინავდი.

დაღერღეტობს - ბატივით უგზოუკვლოდ, უჭკუოდ დადის: დაადებს თავს ბატივით და დაღერღეტობს უჭკუოდ.

დაყაჭვა (ფულისა, სხვა საგნებისა) - ამოღება და დადება (ეტიმოლოგიურად: აბრეშუმის ტყის, ყაჭის პარკის დახარისხება): მაგას ფულის დაყაჭვა არ უყვარს.

დაყმუვლება - ყმუილის დაწყება (ძაღლის, მგლის, ადამიანის მიერ).

დაყრანტალება - ყრანტალის დაწყება (ყვავის, ყორნის მიერ). 1. **უსიამო ხმით თქმა.** 2. **დაუფიქრებლად რისხამე წამოძახება.** 3. **საბედისწეროდ რისხამე თქმა.**

დაყროყინება - ყროყინის დაწყება (სახედრის მიერ). **უსიამო ბოხი ხმით თქმა, დაძახება.**

დაყუნტდება - უკანა ფეხებზე ჩაჯდება (ძაღლი, კურდღელი...). **ჩაცუცქდება:** ბიჭო, აქ რას დაყუნტებულხარ?

დაყუნტება - უკანა ფეხებზე ჩაჯდომა (ძაღლისა, კურდღლისა...). **ჩაცუცქება.**

დაყუნტებულ-ი - უკანა ფეხებზე ჩამჯდარი (ძალი, კერ-
დღელი...). ჩაცვტებულ-ი.

დანაქჩაქებს - ჩაქჩაქით, რყევით დადის (ცხენი, ვიჩი, ჯოჩი,
ადამიანი): მთელი დღე ასე დანაქჩაქებს, მაგისი მოსვენ-
ება არ არის.

დანინდრიკობს - ჩინდრიკით, ჩაქჩაქით, რყევით დადის (ცხენი,
ვიჩი, ჯოჩი, ადამიანი): რას დანინდრიკობ წაღმა-უკუღმა?
ხომ ხედავ, აღარ შეგიძლია?!

დანიორავებულ-ი - სამამლე ვარიად გადაქცეული წიწი-
ლი. წამოზრდილი, წამოჩიტული, შედგრებული გოგონა: ეგ
გოგო უკვე დანიორავებულია და თვალი ბიჭებისკენ
გაუბრბის.

დასჩხავის - ჩხავილით დასძახის (ფრინველი). 1. უსიამო
ხმით დასძახის: გოგო, გაჩუმი, მთელი დღე თავს ნუ
დამჩხავი! 2. გამუდმებით საბედისწერო რასმე ეუბნება: მა-
გან დამთარსა, სულ თავს დამჩხაოდა, იღბლიანი ხა-
რო!

დანხაგლება - ჩხავილის დაწყება (ყვავის, ყორნის მიერ).
1. უსიამო ხმით თქმა. 2. დაუფიქრებლად რისამე წამოძახება.
3. საბედისწეროდ რისამე თქმა.

დაცოფავს - ცოფს შეპყრის (ცხოველი სხვას). მეტისმეტად
გაუჯავრდება, ძალიან გალანძღავს: უთენია მეცა და და-
მცოფა, ისე გამომლანძღა, ჯერაც გონს ვერ მოვსულ-
ვარ.

დაცოფავს - ცოფს გადასდებს (ცხოველი). მეტისმეტად გა-
უჯავრდება: ნეტავი სულ არ დავლაპარაკებოდი, ისე და-
მცოფა, გონს ვერ მოვსულვარ.

დაცოფვა - სხვისთვის ცოფის შეყრა (ცხოველის მიერ).
ვინმეზე მეტისმეტად გაჯავრება, ვისიმე ძალიან გამოლან-
ძღვა.

დაცოფილ-ი - 1. ვინც, რაც დაცოფეს, ცოფი შეპყარეს. 2. ვი-
საც მეტისმეტად გაუჯავრდნენ, ვინც გამოლანძღეს: ნეტავი



მაგასთან სულ არ მიესულიყავი, დაცოფილი გამომიშვა.

დაცუნცულებს - ცუნცულით დადის (თაგვი, მელა, ძაღლი). საყვარლად დადის: რას დაცუნცულებ, ჩემო ცუნცურმელა?

დაძუნძულებს - ძუნძულით დადის (ძაღლი, მგელი, ადამიანი): მგელივით დაძუნძულებს.

დაწიხვლა - 1. წიხლით ცემა (პირუტყვის, ადამიანის მიერ). 2. ფეხქვეშ გათელვა, ღირსების შელახვა, დამცირება, შეურაცხყოფა.

დაწიხლავს - 1. წიხლით სცემს (პირუტყვი, ადამიანი): საწყალი ბიჭი ხულიგნებმა დაწიხლეს. 2. ფეხქვეშ გათელავს, ღირსებას შეულახავს, დაამცირებს, შეურაცხყოფს: მაგათ შეურაცხმყევს, დაწიხლეს და არ ვაპატიებ.

დაწიხლული - 1. წიხლით ნაცემი (პირუტყვის, ადამიანის მიერ). 2. ფეხქვეშ გათელილი, ღირსებაშელახული, დამცირებული, შეურაცხყოფილი.

დაწკმუტუნება - წკმუტუნის დაწყება (ძაღლის მიერ). 1. საცოდავად რისამე თქმა. 2. გაუბედავად რამის თქმა.

დაჭიხვინებს - ჭიხვინით დადის, დარბის (ცხენი). უაზრო სიცილით დადის და ერთობა: სულ აქეთ-იქით დაჭიხვინებს, საქმე ფეხებზე ჰკიდია.

დაჯიროთობს - ისე დარბის, თითქოს ცხენს აჯიროთებდეს: მთელი დღე რომ დაჯიროთობ, გაკვეთილები როდის უნდა ისწავლო?

დედალი - 1. მდედრობითი სქესის ცხოველი, მწერი. 2. მდედრობითი სქესის ქათამი. 1. ქალი, სექსუალური პარტნიორი: ბუდუ შელია ბებერი და სნეული იყო, ამიტომ ცვირიმ იმ ღამეს მეორე მუდმივი მამალი იშოვნა, ხოლო კვაჭიკომ - პირველი ნამდვილი დედალი იგემა (მ. ჯავახიშვილი). 2. მხდალი, ლაჩარი, მშიშარა ვაჟი: ბოსტოლანაშვილი კიდევ, შენც იცი, ერთი დედალი ვინმეა, უთუოდ შარვალი ჩაისველა შიშითო (რ. ინანიშვილი).

რაო, ქალაქელო დედლებო, არ გაგიგიათ, ბებერი ხარის რქები რასაცა შერებიან? (ჯ. მონიავა). 3. **სუსტი, უპლური ვაჟი:** არა, გარე სარმით ჩაუკეტე და გზადიდილე... რას ეგლასუნები, გადაწმაწვნი, შე დედალო, შენა!.. (ჯ. მონიავა). 4. **ჩათქვირული ქალი:** მოვსებული დედალივით ცოლი ჰყავს.

დედალ-მამალ-ი – დედალი და მამალი.

დედლობა – დედლის თვისება. **სიმხდალე, ლაჩრობა.**

დედოფალა – კვერნის მსგავსი პატარა კოხტა მტაცებელი ცხოველი, თრითინა, სინდიოფალა.

დეკეულ-ი – ერთი-ორი წლის ფური. 1. **მონიტული გოგო:** ებ დეკეული სად გაიცანი? 2. **იოლად დასაჯაბნი ადამიანი:** ეს რა დამემართა? როგორ დეკეულივით წამაქცია მაგ ოხერმა?!

დეღფინ-ი – ზღვის ბუბუშოვარი ცხოველი. **კარგი მოცურავე, კარგი მყვინთაფი:** ნამდვილი დეღფინია! შესანიშნავად ცურავს.

დინგ-ი – ცხოველის (ღორის) წაგრძელებული და გაერთიანებული ცხვირი და ყბები. **ადამიანის წამოშვერილი ცხვირ-პიჩი:** მაგ ბიჭს დინგივით ცხვირი აქვს. **საქმეში დინგის ჩაყოფა** – არამკითხეობა, სხვის საქმეში ჩარევა: მაგან ყველა საქმეში დინგი უნდა ჩაყოს.

დინოზაური – გიგანტური გადაშენებული ქვეწარმავალი. **ახმახი, აყლაყულა:** აგერ მოდის მაგის დინოზაური ბიძა, ნახე, რამხელაა!

დოლა – ურქო, ან რქამოკლე საქონელი.

დომბა – დიდი ჩლიქოსანი გარეული ცხოველი.

დომფალ-ი // დომფალა – აბრეშუმის პარკი, რომელშიც ორი ჭიაა. **მსუქანი, პუტკუნა გოგო, ან ქალი:** მაგას დომფალა გოგოები ჰყავს.

დრაკონ-ი – ზღაპრული ურჩხული. **ბორტი და სასტიკი**

ადამიანი: ეგ დრაკონი ახლა მთელ სოფელს ჩაყლაპავს.

დრუნჩი-ი - საქონლის ცხვირ-პირი. ადამიანის უშნო ცხვირ-პირი: ერთი მაგ გოგოს დრუნჩებს უყურე, რას უგაჟს საქმეში დრუნჩის ჩაყოფა - არამეთხეობა, სხვის საქმეში ჩარევა: მაგან ყველა საქმეში დრუნჩი უნდა ჩაყოს.

დრუნჩა - უშნო ცხვირ-პირის მქონე ადამიანი.

დუმა - ცხვრის ქონიანი დიდი კუდი. მრ. რ. დუმები - უპანალი: ნახე, იმ გოგოს რა დუმები აქვს!

დურაყი - ერთი წლის ჯიხვი.

დურაჯი - ქათმის მსგავსი ლამაზი გარეული ფრინველი.

ე

ელაქუცება - კუდის ქიცინითა და ტანის რხევით ეთამაშება (ძაღლი). **ეპირფერება**, **ეფარისეფლება**: უფროსობას ურცხვად ელაქუცება.

ენაყრანტალა - 1. აგი ენის პატრონი, თარსი, დანაგსული ენის მქონე ადამიანი: დამთარსა ამ ენაყრანტალამ! 2. ენაჭარტალა, მოლაყბე, გრძელი ენის პატრონი, ჭორიკანა, ვისაც საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია: მაშ, პოლიციას ვემალეობოდი და თქვენისთანა ენაყრანტალებს ვეცყოდი! ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი (პ. კაკაბაძე).

ენაჭარტალა - მოლაყბე, გრძელი ენის პატრონი, ჭორიკანა, ვისაც საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია: რას უზიხარ მაგ ენაჭარტალას, წამოგაცდენინებს რამეს და ქვეყანას მოსდებს, ასე თქვაო.

ერკემალი - მამალი ცხვარი, ვერძი. ბელადი, წინამძღოლი: ახლა რა აჩხუბებთ, თუ იცი? იმდენი მაგარი ამათში არც ერთი არ არის ჯერჯერობით, სხვებს რომ გაუძღვეს. ერკემალი არ ყავთ. ერკემალი ყველაფერშია სა-

ჭირო (ჭ. ამირჯიბი). - დაველოდებოდი. / - ვის? / - ერ-
კემალს, დანარჩენ ერკემლებს რომ აჯობებდა, ისეთს.
ყველაზე სამართლიანს და ყველაზე მეტს ვინც შე-
მპირდებოდა, ისეთს (ჭ. ამირჯიბი). - მერე? იმ ერკე-
მალს გაჰყვები? / - ხალხი გაყვება. ყოველთვის მიყე-
ბა ხალხი (ჭ. ამირჯიბი).

ერჩოლება - რქებით უტევს. ერჩის, ებრძვის, უტევს: რას
მერჩოლები? შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია?!

ეშვი - ნადირის წინა გრძელი და ბასრი კბილი. ადამი-
ანის სხვა კბილებისაგან დიდი ზომით გამოჩნეული კბილი,
რომელიც პირის ღრუში არ ეტევა: [ჰაკი]... ეშვებით
გადმოყრილი კბილების ღრუჯენით იღრინებოდა (ლ. ქია-
ჩელი).

ეძიბვილავება - ებრძვის ნისკატის დარტმით (ქათამი).
ულაზათოდ ეჭიდავება, ებღლარძუნება: მთელი დღე თავის
ძმას ეძიბვილავება.

ეჭიკჭიკება - სხვის გასაგონად ჭიკჭიკებს (ფრინველი).
სასიამოვნოდ ელაპარაკება (ბავშვი): ბავშვები დედას ეჭიკ-
ჭიკებიან.

ეჭუკჭუკება - სხვის გასაგონად ჭუკჭუკებს (ფრინველი).
სასიამოვნოდ, ალერსით ელაპარაკება: ბავშვები დედას
ეჭუკჭუკებიან.

3

ვარია - ზრდადაუსრულებელი ქათამი კვერცხის დების
დაწყებამდე. ახალგაზრდა, ნორჩი, ქორფა ქალი: ...იმის მე-
ზობლის ქალიშვილი უცხო ვინმე ვარია - კვაჭის ტო-
ლი - ...კვაჭიკომ ნამდვილ ვარიად გაიხადა (მ. ჯავა-
ხიშვილი).

ვარხვი - წყლის დიდი ფრინველი.



ვასაკა - ხის პატარა მწვანე ბაყაყი. 1. **უაზრო, ცივი მზერის მქონე ადამიანი:** და თვალები, თვალებიც ისეთი ჰქონდა ლუკაიას, როგორც იმ ცივსა და სლიბ ვასაკას (კ. გამსახურდია). 2. **განწირულად მყვირალი ადამიანი:** თამარი შეზარა [ახლადდაბადებული] ბავშვების ხორალურმა ღნავილმა. ზოგი ჩხაოდა ისე, როგორც წაკიდებულ კატებს სწვევიათ მარტში, ზოგიც ვასაკასავით კრიახობდა (ისეთ წუთებში, როცა ვასაკას მაისის გველი შეიპყრობს ხოლმე) (კ. გამსახურდია).

ვაყა - ულაყი, მამალი ცხენი. **ფიცხი, ენერჯიამოჭარბებული, დაუოკებელი მამაკაცი:** რა ენერჯია ჰქონია მაგ ვაყას?!

ვაჩა - დაბერებული თხა.

ვაცი - მამალი თხა. 1. **თავდაჯერებული კაცი:** [ჯურხა]... ვაცივით მოაბოტებს და ლამობს დათრთვილული თავი მუზარადში შეჰყოს (მ. ჯავახიშვილი). 2. **ბელადი, წინამძღოლი:** ბიჭებს წინ ერთი ვაცი მოუძღოდა. 3. **კურო, საყვარელი:** მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი (შოთა). აგერ მობრძანდება ღიზას ვაცი. 4. **წაწვეტილებულწვერებიანი კაცი:** ბაბუაშენს ვაცის წვერები აქვს.

ვაციკი - საბოტე, მამალი თიკანი.

ველური - გარეული ცხოველი. 1. **დაბალი კულტურის, ან უკულტურო ადამიანი:** ეგ ველური ოჯახში არ შეიშვება. 2. **მხეცური, ბარბაროსული, არაადამიანური:** ველური საქციელი, ველური ღრიალი.

ვეჟანი // **ვეჟანა** - ვეფხვივით ჭრელი საქონელი.

ვერძი - მამალი ცხვარი. 1. **თავდაჯერებული, ყოყონი კაცი:** მაგ ვერძს თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. 2. **ბელადი, წინამძღოლი:** ბიჭებს ვერძივით სულ წინ მიუძღვის. 3. **ჩხუბისთავი:** მაგ ვერძი სულ მუშტებზე იყურება.

ვეფხვ[ვ]ი - მძლავრი კატიხებრი ჭრელხოლებიანი მტაცებელი ცხოველი. 1. **ლამაზი, მოხდენილი, ამაყი და მოსარბი**

დალი ქალი: მარინემ იბრძოლა ძუ ვეფხევივით (ხ. მბაქა
 ლობლიშვილი). [ხათუთა] ძუ ვეფხევივით წამოიჭრა (მ.
 ჯავახიშვილი). თამარი ვეფხევივით ქალია - ლამაზიცაა
 და საშიშიც. 2. კოსტა, ტანადი და მამაცი ვაჟაკი: ვე-
 ფხევივით ბრგე და მამაცი მეომრები მტერს არ ეპოუე-
 ბოდნენ. 3. მარდი, ძლიერი და მოქნილი ვაჟაკი: ...ბოლოს
 დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს, მიუახლოვდნენ და ვე-
 ფხისავით სწრაფის ნახტომით ხანჯალ-შემადლებულე-
 ბი შესდგნენ (აღ. ყაზბეგი). ერთის თვალის დახამხამე-
 ბაზე ვეფხევივით სუფრაზე ახტა კოსტას ძმა. მის ხელ-
 ში გაიპრიალა სატეკარმა... (დ. კლდიაშვილი). 4. დაუნ-
 დობელი, სასტიკი, სისხლმოწყურებული ადამიანი: ამ წუ-
 თებში ელეონორა ემსგავსებოდა ძუ ვეფხვს, რომელიც
 თავის ტოტებქვეშ დამორჩილებულს მსხვერპლს
 პგრძნობდა და მის უღონო, შემადრწუნებელს თრთო-
 ლას აღტაცებაში მოჰყვანდა (აღ. ყაზბეგი). მთიულის
 სახე გაშმაგებულს ვეფხვს დამსგავსებოდა, რომელსაც
 მსხვერპლის სიახლოვე ეგრძნო და სურვილად მხო-
 ლოდ მისი სისხლით გაძლომა მოსწადებოდა (აღ. ყაზ-
 ბეგი). 5. ფიცხი და ძლიერი ადამიანი: -ოჰ, როგორი ფი-
 ცხი ჰყოფილხარ, ლომს კი არა, ვეფხვს ჰგვანებიხარ, -
 უთხრა უმანსკიმ (გ. წერეთელი). 6. მოულოდნელი სახი-
 ფათო შეტევის შემძლე ადამიანი: განაბულ ვეფხვსავით
 ისკუპა არზაყანმა და ეცა ტარბას, მარჯვენა ხელი
 გადაუხნიქა (კ. გამსახურდია). 7. ნახტომით შემტევი:
 ციცკა გადახტა როგორც ვეფხვი და ერთის დაკვრით
 გააგორა უზრდელი სალდათი (აღ. ყაზბეგი). 8. მრისხა-
 ნე, თავზარდამცემი ხმის მქონე ვაჟაკი: - სისხლი, ხან-
 ჯალი... შვილი, შვილი! რა იქმნა ჩემი შვილი! - ძალ-
 ზედ შეჰკივლა და ვეფხევივით ღრიალი დაიწყო (აღ.
 ყაზბეგი). გმირის ტირილი გამწარებული ვეფხვის რუხ-
 რუხსა ჰგვანდა, რომლისთვისაც ვიღაც თავხედ მონა-
 დირეს ლეკვები მოუპარავს (ვაჟა). 9. მოსიყვარულე და
 შეიღების სიცოცხლის დამცველი მშობელი: ამ დროს იმი-
 სი ქცევა ვეფხის სიყვარულს მოაგონებდა კაცს, როცა
 ზურგზე კნუტები უსხედან (გ. წერეთელი). ვეფხვის შეუ-
 პოვრობა - განსაკუთრებული შეუპოვრობა: ...[უჯუშს] ის



იმედი აღარ ამხნევებდა, უარეს მდგომარეობაშიც რომ
 ლომის ძალასა და ვეფხვის შეუპოვრობას მატებდა (ღმრთისწინა
 ქიანელი).

ვეფხვური - ვეფხვის შესაფერი. **ვეფხვური შეტევა** - გმირუ-
 ლი, გაჟაკური შეტევა. **ვეფხვური ნახტომი** - მძლე გაჟაკის
 შემტევი ნახტომი.

ვეშაპი - ზღვის უდიდესი ძუძუმწოვარა ცხოველი. 1. **ვე-
 ბერთელა, დეგემირული გარეგნობის გაჟაკი**: ლუარსაბი:
 [მამანემი] უშველებელი კაცი სადმე იყო თურმე. ხორე-
 შანი: ერთი ვეშაპი რამ ბრძანდებოდა, სწორედ ვეშაპი
 (ილია). 2. **მტაცებელი, მოძალადე, გლეჯია**: თქვენ ბევრი
 ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იმავე უფლებით ჩა-
 გველაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და
 ლიფსიტას ვეშაპი (კ. გამსახურდია). შენისთანა ვეშაპი-
 სათვის და სოციალისტური საკუთრების მიმთვისებლი-
 სათვის ადვილი სათქმელია ოცდაათი მანეთი., როცა
 მილიონ ცხრაასი ათასი გაქვს მიტაცებული!... (ნ. დუმ-
 ბაძე). 3. **უძლეველი, ღონიერი, მძლე გაჟაკი**: ქარივით და-
 ვცემოდა, წამოფრენილ ვეშაპივით დაეტაკებოდა ვინმე
 ლალ ვაჟაკს, რომელიც შეუპოვრად მიაბიჯებდა გზა-
 ზე და საღამის თუ ქუდის მოხდით ციციკორეს შესა-
 ფერ პატივს არ მიაგებდა (გ. ლეონიძე).

ვირი - გრძელყურა შინაური მუშა ცხოველი, რომელსაც
 სიჯიუტე ახასიათებს. 1. **ზორბა და ღონიერი**: ის ახვარი
 კაი ვირი იყო და მაგარიცა სთხლიშა (ჭ. ამირეჯიბი).
 2. **უტვინო, ბრყვი, შეუგნებელი, ხეპრე**: არ მაგდისა, შე
 ვირო, შე გაუთლელო, ამაიარე, მაკოცე! - ჩამომძახა
 პაპამ (ვაჟა). თქვენ ღორის სული და ვირის ჭკუა
 გაქეთ... მის უდიდებულესობას... თქვენმა მამა-პაპამ ფი-
 ცით აღუთქვა ერთგულება, თქვენ იმ ფიცსაც უღალა-
 ტეთ... (ჭ. ამირეჯიბი). **რწმუნებული** [ჯარისკაცებს] - მო-
 ითმინეთ და გამოგცვლიან. წედანაც დაფურეკე, დამაცა-
 ლეთ. / 1-ლი **ჯარისკაცი** - (მეორეს) ეს არის, ბიჭო, თა-
 ვისუფლება? / 2-რე **ჯარისკაცი** - ვირები გენახა რაღა!
 (პ. კაკაბაძე). შენ რო დაკარგოდი დედას, ექვსი წლი-

სა, რა ჭკუაზე დადგებოდი? ვირო! (ზ. სამადაშვილი).

3. **უზრდელი, ტუტუცი, თავხედი, მოურიდებელი:** ადრეუტანტი — ვირი ხარ. მორიდება არა გაქვს, ყველაფერს მიეკითხები (პ. კაკაბაძე). როგორ მეღაპარაკები, შე უზრდელ ვირო? 4. **ჯიუტი:** ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევენებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს (ილია).

5. **მიმე ჯაფას შეჩვეული ჯიუტი ადამიანი, ვისაც პრეტესტი არ უნდება მისი ჩაგვრის გამო:** დიტო დაემსგავსა საპალნეში გაჩვეულ ვირს, რომელსაც რაც უნდა ბევრი სცემო, თუ წელში გაიზნიქება, თორემ სიარულს ვერ მოამატებინებ (გ. წერეთელი).

6. **უგრძნობი, სქელკანიანი:** რამდენიც უნდა სცემონ, არ ეტკინება, მისთვის სულერთია. 7. **უხალისო, იმედგადაწურული:** გაჩუმდა დასტურიძე, ჩამოჰყარა ყურები დაღლილი ვირივითა (ჭ. ამირეჯიბი).

8. **ყროყინა, უშნო ხმით მღაპარაკე:** ვირივით ყროყინი იცის მაგ ოხერმა.

ვირგლა — დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრყვი ადამიანი: ჭკუა სულ არა გაქვს, შე ვირგლა, შენა?

ვირეშმაკა — ბრყვი, თანაც ეშმაკი ადამიანი: უჰ, ესა მელაა, ამან ყველაფერი იცის. ესა იმ ვირეშმაკის კაცია (ჭ. ამირეჯიბი). აი, ქალბატონო ელენე, ვითომ გულუბრყვილო ნ წლის ბავშვი და სინამდვილეში რამხელა გასაიდუმლოებული ვირეშმაკაა! (ზ. სამადაშვილი).

ვირეშმაკობა — ვირეშმაკას თვისება: მაგისი ვირეშმაკობით არავინ მოტყუვდება.

ვირთაგვა — თავზე დიდი მღრღნელი ცხოველი, ვირთხა.

1. **მაგნებელი ადამიანი, ვინც სახელმწიფოს, ან სხვა მოქალაქეთა ქონებას ითვისებს ფარულად:** გამოხრეს ხაზინა ამ ვირთაგვებმა. 2. **მშიშარა მაგნებელი ადამიანი:** დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!.. (ილია). მას აქვს ნათქვამი აქაური ვირთაგვებისათვის, — ამ კაცს ბეწვი არ ჩამოუვარდეს არსაიდანო, და შიში მათი ხელობაა, ეშინიათ, ვერაფერს მიზამენ მე (ჭ. ამირეჯიბი).

3. **წაწვეტებული ცხვირპირის მქონე**



უსიამო ადამიანი: მაგ საზიზღარ კაცს ცხვირ-პირი ვირთაგვას უგავს. კაციჭამია ვირთაგვა // კაციჭამია ვირთაგვა დაუნდობელი ადამიანი, ვინც თავისიანებს სპობს: ვიცი, [სარჩიმელიას სახით] კაციჭამია ვირთაგვა გამოიყვანეს მაგათ! (ჭ. ამირეჯიბი). გემის ვირთაგვა // გემის ვირთხა — ეგოისტი და მხდალი ადამიანი, ვინც საფრთხის დროს პირველი გარბის თავის გადასარჩენად: რუსები თბილისისკენ წამოვიდნენო და ზოგმა ვირთაგვამ საზღვრისკენ მოკურცხლა თავის საშველად.

ვირთხა — იგივეა, რაც ვირთაგვა. 1. მავნებელი ადამიანი, ვინც სახელმწიფოს, ან სხვა მოქალაქეთა ქონებას ითვისებს ფარულად: თანამდებობა მაგ ვირთხას რომ მისცეს, ვილაცას მაინც ხომ უნდა ეფიქრა, რომ ბიუჯეტს დაუწყებდა ხერას?! 2. ვინც საშიშროებას ადრევე გრძნობს და თავს მოხერხებულად შეგლის: ...როდესაც წარღვნა მოდის და სოროები წყლით ივსება, ჭკვიანი ვირთხა მაშინ მაღალ მწვერვალებს ეძებს... (პ. კაკაბაძე). როგორც კი საფრთხეს იგრძნობს, ეგ ვირთხა ყველაზე ადრე იმალება. 3. წაწვეტებული ცხვირ-პირის მქონე უსიამო ადამიანი: მართლა ვირთხას არ უგავს ცხვირ-პირი მაგ წყეულს?!

ვირისთავი — სულელი, უჭკუო, ბრყივი: ვირისთავო, ცოლ-შვილი თუ გყავს, რა გაძინებს, ამოდი ჩემთან და ერთად ვიტროთ!... (ნ. დუმბაძე). რა დროს შენი ღვინოა, შე... ვირისთავო (ზ. სამაღაშვილი).

ვირიშვილი — ვიგინდარა, უვარგისი ადამიანი: — დაასხით [ღვინო], თავზე დაასხით მაგ ვირიშვილს, მაგას! — დაიყვირა თამადამ (ვაჟა).

ვირთბა — ვირად ყოფნა. 1. სიბრყივე, სისულელე. 2. უზრდელობა, ტუტუცობა.

ვირულ-ი — ბრყივული, სულელური (საქციელი).

ზაზუნა – მინდვრის მომცრო მღრღნელი. 1. ლოყებპუტკუნა ბაგში: ნამდვილი ზაზუნაა, უყურე, რა პუტკუნა ლოყე-ბი აქეს! 2. ვინც გამუდმებით ისუსნება: სულ ჭამს ზაზუნასავით. 3. ვინც საჭმელსა და წერილმანს მაღაგს ხოლმე: კამფეტებს ზაზუნასავით მაღაგს.

ზარნაშო – დიდი ბუ.

ზაქი – კამეჩის ნაშიერი. 1. სქელი, ზანტი და მოუხეშავი კაცი, ან ბიჭი: ეს ბიჭი ზაქივით ზანტია, ვერაფერს ასწრებს. 2. ვინც ბევრს სვამს: ზოგი უცნაურს გაჰკივის, ზოგი კი თავს დიდრონ ჯამში ჰყოფს და ახლად მოხარშულ ლუდს წყურვილით გატანჯული ზაქივით სვრეპავს (მ. ჯავახიშვილი). 3. თავგზააბნეული, გზაკვალარეული ადამიანი: მეც დაკარგული ზაქივით დავბორი-ალებ – ოთხ კედელში ჩაჭედილი და თითქმის დამუნჯებული (მ. ჯავახიშვილი). 4. ზაქის თვალებით ცქერა/ყურება – უაზროდ, ან საწყლად ცქერა: რას მიყურებ ზაქის თვალებით?

ზებრა – ცხენის მსგავსი ზოლებიანი გარეული ცხოველი. ვისაც ზოლებიანი სამოსი აცვია: ეს რა ზებრასავით აჭრელებულხარ?

ზერდაგი – ჩალისფერი ცხენი.

ზევარაკი – მსხვერპლად შესაწირავი საკლავი. მსხვერპლად შეწირული ადამიანი: ილია ზვარაკად შეეწირა სამშობლოს.

ზევარაკობა – ზვარაკად ყოფნა, ან გახდომა: თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ (აკაკი).

ზევიგენი – ზღვის დიდი მტაცებელი თევზი, ნათელთევზა.

1. მტაცებელი, გლეჯია, მოძალადე: დღეს ჩვენში ზვიგენები მომრავლდნენ. 2. მსხვილი მაქინატორი.



ზმუილ-ი - საქონლის გაბმული ხმიანობა. ადამიანის გაბმული, დაუნაწევრებელი ხმიანობა: ისმოდა მათი ხენქმა და გამცემლიძის გაბმული ზმუილი (ნ. დუმბაძე).

ზუბრ-ი - გარეული ხარი.

ზუთხ-ი - დიდი ძვირფასი თევზი, თართი. 1. კარგი მცტურავე: ზუთხივით ცურავს. 2. მოქნილი, ტანკენარი გოგონა: ზუთხივით მოქნილი, სხმარტალა გოგოა.

ზურგიელ-ი - ძვირფასი თევზის ზურგის დამარილებული და მზეზე გამომშრალი ნაჭერი.

ზღარბ-ი - ეკლიანი ტყავით მოსილი პატარა ცხოველი. 1. უკარება, ეკლიანი ხასიათის მქონე, ძნელად საურთიერთო ადამიანი: მაგასთან ურთიერთობა ძნელია, ზღარბივით ეკლიანი კაცია. 2. აბურმენილი თმების მქონე: ...ეი, ზღარბო, თავი არ დაარტყა, ბურთი გასკდება! (ა. სულაკაური). იქნებ მართლა ვგავდი ზღარბს? დაეჭვებული სარკეს მივადგებოდი და საკუთარ თავს დიდხანს ვათვალიერებდი სარკეში. მაინც რა საძაგელი თმა მქონდა, აბუბგული, აჯაგრული, მოუხეშავი (ა. სულაკაური). გამოცვივდნენ ბიჭები წყლიდან აკანკალებულები, თმები ზღარბებივით ედგათ, კბილებს აკაწაწებდნენ (რ. ინანიშვილი).

თაბუნ-ი – გუნდი, ჯგუფი (ცხოველებისა, ადამიანებისა).

თაგე-ი – გრძელკუდა პატარა მღრღნელი ცხოველი. 1. **ჩუმჩუმელა**, **მავნე**, **სხვისი ქონების წამხდენ-მიმთვისებელი**: ეს სულ იმ თაგვის საქმეა (გ. წერეთელი). იქ რამდენსამე წელს ემსახურნა და ადრე მიმხედარიყო კანცელარიის პოლიტიკას, რომლის გულისთვისაც ბედლის თაგვი უწოდეს (გ. წერეთელი). 2. **ქურდი**, **მპარაგი**: სუფთა და ევროპულად ჩაცმულ ადამიანს იმ საკანში ისე უხვდებოდნენ, როგორც საქურდავად შესულ თაგვს (მ. ჯავახიშვილი). 3. **მახეში გაბმული**, **მოულოდნელ ხიფათში ჩაფარდნილი**, **გამოუვალ მდგომარებაში მყოფი ადამიანი**: ამ ღამით დაცემამ ჩემი ჯარი ერთობ წაახდინა. ისინი, თაგვები რომ მახეში გეებმება, ისე იცქირებოდენ, იქნება სადმე გასაძრომი ალაგი მოვძებნოთ და გვეიქცეთო (გ. წერეთელი). 4. **მშიშარა**, **მხდალი**, **ლაჩარი**: ეს ხედვართ და ისე შევცქერით რკინის არწივს [ე.ი. თვითმფრინავს], როგორც თაგვები კატას (მ. ჯავახიშვილი). **მესამეკლასელი ბიჭი** თაგვივით ემაღებოდათ (რ. ინანიშვილი). 5. **მოძალადის**, **უფრო ძლიერის ხელთ ჩაფარდნილი ადამიანი**: ითამაშა, ითამაშა და რომ მოსწყინდა, როგორც კატას თაგვის თამაშობა, დაუწყო ვაშლს კბენა (ს. მგალობლიშვილი). 6. **მოკუნტრუშე**, **სწრაფი**: ბავშვები თაგვებივით დახტოდნენ ეზოში. 7. **მოქნილი**, **ვიწრობაში იოლად გამძრომი**: თაგვივით გავძვერი ხვრელში. 8. **წაწვეტებული**, **ბასრი კბილების მქონე**: უსაზმნოდ იცინოდა ტყირპიანი, თაგვის კბილისებრ წაწვეტებულ, თეთრ ღოჯებს აჩენდა (კ. გამსახურდია). 9. **თხილისა და კაკლის მოყვარული**: ეგ თაგვი სულ თხილს აკნატუნებს. 10. **წვრილი და გრძელი უღვაშის მქონე კაცი**: – მე მართლა თაგვი მეგონა, თორნიკე, შენი უღვაშები. / – მე ეს თაგვის კუდები დაბადებიდან ასე დამყვა, – უთხრა გლეხმა და თან ტუნები ისე ააცმაცუნა, მართლაც, ყმაწვილს უღვაშები ორ თაგვად გამოეხატა და თვალები კიდევ უფ-



რო გაუცოცხლდა (გ. წერეთელი). **მინდვრის თაგვი** - მარტოხელა, მარტო მცხოვრები, განაპირებული ადამიანი; თვალში მეფუქსავატება! მაგას მაინც არ გაყვები [ცხოველები] ლად, სულ რომ მარტო დავრჩე, მინდვრის თაგვივით! (გ. ლეონიძე).

თაგაზიდულ-ი - იგივეა, რაც **თაგამწვევი**: ციციკორე თავისას არ იშლიდა: გულდიდობას, გულზვიადობასაც აბრალებდნენ, თაგაზიდულიაო... (გ. ლეონიძე).

თაგამწვევი - დაუმორჩილებელი, თავის ნებაზე მავალი, ლაგამაწყვეტილი (ცხენი). **თაგაწყვეტილი**, **დაუმორჩილებელი**, **თაგნება** ადამიანი: კვაჭიც ...თაგამწვევ ცხენივით გადავარდა მრუშობისა და ვნების ხანძარში (მ. ჯავახიშვილი).

თაგკომბალა - ბაყაყის, გომბეშოს, ვასაკას ნაშიერი, რომელსაც ტანთან შედარებით მეტად დიდი თავი აქვს. **მსხვილთაგა** ადამიანი (**უპირატესად** **ბავშვი**): შენ მაინც გაჯობებ, შე თაგკომბალა!

თაგლა - ცხენების სადგომი, საჯინბო. **უწესიგო**, **უსუფთაო** **სახლი**: მაგ თაგლაში რა აცხოვრებს, დააღაგოს მაინც.

თათ-ი - ზოგი ცხოველის ფეხი. 1. **ვაჟაკის მსხვილი ხელი**: ჯურხა - აბჯარ-მუზარადში ჩამჯდარი ლომი - კისერზე მიიმე თათს მადებს (მ. ჯავახიშვილი). ...იმან, ვისაც ლიჩელი უწოდეს, თავისი დათეური თათი დაადო მხარზე ჩალმავს (კ. კამსახურდია). 2. **ბავშვის, ჩვილის ხელი**: ბავშვი დედისკენ იშეერს თავის თათებს.

თართ-ი - ზუთხის მსგავსი ძვირფასი თევზი.

თახვი - ძვირფასბეწვიანი წყალში მცხოვრები მღრღნელი. **ბასრებილებიანი** ადამიანი: მაგას თახვის კბილები აქვს.

თევზ-ი - წყლის ხერხემლიანი, ცივისსხლიანი ცხოველი. 1. **უგრძნობელი**, **გულცივი** ადამიანი: მარისთან გრძნობა-

ზედ ლაპარაკი ტყუილი შრომაა, რადგანაც მაგას თვე-
 ხსავით გაყინული სისხლი აქვს (ალ. ყაზბეგი). 2. **უმე-**
ტყველო, უაზრო მზერის მქონე: ამ ბავშვს თვეხელს თვეხელ
 ლები აქვს, ვერ მიხვდები, რას გრძნობს. 3. **ვისაც სა-**
თქმელის გამოსატვის საშუალება მოსპობილი აქვს: სათქმე-
 ლი ბევრი გვაქვს, მაგრამ ვინღა გვათქმევინა! თვეზისა
 არ იყოს, პირი წყლითა გვაქვს სავსე (აკაკი). 4. **არაბუ-**
ნებრივ პირობებში მყოფი, საარსებო გარემოს მოკლებული
ადამიანი: აი, ახლაც სისხლის ოფლს ვაწვიმებთ, წე-
 ლებზე ფეხს ვიდგამთ, მოსავალი მოგვყავს, თქვენ მი-
 გაქეთ, ჩვენ მშრალზე ვრჩებით თვეზივით და მშვიერი
 კუჭით დაეწოწავთ ქვეყნად (ს. მგალობლიშვილი). უფუ-
 ლო კვაჭი უწყლო თვეზივით ეგდო ნაპირზე და სულს
 ჰდაფავდა (მ. ჯავახიშვილი). როგორც იქნა, მოვიკიდე
 ფეხი [ტროლეიბუსის საფეხურზე], ვიღაცის უხეშ პი-
 ჯაკს ვეხახუნებოდი სახით. თავს მაღლა ვწევდი ჰაერ-
 შემოკლებული თვეზივით (რ. ინანიშვილი). 5. **ძალაგამო-**
ღეული, დაუძღვრებული: მერე ზეზე წამოდგომა რომ
 მოინდომა, სიცივისაგან გაშეშებული ხელები და მუხ-
 ლები ვეღარ მოიხმარა და, როგორც წყლიდან ამოყვა-
 ნილი თვეზი, ისე ფორთხავდა მიწაზე (გ. წერეთელი).
 6. **მოკრძალებული ადამიანი:** მისი წვრილი, ლოპინარის-
 ფერი თვალები ისე მოკრძალებულად გამოიყურებოდ-
 ნენ, როგორც შუშიდან თვეზი (კ. გამსახურდია). 7. **მო-**
უხელთებელი ადამიანი, ვინც იოლი დასამორჩილებელი არ
არის: ...ზოგი [პატიმარი] თვეზივით არის, გკონია, რომ
 ხელში გყავს, ოდნავ მოუჭერ და კაღმახივით გის-
 ხლტება იმის შიშით, რომ ლაყუნში სტაცებ ხელს და
 ნაპირზე ამოათრევ... (ნ. დუმბაძე).

თვეზიყლაპია – საშუალო ზომის წყლის ფრინველი.

თეთრონი – თეთრი ცხენი.

თვალშაფი – შავარდნის მსგავსი პატარა მტაცებელი
 ფრინველი.

თვალჭყეცია – საშუალო ზომის გარეული ფრინველი.

თიკან-ი - თხის ნაშიერი. 1. ხუჭუჭთმიანი ბაგში: დახე ამ თიკანს, რა ხუჭუჭი თმები აქვს! 2. ბაგში, რომელიც უფრო რისს უკან დასდევს მოუშორებლად: გოგო, რა თიკანს დასდევს დამდეგ უკან, მაცალე საქმის კეთება! 3. უზრუნველი, ლაღად მითამაშე, ცელქი ბაგში: ბაგშეები თიკნებივით ცელქობდნენ. 4. ვინც კუნტრუშებს: სტუმარი რომ მოვიდოდა, იატაკიან ოთახში შეიყვანდა და როცა სტუმარი თიკანსავით კვინტრიშით შეივრბენდა ციცაბო კიბესა, აუთანდილი ბოდიშს მოჰყვებოდა (ვ. წერეთელი). 5. ტუტუცი: თურმე მე თვითონვე ვყოფილვარ თიკანივით ტუტუცი (მ. ჯავახიშვილი). 6. ვინც კიკინა ხმით ღაპარაკობს: თიკანივით ნუ კიკინებ!

თელია - წყლის თეთრბუმბულიანი ფრინველი.

თოხარიკი - 1. ცხენის კოხტად, გოგმანით სიარული. 2. ამგვარად მოარული ცხენი. თოხარიკის გამოჩენა - ვინმესაგან მოულოდნელი თვისების გამომჟღავნება: ქა, ვერ უყურებ ამ ჯაგლაგს, რა თოხარიკი გამოიჩინა! შე უბედურის დღისაჲ, ენა არ უნდა მოგვარდეს, რომ მამაჩემს ეგრე იხსენიებ (ილია).

თოხარიკობს - თოხარიკით, გოგმანით, მოხდენილად მიდის (ცხენი). 1. სწრაფად გარბის: სად მითოხარიკობ ასე გამალებით? 2. უშნოდ დარბის: ერთი ვანოს უყურე, რა სასაცილოდ მითოხარიკობს! 3. აქეთ-იქით დაძრწის: მთელი დღე დავთოხარიკობ, იქნებ ორი ღუკმა ვიმოვნო-მეთქი.

თოხიტარა - იგივეა, რაც ბოლოქანქარა.

თოხლი - 1. ცხვარი ექვსი თვიდან ერთ წლამდე. 2. საჭმელი (ქარგონზე).

თოხლაობა - გამალებით ჭამა (ქარგონზე).

თრია - ციყვის მსგავსი მღრღნელი ცხოველი.

თრითინა - კვერნის მსგავსი პატარა კოხტა მტაცებელი ცხოველი, დედოფალა, სინდიოფალა. 1. პატარა ტანის,

ცელქი და მოქნილი ბავშვი: ეს თქვენი თრითინა ძალიან ცელქი და მოუსვენარია. 2. თვალვდაკუსული ადამიანი: იმ გოგოს თვალები ჰქონდა დაკუსული და თრითინა დაგარქვით.

თუთიყუში - ტროპიკული ფრინველი, რომელსაც ხმების მიბადება შეუძლია. 1. უსიამო, მჭახე ხმის მქონე ადამიანი: ინო ხან თუთიყუშივით ჩხაოდა, ხან ოთხზე დგებოდა და იბახდა, შემხედე, შემხედე, ცუბა ვარო (ო. ჭილაძე). 2. ვინც გაუაზრებლად იზეპირებს და იმეორებს სხვის ნათქვამს: კვატმა "არა" თუთიყუშივით დაიზეპირა და "ჰო" სამუდამოდ დაივიწყა (მ. ჯავახიშვილი). ქალიშვილები თვალეში შესციცინებდნენ დედას, როგორც კარგი მოწაფეები მასწავლებელს და თუთიყუშივით იმეორებდნენ და იზეპირებდნენ მის სიტყვა-პასუხს (ო. ჭილაძე).

თულუნ-ი - ცხენის ერთგვარი ჯიში.

თქარათქურ-ი - ცხენის ფეხის ხმა ჭენებისას, თქარუნი. ხმაურით სირბილი ადამიანისა: შეშფოთებული კაცები თქარათქურით დარბოდნენ.

თქარუნ-ი - იგივეა, რაც თქარათქური.

თხა - წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. 1. თავხედი, მოურიდელებელი გოგო: მაგას ერთი მოურიდელებელი თხა გოგო ჰყავს. 2. ახტაჯანა, ქალაბიჭა გოგო: ნუ გავიწყდება, რომ გოგო ხარ, შე მართლა თხაო! 3. წვრილი, კიკინა ხმის მქონე: [სტუდენტი] ...მთელი დრო, რაც ხ...სკი ჩვენთან დარჩა და ლაპარაკობდა, თხასავით კიკინებდა (გ. წერეთელი). 4. გრძელწვერებიანი კაცი: იმ კაცს თხასავით წვერები აქვს. 5. სულელი, უჭკაო, ცვრცვტი, ცანცარა, არასერიოზული ადამიანი: [სტუდენტი] ...სულელ თხასავით გამომტერებული შესცქეროდა ხ...სკის (გ. წერეთელი). 6. ვისაც ტუჩების ცმაცუნი სჩვევია: კუდიანურად, თხასავით ააცმაცუნებს ტუჩებს (ს. მგალობლიშვილი). 7. ვისაც ეშმაკური გამოხედვა, თვალების მოუსვენრად ცვცვბა სჩვევია: ეგ კაი სული არ არის, თვალებს თხასავით აცვცვბს. 8. ვისაც გზა ებნევა, ვინც სახლს ვერ აგნებს:



მთავარი მერე დაიწყებოდა, როცა ორივეს დაკარგული თხებივით გამოვლავდნენ დარიაჩანგის ბაღიდან (გ. ჭილაძე). რა გჭირს? რა თხასავით გავიწყდება სახლის გზა! 9. ერთობადაკარგული, დათითოვებული ხალხი: ნუ-თუ ამისთანა რკინის კედელს გაუძლებს თხებსავით დაბნეული, გაუწვრთნელი ხალხი, რომელმაც არც წესი იცის, არც რიგი, არც იარაღის ხმარება? (გ. წერეთელი). საწყლები, როგორ თხებივით დაიფანტნენ!.. (გ. წერეთელი). 10. უმწეო, დასადუჰად განწირული მსხვერპლი: თუ მარჯვედ არ იქნები, ეგ თხასავით შეგჭამს. 11. ვინც გაუფალ ადგილებს ეტანება, ვინც იოლად ძვრება კლდოვან ფერდობზე: სად წასულა ეს უპატრონო, იმ კლდეებში რა უნდა, თხა ხომ არ არის!.. (ნ. დუმბაძე). საელიობო თხა - ბრყვი, ჩერჩეტი, უტვინო: საელიობო თხა მეტსახელია ერთი პერსონაჟისა გ. წერეთლის მოთხრობაში "ჩვენი ცხოვრების ყვაილი". დიტოს უგონებდნენ სხვადასხვა სასაცილო სახელებს: ხან "საელიობო თხას" ეძახდნენ, ხან "სვიას", ხან "თავკვატუშას", "თხის ტვინას" და ვინ იცის რამდენს რას (გ. წერეთელი). ყოჩაღ, დიტო... ამ ბოლო დროს ჩვენმა საელიობო თხამ ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ ძილშიაც კი ლაპარაკობს რუსულათაო (გ. წერეთელი). თხასავით გაყიდის - უნამუსოდ, დაუნანებლად უღალატებს: ...ახლა ის მაწუხებს, მებურიშვილო, ოცდაათ ყალბ საფლავში რომ გაყიდე შენი პარტია და მანდატი, მე რაღას მიზამ, მე ხომ მთლად თხასავით გამყიდი და თხასავით გაყიდი ყველას ამათ!.. (ნ. დუმბაძე).

თხაწვერა - თავისებურად წაგრძელებული წვერების მქონე და მოსულელთ კაცი.

თხისტვინა - უჭკუო, სულელი, ბრყვი, ჩერჩეტი ადამიანი: დიტოს უგონებდნენ სხვადასხვა სასაცილო სახელებს: ხან "საელიობო თხას" ეძახდნენ, ხან "სვიას", ხან "თავკვატუშას", "თხის ტვინას" და ვინ იცის რამდენს რას (გ. წერეთელი).

თხისწვერა - იგივეა, რაც თხაწვერა. თხისწვერა მეტსახე-

ლია ერთი პერსონაჟისა გ. წერეთლის მოთხრობაში
“ჩვენი ცხოვრების ყვავილი”. დიტოს უგონებდნენ სხვა-
დასხვა სასაცილო სახელებს: ხან “საელიფტო-თხას”
ეძახდნენ, ხან “სვიას”, ხან “თავკვატუშას”, “თხის ტვი-
ნას” და ვინ იცის რამდენს რას (გ. წერეთელი).

თხუნელა – მიწაში მობინადრე ბრმა ცხოველი. 1. ვინც
სულ მიწას თხრის, ან მიწას ამუშავებს: მაგ კაცი თხუნე-
ლასავეთ სულ მიწას ჩიჩქნის. 2. ვინც საზოგადოებას გა-
ურბის: ეგ თხუნელა სულ შინ გდია, ხალხს არ ეკარე-
ბა. 3. ვინც ვერ ხედავს, ან ვერ ხედება, რა ხდება: ეგ თხუ-
ნელა ვერაფერს ხედავს, ამ ქვეყნის აზრზე არ არის.

0

იაბო – დაკოდილი ცხენი, ლაფშა.

იადონი – 1. მთიულას ოჯახის მგალობელი ფრინველი. 2.
ბუღბუღი. 1. კარგი მომღერალი, ტკბილი ხმის პატრონი
ადამიანი: ნინო იადონია, ტკბილი ხმა აქვს. 2. კოხტა, პა-
წია და საყვარელი ადამიანი (ბავშვი, ქალიშვილი): – შენ
სტირი, იადონო?... – და თან ვეფხვივით მივარდა ლი-
ზას (ეკ. გაბაშვილი).

იალაღი – საზაფხულო საძოვარი. იალაღზე მიუშვებს სა-
ქონელს გაუშვებს საძოვარზე. ადამიანს აკრძალული სა-
ქმის კეთების საშუალებას მისცემს უფროსმა იალაღზე
მიუშვა და ისიც ქაფავს ფულებს.

იბარტყებს – 1. ბარტყებს გააჩენს, გამრავლდება (ფრინვე-
ლი). 2. ამოიყრის, გამრავლდება (მცენარე). გამრავლდე-
ბა (ადამიანი, ოჯახი, საქმე).

იბღავლებს – ბღავილს დაიწყებს (ცხოველი, ადამიანი).



ობღუნებება – იკუნტება, იკუმშება, იბუზება (აღამიანი).
ბღუნებელა.

იგესლება – იკბინება და გესლს უშვებს (გველი). გესლიან სიტყვებს ამბობს: სანამ მისი მშობლები ასისინებული ასპიტებით იგესლებოდნენ, შიშისაგან ძვლებიც უკანკალებდა (ო. ჭილაძე). მაგისი პირიდან კარგი სიტყვა არ ამოვა, სულ იგესლება გველივით.

ივეოს-ი – ჭაობის მაღალფეხება და გრძელნიკარტა გარეული ფრინველი.

იზმუვლებს – ზმუილს გამოსცემს (ცხოველი, აღამიანი).

იკატუნებს თავს (ეტიმოლოგიურად: კატასავით იქცევა) – თავს მოისაწყვლებს, თავს მიამიტად მოაჩვენებს: თავს ნუ იკატუნებ! კარგად ვიცი, რაცა ხარ.

იკეკება – ნისკარტით ბუმბულიან ტანს იქეკავს.

იკლაკნება – იგრიხება, იკრუნჩხება, მიხევეულ-მოხევეულად მიდის (გველი, ანკარა, აღამიანი): ნუ იკლაკნები გველივით, სწორად დადექი!

ინაბება – სუნთქვას შეიკრავს და დაიმალება (ნადირ-ფრინველი). **სუნთქვას შეიკრავს და განუმდება**, **გაიტრუნება**, **გატვრინდება**: ჯერ ახლაც, როცა თარაში ლაპარაკს დაიწყებს, თამარი ისე გაინაბება, როგორც ნაქერალში მწყერი (კ. გამსახურდია).

ინდაურ-ი // **ინდოურ-ი** – მოზრდილი შინაური ფრინველი.

1. **ამპარტავანი**, **ქელმაღალი**, **ბღენპია** **აღამიანი**: გუშინ თქვენი ინდაური გამგე იფუყებოდა ტელევიზორში. 2. **ჩერჩეტი**, **ბრიყვი**, **მოსულელო**, **შტერი**, **მიხუვედრელი**: არა, ამნაირი ინდაურისთვის ლუკმაპური რომ კიდევ სადმე იშოვება, ისა თქვას კაცმა!.. (ჭ. ამირეჯიბი). გაიგე, შე ინდაურო, რომ ორჯერ ორი ოთხია! 3. **ვისაც გზა ებნევა**, **უზო-უკვლოდ მავალი**, **თავგზააბნეული**, **აქეთ-იქით მოხეტიალე**: ღიზა-ხანუმის მეუღლე და “სახლის” მოურავი კვაჭი კვაჭანტირაძე დაკარგული ინდოურივით დაბორი-

ალებს (მ. ჯავახიშვილი). მურთუზას ჯავრი მოუვიდა იმათ უმეცრებაზე და დაცინვით წამოიძახა: "ბელრევეებს ინდოურებსავით აუღიათ თავი და მიდრინა!" (სლ. ყაზბეგი). 3. ვინც საჭმელს განურჩევლად ჭამს და დაუღუჭავად ყლაპავს: როგორც ვფიქრობ, იმას უფრო ბევრი მჭადის გუნდები უნდა ეყლაპა თავის გლეხების სასუქ ინდოურსავით (გ. წერეთელი). ბიჭო, ინდაურივით კი ნუ ყლაპავ მაგ საჭმელს, კარგად დაღეჭე! 4. ავადმყოფი, სნეული, მისუსტებული და იმედგადაწურული ადამიანი: რას ჩაგიქინდრიათ თავები ჭირიანი ინდაურებივით! (ს. მგალობლიშვილი). 5. მოჩხუბარი, აგრესიული ადამიანი, ვინც მზადაა საჩხუბრად: ნუ იფხორები მამალი ინდაურივით. 6. უსიამო ხმით, ხმაბლდა და გაურკვეველად მოლაპარაკე: მაგან მასე იცის ინდაურივით ლუყლუყი, მისას ვერაფერს გაიგებ.

იორლა - 1. კარგად მოსიარულე ცხენი, თოხარიკი ცხენი. 2. თოხარიკით სიარული (ცხენისა). ვინც სულ დარბის, დაჭენაობს: მთელი დღე იორლა ცხენივით დაუჭენაობ, რომ ორი ლუკმა ვიშოვნო.

ირალ - 1. ერთგვარი დიდი გარეული ფრინველი. 2. დიდი ფრინველის ნარნარად ფრენა. 3. უპატრონო, დაკარგული პირუტყვი.

ირემი - დიდრქიანი გარეული მცოხნელი ცხოველი. 1. ლადი ადამიანი: ეგ ბიჭი ირემივით ლადია. 2. ამაყად და კოხტად მავალი ადამიანი (უპირატესად ქალი): შეხედე, ის გოგო ირემივით არ მოდის?! 3. ტანადი, მოხდენილი ადამიანი: ბარში ირემივით შხვართი გოგოები შემოვიდნენ. 4. ყელყარყარა, ყელმოდერებული ადამიანი (უპირატესად ქალი): ილიკო უცებ შესდგა ბუნებისაგან განმზადებულს მალლობზე. ირემივით მოიყარყარა კისერი და გლეხებით გაზიმზიმებულ ეხოს თვალი მიაველ-მოაველო (ს. მგალობლიშვილი). 5. საფრთხის მოლოდინით შეშფოთებულ-დადარაჯებული ადამიანი: [თამარი]... ახლა წამოიწია, მხრები გაშალა, ღარივით გაიმართა წელში,... ყელი მოიდგრა, მკაცრი, შეუპოვარი თვალებით დაუწყო ყუ-



რება უფროს ვაჟებს - ხან ერთს, ხან მეორეს. მისი გაზრდილი ვიყავი და მისი ასეთი განწყობილება ცნობილი იყო ჩემთვის: მაშინ იცოდა ეს, როცა შეურახციროფილად თვლიდა თავს, ან ოჯახის და შვილების რაიმე განსაცდელს უგრძობდა გული - სერზე გადმომდგარ ირემს დაემსგავსებოდა ხოლმე უცებ (ჭ. ამირეჯიბი).
იბმის ნახტომი - დიდი ნახტომი: [უჯუში] ქუჩებს ირმის ნახტომებით გადარბოდა და თან ჰაკის უკიოდა ხან ხმამაღლა, ხან კიდევ ჩუმად, თავისთვის... (ლ. ქიაჩელი).
ცალრქა ირემი - მარტოხელა, მარტო მყოფი, უოჯახო, უცოლო, უქმრო: [ფუფალას] სიძულვილით სიძულდა ახლანდელი კაცები. - ესე ვივლი, ცალა-რქა ირემივით! - და მოიდერებდა ყელს: ციხის ამღების შვილი ვარ! (გ. ლეონიძე).

ირქინება - რქენა იცის, რქებს ჰკრავს, ირჩოლება. **აგრესიას ამჟღავნებს:** ნუ ირქინები, ბიჭო, თორემ მიიღებ საკადრისს!

ირჩოლება - რჩოლა იცის, ირქინება. **აგრესიას ამჟღავნებს:** ნუ ირჩოლები, ბიჭო, თორემ მოგხვედება!

იფრენს - ფრენით იმოძრაავებს. **დააფრთხობს და გააქცევს:** გუშინ ერთ მეზობელს ანგელოზები დაეფრთხებ და ვიფრინე ჩემი სახლიდან.

იფრთხიადებს - 1. ფრთხიად მოჰყვება. **2. აქეთ-იქით** მიაწყდება (ფრინველი). **აქეთ-იქით იბრუნს:** მთელი დღე რომ იფრთხიადე, საქმეს ვინ გაგიკეთებს.

იფხორება - ბუმბულს იშლის (ფრინველი). **1. საჩხუბრად მომზადებული იმბრუნება:** რას იფხორები ვითომ, ვერაფერსაც ვერ დამაკლებ! **2. იბურება, იბღინებება, ამპარტაფნულ იერს იღებს:** ისე იფხორება, თითქოს მაგის მეტს მანქანა არავის ჰყავდეს.

იღრინება - ღრენას გამოსცემს (ძაღლი). **ბუზღუნებს:** რას იღრინება ეს ბიჭი, თუ კაცი ხარ?... (ნ. წულუკისკირი). უარესად იღრინებოდა კითხვაზე, - ცუდადა ხარ, ბი-

ჭო? (რ. ინანიშვილი). რას იღრინები? მამაშენი გამა-
მწყრალია და ძაღლივით იღრინება, მოერიდე.

იყეფება – გამუდმებით ყეფს (ძაღლი). **სულ ჩხუბობს, გაა-
ვებული ილანძღება:** მაგისი დედამთილი სულ ასე იყეფე-
ბა.

იშხამება – იკბინება და შხამს უშვებს (გველი). **გესლიან
სიტყვებს ამბობს:** ტკბილ სიტყვას არ ამოუშვებს პირი-
დან, სულ იშხამება გველივით.

იშხვარ-ი – ყარყატის მსგავსი დიდი ზომის გარეული
ფრინველი.

იჩეკება – კვერცხიდან იბადება (წიწილი, ქვეწარმავლის
ნაშიერი).

იცოხნება – კუჭიდან ამოდებულ საჭმელს დეჭავს (პირუ-
ტყვი). **ზანტად, უხალისოდ ჭამს:** ბიჭო, ნუ იცოხნები,
დროზე დაღეჭე ეგ საჭმელი!

იცოხნის – იგივეა, რაც იცოხნება.

იწველება – ცურზე ხელის მოჭერით რძე მოსდის (ძრო-
ხას, კამეჩს, თხას). **კარგ შემოსაგაღს იძლევა:** მაგისი
ფირმა კარგად იწველება.

იწველის – იგივეა, რაც იწველება.

იხე-ი – ბოკნისკარტა ფეხაპკიანი ფრინველი. 1. **კარგი მო-
ცურავე და მყვინთავე:** [კაცმა] აქ რომ ჩაჰყო თავი წყალ-
ში, ე, იქ ამოჰყო, იხევიით (აკაკი). ეს ბიჭი იხევიით ცუ-
რავს. 2. **ცურვის, ბანაობის დიდად მოყვარული:** ეგ იხევიით
სულ წყალში ამყოფე, მეტი არაფერი უნდა. 3. **ყიყინა
ხმით მოუბარო:** იხევიით ყიყინა ხმა აქვს.

იხეინჯა – ერთგვარი გარეული იხეი.

იხენისკარტა – ბოკნისკარტა წყლის ცხოველი.

კაგკაგი - 1. სიცივისაგან კანკალი. 2. ლეკვის უღონო ხმიანობა. 3. წეროს ძახილი.

კაგკაგებს - იგივეა, რაც კაგკაგი.

კაგშა - თეთრფეხა ცხენი.

კაკაბი - ქათმის მსგავსი მოზრდილი გარეული ფრინველი. **გოგმანთ, მოხდენილად მთარული ქალი**: გოგოვ, გნახე ფეხშიშველი, მოგოგმანე ეზოშია, / გენაცვალე, კაკაბს ჰგავდი, მოფრთხიალეს ფერდობშია (ხალხური).

კაკანი - დედლის ხმიანობა კვერცხის დადებამდე და მის მერე. **გაუთაგებელი ღანძღვა და ჩხუბის ხმა (ქალისა)**: დუდაშენმა დილიდან თუ დაიწყო კაკანი, ხომ აღარ გაჩერდება.

კაკანებს - კვერცხის დადების წინ და შემდგომ ხმიანობს (დედალი). **გაუთაგებლად იღანძღვა და ჩხუბობს (ქალი)**: სულ ჩხუბობს და კაკანებს.

კაკანა - შავარდნის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

კალია - მავნებელი ხტუნია მწერი. 1. **ადამიანთა დიდი სიმრავლე, ბრბო**: გაიხედეს და დაინახეს, რომ ყვირილის პირად ხვადაბუნები მოდებული იყო გლეხკაცებით, კალიასავით მოჰფენოდნენ ჭალებს... (გ. წერეთელი). ქუჩაში ხალხი კალიასავით ირეოდა. 2. **გამჩანაგებელ, მათხარ ადამიანთა, მტრის ჯგუფი, გუნდი, ხროვა**: საქართველოს ხშირად კალიასავით შემოსევია მტერი. 3. **დაგრეხილი, წყრილი და მადალი ფეხების მქონე ადამიანი**: ლუკაიას განხირული ფეხები კალიისას წააგავდნენ (კ. გამსახურდია). 4. **მოხტუნავე, ხტუნვით მავალი ადამიანი**: ბავშვები ეზოში კალიასავით დახტოდნენ. 5. **ვისაც შორს გადახტომა შეუძლია**: კალიასავით ვისკუბე და ორმოს გადავახტი. 6. **გაუმადარი ადამიანი, ვინც ლუკმასაც კი არ**

დატოვებს: ესენი ვინ ყოფილან?! სუფრას მიუსხდნენ თუ არა, კალიებივით უცებ გადაჭამეს ყველაფერი.

კალმახი - ორაგულის მსგავსი ფორეჯებიანი თევზი.

1. **ტანადი, კოსტა ქალი:** ნახე, რა კალმახივით გოგო მოდის! 2. **მოქნილი, მარდი, ცქვიტი ადამიანი:** მერცია ლადი, ხორციელი, საღერდელაშლილი ქალი იყო, კალმახივით დახტოდა, უყვარდა სიმღერა, ჩაღეკურება (გ. ლეონიძე). ...ღია კალმახივით დამისხლტა ხელიდან და ქვევით დაეშვა... (ა. სულაკაური). კალმახივით მოქნილი და სხმარტალა ბიჭია. 3. **კარგი მოცურავე:** მაგან კალმახივით იცის ცურვა. 4. **ჯიშინი ადამიანი:** კალმახივით ჯიშინია. 4. **მოუხელთებელი ადამიანი, ვინც იოლი დასამორჩილებელი არ არის:** ...ზოგი [პატიმარი] თევზივით არის, გგონია, რომ ხელში გყავს, ოდნავ მოუჭერ და კალმახივით გისხლტება იმის შიშით, რომ ლაყუნში სტაცებ ხელს და ნაპირზე ამოათრევენ... (ნ. დუმბაძე).

კამეჩი // კამბეჩი - ზორბა რქოსანი მცოხნელი პირუტყვი.

1. **მოუხეშავი, ზორბა და ღონიერი ადამიანი:** - გაბო ჩხუბიშვილი ვარ! - ისე ამოიხრიალა ერთმა მოუხეშავმა კამეჩმა, თითქო ქვევრის ძირიდან ამოიძახაო (მ. ჯავახიშვილი). გაბო ჩხუბიშვილიც ოდნავ გაითალა და გაშალაშინდა, მაგრამ მაინც წინანდებურად მოუხეშავსა და უდრეკ კამეჩს ჰგავდა (მ. ჯავახიშვილი). 2. **ვინც იბღვირება, ბღვერია ადამიანი:** ჰა, ძობაჯან, რა კამბეჩივით იბღვირები, განა რა მოხდა? (ჭ. ამირეჯიბი). 3. **ვინც უეცრად ბრაზდება და გონს კარგავს:** იმანაც ბრაზმორეულმა კამეჩივით მიაშურა ახალგაზრდას, მაგრამ ის განზე გახტა და თათარმა ხელები ჰაერს მოუპოტინა (აკაკი). 4. **ქოშინით, ქშენით, მძლავრად მსუნთქავი:** არზაყანს სველი ჩაბალახი წარბებამდის ჩამოეფხატა, წელში მოდრეკილი იჯდა. როგორც ეს ბებრების წესია, წარამარა ხენეშოდა. ცხვირიდან ითქვამდა სულს და გაცივებულ კამეჩსავით ქლოშინებდა (კ. გამსახურდია). ბიჭი კამეჩივით მძლავრად ქშინავდა. 5. **ვისაც წყალში ყოფნა უყვარს:** ბიჭო, კამეჩივით სულ წყალში უნდა ეგდო? 6. **ვინც შრომაში თავდაუზოგავია და ბევ-**



რიც შეუძლია: ოო, ბაბუაშენი კამეჩივით მშრომელი კბ-
 ცი იყო. 7. ვისაც ბევრს აშრომებენ: კამეჩივით მამუშავე-
 ბენ და კაპიკებს მიხდიან ეგ ოხრები. 8. გამძლე, ამტან:
 კამეჩის ტყავი აქვს, კამეჩივით ყველაფერს იტანს.

კანჯარ-ი - გარეული ვირი.

კაპარტინა - მდინარის ერთგვარი თევზი.

კაპოეტი // კაპუეტი - 1. მდინარის ერთგვარი თევზი.
 2. ერთგვარი მტაცებელი ფრინველი. ცხვირკაუჭა ადამიან-
 ნი: გვასაღიას ბიჭს ნახანჯლართ და მახინჯებულები
 და ისედაც მოკლე ნიკაპი ჰქონდა, კაპუეტსავით მო-
 დრეკილი ცხვირი (კ. გამსახურდია). 3. ზამთარგამოვ-
 ლილი სანადირო ფრინველი.

კაპრაში - ყვითელ-მოწითალო ფერის საქონელი.

კატა - თავიგეტერია და კნავილა-მჩხავანა შინაური ცხოვე-
 ლი. 1. ალერსიანი, თბილი, მოსიყვარულე ადამიანი: კატასა-
 ვით თბილი და ალერსიანი ადამიანია. 2. პირფერი, ფა-
 რისეველი: იქნებ მამაჩემს ფული და ვეცყო ნაყინის სა-
 ყიდლადო და კატასავით ეგლასუნებოდა. 3. სითბოს მო-
 ყვარული ადამიანი: ტახტის ცივი და მედიდური ელვარე-
 ბა მის არსებას მომთენთავ სიმშვიდესა და ბურანში
 ხვევდა, როგორც კატას ცეცხლი (ო. ჭილაძე). კატასა-
 ვით სულ ბუხართან ზის. 4. კომფორტის მოყვარული ადა-
 მიანი: მაგას კატასავით კაი ცხოვრება უყვარს. 5. სწრა-
 ფი, მარდი, მოქნილი: ერთი კი გადატრიალდა ჰაერში და
 მერე რადაც უცაბედად ფეხებზე დადგა კატასავით
 (აკაკი). მერე [მეზღვაური] კატის სიმარდით მოწყდა
 კიბეს და ნავში ჩახტა (ლ. ქიაჩელი). კატასავით სწრა-
 ფად გადახტა. 6. ვინც მოხერხებულად ცოცავს ხეზე და
 მაღალ საგნებზე: მაშინ შეცოცდა ხეზე კატასავით გი-
 ორგა... (აკაკი). კატებსავით შეეცვივდით ორივე ხეზე
 (აკაკი). 7. ვინც გაჭირვებას იოლად აღწევს თავს: [შარდინ
 ალშიბაია] საითაც არ უნდა გადააგდო, კატასავით ფე-
 ხებზე დადგება მუდამ (კ. გამსახურდია). 8. ვისაც დიდი
 გაქანება არა აქვს: არა, ეგ ოჯახქორები, რომ მკითხავენ,

საით მიემგზავრებიო, როგორ არ იციან, კატის მანძი-
 ლი საბძელია (ვაჟა). 9. ქურდი, მპარავი, ავაზაკი რა
 არიან ოსები?.. კატები არიან, ცხო რაი? (ალ. ყაზვინჯი)
 [ცუცქია] დაჯდა და ხორცნაპარევი კატასავით შემო-
 მხედა (მ. ჯავახიშვილი). 10. მსუნაგი, წუწკი: მსუნაგ კა-
 ტასავით ტუჩები გაიწკმატუნა თავადმა ლუარსაბმა (ეკ.
 გაბაშვილი). ხინკლის ხსენებაზე ყველამ კატასავით გა-
 ილოკა ტუჩები. 11. მუსუსი, მექალთანე: დიტომ კატასა-
 ვით მიაშტერა თვალები, საითაც ფეხმარდი, უმანკო
 ჯეირანი [ქალი] მიხტოდა და მითამაშობდა (გ. წერეთე-
 ლი). იდროვა ცეცომ, იხელთა დრო და ის იყო, გააპარ-
 რა და გააპარა კატასავით თამროსკენ თვალი (ს. მგა-
 ლობლიშვილი). 12. მჩხაგანა, უშნო ხმით მტირალი: [ცუც-
 ქიას] თუ არ ეტირება, ან კატასავით იჩხავლოს, ან მო-
 ბეზრებულნი “ნანა” იმღეროს (მ. ჯავახიშვილი). ზოგი
 [ახალშობილი ბავშვი] ჩხაოდა ისე, როგორც წაკიდე-
 ბულ კატებს სჩვევიათ მარტში... (კ. გამსახურდია). 13.
 ხუსტი, გაუბედავი ხმით მოლაპარაკე: ძლივს კატასავით
 წამოიკნაველა, მე რას მიპირებთო. 14. სიყვარულში ერთ-
 თგულების უარმყოფელი: — მეხი კი დავაყარე დღევან-
 დელ ქალებსა და ვაჟებს, — ამბობდა მაიკო. — ძალღე-
 ბივით ადვილად აეკიდებიან ერთმანეთს და მეორე
 დღესვე კატებივით ივიწყებენ ყველაფერს (კ. გამსახურ-
 დია). 15. მრისხანე, უბღვეელი, დაუნდობელი და ვერაგი
 მტერი: ვსხედვართ და ისე შეეცქერით რკინის არწივს
 [თვითმფრინავს], როგორც თავგები კატას (მ. ჯავახიშ-
 ვილი). 16. მუდმივი მოსისხლე მტერი: ხუთი წლის წინათ
 მოსკოვში ეს ჩეკელი [ჩეკისტი] ისე დასდევდა კვაჭს,
 როგორც კატა თავგს, ბოლოს კიდევაც დაიჭირა... (მ.
 ჯავახიშვილი). 17. მსხვერპლის სიცოცხლით მითამაშე
 მტერი, რომელსაც მსხვერპლის წამება სიამოვნებს: ...თავგს
 რომ დაიჭერს კატა და მერე თავმოწონეობით ეთამაშე-
 ბა, ჩვენს წინაშე იმ კატის მდგომარეობაში გრძნობდა
 ყოველი მათგანი თავს (რ. ინანიშვილი). ისე აწვალეებს,
 როგორც კატა დაჭერილ თავგს — დროებით შეეშვება,
 მერე ისევ ეცემა. 18. ადამიანი, ვისი მოსპობაც იოლია და
 არავის დაენანება: შენ რომ კატასავით ჩამოგარჩო, ხმა-



საც არავინ გამცემს (ილია). თუ კაი ჩოხა გინდა, თუ არა და სარზედ კატასავით ჩამოგარჩობ (ილია). 19. ფრთხილი ადამიანი: ეგ ნაბიჯს აჩქარებით არ გადადგამს, კატასავით ფრთხილია. 20. მსუბუქი, უხმაურო ნაბიჯით მოარული ადამიანი: კატასავით მსუბუქად დადის. 21. ვინც მიპარება, გაპარება იცის: სად მიიპარები კატასავით ამ უთენია? 22. ალერსის მოყვარული: ამ ბავშვს რომ მოეფერები, კატასავით ინაბება. 23. გამძლე, ამტანი, ძალიან სიცოცხლისუნარიანი ადამიანი: კატასავით ცხრა სიცოცხლე აქვს, რაც მაგან იავადმყოფა, თუ გადარჩებოდა, ვინ იფიქრებდა?! ყველანაირ გაჭირვებას უძლებს, კატასავითაა, რა სიმაღლიდანაც უნდა ჩამოვადონ, მაინც ფეხზე დგება. 24. მფრთხალი, საცოდავი მზერის მქონე: ...შოშია ხეზე ავარდნილ დაფეთებულ კატასა ჰგავდა, ლიმონა კი ქვევიდან მიმდგარ პირდაღებულ, ენაგადმოვადებულ ნაგაზს, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეეძლო ამ კატის ქანდარიდან ჩამოთრევა და ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯვა (ნ. დუმბაძე). მარტის კატა - ახუნტრუცებული ქალი: ბარში მარტის კატებივით ატეხილი ქალები ყირაზე გადადიოდნენ. კატის ჯიში - უჯიშო, უვარგისი, პირფერი ადამიანი: აღიუტანტი - უყურე ამ კატის ჯიშს, როგორ შემაბრალა თავი. მოდი, პო, მოდი... (პ. კაკაბაძე). გარეული კატა - მარდი და მოქნილი ადამიანი: ...[პაკი] მორჩილი ტანის კაცი იყო, ხმელი, მაგრამ ნაკეთიანი, სწორად ასხმული, - მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა (ლ. ქიაჩელი). კატა და ძაღლი - ერთმანეთის შეურიგებელი, მოძულე მტრები: ჩვენ ...ბავშვობაში, როგორც კატასა და ძაღლს, ისე გვძულდა ერთმანეთი (ა. სულაკაური).

კატათავგობანა // კატათავგობა - 1. საბავშვო თამაში: ერთი ბავშვი, ანუ "კატა" ბავშვების წრის გარშემო დასაჯერად დასდევს მეორეს, ანუ "თავს". 2. შეურიგებლობა, მსხვერპლის გაქცევა და მტრისაგან დევნა: ვაჟი გაეშურებოდა მისკენვე, ქალი კატასავით განზე გაინავარდებდა, მაგრამ ვაჟიც იქითკენ გახტებოდა, თითქოს ცდილობს მის დაჭერასაო ...ეს იყო შემაქცევარი რაღაც კატათავგო-

ბია, სხაპვა ანუ მეგრულ-აფხაზური თამაში [ცეკვა] (გ. წერეთელი).



კატაძაღლურად - შეურიგებლად, მტრულად, დანასისხლად: ამ სახით მასწავლებელი და იმისი შეგირდები ერთმანეთს კატაძაღლურად უყურებენ (გ. წერეთელი).

კატისებური - 1. კატის მსგავსი. 2. კატის თვისების მსგავსი. 1. მსუნაგური, ბოროტი, ავისმომასწავლებელი: მის კატისებურ თვალებში ეშმაკური ღამის ანარეკლი აცი-აგდა (კ. გამსახურდია). მეკარე ბურთს კატისებური ნახტომით მისწვდა. ქალი კატისებური ნაბიჯით მოდიოდა.

კატისთვალება - 1. ვისაც კატისებური, ჭრელი, ჭროდა, მომწვანო თვალები აქვს. 2. ვინც სიბნელეში კარგად ხედავს.

კატუნ-ი // **კატუნია** - ველური, გარეული კატა. კატუნია მეტსახელია ერთი პერსონაჟისა გ. წერეთლის მოთხრობაში "ჩვენი ცხოვრების ყვაილი". 1. ფრთხილად, უხმაუროდ, მიპარვით მავალი ადამიანი: სანადიროდ გამოსული კატუნიას ნაბიჯებით ეპარება გურამი ურმის უკან ღვინის სასმელად ჩამომჯდარ თუშ-ლეკების ჯგუფს... (გ. რჩეულიშვილი). 2. ბრაზიანად მომზირადი: ...რატომ გაქვს თვალები ვითომ მშვიდი. სინამდვილეში - ბრაზით საესე (ასეთი ბრაზიანი თვალები აქვთ გარეულ კატუნებს), ჩემი დანახვა გაბრაზებს, თუ დიდი ხნის დაუნახაობა? (რ. ინანიშვილი).

კაჭკაჭ-ი - ყორნისებრი ჭრელბუმბულიანი გარეული ფრინველი., რომელსაც ხმების მიბაძვა შეუძლია. 1. უსიამო, მჭახე ხმის მქონე ადამიანი: კაჭკაჭივით ნუ ჩხავი! 2. ვინც გაუაზრებლად იზეპირებს და იმეორებს სხვის ნათქვამს: ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად (აკაკი). მე იმ კაჭკაჭთაგანი არა ვარ, სხვის სიტყვებს რომ იმეორებენ (აკაკი). 2. ლაქლაქა, ჭორიკანა: ოღონდ კაჭკაჭივით ალაქლაქე და მეტი არაფერი უნდა. 4. უჭკუო, ცერცეტი, ბრიყვი, არასერიოზული ადამიანი: ნასწავლი უჭკუო მფრინავ კაჭკაჭსა



ჰგავს, ხოლო უსწავლელი ჭკვიანი - ჯაჭვით დაბმულ ლომს.

კეერ-ი - პურეულის საღეწი იარაღი, რომელშიც ხარებს, ან ცხენებს აბამდნენ. **კეერის ცხენი** - ადამიანი, რომელიც ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს დაუსრულებლად: სულ კეერის ცხენივით დავდივარ სამსახურიდან სახლამდე და სახლიდან სამსახურამდე, სხვა რამეს ვეღარ ვასწრებ.

კელა - ბზიკი, კრაზანა. **1. აბეზარი, სხვისი შემწუხებელი ადამიანი:** კელასავით შემომიჩნდა და ვეღარ მოვიშორე. **2. ვინც ერთსა და იმავე სათქმელს იმეორებს შემაღონებლად:** ბაღლო, შემეშვი, კელასავით ერთსა და იმავეს ნუ დამბზუი თავს!

კემუსტ-ი - **1. ცხენის გავის ტყავი, რომლისგანაც ქოშების საპირეს ამზადებდნენ.** **2. ხორკლიანი, მაგარი ტყავი, რომლითაც ქარქაშს მოსავდნენ.** **კერპი, ახირებული ადამიანი.**

კენგურუ - ხტუნია ჩანთოსანი ცხოველი. **1. ვინც შორს ხტება, ან ხტუნვა-ხტუნვით დადის:** კენგურუსავით ნუ დახტი, ადამიანურად იარე! **2. კისერზე გადასაკიდი ჩანთა ჩვილი ბავშვის გადასაყვანად:** ბავშვი კენგურუთი წაიყვანე, არ დაიღლებ!

კენკავს - საკვებს ნისკარტით იღებს და ყლაპავს (ფრინველი). **1. ცოტა საჭმელს უხალისოდ, შერჩევით ჭამს:** საჭმელს კი ნუ კენკავ, წესიერად ჭამე! **2. ბურთს კენწლავს.**

კენკვა - საკვების ნისკარტით აღება და ყლაპვა (ფრინველის მიერ). **1. ცოტა საჭმლის უხალისოდ, შერჩევით ჭამა:** ეს ბავშვი საჭმლის კენკვას ერთ საათს უნდება. **2. ბურთის კენწვლა.**

კერატ-ი - დაუკოდავი ღორი. **დინჯად, თავდაჯერებით მავალი მამაკაცი:** დიდი ხანჯალი ერტყა, თავზე წამობანჯგლული ქუდი ეხურა, კერატივით დააბოტებდა (გ. ლეონიძე).

კერშვა // კერშილობა – დაგრილება (ღორისა).

კეფალ-ი – ზღვის თევზის სახეობა, რომელსაც მკვდარს ბით მსხვილი თავი აქვს.

კეხ-ი – უნაგირის ხის ჩონჩხი. ადამიანის ცხვირის ზურგის ამონეჭილი ნაწილი: უყურე, ცხვირზე რამხელა კეხი აქვს! კეხის დადგმა საჯდომი პირუტყვისათვის ზურგზე კეხის დამაგრება – ადამიანის უსიტყვო მორჩილებაში მოყვანა: მაგას დიდი ხანია კეხი დაადგეს და სახედარით ამუშავებენ.

კეხდადგმულ-ი – საჯდომი პირუტყვი, რომელსაც კეხი ადგას. ადამიანი, ვისაც დაუზოგავად ამუშავებენ: კოლმეურნეობაში კეხდადგმული ვირივით ვმუშაობდი, მაგრამ ვინ დამიფასა!

კეხიან-ი – კეხდადგმული ცხენი, ჯორი, ან ვირი. ადამიანის ზურგამონეჭილი ცხვირი: კეხიანი ცხვირი აქვს.

კვატ-ი // კვატა – იხვი (დიალ.).

კვატკვატ-ი – იხვის ყიყინი (დიალ.).

კვებულა – ერთი წლის ხბო, ან ზაქი.

კვერნა – ძვირფასბეწვიანი პატარა, მოქნილი მტაცებელი ცხოველი. 1. მოქნილი ადამიანი: საცა თავი გაეტეოდა კვერნასავით, იქ ტანსაც გაითრევედა (გ. წერეთელი). 2. სწრაფი, სხარტი ადამიანი: ეს ბავშვი კვერნასავით სწრაფია. 3. ვერაგი, მოულოდნელი თავდასხმის ოსტატი ადამიანი: კვერნასავით მოულოდნელად დამესხა თავს.

კვერცხ-ი – 1. ცხოველის მდედრობითი სასქესო უჯრედი, რომლის განაყოფიერებით ახალი ორგანიზმი წარმოიშობა. 2. ფრინველის, ქვეწარმავლის ასეთივე ნაჭუჭიანი უჯრედი, რომლიდანაც ნაშიერი იჩეკება. ჯერ კიდევ კვერცხში ზის – ბრყვია, შეუზნებელია, არაფერი გაეგება, ჭურში ზის: შენ რა, კვერცხში ხომ არ ზიხარ, რომ არაფერი გაგიგია? კვერცხიდან გამოწივის – პატარაა, მაგრამ დიდ იმედს იძლევა, მოხერხებულია: ეგ ბავშვი ძალიან

მოსერხებულია, არ დაიკარგება, კვერცხიდან გამოწივის. კვერცხში წივის - თავისი გაჭირვება აქვს, საკუთარ ტაფაზე იხრაკება, თავის პრობლემებზე დარდობს: ვის ეტაღა "ჭამპურასათვის"? პატივი მოაკლდა შინ და გარეთაც; ყველა თავის კვერცხში წიოდა (გ. ლეონიძე). წითელი // აღდგომის კვერცხია - განსაკუთრებული ვინმეა: შენ რა წითელი კვერცხი მყავხარ, რომ განსაკუთრებული პირობები შეგიქმნან!

კვირიონი - პატარა გარეული ფრინველი.

კვირჩხლა - ერთგვარი პატარა თევზი, რომელსაც გამრავლების დროს თავზე ღომის მარცვლისოდენა ხორკლები უჩნდება, ღომა.

კვიცი - ცხენის ნაშიერი სამ წლამდე. 1. ვინც სხვას სულთან დაჰყვება, ან გაუაზრებლად მიჰყვება: დათა წინ მიდიოდა, მე კვალში მივდევი, როგორც კვიცი - ფაშატს (ჭ. ამირეჯიბი). 2. ვინც თავშეუკავებლად ხმამაღლა იციხის: საზღვარს რომ გასცდნენ, ბოჩოლებივით ახტუნავენ და კვიცივით აჭიხვინდნენ (მ. ჯავახიშვილი). 3. უბო-უკვლოდ მიბოჩიად: იმ დღეს დედა დაკარგული კვიცივით იბოჩივდა და საღამოს უამს მე წამაწყდა (მ. ჯავახიშვილი).

კვინვა - კატისებრი ცხოველების კრუტუნი.

კიბო - წყლის ათფეხა მარწუხებიანი, მაგარსაფარიანი ცხოველი, რომელიც მოხარშვის შედეგად წითლდება, კირჩხიბი. 1. ვინც მაგრად ჩაბლაუჭება იცის: კიბოსავით ჩავებლაუჭე, მაგრამ მაინც გამექცა ის მამაძაღლი. 2. ადამიანის სხეულის გაწითლებული ნაწილები (სახე, ხელები...): გარუჯული, დაკორძებული ხელები გამოუწოდა მებორნემ არზაყანს და აკვაკვარის ნაჭერი ჩაბლუჯა მოხარშულ კიბოსავით წითელ და დახეთქილ თითებში (კ. გამსახურდია). პარხომენკო მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა. ლუგავოი კი გაფითრდა (ნ. დუმბაძე). 3. ვინც უკუღმა, პირით წინ და უკან სვლით მიძრაობს: შეშინებულმა ბავშვმა კიბოსავით უკან დაიხია.

კიბორჩხალ-ი // **კიბორჩხალა** – პატარა, ბრტყელ ზურგიანი და მომრგვალო კიბო, ცხრაფეხა. 1. ვინც მაგრად ჩაბღაუჭება იცის: ნუ მებღაუჭები კიბორჩხალასავეთ! 2. აღამიანის სხეულის გაწითლებული ნაწილები (სახე, ხელები...): შემრცხვა და სახე კიბორჩხალასავეთ გამიწითლდა. 3. ვინც უკუღმა, პირით წინ და უკან სვლით მოძრაობს: ბიჭი კიბორჩხალასავეთ უკან-უკან გახოხდა და ბალახში დაიმაღლა.

კიგვივი-ი – ინდაურის ხმიანობა.

კიგვივებს – თავისებურად ხმიანობს (ინდაური).

კიკინ-ი – თხის ხმიანობა. წვრილი ხმით, სასაცილოდ ლაპარაკი, ან სიცილი: ნუ დაიწყებ ახლა კიკინს!

კიკინებს – კიკინს გამოსცემს. წვრილი ხმით, სასაცილოდ ლაპარაკობს ან იცინის: [სტუდენტი]... მთელი დრო, რაც ხ...სკი ჩვენთან დარჩა და ლაპარაკობდა, თხასავეთ კიკინებდა (გ. წერეთელი).

კიოტი-ი // **კიოტა** – ბუს მსგავსი პატარა მტაცებელი ფრინველი.

კიოტი – შავარდნის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

კირჩხიბ-ი – ივივეა, რაც კიბო.

კლაკნა – გრესა, კრუნჩხვა, მიხვეულ-მოხვეულად სვლა (გველისა, ანკარისა, აღამიანისა).

კლანჭ-ი – ფრინველის, ან ზოგი ცხოველის ბასრი და კაუჭა ფრჩხილი, ბრჭყალი, ბჯღალი, ჭანგი. 1. აღამიანის ბასრი და კაუჭა წამოზრდილი ფრჩხილი: რას გიგავს ეგ კლანჭები, რატომ არ იჭრი? 2. ხელი: მაგის კლანჭებში მტერი ჩავარდეს! 3. მოკაუჭებელი თითები: [ხრიტანიუკმა] კლანჭებად მომარჯვებული თითები [უჯუშს] ეპოლექტებში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია (ლ. ქიანელი). მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი – წყევლა: კიტრიპარია ბიჭი თავქვე გარბოდა. / – მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი! – გაადევნა ფუფალამ (გ. ლეონიძე).

კლდეცოცია - პატარა გარეული ფრინველი.



კნავის - კნავილს გამოსცემს (კატა). **სუსტად და საცოდავად ლაპარაკობს:** გარეთ გამოსულ ნინოს თავი სძულდა, ეჩვენებოდა, რომ დირექტორთან ცინდალივით კნაოდა (რ. ინანიშვილი). როცა მაგან გაკვეთილი არ იცის, ძლივს კნავის ხოლმე.

კნავილ-ი - კატის ხმიანობა. **სუსტად და საცოდავად ლაპარაკი:** ...არც ისე ყრუ ვარო, ღომის ბლავილი კატის კნავილში ამერიოსო (კ. გამსახურდია).

კნავილა - რასაც კნავილი სჩვევია (კატა). **ვინც სუსტად და საცოდავად ლაპარაკობს.**

კნუტ-ი - კატისებრ ცხოველთა ნაშიერი. 1. **შივილი:** თვითონაც უთავბოლოდ დაწანწალებს და თავის კნუტსაც თან დაათრევს. 2. **სუსტი, უძლური, უმწეო ადამიანი:** დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთადერთი ძმა, ერთადერთი კეთილისმყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს (ილია). საწყლები, ჩემი ბალები, კატის კნუტებივით თვალ-წარბში შემომჩერებოდენ (ვაჟა). ჯურხა ისე მეხვევა, როგორც ღომი კატის კნუტს (მ. ჯავახიშვილი). 3. **საცოდავი, საბრალო ადამიანი:** თქვე წაწყლებო, წყალში ნათრევს კნუტებსავით როგორ ამოწკუპნულხართო! (გ. წერეთელი). 4. **პატარა, მაგრამ ძლიერი ადამიანი, ვინც ცხოვრებაში პირველ დამოუკიდებელ და იმედისმომცემ ნაბიჯებს დგამს:** ის ჰგავს ღომის კნუტს, რომელსაც რაკი ძუძუსთვის თავი წაურთმევია, მარტო დადის ტყეებში და დედას აღარ ეკარება (გ. წერეთელი). ...წამოიძახა მხიარულათ ერთმა იმათგანმა და შეხტა მაღლა პაწაწა ვეფხვის კნუტივით, რომელიც პირველ გამოსულა სანადიროდ, შორს ჯეირანი დაუნახავს და სანამ მისაპარებლად მიწას გაეკვროდეს, სამჯერ მაინც შეხტება და მიწაზე კუდს დაჰკრავს (გ. წერეთელი). 5. **სუსტი, საცოდავი ხმის პატრონი:** ბრმა კნუტივით საცოდავად კნავის.

კობრ-ი - მტკნარი წყლის ერთგვარი თევზი, გოჭა.

კობრა - ძლიერშხამიანი გველი. 1. ბოროტი და საზიზღარი ადამიანი: ჩემი სიდედრი ნამდვილი კობრაა. 2. შხამიანი ვნის პატრონი: ეგ ქალი სულ კობრასავით იმხამება. 3. ვერაგი, ჩასაფრებული მტერი: ეგ ახლა კობრასავითაა ჩასაფრებული და მომენტს ელოდება.

კოდავს - კასტრაციას უკეთებს. თხას ვეკოდავ - არაფერსაც არ ვაკეთებ, ტყუილად ვჩხიჩქედვალაობ.

კოდალა - გრძელნისკარტა გარეული ფრინველი, რომელიც ხეზე ნისკარტის კაკუნით აგნებს მწერებს, ხეკაკუნა. 1. გრძელცხვირა ადამიანი: ნახე, იმ კაცს რა კოდალასავით გრძელი ცხვირი აქვს! 2. ვინც კაკუნით თავს აბეზრებს სხვას: წაიღო ყურები მაგისმა კოდალასავით კაკუნმა.

კოდილა - დაკოდილი პირუტყვი. ცვედანი: მაგ კოდილას რომელი ქალი გაჰყვება!

კოზაკი - აქლემის ნაშიერი.

კოკონა - ერთგვარი პატარა გარეული იხვი.

კოკორინა - ერთგვარი გარეული იხვი.

კოლტი - ღორის ჯოგი.

კოტიზი - იგივეა, რაც ბუზანკალი.

კოლო - მწარედ მკბენარი წუილა მწერი. 1. ტანმომცრო, უძლური ადამიანი, არაჩალობა: მაგ კოლო რას დამაკლებს, მოვსპობ მაგ საწყალს. 2. შხამიანი, გამკილავი სიტყვის მქონე: გუშინ გამილანძლა, კოლოსავით დამკბინა. 3. ადამიანთა, მტრის სიმრავლე: კოლოებივით შემომესიენენ, მაგრამ ყველას საკადრისი პასუხი გავეცი. 4. ვინც მომბეზრებლად იმეორებს ერთსა და იმავე საყვედურს: მთელი დღე კოლოსავით თავს დამწუღდა, ბაზარში რატომ არ წახვედიო.

კოჭობა - შაშვისოდენა გარეული ფრინველი.

კრაფი - ცხვრის ნაშიერი, ბატკანი. 1. უცოდველი, უმანკო,

უწყინარი: კრავივით უწყინარი კაცია, მაგის ხელიდან ცუდი საქმე არ გამოვა. 2. უსუსური, სუსტი, მორჩილი. თაფლაცვის უნარმოკლებული: მორჩილად მიეყვებოდი, როგორც კისერზე თოკგამობმული კრავი (ა. სულაკაური). მაგ კრავი იმ მგელივით გოგიას რას გაუძლებს? 3. მშვენიერი, საყვარელი, მალხაზი ბავშვი: კრავივით საყვარელი ბავშვები ჰყავს. 4. ხუჭუჭა ადამიანი: კრავივით ხუჭუჭა თმები აქვს.

კრავიჭამია - იგივეა, რაც ბატკანბერი.

კრაზანა - ფუტკრის მსგავსი მოყვითალო მწერი. 1. მავნე, აგრესიული, ბორბტი ადამიანი: კრაზანასავით სულ მტრობას ცდილობს. 2. შხამიანი ენის პატრონი, ვისაც მწარე შენიშვნების მიცემა უყვარს: მავას კრაზანასავით მწარე-მწარე კბენა სჩვევია. 3. ვინც გაუთავებლად იმეორებს საყვედურს, ვინც სხვას განუწყვეტლივ აქეზებს: [ყორანაშვილი] დიდიდან საღამომდე კრაზანასავით ყურში ჩაპბუშუდა... (მ. ჯავახიშვილი). კრაზანების ბუდე - ბორბტი, მავნე ადამიანების სამყოფელი, ბორბტების ბუდე.

კრიახი - დამფრთხალი ფრინველის ხმიანობა. უკმაყოფილო ადამიანის (ჩვეულებრივ, ქალის) ჩხუბის ხმა, უსიამოლო ხმით ძახილი: მაგათი სახლიდან სულ მაგისი კრიახი ისმის.

კრიახებს - კრიახს გამოსცემს (ფრინველი). უსიამოლო ხმით იძახის, ჩხუბობს, იღანძვება: ყურადღებას ნუ მიაქცევ, ებ სულ ასე კრიახებს.

კრილ-ი - ხმელი ხის ჩრჩილი.

კრიხინ-ი - იგივეა, რაც კრიახი.

კრლნშნებ-ი - მოზრდილი მაღალფეხება და გრძელნის-კარტა გარეული ფრინველი. ნისკარტი მოკაუჭებული აქვს.

კრუტუნ-ი - 1. კატისებრ ცხოველთა ნებიერი ხმიანობა. 2. მწყრის ხმიანობა. სიამოვნებისაგან თავისებური ხმის

გამოცემა: ისე მეგემრიელა ხინკალი, კრუტუნი და ვიწყე.

კრუტუნებს - 1. ნებიერი ცხოველი (კატისებრი) ხმინობს.

2. მწყერი ხმინობს. სიამოვნებისაგან თავისებურ ხმას გამოსცემს: ბავშვი სიამოვნებისაგან კრუტუნებდა.

კრუშკრუში - კრუხის ხმინობა.

კრუშკრუშებს - კრუხი ხმინობს.

კრუხი - ბარტყების გამოსახეკად კვერცხებზე მჯდომი ფრინველი. 1. ბავშვებზე გადაყოლილი დედა, ან აღმზრდელი: ...ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენ!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ როგორ აიტანოს და როგორღა გასძლოს კრუხმა უმიისობით? (აკაკი). სოფლის ბოლოში მასწავლებელი ისე მიაღაჯებს, როგორც კრუხი წიწილებში (ნ. დუმბაძე).

2. აგრესიული ადამიანი: შევედი სახლში თუ არა, ცოლი კრუხივით მომაფრინდა, ნასვამი რატომ ხარო. 3. ადამიანი (უმეტესად მამაკაცი), ვინც უპირატესად შინ ზის და გარეთ გასვლას თავს არიდებს, ქალაჩუნა: კრუხივით სახლში რას ზიხარ, წადი, ხალხში გაერიე!

4. ოჯახის თავი: მგელიკა ჩვენს ოჯახში კრუხივით ზის, ჯურხა კი წიწილებს გარშემო უვლის (მ. ჯავახიშვილი). 5. შეილების მედგრად დამტყველი: მაშინვე მივხვდი, რაღაც ამბავია მეთქი - როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დამტრიალებდა.

6. გამოცდილი, ბევრის შემძლე ასაკოვანი ადამიანი: კმ, ვის უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას! კვერცხის ნაჭუჭში ამბოხებულა პირტიცველა წიწილი და კრუხს შეჰკამათებია (კ. გამსახურდია).

7. მთლავბე: რა ქენით ეს? ასეთი დაწყობილ-დალაგებული საქმე, და მერე ვის ხელში ჩააგდეთ - მოლავბეების, კრუხების ხელში... (გ. ამირეჯიბი). კრუხად ზის - შინიდან ფეხს არ იცვლის. კრუხის პაღო - ტანმომცრო, ჩია

ადამიანი: - ხანდახან დიკენსი და აქა-იქ ტოლსტოი, არა? - დამცინავად უყურებს [ხელმძღვანელს] კლიმი, პატარა, კრუხის პაღო, ლაწირაკი... (გ. დოჩანაშვილი). შენ იმას წელამდეც ვერ სწვდები და როგორ უნდა მოერიო, შე კრუხის პაღო?

კრუხაგს - 1. კრუხად ზის (ფრინველი). 2. კრუხობის მო-
თხოვნილება აქვს (ფრინველს).

კრუხვა - 1. კრუხად ჯდომა (ფრინველისა). 2. კრუხობის
მოთხოვნილების ქონა (ფრინველისათვის).

კრუხობა - კრუხად ყოფნა (ფრინველისა).

კრუხუნ-ი - კრუხის ხმიანობა, კრუშკრუში.

კრუხუნებს - კრუხი ხმიანობს.

კრუხ-წიწილა - კრუხი და წიწილები. დედა და შვილები,
მამა და შვილები, ბაბუა და შვილიშვილები, ბებია და შვი-
ლიშვილები: რაღა კრუხ-წიწილა და რაღა ზურაბა პაპა
თავისი შვილიშვილებით. საითაც არ უნდა გაიწიოს ამ
დროულმა კაცმა, წიაფ-წიაფით აედევნება ონავრობა
(ჯ. მონიავა).

კუ - ძელოვანი ბაკნით დაფარული სხეულის მქონე ნელა
მავალი ქვეწარმავალი. ნელა მავალი, ზანტი ადამიანი: კუ-
სავით ნუ მოლოდავ, დაგვაგვიანდება! კუს ნაბიჯით და-
დის.

კუდ-ი - ცხოველის სხეულის მოძრავი დანამატი. ვისიმე
უსიტყვო მორჩილი, სხვისი ავი საქმის თანამონაწილე: ეგ იმ
წყეულის კუდია, რასაც ეტყვის, ყველაფერს აკეთებ-
ნებს. კუდს გამოაბამს - ვისიმე ნათქვამს, ან ამბავს რამეს
განზრახ დაუმატებს, ჩხუბის საბაბს გამონახავს: ჩემს ნა-
თქვამს კუდი გამოაბა და მეზობელს გადამკიდა. კუდში
მისდევს // მიჩანჩალებს - ჩანჩალით ბოლოში მიდის; ჩამო-
რჩენილია რაიმე საქმეში: ასე არ სჯობს სხვის კუდში
ჩანჩალს? (ჯ. ქარჩხაძე). ყველა წინ გარბოდა, მე კი
კუდში მიეჩანჩალებდი. კუდში მისდევს - საქმეში ჩამო-
რჩენილია: იმათ ვენახი უკვე შეწამლეს, შენ კი კუდშიც
ვერ მისდევ. კუდამდე // კუდის რიკამდე ტყავს გააძრებს -
მეტისმეტად გაყვლეფს, შავ დღეს დააყრის: ჩემმა შვილებ-
მა დახმარების მაგიერ კუდის რიკამდე გამაძრეს ტყავი
და გამაღატაკეს. კუდი ყავარზე აქვს გადებული - უსაფუჭ-
ვლოდ ამპატრავნობს, კუდაბზიკობს: შიმშილით სული

სძვრება, მაგრამ კუდი მაინც ყავარზე აქვს გადებული. კუდით ქვას ასრლოინებს — უკან დაახვეინებს, შავ დღეს დააყრის, გააბეგებს: ...შავრაზმელები... გამარჯვებას სვი მობდნენ — [დემონსტრანტებს] კუდით ქვა ვასროლინეთო... (ჭ. ამირეჯიბი). კუდს ამოაბუებინებს — შერცხვენილს გააგდებს, გააბრუნებს: ერთი კარგად გამოვლანძღე და ჩემი სახლიდან კუდი ამოვაბუებინე. კუდს ამოიბუებს — ა) შერცხვენილი წავა, გაწბილებული დარჩება: ვაითუ ირანის ლომმაც აქ ამოიბუოს კუდი?! (აკაკი). ველარაფერი გამიბედა, კუდი ამოიბუა და წაეთრა; ბ) ვინმეს დარცხვენით, ან ვშმაკურად თავს შეაფარებს: ზოგი საწყალი მენშევიკი გლახა მწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავერობას და ჩვენთან ამოიბუა კუდი (პ. კაკაბაძე). კუდს აუწვეს — მის უკადრის საქციელს გაამართლებს: მისი არაკაცობის ამბავი იცის, მაგრამ მაინც კუდს უწვეს. კუდი აქწვება — დანაშაული შეაწუხებს, მოსვენება დაეკარგება: თუ კაი კაცი ხარ და არაფერი დაგიშავებია, კუდი რატომ გეწვის? კუდს აუწვავს — შავ დღეში ჩააგდებს, შავ დღეს დააყრის: შავი დღე აყარეს, კუდი კარგად აუწვეს. კუდს აქიცინებს — პირფერობს, ფარისეველობს, მლიქვნელობს: სამსახურში სულ კუდს აქიცინებს, იქნებ დამაწინაურონო. კუდს უქიცინებს — მას ეპირფერება, ეფარისეველება, ემლიქვნელება: თავის უფროსს კუდს უქიცინებს, იქნება თავი მოვაწონო. კუდს მოიქნევს — ბოლოს მაინც შეეცდება საქმის წახდენას: სამსახურიდან გაგდების წინ კუდი მოიქნია და თანამშრომლები ერთმანეთს გადაჰკიდა. კუდში დასდევს — სულ თან დაჰყვება: ბავშვები პატარა ბელებივით დაჰყვებიან კუდში (ნ. დუმბაძე). ბიჭო, კუდში ნუ დამდეგ, წადი, გაკვეთილები ისწავლე! კუდი კუდზე აქვთ გადანასკეული // გადაბმული — ერთიმეორეს მხარს უჭერენ ცუდ საქმეში, შეთანხმებულად მოქმედებენ: ...შენც უარესი ხარ მაგათზე, ერთმანეთზე გაქვთ კუდები გადანასკეული!... (ნ. წულეისკირი).

კუდა — უკუდო, ან მოკლეკუდიანი საქონელი. კუდა აზნაური — ხელმოკლე, წვრილფეხა, ამპარტავანი აზნაური.

კულაბზეკილი-ი — რასაც კუდი აბზეკილი აქვს (საქონელი).

გამპარტავენებული და სასაცილო: აგერ შენი კუდაბზეკი-
ლი მეზობელი მოდის.



კუდაბზიკა – უსაფუძვლოდ ამპარტავანი და ამის გამო სასაცილო ადამიანი: კუდაბზიკა არის მეტსახელი პერსონაჟისა გ. წერეთლის მოთხრობაში “კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა”. ერთხელ ჩვეულებრივად ქალაქს გარეთ გავიდა ცხენდაცხენ ელიკო და ერთი ვინმე კუდაბზიკა ახალგაზრდაც თან იახლა (აკაკი). კუდაბზიკას გულით უნდოდა, რომ შეეფერებია, რასაც ეწამებოდნენ (აკაკი). და სოლომანს საშინლად გული მოსდიოდა იმ კუდაბზიკა აზნაურებზე, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ და მაინც თავის გვაროვნებას და წინანდელ ამაყობას არ ივიწყებენ... (დ. კლდიაშვილი).

კუდაბზიკეთი – კუდაბზიკების საცხოვრისი: “კუდაბზიკეთი” ჰქვია აკაკის ერთ ალგორითულ მოთხრობას, რომელშიც საქართველო იგულისხმება.

კუდაბზიკობა – კუდაბზიკას თვისება: ჩემი ცოლის კუდაბზიკობამ მომკლა, გინდა თუ არა ვაკეში უნდა ვიცხოვროთო.

კუდაგრძელი – რასაც გრძელი კუდი აქვს (მგელი, მელა).

კუდაზნაური // **კუდაზნაურა** – იგივეა, რაც კუდა აზნაური.

კუდალა – იგივეა, რაც კუდა.

კუდამოძუებული – რამაც კუდი დაუშვა და ფეხებს შორის მოიქცია (ძაღლი, მგელი, მელა, ტურა). **სირცხვილნაჭამი, გაწბილებული**: ჩემი უფროსიც დაჯდა. ზარანდია მ შეხედა და, – თქვენ თავისუფალი ხართო. წავიდა ჩემი უფროსი კუდამოძუებული (ჭ. ამირეჯიბი). [სახნოვს] ალბათ, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ აი, ასე კუდამოძუებული გასვლა არ შეიძლებოდა, რაიმე უნდა ექნა, ან ეთქვა... (ჭ. ამირეჯიბი).

კუდაპრეხილი – იგივეა, რაც კუდაბზეკილი.

კუდაბაწარა – მოკლე და წვრილი კუდის მქონე ცხოველი

(მგელი). ბაწარივით გაგრძელებული მწკრივი: პურის მ-
ლაზიასთან კუდბაწარა რიგი იდგა. უჩინოვანი
ზიზულიოთუქა

კუდბუთქე-ი // **კუდბუთქვა** - იგივეა, რაც **კუდბუთქუნა**.

კუდბუთქუნა - ხშირი და ფუმფულა კუდის მქონე (მელა, ციყვი).

კუდგრძელ-ი - რასაც გრძელი კუდი აქვს (მელა).

კუდგარდა - საქონელი, რომელსაც კუდის ბოლო თეთრი აქვს.

კუდიან-ი - 1. ცხოველი, რომელსაც კუდი აქვს. 2. ავი სუ-
ლი, ეშმაკი. 1. **გრძნეული**, **ბორბტი** **დედაბერი**: ამბობენ,
კუდიანიო და მგელზე ჯდებოო და როკაპისგან ძალი-
ან ბევრი მოწყალება ეძლევაო (გ. წერეთელი). მაგისი
კუდიანი დედამთილი ახლოსაც არ გავიკარე. 2. **ცელქი**,
ანტი, **ეშმაკი** **ბავშვი**: აბა, მითხარი, ჩემო კუდიანო, დღეს
ხომ არაფერი წაახდინე?

კუდიანობა - კუდიანი ქალის, ან ბავშვის თვისება: დედამი-
სის კუდიანობა ყველამ იცის. ამ ბავშვის კუდიანობა
ბევრს გვაცინებს ხოლმე.

კუდმაკრატელა - რასაც გადაჯვარედინებული კუდი (ბო-
ლო) აქვს (მერცხალი).

კუდმოგლეჯილ-ი - რასაც მოგლეჯილი კუდი აქვს (ცხო-
ველი, ფრინველი).

კუდმოკვეცილ-ი - რასაც კუდი მოკვეცილი, მოჭრილი
აქვს.

კუდმოკლე - რასაც მოკლე კუდი აქვს (ცხოველი).

კუდმოჭრილ-ი - რასაც კუდი მოჭრილი აქვს (ცხენი, ძაღ-
ლი).

კუდრაჭა - აღერსით ითქმის **ცელქი**, მოუსვენარ გოგონაზე.

კულუმბურ-ი - ბელურას მსგავსი პატარა გარეული ფრინ-
ველი.

კუნკრუსი - ცხენის უხეირო ტარება.

კურატი - გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი, კურო, ბუღაღა. ეროვნული
მემორიალი

1. მსუქანი, კარგად ნაკვები: თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი, - უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ, - როგორც კარგი ნასუქი კურატი (ილია). 2. ტანბრეგე, ღონიერი და ჯანსაღი კაცი: ბიძამისი კურატივით ღონიერი და ჯანმრთელი კაცი. 3. მსხვერპლი: - [ომში] ტყვეის კურატად გაუშვი ჩემი ბიჭი! - ორდობეში გმინავდა ბეზია მარიამი (გ. ლეონიძე).

კურდღელი - ფეხმარდი, გრძელყურა ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. ფეხმარდი, კარგი მორბენალი: წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდნენ კიჟინით (აკაკი). მაგან კურდღელივით სწრაფი სირბილი იცოდა, ახლა კია დავარდნილი. 2. მფრთხალი, მშიშარა, ღაჩარი: ...მკაცრი განკარგულება მოვახდინე და მთიელები მშიშარა კურდღლებსავით გაიფანტნენ (ალ. ყაზბეგი). ეს კაცი სახეზე შეიცვალა, ფერი აღარ ედო და კურდღელსავით ყველასი ერიდებოდა (გ. წერეთელი). თქვე მხდალო კურდღლებო, ლეკვმა როგორ შეგაშინათ? 3. ვინც დამფრთხალი იმალება და ინაბება: ამ ქვეყანაში ხელოსანი, როგორც კი უფროსის სახელს გაიგონებს, კარში რომ იყოს, სახლში შევარდება და მინდორში რომ იყოს, მაშინვე ტყისკენ გაქუსლავს, სადმე კურდღელივით გაინაბება და ათასი მეძებარიც ვეღარ გამოაგდებს თავის სოროდან. 3. ვისაც თავის დაცვის, ბრძოლის უნარი არა აქვს: ფარნაოზს ახლა უფრო ხშირად ახსენდებოდა მამა, უხეირო გზამოჭრილ კურდღელს ჰგავდა, იძულებული რომაა დაელოდოს აღსასრულს, რადგან მის გარშემო ჩაცვუქული და ენაგადმოვლებული ძაღლებიც თავის მხრივ პატრონს ელოდებიან, რათა მას, მათ მარჩენალს დაუტოვონ კურდღლის მოკვლის სიამოვნება (ო. ჭილაძე). ჩვენი მხრიდან ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, კაზაკები კურდღლებივით ამოგვუშავდნენ (ჭ. ამირეჯიბი). 4. კარგი ხმენის მქონე, სასმენად მომარჯვებული: მაგ ბავშვს ჩვენი ნათქვამი არ

გამოეპარება, კურდღელივით სმენა აქვს. 5. ფხიზლად მყოფი, გაფაციცებული: მთელი სამი თვე თვალი რიგობანად არ მომიხუჭავს, კურდღელივით ყურები აცქვეტილი მქონდა და ველოდი, — ჰა, ან ეხლა მოვლენ, ან ეხლა-მეთქი (ეკ. გაბაშვილი). იცის ასთიონამ უკვე მაგათი სახელები. ყურები კურდღელივით აქვს დაცქვეტილი (ჭ. ამირეჯიბი). 6. ბეცი, ელამი: აბა, დააკვირდი, ეგ ბიჭი კურდღელივით ბეცია. 7. ვინც შორს ხტება: ერთი ვისკუპე და გადავახტი იმ უზარმაზარ ორმოს. 8. სკუპ-სკუპით მისიარულე: ბავშვები ეზოში კურდღელივით სკუპსკუპით დახტოდნენ. 9. ვინც სწრაფად მრავლდება, ვისაც ბევრი შვილი ჰყავს: ნიგერიელები თურმე კურდღლებივით სწრაფად მრავლდებიან.

კურო — დაუკოდავი ხარი, ბუდა, კურატი. 1. სექსუალურად დაუოკებელი მამაკაცი: სულ ქალებში გდია ეგ კურო. 2. ქალის საყვარელი მამაკაცი, მისი სექსუალური პარტნიორი: ბენუნია კახპავ, გამოაგდე სახლიდან ეგ შენი კურო (ჭ. ამირეჯიბი). არც მგლის მოდგმის შვილი ვარ, რომ საჭმლის შოენისთვის ვიცხოვრო მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი და ძროხები მჭირდებოდეს მარტო (ჭ. ამირეჯიბი). 3. ბრგე, ღონიერი, მძლავრი, ჯანმრთელი კაცი: ეგ მუტრუკი კუროსავით საღი და ღონიერია.

კურო-კამეჩი — დაუკოდავი კამეჩი. ბრგე, ღონიერი, მძლავრი, ჯანმრთელი კაცი: მწვადებს არიგებდა რუხჩოხიანი მეგრელი. მას კურო-კამეჩსავით ძლიერი ქელი ჰქონდა (კ. გამსახურდია).

კურო-მოხვერი — დაუკოდავი მოხვერი. აგრესიული მამაკაცი: “ბაიყუში” გადგა განზე გაბრაზებული კურო-მოხვერით და დღე ისე არ გაივლიდა, რომ ან ვინმე არ ევლახა და ან ვისმე, იმაზე უფრო მძლავრს, არ შემოვლახვოდა (გ. წერეთელი).

კურტუმ-ი // **კურტუმო** — ფრინველის სხეულის ბოლო ცხიმოვანი ნაწილი. ქალის უკანალი: ბებიაშენსა კატოსა კურტუმო უგავს კალოსა, / ისე მიიქნევი-მოიქნევს, როგორც საცერი ქატოსა (ხალხური).



კუტკალია - კალიის ერთ-ერთი სახეობა. გამჩანაგებულ, მათხარ ადამიანთა, მტრის ჯგუფი, გუნდი, ხროვა: საქართველოში ღოს ხშირად კუტკალიასავით შემოსევია მტერი.

კუტკუბი - ზოგი ფრინველის ხმიანობა (მწყურისა, ქათამისა).

კუტკუბებს - კუტკუბს გამოსცემს (მწყერი, ქათამი).

ღ

ღაბა - რქებდახრილი ხარი, ბელეშა. მშრომელი, გამრჯე: ღაბა ხარივით ვმუშაობ მთელი დღე.

ღაგამი - აღვირის ნაწილი, ცხენის პირში ამოსადები რკინის ნივთი. **ღაგამი ამოსდო** - დააოკა, დააშოშმინა, დამორჩინა, კალაპოტში ჩააყენა: რომ ამოვდებ ყველას ღაგამს პირში და დავაჩოქებ, მაშინ იცნობენ ყვარყვარე თუთაბერს, ამ მუხლებზე აკოცებენ (პ. კაკაბაძე). ადრე ეგ ერთი ავარდნილი ბიჭი იყო, მაგრამ მშობლებმა დროზე ამოსდეს ღაგამი. **ღაგამს მიუშვებს** - კონტროლს შეასუსტებს: დედამისმა ღაგამი მიუშვა და ეგეც გაგიჟდა. **ღაგამი წაიყარა** - აიშვა, აიწყვიტა, გათავხედდა: მაგ ბავშვმა ღაგამი ძალიან წაიყარა და აღარავის ეპუება.

ღაგამამოდებულ-ი - დამორჩილებული: ციხე რომ ნახა, ახლა კია ღაგამამოდებული.

ღაგამაყრილ-ი - თავაწყვეტილი, გათავხედებული: ეგეთი ღაგამაყრილი ბავშვი ამ უბანში მეორე არ არის.

ღაგამაწყვეტილ-ი - თავაწყვეტილი, გათავხედებული: მაგას ერთი ღაგამაწყვეტილი ბიჭი ჰყავს.

ღაინა - პატარა გარეული ფრინველი. სახლობს წყლის ნაპირებზე.



ლაკლაკი - იგივეა, რაც ყარყატი.

ლამიყლაპია - ჭაობის ერთგვარი ფრინველი.

ლაპი - ზოგი ფრინველის (ხოხბის, კაკბის, გნოლის) ნაშეირი.

ლაფნეჭამია - ხის პარაზიტი ხოჭო.

ლაფშა - დაკოდლი ცხენი, იაბო.

ლაფშურ-ი - ლაფშა ცხენის დამახასიათებელი სიარული - მოკლე და ჩქარი ნაბიჯით სვლა.

ლაქუცი - ძაღლის თამაში ვინმესთან, ან რამესთან - კუდის ქიციანი და ტანის რხევა. **პირფერობა, ფარისეველობა, მლიქვნელობა**: საზიზღარი საყურებელია მაგის ლაქუცი უფროსთან.

ლაქუცა - მოლაქუცე ძაღლი. **პირფერი, ფარისეველი, მლიქვნელი**: ვერ ვიტან ლაქუცა ხალხს, განსაკუთრებით კაცებს.

ლაქუცობს - ლაქუცით მოძრაობს, თამაშობს (ძაღლი) **პირფერობს, ფარისეველობს, მლიქვნელობს**: დღეს დირექტორთან ლაქუცობდა, ხვალ სხვასთან ილაქუცებს.

ლაყე - გაფუჭებული, აყროლებული კვერციხი. **მოუხერხებელი, დონდლო, უხეირო ბიჭი**: მაგ ლიფსიტამ როგორ წაგაქცია, შე ლაყე, შენა?!

ლაყური - წყლის ზოგი ცხოველის სასუნთქი ორგანო. **ლაყურებს აახევეს** - შავ დღეს დააყრის, მაგრად სცემს: ჩაიწყვიტე ხმა, თორემ ლაყურებს აგახევე!

ლაში - ზოგი ცხოველის (ცხენის, მგლის, ძაღლის) ტუჩი. **აღამიანის დიდი და უშნო ტუჩი**: რას ჰგავს მაგ უბედური, რამხელა ლაშები აქვს!

ლეკე - ძაღლისა და ზოგი მტაცებელი ცხოველის (მგლის, ტურის, მელის, ლომის) ნაშეირი. 1. **ნაშეირი, შეილი (უპირატესად აგ მშობელზე უარესი)**: თვითონ რომ იყო, იმაზე კიდევ უფრო ავი ლეკვები დაზარდა რუხმა მგელმა... (გ. წერეთელი. **რუხი მგელი** ბოროტი პერსონა-



უი). ქვრივი ისეთი გააფთრებული შეიქნა ნათელაზე, როგორც ძუ ლომი თავის ლეკვებზე (ბ. წერეთელი). რჩებმა, ქორვაჭრებმა ფულები იშოვეს, ბეზმენები და არშინები გადაყარეს, ვითომ კაცები გახდნენ. თავის ლეკვებს გუვერნანტები და ბონები დაუქირავეს. აქეთ – სწავლა, იქით – პიანინო (ჭ. ამირეჯიბი). 2. უმწეს ბაგში, ან მოზრდილი ადამიანი, რომელსაც უფროსისაგან, ძლიერისაგან დაცვა ესაჭიროება: [ფარნაოზი და ინო] დედა-მკვდარი ლეკვებივით მიყრილიყვნენ კუთხეში (ო. ჭილაძე). 3. ვისიმე გამოზრდილი ახალგაზრდა (უპირატესად ბოროტი): ...ჩემი გამოზრდილი ლეკვი ხარ, მევე მოგივლი-მეთქი, ბატონო სატანავ! (ჭ. ამირეჯიბი). 4. საზიზღარი ახალგაზრდა ადამიანი: ხმა ჩაიწყვიტე, შე ძაღლის ლეკვო! (ეკ. გაბაშვილი). 5. ახალგაზრდა ადამიანი, ვისი დატანჯვაც არ ენანებათ: კიდევ ბოგანოდ გავხდეთ, შვილები ძაღლის ლეკვებივით სად ვაწვალთ? (ეკ. გაბაშვილი). 6. ბაგში, რომელიც უფროსს, უფრო ძლიერს სულ თან დაჰყვება: [ჯურხას] ბაღლები ლეკვებივით დასდევდნენ (მ. ჯავახიშვილი). 7. ვინც სხვისგან მოწყალებას, დახმარებას მოეღის: ობლები არიან საცოდავები და ყველას ხელებში ლეკვებივით შეჰყურებენ, იქნებ დაგვემარონო.

ლერწამა – პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს ჭაობის ლერწმიან-ჩაღიან ადგილებში.

ლეში – მკვდარი ცხოველის სხეული, მძორი. საშინლად ზარმაცი, უქნარა, ხელგაუძრავი და უვარგისი ადამიანი და მისი სხეული: ლეშივით სახლში გღია და სამადლო ლუკმას ჭამს.

ლია – ჭოვილოს მსგავსი მაღალფეხება წყლის გარეული ფრინველი. აქვს გრძელი, სწორი ნისკარტი.

ლიანგო – ერთად შეკრებილი ბევრი ადამიანი, ან საქონელი.

ლიფსიტა – პატარა, ახლადგამოჩეკილი თევზი. 1. ტანმომცრო, სუსტი, გამხდარი, ჩია ადამიანი: აი, შე ლიფსიტა, ლიფსიტასავით ხარ გაჩხინკული და შენ ვინ უნდა წა-

აქციო? 2. უძღური ადამიანი, ვისაც იოლად ჩაგრავენ: თქვენ ბევრი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იმეფე უფლებით ჩაგველაპოთ, როგორითაც ცვარს ყლავას ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი (კ. გამსახურდია). 3. არასრულწლოვანი ადამიანი: თარაშმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო, მდუმარედ ჩაუარა გათავხედებულ ლიფსიტების [მოსწავლე გოგონების] ბრბოს (კ. გამსახურდია).

ლოკოკინა - უხერხემლო ცხოველი, რომელსაც საკუთარი საბინადრო ნიჟარა ზურგზე აქვს დამაგრებული. 1. ნელი, ზანტად მოძრავი ადამიანი: ლოკოკინასავით ზანტად დადის. 2. ვისაც დამოუკიდებლობა არ უწერია, ვინც შეჩვეულია სხვის მორჩილებაში ყოფნას: მაგისი ხვედრი მიწაზე ხოხვაა, სერგოს გავლენიდან ეგ ვერასოდეს გამოვა. 3. ვისი მიკარებაც კი ზიზღს იწვევს, საზიზღარი, სლიპინა: მეზიზღება, ლოკოკინასავით სლიპინა ხელები აქვს. 4. ვისაც თავშესაფარი მუდამ აქვს, ვინც საფრთხეს იოლად აღწევს თავს დამალვით: მაგას რა უჭირს, გაუჭირდება და ლოკოკინასავით უმალ სახლში შეიმალება. 5. უმწეთ, უთავშესაფრო: სილაში პირქვე წამხობილი ბეღია ნიჟარიდან გამომძერალ ლოკოკინას ჰგავდა (ო. ჭილაძე).

ლომი - ცხოველთა მეფედ მიჩნეული დიდი და ღონიერი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. შთამბეჭდავი ფიზიკური მონაცემების მქონე, ტანბრგე, რიდის აღმგებელი ვაჟკაცი: მომდურღებმაც რომ დაინახეს ლომივით კაცი, პერანგის ამარა, თავშიშველა, ფეხშიშველა, მათკენ მუქარით მიმართული, დაფრთხნენ (აკაკი). ...ვერა ჰხედავთ, ახლად უღვაშაშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს (ილია). იმის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს - საშინელი ძალა, და ყმაწვილს, ლომივით მენახშირეს, კინაღამ აჯობა (ეკ. გაბაშვილი). თმის სურნელმა უარესად მოალობო ეს ლომივით კაცი (ო. ჭილაძე). 2. უებრო, დაუმარცხებელი მებრძოლი: ჩვენი ლომი წინაპრები ბრძოლის ველზე დაუმარცხებელნი იყვნენ. 3. მრისხანე, საშიში ადამიანი: მაგრამ ესმას ბუნებით



უმანკოსა და მშვიდს სახეს ბორკილი შეება ბახვას გრძნობებისათვის და გააფთრებული ღომი რკინის გარეშე ღიაში ჩაემწყვდია (გ. წერეთელი). 4. მსხვილი, მძლავრი მკლავების პატრონი: ჯურხა - აბჯარ-მუხარადში ჩამჯდარი ღომი - კისერზე მიძიმე თათს მადებს (მ. ჯავახიშვილი). უხეიროს ღომის ტორივით ხელი იმ ღამაში ქალის სუსტ მხარზე ჩამოედო (ო. ჭილაძე). 5. მრისხანე, ომახიანი, საშინელი ხმის პატრონი: წამოიძახა იმან ისეთი ბოხი ხმით, რომ სწორეთ ღომის ბრდღვინვა მოგაგონდებოდა (გ. წერეთელი). როცა საქმე წახდებოდა სოფელში, ტატე აღრიალდებოდა მშვიერი ღომივით (ს. მგალობლიშვილი). 6. ძლიერი, მძლავრი, გაფლენიანი: თავადი ესტატეც აბობოქრდა, მაგრამ ეხლა ის ცალად დარჩა, აქამდე ძლიერკლანჭებიანი უკლანჭო ღომს დაემგვანა (ს. მგალობლიშვილი). 7. ხშირთმიანი, უკანგადაყრილი ფაფარით თმის პატრონი: გამწარებულს ღომსავით თავის აქნევით თმა უკუ გადაიყარა და თვალნი მუხის მსროლელთ დაემსგავსნენ (ალ. ყაზბეგი). 8. მსხვერპლის, მტრის დანახვაზე გაფაციცებულ-დადარაჯებული ადამიანი: ხევსურები ისე აირივნენ, თითქოს ღომებს ირმები დაენახოსთ (მ. ჯავახიშვილი). 9. ამაყი, თავდაჯერებული გაჟაკაცი: მისი ნაბიჯის გადადგმა ემსგავსებოდა ღომის სიამაყეს, თვალთა ელვარება - კეფხის გაუმადრობას (ალ. ყაზბეგი). 10. დაუნდობელი, სასტიკი: მშვიერი ღომივით დაუნდობელი ყოფილა. ძუ ღომი - ა. მებრძოლი, გაჟაკაცი ქალი: მარიამი თავს არავის დააჩაგვრინებს, ძუ ღომივით იბრძოლებს თავის დასაცავად. ბ. სასტიკი, დაუნდობელი, გააფთრებით მებრძოლი ადამიანი: აბა, შენც მოგიკლას ვინმემ შვილი, ან ცოლი, ან ძმა, როგორც უწინ უხოცდნენ, ისე გააფთრდები, როგორც ძუ ღომი (ს. მგალობლიშვილი). იმან ოდასა და საჯალაბო სახლს შუა დაიწყო რბენა... ძუ ღომს რომ ღვეკს მოპარავენ, იმასაც ასე სჭირს აქეთ-იქით რბენა და უმიზნოთ ხტომა, თითქოს სურდეს მტაცებელს კვალში ჩაუდგესო, თუ მტერი შეხვდა ამ დროს იმას წინ, ყოველსავე დაფხრეწს (გ. წერეთელი). სოფელმა თვით უნდა იზრუნოს თავისთვისა, დღეს შე-

ყერი ტორტლელ მანდილოსნებსა, ჩვენ, ჩვენი სუსტის ძალით გაუშეკლავდებით ძუ ლომებივით და მანამდე და დავიცავთ ჩვენი ოჯახებისას (ს. მგალობლიანი).
გ. შეიღების სიცოცხლისათვის, მათი ინტერესებისათვის გააფთრებით მებრძოლი დედა: ქვრივი ისეთი გააფთრებული შეიქნა ნათელაზე, როგორც ძუ ლომი თავის ლეკვებზე (გ. წერეთელი).
დ. უკლანჭო ლომი - ერთ დროს ძლიერი, მაგრამ აწ უკვე შესუსტებული ვაჟაკი: თავადი ესტატეც აბობოქრდა, მაგრამ ეხლა ის ცალად დარჩა, აქამდე ძლიერკლანჭებიანი უკლანჭო ლომს დაემგვანა (ს. მგალობლიანი).
ე. ლომის ძალა - დიდი ფიზიკური ძალა: ...[უჯუშს] ის იმედი აღარ ამხნევებდა, უარეს მდგომარეობაშიც რომ ლომის ძალასა და ვეფხვის შეუპოვრობას მატებდა (ლ. ქიჩელი).

ლომა: ლომა კამეჩი - ღონიერი კამეჩი. ღონიერი და გამჯგე კაცი: ლომა კამეჩივით დღე და ღამე დაუღლელად შრომობს.

ლომემირი-ი - იტყვიან ძალიან ღონიერ და გულად კაცზე, ვაჟ კაცზე.

ლომეგულ-ი - იტყვიან ძალიან ღონიერ და გულად, უშიშარ კაცზე, ვაჟაკზე: მოვიდნენ ჩვენი ლომგული ვაჟაკებიც.

ლომეგულობა - ლომგულის თვისება: შენი ლომგულობა ვის გაუგია, შე მხდალო!

ლომეგულოვანი-ი - იტყვიან ძალიან ღონიერ და გულად, უშიშარ კაცზე, ვაჟაკზე: მართლაც ამ თეთრმა წვერებმა ხომ არ დააბერეს ლომგულოვანი ვაჟაკი? (კ. გამსახურდია).

ლომებრივი-ი - იგივეა, რაც ლომური. ლომებრივი შეხედულება, შესახედაობა, გარეგნობა - ვაჟაკური გარეგნობა: ის მოხრილიყო, თითქოს მძიმე ღოღი დასწოლიაო და მის შეუბრალებელს სიმძიმეს ჩაუკეცვინებია, ჩაუჭუჭკავს და ლომებრივი შეხედულება მედგარად დაუნაგრავსო (ალ. ყაზბეგი). ლომებრივი სახე - ვაჟაკური სახე: თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავისის სურვილით, თუმცა მო-

სწონდა თავისი გუგუა და არაერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შეერთებაზედ ფიქრით, არა ერთხელ მოზმანებოდა მისი ღომებრივი, ვაჟკაცის სახე (აღ. ყაზბეგი). **ღომებრივი გულადობა, უშიშრობა - ვაჟკაცური გულადობა:** ...ესმოდათ იმისი ღომებრივი გულადობა, უშიშრობა, - და ეს საკმაო იყო, რომ იმას ხალხის პატივისცემა მოეპოვა (აღ. ყაზბეგი).

ღომისებურ-ი - იგივეა, რაც **ღომური:** ვხედავ მის ღომისებურ პირსახეს, - რკინის ჩარჩოში ჩამჯდარს... (მ. ჯავახიშვილი).


ღომკაც-ი - იტყვიან ძალიან დიდი ტანისა და ღონიერ კაცზე: დამეკარგეთ აქედან, ერთი თქვენც მყავხართ ღომკაცები!

ღომობა - ღომად ყოფნა. **ვაჟკაცობა, გმირობა:** ჯერჯერობით ღომობა რომ აღარ გაგდის, მეუღლას ეპოტინები, მაგრამ ღმერთი ყოველის შემძლებელია, შეიძლება ისიც მოგიცდესო (აკაკი).

ღომური-ი - ღომის მსგავსი. **ვაჟკაცური, გმირული:** კიდევ დიდხანს შფოთავს ჯურხა, ცანცარებს მისი ღომური თავი და ბოხი ბუკივით ხრიალებს მისი განიერი ყანყრატო (მ. ჯავახიშვილი). ჯურხამ ღომური ბუხუნით და პრიალა დაშნით ისე გაჰფანტა მოჩხუბარნი, თითქო ჯიხვებს მგელი დაერიო (მ. ჯავახიშვილი).

ღოპრ-ი - ცხოველთა დორბლი, დუჟი.

ღოქო - მტკნარი წყლის დიდთავა, უღვაშიანი, უქერ-ცლო თევზი. 1. **ზანტი, დონდლო** ადამიანი: ეი, ღოქო, მთელი დღე რომ გძინავს, გაიღვიძე! 2. **დოყლაპია, უგერგილო:** მე მაინც არ ვინძრეოდი, სანამ კიდევ არ მომამახა ზიზღით: "არ გესმის, შე ღოქო, შენაო?" (აკაკი). რა ღოქოსავით დაგიღია პირი, შე დოყლაპია, ფხიზლად იყავი, თორემ ცარიელზე დარჩები! 3. **გერაგი, ტაცია, გლეჯია, მობალადე:** "სვოლოჩო!" ეუბნება [დახლიდარი] გლეხებს და ღოქოსავით პირი დაუღია ყველას



და ყველაფრის ჩასაყლაპად (ვაჟა). 4. დიდი, ზრდასრული, გამოცდილი ადამიანი: პატარ-პატარა თევზებზე სწავლობენ ქალები ნადირობას და მერე თქვენხელა ლოქოსაც დაიჭერენ ხოლმე (აკაკი).

ლოქორა – ლოკოკინას მსგავსი სლიპინა უხერხემლო ცხოველი. სლიპინა, უსიამო, ზიზღის აღმგერელი კანის მქონე ადამიანი.

ლოხ-ი – ზანტი, ზარმაცი, უღონო (საქონელი, ადამიანი). თვითონ მშრომელი [ციციკორე] ვერ იტანდა ზარმაცს, მცონარს, უსაქმურს, ცეცხლმოკიდებული ეძგერებოდა ჩრდილში მონებიერე გლეხს: / – შე ჟანგიანო, სამძილა ზარმაცო, მიმკვდარებულო, ლოხო! განა არ იცი, რომ ქვეყანა საგარჯილოა? (გ. ლეონიძე). მუშაობაც აღარ შეგიძლია, შე ლოხო?

ლურჯა – ცხენი, ვირი, ჯორი, რომელსაც მოლურჯო ფერი გადაჰკრავს.

მაბზაკუნა – იგივეა, რაც ბოლოქანქარა, თოხიტარა.

მაიმუნ-ი – აგებულებით ადამიანის მსგავსი ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. მანჭია, გრეხია: ნუ იმანჭები მაიმუნივით! 2. უშნო, ულამაზო, შეუხედავი: დავითი საქოლაეს აგვიგებენ. /ლუარსაბი მა რა მოგვივა, რომ მაგათგან მოვტყუვდეთ და ეგ მაიმუნი [ქალი] წავიყვანოთ (ილია). 3. არასერიოზული ადამიანი: კაცი ორი დღით ჩამოსულხარ [ზღვაზე] და ეგ მაიმუნი [ბავშვი] არ გაცლის დასვენებას... (გ. რჩეულიშვილი). – გაუშვი, დედა, გაუშვი [თამაზი სკოლაში]! / –სად გავუშვა, სად, ეგრე მაიმუნი! (რ. ინანიშვილი). ეს ჩემი მაიმუნი როდის დატკვიანდება ნეტავი? 4. გონებრივად ჩამორჩენილი, უინტელექტო: სწავლა კი არა, გიმნაზიიდან უნდა გამორეკო ეგენი და მიწა ათხრევირო, რა მაგათი საქმეა სწავლა, შუბლგაბრტყელებული არიან მაიმუნებსავითო (გ. წერეთელი). 5. ვისაც სხვისი სასაცილოდ მიბაძვა, გამოჯავრება სწევია, ან შეუძლია: დიდი მაიმუნია ეს ბავშვი, ისე გამოგაჯავრებს, სიცილით მოკვდება. 6. ცელქი, მოუსვენარი, ონავარი (ბავშვი): ისე გაულაღდა საქმეს და ყარამანიც გამოჩნდა, თან ის მაიმუნი ბიჭი კობაც მოჰყავდა (რ. ინანიშვილი). რა მაიმუნებიც თქვენა ხართ, ის მაიმუნიც ეგ ჭოტის ბარტყი იყო. დედას ბუდეში სძინავს, ეგ ონავარი კი დაფრინავს და დამაიმუნობსო (რ. ინანიშვილი).

მაიმუნობა – 1. მანჭვა-გრეხა: გეყოფა მანჭვა-გრეხა, შეწყვიტე მაიმუნობა და წიგნს მოჰკიდე ხელი! 2. არასერიოზული საქციელი: მოიტანეთ მაგ ბორკილი, დამადეთ და გაათავეთ მაიმუნობა დროზე (ჭ. ამირეჯიბი). 3. სხვისი სასაცილოდ გამოჯავრება: მასწავლებელი გამოუჯავრებია და იმას ამ მაიმუნობისთვის კლასიდან გამოუგდია. 4. ცელქობა, ონავრობა: მთელი დღე ცელქობას და მაი-

მუნობას ნუ უნდები. 5. არასერიოზული რამე: სასახლე, მეფე და ეგეთი მაიმუნობა შენთვის შეინახე! (წ. სამალონი დაშვილი).

მაიმუნობს – 1. იმანჭება, იგრიხება. 2. ცელქობს, ანცობს. 3. არასერიოზულად იქცევა.

მაკე – ცხოველი, რომელსაც საშოში ნაყოფი აქვს ჩასახული.

მაკეობა – მაკედ ყოფნა.

მაკრატელა – მერცხალი.

მამალ-ი – 1. მამრობითი სქესის ცხოველი. 2. მამრობითი სქესის ქათამი, რომელსაც ყვივლი სჩვევია. 1. **ამპარტავანი**, **ბლენძია**, **ფხორია** კაცი: მამალივით იბღინძება. 2. **ამაყი**, **თაგმოყვარე**: მამალივით ამაყი კაცია. 3. **კოსტა**, **მოსდენილი**, **ჯიშინი მამაკაცი**: ...დათა თუთაშხია, გაღმა ბექობი იყო, იმაზე იდგა ჯიშინი მამალივით, დონ-ჯშემოყრილი იდგა (ჭ. ამირეჯიბი). 4. **მებრძოლი**: ეგ ბიჭი მამალივით კაი მებრძოლია. 5. **ქალის საყვარელი მამაკაცი**, **მისი სექსუალური პარტნიორი**: ბუდუ შეღია ბებური და სნეული იყო, ამიტომ ცვირიმ იმ ღამეს მეორე მუდმივი მამალი იშოვნა, ხოლო კვაჭიკომ – პირველი ნამდვილი დედალი იგემა (მ. ჯავახიშვილი). **მამალი სულელი** – **უკიდურესად სულელი**: რომ უნდოდეს კიდევ, ვის და როგორ უნდა შეატყობინოს ასთიონამ რამე? და როგორი მამალი სულელია, თუ იცი?... (ჭ. ამირეჯიბი).

მამაძალ-ი – 1. **საღანძღავი სიტყვა**: ჰაი, თქვე მამაძალე-ბო, არა ხართ კმაყოფილი?! ჩაფარო, მათრახი მაგას! (ვაჟა). 2. **ეშმაკი**, **გაიძვერა**: შეველა თუ უნდოდა მამაძალე ზარნავას იმ სტამბის კაცების, სროლა რომ იყო, მაშინ გაშველებოდა მათ! (ჭ. ამირეჯიბი). 3. **ავაზაკი**, **სალახანა**, **ყოფლის მკადრებელი**: გაიგე, ბართლომე, რა უქნიათ, მამაძალეებს, ამათ? გოუტანიათ მახათაზე ზარბაზნები და, თუ არ მოიშალეთ მიტინგები და მისთანები, მაგ თქვენ თბილისშივე ამოგუჟავთ მატლებივითო! (ჭ. ამი-

რეჯიბი). პოლკოვნიკ სახნოვს, მამაძაღლს, იცნობ შენ
(ჭ. ამირეჯიბი). ქეებს ნუ ისერი, შე რიუა მამაძაღლს
(ბ. გეგეშიძე).



მამაძაღლობა – მამაძაღლის თვისება.

მამაძაღლობს – მამაძაღლის შესაფერისად, მამაძაღლურად იქცევა.

მამლაყინწა – ზრდადაუსრულებელი მამალი, ყვინჩილა.
1. ყოყლოჩინა, ჩხუბისთავი: აქ ხუთიოდე ახალგაზრდა მამლაყინწებივით დასტაკებოდნენ ერთმანეთს (მ. ჯავახიშვილი). 2. გინც რისამე დასანახად კისერს შორიდან იწვდის: მე ახლო ვარ და ძლივას ვხედავ და შენ მაინდამ რას დაინახავ, მამლაყინწასავით კისერი წამოგვიშვერია (ილია).

მამლაყინწაობა – მამლაყინწას თვისება, ყოყლოჩინობა.

მამლობა – მამლის თვისება.

მამონტი – გადაშენებული სპილოს მსგავსი გრძელბეწვიანი ცხოველი.

მართვე – ფრინველთა და მწერთა ნაშიერი. 1. ზრდადაუსრულებელი, იმედისმომცემი მამაკაცი: მაგისი ბიჭები არწივის მართვესავით იმედის მომცემნი არიან. 2. ზრდადაუსრულებელი, ჯერ კიდევ ნაკლების შემძლე მამაკაცი: ჰმ, ვის უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას!... არწივს ფრენაში გაჯიბრებია ახლად აღნავებული მართვე! (კ. გამსახურდია).

მარტორქა – დიდი, ბალახისმჭამელი ძუძუმწოვარი ცხოველი, რომელსაც ცხვირზე ერთი, ან ორი რქა აქვს. საშიში, აგრესიული ადამიანი: შენ მაგას უფროხილდი, მარტორქასავით უცებ იცის გადარევა!

მარქენალი – რაც ირქინება (პირუტყვი). საშიში, აგრესიული ადამიანი: ეგ მარქენალი ხარივით დროდადრო საშიშია.

მარჯანი - მომცრო გარეული მტაცებელი ფრინველი.

მატლი - ჭია, მწერი განვითარების პირველ მტაცებელი ფრინველი.

1. არარაობა, უსუსური, უძლური ვინმე, ვისი მოკვლაც არაფრად ითვლება: გაიგე, ბართლომე, რა უქნიათ, მამაძაღვლებს, ამათ? გოუტანიათ მახათახე ზარბაზნები და, თუ არ მოიშაღეთ მიტინგები და მისთანები, მაგ თქვენ თბილისშივე ამოგუჟუკავთ მატლებივითო! (ჭ. ამირეჯიბი). 2. მხსნავი ბავშვი: უყურე ერთი ამ მატლს, რა მარჯვედ დახოხავს! 3. ვინც იკლაკნება: ისეთებისა დავცხე [ჯოხი] - მატლივით დაიკლაკნა (ჭ. ამირეჯიბი). გუშინდელი მატლი - ამასწინანდელი არარაობა, ვინც ახლა თავს დიდ რამედ თვლის: მეხი კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს!... როგორ კისერმოდერებულები დგანან გუშინდელი მატლები! [ყმობისგან გათავისუფლებული გლეხები] (ილია). კბილის მატლი - შემაწუსებელი, შემღონებელი, მოსვენების დამკარგავი ადამიანი: ისრაფილ ფაშა დაუტყვევებიათ... ჩემი კბილის მატლი ის იყო (პ. კაკაბაძე).

მაქცია - პატარა გარეული ფრინველი. საფრთხის დროს თავს იმკვდარუნებს.

მადრანი - შავ, ან იისფერბუმბულიანი საშუალო ზომის გარეული ფრინველი.

მაჩვი - საშუალო ზომის კვერნისებრი მტაცებელი ცხოველი. იტაცებს ქათმებს, აზიანებს ყანებსა და ბოსტნებს. 1. ჩუმჩუმელა, ვერაგი ადამიანი: ეგ მაჩვივით ჩუმად გივერაგებს და პატიოსანი კაცივით დაგელაპარაკება. 2. ვინც ჩუმად, სხვისაგან ფარულად ჭამს: იგი ბოსტანში შეპარულ მაჩვსავით ილუკმებოდა (კ. გამსახურდია). 3. ქურდი, მპარავი: კაი კაცს ჰგავს, მაგრამ მაჩვივით დაიპარება საქურდლად. 4. მიწურში მცხოვრები, ან მიწის მჩიქნელი: [ნაჩაფრალი] მეორე მხრიდან მაჩვივით ამოდის მიწიდან... (მ. ჯავახიშვილი).

მაჩვზღარბი - ზურგსა და გვერდებზე გრძელი ეკლებით დაფარული ძუძუმწოვარი მღრღნელი ცხოველი.

მაქებარ-ი - იგივეა, რაც მექებარ-ი.

მახე - ნადირ-ფრინველთა დასაჭერი მოწყობილობა. მახეს დაუგებს - ხრიკებს მოუწყობს: ამდენი წელიწადია მიყურებს - დაისწავლა ჩემი გზები და ასავალ-დასავალი. მახეს მიგებს ყველგან (ჭ. ამირეჯიბი). ...მეორე დღისთვის ახალ გემებს ვაწყობდი, როგორ დამეგო მახე [ლიასთვის], როგორ მომეხელთებინა. მაგრამ ღია ჩემზე ეშმაკი იყო... (ა. სულაკაური). მახეში გააბამს - ხრიკებით გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებს: ვცდილობდი, მოვრიდებოდი, მაგრამ მაინც გამაბა მახეში. მახეში გაბმული - ხრიკებით გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი: "ბიძაჩემი" და დათა თუთაშხიას ძმა მახეში იყვნენ გაბმული, მათი გამოხსნა იყო საჭირო (ჭ. ამირეჯიბი).

მახრა - იგივეა, რაც ბოსტანა. მაგნებელი ადამიანი: მახრა-სავით სულ სხვას უთხრის ორმოს.

მახრჩობელა - უშხამო გველი, რომელიც მსხვერპლს ახრჩობს და მერე ყლაპავს. ვინც მსხვერპლს გასაქანს არ აძლევს მანამ, სანამ საბოლოოდ არ მოსპობს: თუ მახრჩობელა გველივით ხელში ჩაგიგდო, ველარ გადაურჩები.

მბრდღვინაფ-ი - ვინც, რაც ბრდღვინაფს.

მბღაფან-ი // მბღაფანა - რაც ბღაფის (საქონელი, ცხვარი).

მგალობელ-ი - ვინც, რაც გალობს..

მგელ-ი - ძაღლის მსგავსი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. სისხლმოწყურებული, მკვლელი: თუთაშხიამ დაინახა, რომ ხალხის თვალში იგი უკვე სისხლში მოთხვრილი მგელი იყო და არა საერთო პატივისცემით მოსილი აბრაგი (ჭ. ამირეჯიბი). 2. მოძალადე, ტაცია, გლეჯია: მომეცალეთ, ერთი დამანახვეთ ეგ რუხი მგელი, ბარემც ჩავაძაღლო და მოვასვენო ქვეყანა მაგის ტაციობისაგან (გ. წერეთელი). "რუხი მგელი" ზედგამოჭრილი სახელია ავთანდილისა... (გ. წერეთელი). 3. სასტიკი, დაუნდობელი ადამიანი: [მამიდაჩემი] ჩავარდნილია, თქვენი მტერი ჩავარდა ცეცხლსა და გენიაში...

მგლების ხელში!.. თქვენც გაგონილი გაქვთ იმათი უწესრიგობა და თავლაფდასხმა... (დ. კლდიაშვილი). მგელივით ეცა და დაუნდობლად ცემა დაუწყებო!

4. მტრისთვის საკადრისი პასუხის გამცემი ძლიერი ადამიანი: მე მაშინვე ვერ მოვიფიქრე, რომ უნდა მგელი ყოფილიყავი, რომ მგლებში მგლურად გედმუილა, რომ ბატკანს უთუოდ გადაგყლაპავდნენ (ეკ. გაბაშვილი).

5. საშიში, ავი შესახედაობის ადამიანი: ერთ სვანს ასეთი გრძელი და თეთრი კბილები ჰქონდა გამოვარდნილი, რომ სწორეთ კბილებ-დაკრეჭილი მგელი გეგონებოდა (გ. წერეთელი). ყმაწვილებმა მოიგროვეს თავი ქვერიას სადგომში. იმისი სახე სწორეთ კბილებდახჭენილს მგელს ემგზავსებოდა (გ. წერეთელი).

6. კისერგაშეშებული ადამიანი: თავს როდი სძრავდა საუბრის დროს, კისერიც მგელივით გაშეშებული ეჭირა, მხოლოდ თვალებს აგელებდა, აძვრენდა იქით-აქეთ (ვაჟა).

7. გინც საკბილოს საშოვნელად დაძრწის: ნამდვილი რუხი მგელივით მოწანწალობს (გ. წერეთელი). მუდამ ტყეში დარბოდა მშიერი მგელივით, ექებდა მხოლოდ, სად რას წააწყდებოდა, ვისთვის რა წაერთმია (გ. წერეთელი). ...ხომ იცი ჩვენი გვარის კაცის ამბავი, ხან აქეთ კლდეს უნდა ვეცეთ, ხან იქით, რომ მშიერი მგლებივით რასმე წავაწყდეთ (გ. წერეთელი). მინოსმა იცოდა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად ყველაფერს რომ იკისრებდა იასონი, ყველა ყუნწში გაძვრებოდა, ყველა კუთხეს დასუნავდა მგელივით (ო. ჭილაძე).

8. ავი, აგრესიული ადამიანი: მთელი სახლობა მგლებივით შეჰყურებს და მეც თავი დავანებო? (ეკ. გაბაშვილი).

9. ვისაც ცხოვრების აზრად მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნვა მიაჩნია: არც მგლის მოდგმის შვილი ვარ, რომ საჭმლის შოვნისთვის ვიცხოვრო მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი და ძროხები მჭირდებოდეს მარტო (ჭ. ამირეჯიბი).

10. დამშეული, ძალიან მოშიებული: ყველანი მშიერი მგლებივით ვიღმურძლებით და გატენილი პირით ვლულულუდებთ (მ. ჯავახიშვილი). იამანიძე მგელივით მიადგა მწვადებს (კ. გამსახურდია).

11. შემზარავი ხმის პატრონი: ბევრის ღრიალით ხმადაკარგული ქეთო მგე-

ლივით დაჰდმოუდა თავისის საყვარელის ქმრის ცხედარს (ეკ. ვაბაშვილი). აპარეკა, ბათაკა, დათვიას მეფე-ლაფენი და ოციოდე მათი მიმდევარი მგლებივით მგლები იან (მ. ჯავახიშვილი). საწყალი დედამისი მგელივით ყმუის, მაგრამ ვინ გაუცოცხლებს შვილს! 12. ვინც მსხვერპლად ამორჩეული ადამიანის დევნა იცის: შენც ისე გაჰყევი უკნიდან, როგორც მგელი ცხვრის დუმას (მ. ჯავახიშვილი). ის მოსასპობი ბიჭი ამ გოგოს მგელივით დასდევს კუდში. 13. ერთად მისეული გაცოფებული, გააფთრებული ადამიანები, მტრები: თავისიანი და სხვისი, შინაური და გარეშე, ყველა ერთად მგლებივით შემოეხვივნენ (აკაკი). თავადაზნაურობა სისხლსა ღვრიდა თავის ქვეყნის და სარწმუნოების დასაცავად მგლებივით მოსეულს მტრებისაგან (ს. მგალობლიშვილი). ალაყაფში დატანებული კარი შეადგეს, უნტერმა ხელკეტებითა და ფარებით აღჭურვილი ათეული შეიყვანა – მგლებივით შეცვივდნენ (ჭ. ამირეჯიბი). 14. საქმეს მოწყურებული ადამიანი: [ხათუთა] საქმეს მშიერი მგელივით მტაცებს ხელიდან, ქააა! (მ. ჯავახიშვილი). 15. საუკეთესო ადამიანი, ან ნივთი: მგელივით კაცი ხარ. თუ ხელს გამოიდებ, შენისთანა ჩვენს სოფელში ორიც არაა (პ. კაკაბაძე). მაგას ახალთახალი, მგელი მანქანა ჰყავს. მგელი მობილური ვიშოვე. მთის მგელი – ამტანი, ღონიერი, მონებრებული: თემური მაინც ნამდვილი მგელია, მთის მგელი (კ. გამსახურდია). მიწის მგელი – სწრაფი, შეუმჩნეველად მოძრავი: ცეცო მიწის მგელსაგით გაუჩნდა თამროს, მივიდა და წყაროს პირ ჩამოუჯდა (ს. მგალობლიშვილი). მგლის კბილები – დიდი მადა; აგრესიულობა: აქ (სვანეთში) ყველას მგლის მუხლი აქვს, მგლის კბილები და მგლური მადა (კ. გამსახურდია). მგლის ლეკვი – შვილი, რომელიც მშობლის გზას აგრძელებს: კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, / ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შეჭამონ მტრისანი (ხალხური). ი შვილებიც [ბოროტი ადამიანისა] რომ მგლის ლეკვებს ჰგვანან, დიდება შენდა ღმერთო! (გ. წერეთელი). მგლის მუხლი – სიმარტე, დაუღალაობა (სიარულში, სირბილში): აქ (სვანეთში) ყველას მგლის მუხ-

ლი აქვს, მგლის კბილები და მგლური მადა (კ. გამსახურდია). [ბახას] შიშმა ფრთები გამოაბა, მგლის მუხ-
ლი გამოაბა და მალე თვალიც შეასწრო ბიძამისის
ზურგს (ო. ჭილაძე). მგლის ძუნძული - მთაში მდევრად
წასულის სწრაფად, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით სვლა: ქორ-
ღუყოს ქუდი მოეხადა, თავი წინისკენ წაეღო და იმ ნა-
ბიჯით მიაბიჯებდა, რომლითაც მდევარში მიდიან და
მთაში "მგლის ძუნძულს" ებახიან (ალ. ყაზბეგი). მგლის
ხროვა - მოძალადე, დაუნდობელ და მტაცებელ ადამიანთა
ჯგუფი: ამისთანა ჯარს და მხედრობას გმირული სული
არ უდვია. ის არის მგლების ხროვის მსგავსი და ადრე
თუ გვიან მგლებივით გაირეკებიან ქვეყნიდან (გ. წერ-
ეთელი). მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი - წყევლაა:
კიტრიპარია ბიჭი თავქვე გარბოდა. / - მგლის პირი
შენ და ქორის კლანჭი! - გაადვენა ფუფალამ (გ. ლეო-
ნიძე). მგლის კბილი - მავნებელი, ავი, ბოროტი ადამიანი:
ჩვენც გულაჩუყებულებმა ეს ქურდი, გაწუწკებული ბა-
ცაცა, ეს მავნე, მგლის კბილი, ეს ხეძვერა, ეს მიწის
ლუკმა ყველაზე ძვირფას ადამიანად ვიწამეთ ახლა
დედამიწაზე! (გ. ლეონიძე). მგელს დააფეთებს - საშინე-
ლი შესახედობა აქვს, მახინჯია: მანახეთ, ეგება მეც მო-
მეწონოს [ქალი]... ესაა? ტფუ... მგელს დააფეთებს! (პ.
კაკაბაძე).

მგელკაცი - // **მგელკაცა** - დაუნდობელი, მხეცი ადამიანი.

მგელხარ - ტანადი, მხარბუჯიანი, მძლავრი ვაჟკაცი: მეორე
ნათლიაც მალე გამოჩნდა, მთასავით ვაჟკაცი, მგელხა-
რი (გ. ლეონიძე).

მგლინაფა - პატარა, მოკლეფეხება გარეული ფრინველი.

მგლისებური - იგივეა, რაც მგლური.

მგლისფერი: **მგლისფერი კაცი** - ავი, გაგარეულებული,
ხარბი, მძიმე ხასიათის ადამიანი: აგრე შერთეს მარიტას
უნდომი, უნდო, უყვარული ქმარი შეთე, - მლაშე, ზვი-
დი, ყომრალი კაცი, მგლისფერი! (გ. ლეონიძე).

მგლობა - მგლის თვისება.

მგლურ-ი - მგლის შესაფერისი. კუზმა-მრისხანე მთელი ტანით მგლურად მეზღვაურებისაკენ მიტრიალდა და დელეგაციას ზურგი შეაქცია (ლ. ქიჩელი).

მდედრ-ი - 1. ქალი, დედაკაცი. 2. მდედრობითი სქესის ცხოველი.

მდედრობით-ი - ქალის, ან მდედრობითი სქესის ცხოველის კატეგორია.

მებოძნე პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს გამდინარე წყალსატევების ნაპირებზე.

მებუკე - ერთგვარი წერო.

მედუღუკე - შოშიისოდენა გარეული ფრინველი.

მეთოვლია - თოლიას მსგავსი გარეული ფრინველი.

მეკანაფია - ჭვინტას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

მეკენჭია - მეჭვავიას მსგავსი გარეული ფრინველი.

მეკირია - ნამგალას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

მელა // მელია - გრძელკუდა მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. მოხერხებული, გონებამახვილი ადამიანი: გია მელასავით მოხერხებული ბიჭი გამოდგა. 2. ცბიერი, ფლიდი, ვერაგი ადამიანი: მტერი ისე საშიში არ არის, როგორც მოყვრულად შინ მელასავით შემოპარული (აკაკი). - ბათაკას ერიდიდი, - კიდევ მაფრთხილებს ჯურხა, - მელა კაც ას, მიპარვა იცის (მ. ჯავახიშვილი). იმავე დღეებში კვაჭის კაბინეტში ბებერი მელა გინცი შემოძვრა და დაიწრიპინა... (მ. ჯავახიშვილი). 3. ავაზაკი: უკ, ესა მელაა, ამან ყველაფერი იცის. ესა იმ ვირეშმაკის კაცია, უწინა ორთავენი ბაცაცები იყვნენ, ესლა ორივენი ავაზაკები არიან... (ჭ. ამირეჯობი). 4. ვინც აქეთ-იქით დაძვრება ამბის გასაგებად: ყველას ყუ-

რები აცქვეტილი ჰქონდა და ყოველგან მელასავით და-
 ძვრებოდა, რომ რამე ამბავი გაეგოთ ამ ცველილებასზე
 (გ. წერეთელი). 5. დაოსტატებული ქურდბაცაცხე უცმიძვირ
 მელასავით მოხერხებულად ქურდობს. 6. ქათმის ხორცის
 მოყვარული: მელასავით ოღონდ ქათმის ხორცი აჭამე
 და სხვა არაფერი უნდა. 7. ვიგინდარა, მაღალ ფენასთან
 დაახლოების მოტრფიალე ადამიანი: ...[ვიგინდარების] ფე-
 ნის სულიერი სარჩო პრივილეგირებული წოდებების
 შარავანდეთთან ლაციცი გახლდათ და ახლაც ყოველ
 მათგანს სერიოზული იმედი ჰქონდა, რომ ციხიდან გა-
 სვლის შემდეგ მიაღწევდა იმას, რასაც ჩაჯდომამდეც
 სიცოცხლის ოცნებად ატარებდა. ციხეში მათ მელებს
 ეძახდნენ... (ჭ. ამირეჯიბი). 8. პირფერი, ფარისეველი, პირ-
 მოთნე: ქაიხოსრომ სიამოვნებით გადიხარხარა ამ ქება-
 ზე და სოლომანს უთხრა: / – მელა ხარ, მელა, სოლო-
 მან ჩემო (დ. კლდიაშვილი). ...[შვილი] მელიასავით და-
 ეკრიჭა, ვითომ მამას კი არა, რომელიღაც უფროსს
 ეფარისეველებოდა (ნ. წულეისკირი). მელასავით ტყავის
 გაძრობა – შავი დღის დაყრა, შავ დღეში ჩაგდება: კისერიც
 მოუტეხნია! მეც მელასავით გაეაძრობ ტყავს (მ. ჯავა-
 ხიშვილი). გაზაფხულის მელა – ძალზე გამხდარი, ჩამო-
 მდნარი ადამიანი: – აწყაფუზ დევი ვარ! – ჩემობდა თვა-
 ლებგადაპრაწული წიპრუა, გაზაფხულის მელასავით
 რომ გასწვრილებოდა კისერი: კაი ქარი მართლაც წა-
 აქცევდა (გ. ლეონიძე).

მელაკულა – მელა. გაიძვერა, ცბიერი ადამიანი: ეგ დიდი მე-
 ლაკულაა, მაგისი ნდობა არ შეიძლება.

მელაკუდობა – გაიძვერობა, ცბიერება: შაჰ-აბაზის მელაკუ-
 დობა პირველი არ არის (აკაკი).

მელაობა – გაიძვერობა, ფლიდობა: ჯერჯერობით ლომობა
 რომ აღარ გავდის, მელაობას ეპოტინები, მაგრამ ღმერ-
 თი ყოველის შემძლებელია, შეიძლება ისიც მოგიცდესო
 (აკაკი).

მელაძუა – იგივეა, რაც მელაკულა: ამ მელაძუა სტალინის
 სახელი რად ახსენაო? (კ. გამსახურდია).

მელისებრი - იგივეა, რაც მელური.

მელოტა - საშუალო ზომის ფეხბაქიანი გარეული ფრინველი. ნისკარტის გაგრძელებაზე, "შუბლზე" ბუმბუღი არ ეზრდება.

მელოტინტა - გრძელბოლოიანი პატარა გარეული ფრინველი.

მელური - ეშმაკური, გაიძვერული: იმის ჭროლა თვალები და გამოქნილი პირისახე, მელური მიხრა-მოხრა აშკარად ამტკიცებდა იმის ეშმაკურს, გამოქნილს და გამოცდილს ხასიათს (აღ. ყაზბეგი).

მემატლია - ბელურაზე პატარა გარეული ფრინველი.


მემძორე - მძორის მჭამელი ნადირ-ფრინველი. ხორცის გადამეტებით მოყვარული ადამიანი: მთელი ოჯახი მემძორეები არიან, ხორცის მეტს საჭმელად არაფერს თვლიან.

მესხპია - ბელურასნაირი გარეული ფრინველი.

მეჩანი - საუკეთესო, კარგად მორბენალი ცხენი.

მერყე - საშუალო ზომის გარეული ფრინველი, ჭოვილოს სახეობა.

მერცხალი - კუდმაკრატელა პატარა მოჭიკტიკე ფრინველი. 1. სასიამოვნო გარეგნობის, ცოცხალი ხასიათის ახალგაზრდა ადამიანი: შენ გენაცვალოს შენი მამიდა, ჩემო მერცხალო გოგონა!... (გ. წერეთელი). ჩვენი ბიჭი რაღა გგონია რა, ისეთია, როგორც მერცხალი (ს. მგალობლიშვილი). ნახე, რა მერცხალივით ცქრიალა და კოხტა გოგო მოდის! 2. წკრიალა ხმის მქონე ადამიანი: ამ ბავშვს მერცხალივით წკრიალა ხმა აქვს. 3. კარგი მომღერალი: მერცხალივით ტკბილად მღერის. 4. აღერსიანად მოუბარო: თუ არავინ იყო, "ნამეტნავობისაგან გულისა" დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს აღერსიან საუბარსა, თითქო მერცხალი თავეის ბღარტებს ეჭიკტიკებო (ილია). 3. ლადი ადამიანი:



ბავშვობისას მერცხალივით ლაღად დავნავარდობდი. პირველი მერცხალი - სასიკეთო ცვლილების მახარობელი კარგი საქმის პიონერი: ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნიან ციმბირში და ჯერ იდუარად არავინ დასჯილათ. და დეე, პირველი მერცხალიც მე ვიყო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო! (აკაკი. ეს დიმიტრი ყიფიანის სიტყვებია).

მერცხალა - მერცხლის მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

მერცხლისთვალეობა - ღამაზი თვალ-წარბ-წამწამის მქონე ქალი, ბავშვი: ეჭვი, მერცხლის თვალეობა, ისევ ცალადი ხარ? რატომ არა თხოვდები, ხომ არ გადაკრუხებულხარ?... (გ. ლეონიძე).

მერძეულ-ი - რძის მომცემი, მეწველი (საქონელი).

მესკია - ერთგვარი პატარა ჩიტი. მოქნილი, ვიწრობში იოლად გამძრომი: ბიჭს ბურთი ეზოს გადაღმა გადაუვარდა და მესკიასავით გაძვრა ღობეში მის მოსატანად.

მეტალახია - ჭაობის პატარა გარეული ფრინველი.

მეფეტვია - გრატას ყველაზე დიდი სახეობა.

მეჭვიშია - პატარა, ან საშუალო ზომის გრძელნისკარტა გარეული ფრინველი.

მეღორღია - პატარა გარეული ფრინველი.

მეჩალია - პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს ჩალიან-ლელქაშიან ადგილებში.

მეჩიტია - ერთგვარი გარეული ფრინველი.

მეძებარ-ი - მონადირე ძაღლის სახეობა, მაძებარი. 1. ვისაც რისამე ძებნა-მიგნების აღლო აქვს: ყმაწვილები დაგეშილ მეძებრებივით გაიქცნენ ამ ბნელს ღამეში (გ. წე-



რეთელი). ის წუწკ მეტებარსავით სუნით ეძებდა იმის-
 თანა მოვაჭრეებს, რომელთაც ჯიბე სქელი ჰქონდათ.
 (გ. წერეთელი). 2. რისამე, ვისიმე მოლოდინში განაბული
 ადამიანი: მერე იყო და ერთი საათი მის ბოსტანში ვიყავი
 წამოწოლილი, ყურები მეტებარით მქონდა (ჭ. ამი-
 რეჯიბი). 3. ხელმოცარული და გულდაწყვეტილი ადამიანი:
 ამ დროს ახალგაზრდა დიტო იღბა ერთ ალაგას და
 ისე გულდაჩაგრულად შეჰყურებდა მარინეს, რომელიც
 უცბად შეიმაღლა საჯალაბო სახლში, როგორც მეტებარ-
 რი წინ აფრენილ ხოხობსა (გ. წერეთელი). 4. სხვის
 უკან ვისიმე, ან რისამე ძებნით მაგალი, ვინც სხვას უკან მი-
 სდევს, თან მიჰყვება: ძალიან არ წუხს?!... ერთ უშვილო
 დედაბერს დეძებებს სადედინაცვლოდ და მითხარით,
 ჩემგან რა შეწუხება მიჰყენებია... დავდეგ უკან მეტებარ-
 რით!... (დ. კლდიაშვილი).

მეწველი - საქონელი, რომელიც იწველის. მეწველი ფური
 ფური, რომელიც იწველის. იოლი გამდიდრების წყარო:
 ზოგიერთები სახელმწიფოს მეწველ ფურად თვლიან
 და წველიან კიდევ.

მეტყავია - შაშვზე მოზრდილი გარეული ფრინველი. ბი-
 ნადრობს გაშლილ ადგილებში.

მზეწვია - ბოლოქანქარას მსგავსი პატარა ფრინველი,
 ბზეწვია.

მთიულა - ბელურისოდენა პატარა ფრინველი.

მიაფრინდება - რამეს ფრენით მიაწვდება (ფრინველი). მი-
 გარდება, ეცემა: რას მომაფრინდი ქორივით, თავი დამა-
 ნებე!

მიგელავს - გელვებით მიდის, მიქრის. სად მიგელავ ამ
 უთენია? არ მითხრა, სამსახურში მექარებაო.

მიგოგავს - გოგვით, მოხდენილად მიდის (ფრინველი, ქალი).

მიგოგმანებს - გოგმანით, მოხდენილად მიდის (ფრინველი, ქა-
 ლი).



მიკიოტი - იგივეა, რაც ბუკიოტი.

მიკნაგდება - ძლიერ დასუსტდება.

მიკნაგება - ძლიერ დასუსტება.

მიკნაგებულ-ი - ძლიერ დასუსტებული.

მიმინო - ქორის მსგავსი მტაცებელი და სანადირო ფრინველი. 1. ამაყი, თავდაჯერებული: ის ბიჭი მიმინოსავით ამაყია. 2. მძლე ვაჟკაცი: მიმინოსავით მამაცია. 3. გულადი, უშიშარი ვაჟკაცი: მაგას მიმინოსავით არავისი ეშინია და მართალიც არის. 4. ტანადი ვაჟი: რას უწუნებენ ნეტავი, მიმინოსავით ტან-ფეხი აქვს. 5. სწრაფი, მარდი და საბრძოლედ შემართული: აიღო კომბალი და ვენახისკენ მიმინოსავით მოსხლტა (ს. მგალობლიშვილი). ახლაც თვალწინ მიდგა [შალია] - ზანგელა, დაგიშრულქოჩრიანი, ჯიღათვალეობა, მიმინოსავით ტანსწრაფი, ხელუკროთომელი, ერთი სიტყვით, სანდომობით საყვარელი (გ. ლეონიძე). 6. მოქნილი ადამიანი, ვინც მსხვერპლს უცებ დააცხრება: ორმა მათგანმა თითები ისე გამოჰკრეს ჰაერში მოტრიალე ხორცს, როგორც მიმინომ ბრჭყალები მწყერს (აკაკი). 7. ვინც ადვილად იწვრთნება საქმეში: როგორც მიმინო, ისე გაიწაფა თავისი ამხანაგების ხელობაში... (გ. წერეთელი). 8. ვისაც თავისი ბუნების დავიწყებას აიძულებენ: როგორც დასაგეშ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკრავენ, მერმე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს აააააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადაავიწყონ, თანდაყოლილი ენერჯის პირველადი სილადე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში აააააა-ს... ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შეიდი წლის განმავლობაში (კ. გამსახურდია). 9. ამაყად და საშიშრად მომზირადი: მაგ ბიჭს მიმინოსავით მხერა აქვს. 10. მხნე და თავისუფლების მოყვარე, ლადი ადამიანი: ჩვენ გახლავართ მიმინოშვილები!... მიმინოს შვილები... მიმინოს... ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ჩვენს თავს არავის არ დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასე... (დ. კლდიაშვილი).



მიმომფრენი - ფრინველები, რომლებიც ზამთრობით თბილ ქვეყნებში მიფრინავენ და გაზაფხულზე ბრუნდებიან.

მისატყუარ-ი - რითაც მოსანადირებელ ნადირ-ფრინველს მახეში შეიტყუებენ. **რითაც ადამიანს მიიტყუებენ:** ...რევოლუციამ იცის, რომ მასა ხელოვნურად შექმნილ პროვოცირებულ საბაბს ინსტინქტურად გრძნობს. ასეთ მისატყუარზე იგი ან სულ არ მიდის, ან მივა, აკენკავს, სიყალბეს იგრძნობს და საქმის პირველსავე ნაბიჯებზე მიგატოვებს (ჭ. ამირეჯიბი).

მიუქსევს - ძაღლს წაუსისინებს, მიუსისიანებს, დაუტევს, ძაღლებს მიუქსევს. **მტერს წააქეზებს მის წინააღმდეგ, მტერებს მიუქსევს:** ვიცი, მაგან მომიქსია ის მამაძაღლი.

მიქსევა - ძაღლის, ერთი ადამიანის წაქეზება ვისიმე, რისამე წინააღმდეგ.

მიჩაქჩაქებს - ჩაქჩაქით, რყევით მიდის (ვირი, ცხენი, ჯორი, ადამიანი): სად მიჩაქჩაქებ, კაცო, მაგდენი სიარული სად შეგიძლია?!

მკებნარ-ი - 1. რაც იკბინება (ცხოველი). 2. ტილი. **თავხედი, ზედმეტად გათამამებული არარაობა:** გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, - იტყოდა ბრძენი თავადი. - ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ ღორის მკებნარსავით რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებო (ილია).

მკვდარძაღლ-ი - სალანძღავი სიტყვაა, ძაღლად სახსენებელი მკვდრების პატრონი: ჯოტო ბიჭო, ტყვიები ხომ არ შემოვლიათ მაგ მკვდარძაღლებს? (კ. გამსახურდია). შემეშვი, შე მკვდარძაღლო, თორემ თავს გაგიპობ!

მობალახე - რაც ბალახობს (პირუტყვი).

მობუზულ-ი - კისერში მხრებჩამალული და ბუმბულაშლილი (ფრინველი). **სიცვიისაგან, შიშისაგან, დარდისაგან მოკუნტული:** რატომ ხარ მობუზული, რა გჭირს?

მობუღრავე – რაც ბუღრაობს (ხარი).

მოგება – დედალი საქონლის მიერ ნაშიერის დაბრუნება

მოგელავს – გელვებით, ქროლვით მოდის (ცხენი).

მოგოგმანე – გოგმანით, მოხდენილად მოარული (ზოგი ფრინველი, ქალი): გოგოვ, გნახე ფეხშიშველი, მოგოგმანე ეხოშია, / გენაცვალე, კაკაბს ჰგავდი, მოფრთხიალეს ფერდობშია (ხალხური).

მოგოგმანებს – კოხტად, მოხდენილად მოდის (ზოგი ფრინველი, ქალი): ყვარყვარე – ეს არის მარმარილოს კიბე. აქედან შემობრძანდება შენი ქალიშვილი. აქ, ამ განიერ დარბაზში. გვრიტივით მოგოგმანდება და აქ ნესვივით გაგორდება (პ. კაკაბაძე).

მოზვერი – ხარი ერთი წლიდან უღელში შებმამდე.

1. ღონიერი და ჯანსაღი მოჩიტული ბიჭი: – პაპლი, ჩვენა ხო მოზვერები ვართ? – თვალებს აელმებს უმცროსი. / – მოზვერი აი, ეგ არის, აი, – უფროსს გაუღიმებს პაპა (ჯ. მონიავა). 2. ღონიერი და ჯიუტი კაცი: თუ ძალაზედ მივარდა, ასე გავიბოტები, როგორც ჩვენი შვინდა მოზვერი (ილია). 3. ვისაც ძალა შესწევს ყველა საქმეში, ვინც თავისას ძალით გაიტანს: [ლეგას] ამხანაგები ეძახდნენ ღონიერ მოზვერს და მართლაც, რასაც მიაწევებოდა, გაუტანელი არ მორჩებოდა (გ. წერეთელი). **გაგიჟებული მოზვერი** – გიჟი, გადარეული, გაცოფებული, აწყვეტილი: – ა, ბატონო, თქვენთანაც თავი ვერ ვიხსენით ამ გაგიჟებული მოზვერისაგან, – შეაბრალეს თავი ზედამხედველს (გ. წერეთელი). **დასაკლავი // განწირული მოზვერივით ბღავის** – განწირულივით, მთელი ხმით ბღავის: [ჯურხა] ბოლოს რელსებზე გაიშალა, ზედმიმდგარ ვაგონს ტლინკები დააყარა და განწირული მოზვერივით აბღაველდა (მ. ჯავახიშვილი). დასაკლავი მოზვერივით აბღაველდა (ჭ. ამირეჯიბი).

მოთვინიერდება – თვინიერი, უწყინარი, მორჩილი გახდება (ცხოველი, ადამიანი): ეგ თქვენი ბიჭი როდის მოთვინიერ-



დება?!

მთვინიერება – თვინიერად, უწყინარად, მორჩილად გახდომის (ცხოველისა, ადამიანისა).

მთვინიერებულ-ი – ვინც, რაც თვინიერი, უწყინარი, მორჩილი გახდა (ცხოველი, ადამიანი).

მოიბუზება – კისერს მხრებში ჩამალავს და ბუმბულს აიშლის (ფრინველი). სიცვიისაგან, შიშისაგან, დარდისაგან მოიკუნტება: რას მობუზულხარ, რა გჭირს?

მოიგებს – ნაშვიერს დაბადებს, გააჩენს (ცოცხლადმშობი ცხოველი).

მოიკატუნებს: თავს მოიკატუნებს – თავს მიამიტად მოაჩვენებს, თავს მოისაწყვლებს: ...ლიას ყოველთვის შეეძლო გულიანად სიცილი, ასევე შეეძლო მოულოდნელად გაფითრებულებიყო, თავი ისე მოეკატუნებინა, რომ შეგვეცოდებოდა (ა. სულაკაური). ტყუილად იკატუნებ თავს, მე ყველაფერი ვიცი.

მოიჩიტება – წამოიზრდება (ფრინველი, ბავშვი): ეს ბიჭი უკვე კარგად მოიჩტულა.

მოკატუნება თავისა – თავის მიამიტად მოჩვენება, თავის მოსაწყვლება: ეგრე იცის მაგან თავის მოკატუნება, ვითომ მამა აბრამის ბატკანი მყავდეს.

მოკრიახე – რაც კრიახებს (ფრინველი).

მოლადურ-ი – მგალობელი ფრინველი, გულყვითელა, ბიჭოგოგია.

მონადირე – ვინც, რაც ნადირობს (ადამიანი, ძაღლი).

მონავარდე – ვინც, რაც ნავარდობს (ფრინველი, ადამიანი).

მორიელ-ი ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი, ღრიანკალი. 1. ბორტი, შხამიანი სიტყვით მოუბარი: მაგ მორიელმა ისეთი შხამი ჩამაწყვეთა, ამას როგორ ვაპატიებ!
2. ვინც სამტრედ ხელსაყრელ მომენტს ჩაიგდებს და შეც-

რეგ მიიტანს იერშის, ჩასაფრებული დაუნდობელი, ვერაფერი მტერი: მორიელივითაა ჩასაფრებული. 3. საზიზღარი, ვისი სახელიც კი საძულველია: ასეთი იყო ოდესღაც ნიხთის თარაშ ემხვარი და ახლა ისე ემწარა ეს სახელი, როგორც ცრუმორწმუნეს - მორიელის სახსენებელი (კ. გამსახურდია).

მორქენალ-ი - რაც ირქინება (პირუტყვი).

მოსუნსულებს - სუნსულით მოდის (ძაღლი, მელა, თაგვი). **სარჩოს, საკბილოს ხელში** ჩასაგდებად ძებნა-ძებნით მოდის: აგერ კოლაც მოსუნსულებს, ეტყობა, მწვადის სუნი იკრა.

მოტორავს - ტორებით სცემს, დაბეგვავს (დათვი). **მსხვილი, ტლანქი ხელებით** აიღებს: მაგ ოხერმა რაც წინ საჭმელები ეწყო, ყველაფერი მოტორა და ჩვენ რაღა ვჭამოთ?

მოფარფატებს - ფარფატით მოფრინავს (ფრინველი).
1. **მსუბუქად მობრბის (ქალი):** აგერ მოფარფატებს ჩვენი მერცხალა გოგო. 2. **ძლივს მოდის, მოჩანჩალებს, მოფრატუნებს:** ბაბუაჩემიც მოფარფატდა ვენახიდან.

მოღუღუნე - ვინც, რაც ღუღუნებს (მტრედი, ქედანი, ჩვილი ბავშვი): აკვანში მოღუღუნე პაწიას ყურება სასიამოვნოა.

მოყაშყაშე - რაც ყაშყაშებს (არწივი).

მოშინაურება - ველურის, გარეულის შინაურად ქცევა // გახდომა.

მოშინაურებულ-ი - რაც, ვინც მოაშინაურეს, რაც, ვინც მოაშინაურდა.

მოჩაქჩაქე - ჩაქჩაქით მოსიარულე (ვირი, ცხენი, ჯორი, ადამიანი).

მოჩაქჩაქებს - ჩაქჩაქით მოდის (ვირი, ცხენი, ჯორი, ადამიანი): წელან ბიძაშენი მოჩაქჩაქებდა აქეთკენ.



მონეთი - იგივეა, რაც ვარია.

მონინდრიკობს - იგივეა, რაც მონაქნაქებს.

მონიტდება - იგივეა, რაც **მონიტება**: თუმცა მოზუზნული სახე იმ ცხრა წლის გოგონასი ბევრს ბუნებითს შნოს ჰკარგავდა, მაგრამ ვინც ნახავდა, ყველა ასე ამბობდა: "როცა მონიტდება, მაგის ნახვას არა ემჯობინება-რაო" (გ. წერეთელი).

მონიტვა - წამოზრდა (ფრინველისა, ბავშვისა).

მონიტული - წამოზრდილი (ფრინველი, ბავშვი): მაგას კარგად მონიტული შვილები ჰყავს. ეტ ქალი კი იქნება მონიტული ყვავის ტოლა.

მონრიხული - იგივეა, რაც **მონიტული** (ფრინველი).

მოცადი - მოზარდი, ან ზრდადასრულებული არასამუშაო საქონელი (ცხვარი, ძროხა).

მოცუნცულება - ცუნცულით მოსვლა (თაგვისა, მელისა, ბავშვისა).

მოცუნცულებს - ცუნცულით მოდის (თაგვი, მელა, ბავშვი): აბა, ერთი აქ მოცუნცულდი და კაკას მოგცემ!

მოძუნძულებს - ძუნძულით მოდის (ძაღლი, მგელი, დათვი, ადამიანი): **კაკუტა** - ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და მე და ქუნარამ ნიჩბები მივაგდეთ თხრილში და რო ვიბრუნეთ პირი, სულ დათვებივით მოეძუნძულებდით (პ. კაკაბაძე). ვინ გეძახდა, აქ რომ მოძუნძულდი?!

მოძურწავს - კუდამოძუებული წავა (ძაღლი, მგელი). **გაწბილებული, შერცხენილი წავა**: ერთი დაუცაცხანა მამამისმა და სკოლისკენ მოძურწა.

მოძურწვა - კუდამოძუებული წასვლა (ძაღლისა, მგლისა). **გაწბილებული, შერცხენილი წასვლა** (ადამიანისა).

მოძუტავს - იგივეა, რაც **მოძურწავს**: აბა, წიგნები აიღე და მოძუტვე ახლავე სკოლაში!

მოდულება - იგივეა, რაც მოპურწვა.

მოწველა - ფურის ცურზე ხელის მოჭერით რძის გამოწველა.
ნა.

მოწველის - ფურის ცურზე ხელის მოჭერით რძეს გამოადენს. სხვისი უგერგილობით სარგებლობა და შემოსავლის გაჩენა: ადუოკატმა ისარგებლა მაგის დაუკვირებლობით და კარგადაც მოწველა.

მოწველილი - რაც მოწველეს (ფური, რძე).

მოჭიკიკიკი - ვინც, რაც ჭიკიკიკებს (მერცხალი, ბავშვი).

მოჭრიახე - იგივეა, რაც მოკრიახე.

მოხროფდება - ხროვად მოვა (ხალხი).

მრქენელი - იგივეა, რაც მრჩოელი, რჩოლია (საქონელი).

მხევანი - ჭოვილოს სახეობა. აქვს მაღალი ფეხები და გრძელი ნისკარტი.

მსტვენი - ვინც, რაც უსტვენს (ფრინველი, ადამიანი).

მსტვინაფი - იგივეა, რაც მსტვენი.

მსუნაგი - წუწკი, ღორმუცელა (ცხოველი, ადამიანი).

მსუნაგობა - წუწკის, ღორმუცელას თვისება.

მსხვილფეხა: მსხვილფეხა საქონელი - ძროხის, ხარის, კამეჩის საერთო სახელი.

მტაცებელი - ხორცის მჭამელი ნადირ-ფრინველი. 1. წამრთმევი, წამგლეჯი ადამიანი. 2. მტაცებელი ცხოველის მსგავსი ადამიანი: მსუბუქად ადგამდა თავის გრძელსა და წვრილ ფეხებს (როგორც რბილთათიან მტაცებლებს სწევიათ ეს) (კ. გამსახურდია). მამიდა ყამარი მტაცებელი ფრინველის ნისკარტით მოკაუჭებულ თითს წიგნზე დაუკაუნებდა და ისევ შიგ ჩაახედებდა (ო. ჭილაძე).

მტაცებლობს - მტაცებლის თვისებებს იჩენს, მტაცებელია
(ნადირ-ფრინველი, ადამიანი).



მტაცებლობა - მტაცებლის თვისებების მქონებლობა.

მტაცებლურ-ი - მტაცებლისთვის დამახასიათებელი.

მტრედ-ი // ტრედ-ი - მოღუღუნე ფრინველი. 1. კოხტა, ლამაზი, მშვენიერი (ბავშვი, ქალი): მტრედივით ლამაზი ბავშვი გყოლია. 2. უწყინარი, მშვიდი: მტრედივით მშვიდი ცოლი ჰყავს. 3. უმანკო: შენ გგონია, შენს შემდეგ მე ვიცოცხლო?... არა, ჩემო ლამაზო! ჩემო უმანკო თეთრო მტრედო (გ. წერეთელი). 4. ღულუნა, სასიამოვნო ხმის მქონე ადამიანი: აკვანში ბავშვი მტრედივით საამოდ ღულუნებს. 5. ბრძოლის უნარს მოკლებული სუსტი ადამიანი: ნუნუმ სული განაბა, როგორც მტრედმა ქორის კლანტებში... (ალ. ყაზბეგი). 6. მშიშარა ადამიანი: ნუ ფთხი უგუნურ ტრედივითა (ილია). 7. სასიხარულო ამბის მახარებელი: მე მოვსულვარ თქვენთან იმ მტრედის მსგავსად, რომელმაც ნოეს კიდობანში მშვიდობის ამბავი მიუტანა... (პ. კაკაბაძე).

მუდო // მუდუ - იგივეა, რაც თხუნელა. 1. ჩუმჩუმელა, ქვეშეშეშე, მუზმუზელა: მუდოსავით ჩუმჩუმელაა, ისე წაგიხდენს საქმეს, ვერც კი იეჭვებ მაგაზე. 2. ვინც სულ მიწას ამუშავებს, ვინც სულ რაღაცას ჩიჩქნის: ეი, მუდო, შეეშვი მაგ მიწის ჩიჩქნას, წავიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ!

მუმლ-ი - ერთგვარი წვრილი მწერი, ქინქლა. 1. მრავალი მტერი: საქართველოს მტერი მუმლივით ესეოდა. 2. ღოთი, სახმლის უგონოდ მოყვარული: ეგ ოხერი მუმლივით იხრჩობა ღვინოში. 3. იოლად გასამკლავებელი მოწინააღმდეგე: მაგ საცოდავს მუმლივით გავსრეს!

მურ-ი - ახლადგამოსული აბრეშუმის ჭია.

მურა // მურია - შავ-წითელი ძაღლი.

მურტაღა - წყლის საშუალო ზომის გარეული ფრინველი. ჩამოჰგავს იხვს.

მურწა - მტკნარი წყლის თევზი.

მუტრუკი – ვირის ნაშიერი, ჩოჩორი. 1. **უზრდელი ახალგაზრდა:** შე უზრდელო მუტრუკო, დიდი და პატარა ვერ უნდა გაარჩიო? 2. **ღონიერი უტვინო:** ისეთი მუტრუკი იყო, რომ მიგეშვა, ნახევარ მსოფლიოს გაწყვეტდა (ნ. დუმბაძე). ღონე გაქვს და ტვინი – არა, შე მუტრუკო! 3. **შეუგნებელი, ხეპრე, გაგრია:** ამ ორი კვირის წინად ჩემმა ნაყმევმა... თავისი გომბიო გაათხოვა, ერთ ვიღაც ოხერს მისცა, ერთ თავისთანა მუტრუკს (ილია).

მუხლუხი // **მუხლუხა** // **მუხლუხო** – პეპლის მატლი, ჩვეულებრივ, ჭიისებური, რომელსაც რამდენიმე წყვილი ფენი აქვს. 1. **მოკლე კიდურები, ან თითები:** საწოლებზე ახლად შობილნი ქოთქოთებდნენ, უმწეოდ ასხმარტალებდნენ მუხლუხასავით მოკლე, ნაოჭებიან ფეხებს (კ. გამსახურდია). [მას] თითები მუხლუხასავით მოკლე და ბლაგვი [აქვს] (კ. გამსახურდია). 2. **ვინც თავისებურად სწრაფად დასოხავს:** ერთი ამ ბავშვს უყურეთ, რა მარჯვედ დახოხავს მუხლუხოსავით!

მფრინავი – რაც დაფრინავს (ფრინველი, მწერი). თვითმფრინავის წამყვანი ადამიანი, პილოტი: ბიძაჩემი ყველაზე მაგარი მფრინავია!

მქირდავა – პატარა გარეული ფრინველი.

მღამიობი – იგივეა, რაც **ღამურა**.

მდილი – მღრღნელი ჭია, მატლი. **არაბობა, უსუსური, უძლური, ადვილად მოსარევი ადამიანი:** მოგსპობ, შე მდილო, შენა!

მლოღავი – ვინც, რაც ღოღავს (მატლი, ჭია, ჭიანჭველა, ადამიანი).

მღრინავი – 1. ვინც, რაც ღრინავს, იღრინება (მალი, ადამიანი). 2. საშუალო ზომის გარეული ფრინველი. მეჭვავიას სახეობა.

მღრღნელი – 1. რაც ღრღნის რასმე. 2. ძუძუმწოვარ ცხოველთა რიგი.

მყავი – ძილგუდას მსგავსი პატარა ძუძუმწოვარი ცხოველი.

მეფუარ-ი - 1. რაც ყვეს (ძალდი, არწივი). 2. ძაღლის ებ-
თეტი.

მეფუარა - რასაც ყვეს სჩევეია (ძალდი).

მეფარ-ი - იგივეა, რაც ბაყაყი (იმერულად). იოლად მოსას-
პობი, ადვილი საცემი ადამიანი: განერდი, თვარა გაგხეთ-
ქავ მეფარივით!

მეფრელ-ი - იგივეა, რაც ბოხმეჭა.

მეფიგან-ი - რაც ყივის (მამალი). გამეფიგანი ხმა გურულ სიმ-
ღერაში.

მეფიგანა - მაღალი, წვრილი ხმა (მამლისა, ადამიანისა).

მჩხაგანა - ვინც, რაც ჩხაგის (კატა, ადამიანი).

მცოცაფ-ი - ვინც, რაც ცოცაფს (მწერი, ადამიანი).

მცოხნაფ-ი - ვინც, რაც ცოხნის, იცოხნის (ზოგი ცხოველი,
ადამიანი).

მცოხნელ-ი - ვინც, რაც ცოხნის, იცოხნის (ზოგი ცხოველი,
ადამიანი).

მცურაფ-ი 1. გველი. 2. ქვეწარმავალ-ი. ვინც, რაც ცურაფს
(ზოგი ცხოველი, ადამიანი).

მძევალ-ი - საბუღარში ჩადებული კვერცხი, რომელთანაც
დედალმა კვერცხი უნდა დადოს. პირი, რომელიც შე-
პყრობილი ჰყავთ გამოსასყიდი თანხის გამოსაძალადეად, ან
რამე მოთხოვნის შესასრულებლად: რუსმა ოკუპანტებმა
მშვიდობიანი მოსახლეობა მძევლებად აიყვანეს.

მძვინვარე - ვინც, რაც გამძვინვარებულია: ტარიელი ხატაე-
ლებს მძვინვარე ლომივით დაერია.

მძვინვარება - მეტისმეტად გააფება, გააფთრება (მხეცისა, ადა-
მიანისა).

მძვინვარებს - მეტისმეტად გააფებულია, გააფთრებულია (მხე-
ცი, ადამიანი): დირექტორი შენზე გამწყრალია და მძვინ-
ვარებს.

მძლევაძე-ი - ზოგი ფრინველი, რომლის ხმიანობას დი-
ლით ადრე, ხალხის აზრით, პირდაბანილი და
რეზული უნდა დახვედროდი, თორემ "დაგძლევა"
საქმე ცუდად წაგივიდოდა (გუგული, მერცხალი...).

მძოვარ-ი - რაც ძოვს (ზოგი ცხოველი).

მძოველ-ი - იგივეა, რაც მძოვარი.

მძორ-ი - მკვდარი ცხოველის სხეული, ლეში. საშინლად
ზარმაცი, უქნარა, ხელგაუძრავი და უფარგისი ადამიანი და
მისი სხეული: მძორივით სახელში გდია და სამადლო
ლუკმას ჭამს.

მძრამ-ი // **მძრამელ-ი** - იგივეა, რაც ქვემძრამი.

მძუნობა - ძაღლისა და ზოგი მხეცის სქესობრივად აღ-
გზნება, ატყდომა, ხურაობა. ქალის სქესობრივად აღგზნ-
ება: მაგას ახლა მძუნობის პერიოდი აქვს და კაცს
ექებს.

მძუნავ-ი - სქესობრივად აღგზნებული ცხოველი.

მწვევარ-ი - საგანგებო ჯიშის მონადირე ძაღლი. 1. მაღალ-
ფეხება ადამიანი: ამ ბიჭს მწვევარივით მაღალი ფეხები
აქვს. 2. კარგი მორბენალი: ის ფეხბურთელი მწვევარივით
სწრაფად დარბის, მაგრამ რად გინდა, ბურთს კარში
ვერ აგდებს. 3. მტერი, ვისაც მსხვერპლი ვერ გააქცევს:
მტერს გაექცა, მაგრამ ის მწვევარივით წამოეწია.

მწვევარ-მეძებარ-ი - მწვევარი და მეძებარი, მწვევრები და
მეძებრები.

მწვერ-ი - ფეხებდანაწვევრებული უხერხემლო ცხოველი
(ბუზი, ფუტკარი, ჭიანჭველა, ხოჭო...). 1. შემადონებელი,
შემწუნებელი ადამიანი: ბავშვები მწვერებივით აბზუილ-
დნენ და აგვიკლეს. 2. შემოსეული მტრის, ან შემწუნებელ
ადამიანთა სიმრავლე: რა მოგივიდათ, ბავშვებო, რა მწვე-
რებივით შემოგვესიეთ?

მწვანულა - საშუალო ზომის ბელურასნაირი გარეული
ფრინველი. აქვს მწვანე ბუმბული.

მწივან-ი - ვინც, რაც წივის. კვერცხში მწივანი - იმედის მ-

მცემი, მოხერხებული ბაგში: ეს კვერცხში მწივანი ბიჭი
ძალიან მარჯვია.



მწივანა - 1. ვისაც, რასაც წივილი სჩვევია. 2. ვისაც, რასაც
ძალიან წერილი ხმა აქვს.

მწიფობელა // წიფობელა - ერთგვარი მგალობელი პატარა
ფრინველი.

მწიხლაგ-ი - ვინც, რაც წიხლის კვრა იცის.

მწოფ-ი // მწოფელ-ი - ვინც, რაც ძუძუს წოფს.

მწყერ-ი - ხობის მსგავსი პატარა ფრინველი, რომელიც
ხეზე არ ჯდება. 1. პუტკუნა, კობტა გოგო: ამ უხეიროს
ის მწყერივით პუტკუნა და ლამაზი გოგო მოსწონებია.
2. მსხვერპლი: გაუუსიოთ ყაზახები და მწყერებივით ვი-
ჭიროთ ლამაზ-ლამაზი გოგოები (ს. მგალობლიშვილი).
3. ვინც საფრთხის მოახლოებისას, ან შორცხეობის გამო გა-
ინაბება: ჯერ ახლაც, როცა თარაში ლაპარაკს დაი-
წყებს, თამარი ისე გაინაბება, როგორც ნაქერალში
მწყერი (კ. გამსახურდია). ფუფალამ იწყინა მეტოქის
ხოტბა, ისიც არა გულწრფელი, უმართლო გადამეტვა-
სება და ქორივით გადახედა ბაბაღეს, რომელიც მის
თვალთახედვის ქვეშ მწყერივით გაინაბა (გ. ლეონიძე).
4. თავისიანებს ჩამორჩენილი ადამიანი: ზოგი საწყალი მე-
ნშევიკი გლახა მწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავრო-
ბას და ჩვენთან ამოიძუა კუდი (პ. კაკაბაძე).

მწყერჩიტა - წყალწყალას მსგავსი პატარა ფრინველი.

მჭლე - 1. გამხდარი საქონელი. 2. სიმსუქნეს მოკლებული
ხორცი. გამხდარი, ჩია, უძღური ადამიანი: მით არ ჯერვარ
ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი (შოთა).

მჭლედედა - წონაში იკლებს, სიმსუქნეს კარგავს (საქონელი,
ადამიანი). მხდალ-ი მშიშარა, ლახარი (ეტიმოლოგიურად:
ჭაკი, დედალი ცხენი. შდრ. ძველქართული ჳრდალი "ჭა-
კი, დედალი ცხენი").

მხეც-ი - გარეული მტაცებელი ცხოველი, ნადირი. 1. გა-

აფთრებული, გააგებული ადამიანი: იმისმა ტირილმა გაბრ-
 იყვანა დედ-მამა ფიქრისაგან და ორთავენი ერთად მხე-
 ცებივით დაეტაკნენ ქუჩეს (ეკ. გაბაშვილი). 2. **სასტიკი დაუნდობელი:** რა არის ადამიანი! ყველა მხეცად დაუნ-
 დობელია! (ს. მგალობლიშვილი). ანთო კაცია. ის ჰგავ-
 და მხეცს, რომელიც არა ღონისძიებას არ დაერიდებო-
 და, ოღონდ კი რითიმე თავისი ჯავრი ამოეყარა... (დ.
 კლდიაშვილი). საშინელი ხალხია, საშინელი!.. ერთი
 დღით რომ აუშვათ, მხეცებივით დასჭამენ ერთმანეთს
 (მ. ჯავახიშვილი). 3. **დამაფრთხობელი, საშინელი, ავისმო-
 მასწავლებელი მზერის მქონე:** ...იმისი მხეცსავით ჩასისხლე-
 ბული თვალები აშკარად ამბობდნენ, რომ თუ მოეწყო-
 და ვაჟიას, ის... არ შეიწყალებდა... (ალ. ყაზბეგი). ...გა-
 მხეხებული უთხრა დედამ, თვალები სისხლით დაევესო
 და რამდენიმე წამი მხეცივით შესცქეროდა (ს. მგალობ-
 ლიშვილი). 4. **მტერი, რომლის დაუნდობლად განადგურე-
 ბაც აუცილებელია:** ...ის ისე არ შეიწყალებდა, როგორც
 უკანასკნელს მხეცს (ალ. ყაზბეგი). 5. **საშინელი ხმის
 გამომცემი:** ტარბა დაბარბაცდა, დაიზმუვლა მხეცსავით
 და ისევ მიეტრა და შემოჰკრა ემხვარს (კ. გამსახურ-
 დია). 6. **განათლებელი, ველური, უკულტურო ადამიანი:**
 საშინელი მხეცი ხალხი გახლავსთ ეს მთის ხალხი...
 (ალ. ყაზბეგი). პაწაწინა კავკასიელები პეტერბურგის
 განათლებულს სტუდენტობაში, აბა, რა შვილები ვიქნე-
 ბოდით? იქაურები კავკასიის მხეცებს გვიძახოდნენ (გ.
 წერეთელი). ...როგორც ქვას არა მიეკარება-რა, ისე მაგ
 მხეცების თავში არა შედის-რაო (გ. წერეთელი). ნიკო,
 შენ მაინც ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში... ყმაწვილი ხარ...
 განათლებული. ამ სოფლის მხეცებს კიდევ მიეტყვებათ
 და შენთვის სირცხვილი იქნება... (დ. კლდიაშვილი). -
 თეთრგვარდიელები და სხვა ამისთანა არამზადები თუ
 გყავთ ქალაქში? / - ჩვენ ასეთ მხეცებს არ ვაშინაუ-
 რებთ, ამხანაგო! არ გეყოლია, არ გეყავს და არც გემ-
 ყოლება! (ლ. ქიაჩელი). 7. **განსაკუთრებით კარგი, საუკე-
 თესი:** მოდის მაღალი, ქერა, კოხტა, მხეცი გოგო
 (ზ. სამადაშვილი). 8. **ვინც შეწუხებული წრიალებს, ად-
 გილს ვერ პოულობს:** გალიაში ჩამწყვდეული მხეცივით
 ეწრიალებდი.



მხეცდება - 1. შმაგდება, აფთრდება, ავდება: მამამისი გა-
 მხეცდა და ცემით კინაღამ მოკლა. 2. გათავგებულა, გაუზ-
 რდელდა: ეს ბავშვი ამ ბოლო დროს ძალიან გამხეცდა
 და უნდა მიხედო!

მხეცობა - 1. მხეცის თვისება. 2. მხეცად ყოფნა. 1. სისას-
 ტიკე, დაუნდობლობა: რუსი ოკუპანტების მხეცობას სი-
 ტყვეით ვერ აღწერ. 2. ველურობა, უკულტურობა: ტაძრე-
 ბის ნგრევაზე უარესი მხეცობა რაღა უნდა ჩაედინათ
 კომუნისტებს, მაგრამ მათ დამატებით უამრავი უდანა-
 შაულო ადამიანიც მოსპეს. 3. უზრდველობა, თავხედობა:
 ბიჭების მხეცობამ მასწავლებელი ძალიან გააბრაზა.

მხეცური - მხეცის დამახასიათებელი. 1. მხეცური ცემა -
 გააფთრებით, გააგებით, სასტიკად, დაუნდობლად ცემა: კაი,
 ვთქვათ, ფული წაართვეს, მაგრამ ეს მხეცური ცემა
 რაღა უბედურება იყო? 2. მხეცური მზერა, მხეცური გამო-
 მეტყველება, მხეცური თვალები - დამაფრთხობელი, საშინე-
 ლი, ავისმომასწავლებელი მზერა, გამომეტყველება, თვალები:
 შავგვრემანი და წლოვანებით დაპრანჭული სახე მხე-
 ცური თვალებით ჰქონდა გაცეცხლებული (გ. წერეთე-
 ლი). 3. მხეცური ქცევა - ველურის, უკულტურის ქცევა:
 უნდა წამომდგარიყავი და ბოლმით შემენანა ჩემი მხე-
 ცური ქცევა, მაშინ გავმართლდებოდი, მაგრამ სულის
 ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმისთვის უძღური იყო
 (ილია). 4. მხეცური ინსტინქტი - არაადამიანური ინსტინ-
 ქტი: ის თანდათან მოუსვენებლობაში შედიოდა და მხე-
 ცური ინსტიქტი იმონებდა იმის კაცობრიულს გრძნო-
 ბას (აღ. ყაზბეგი). 4. მხეცური სახე - ველურის გამომე-
 ტყველება: მოაგონდა იმისი შემცდენი ინჟინერი, მხეცუ-
 რის და პირუტყვულის სახით, ღოთი, გარყვნილი და
 უგულო... (აღ. ყაზბეგი). 5. განსაკუთრებით კარგი, საუკე-
 თესო: დღეს მხეცური ქეიფი გვექონდა რესტორანში. თა-
 კოს დედამისმა მხეცური კურტკა უყიდა. ბუნგალოში
 მხეცური კონცერტი იყო და მაგრა ვიდივიგეთ.

მხოხაე - ვინც, რაც დახოხავს.

ნაბაგს: ნაბაგს სულს – ვინც, რაც სუნთქვას იკაავებს, მიჩუმდება: ჩურჩხელების მოლოდინში ბავშვებმა კატასავით სული განაბეს. ნაბაგს თვალებს – თვალებს ღულავს: ეგ ახლა კაი ჩაბრუებულია და იმიტომ ნაბაგს თვალებს ბუხართან მჯდომი კატასავით.

ნაბამ-ი – რაც ება (ძაღლი, ღორი, პირუტყვი).

ნაბგა – 1. სუნთქვის შეკაფება, მიჩუმება (ცხოველისა, ადამიანისა). 2. თვალების მიღუღვა (ცხოველისა, ადამიანისა).

ნაბულ-ი – 1. იგივეა, რაც განაბული. 2. მონადირე ძაღლის შედგომა და მომზადება მსხვერპლზე თავდასასხმელად.

ნაგაზ-ი – გარკვეული ჯიშის დიდი, ავი ძაღლი. 1. ავი, ან-ჩხლი, მოჩხუბარი ადამიანი (უპირატესად მამაკაცი): რა ნაგაზივით სულ იღრინები? 2. ერთგული ადამიანი: ეგ ნაგაზივით ერთგული კაცია, არასოდეს გიღალატებს. 3. შავი, გარჯული, შავტუხა ადამიანი: სულ მზეზე დადის და კია ნაგაზივით შავი. 4. საშიში, დაუნდობელი მტერი: ...შოშია ხეზე ავარდნილ დაფეთებულ კატასა ჰგავდა, ლიმონა კი ქვევიდან მიმდგარ პირდაღებულ, ენაგადმოგდებულ ნაგაზს, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეეძლო ამ კატის ქანდარიდან ჩამოთრევა და ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯვა (ნ. დუმბაძე).

ნადირ-ი – 1. გარეული ცხოველი საერთოდ. 2. მტაცებელი ცხოველი. 1. ვინც საზოგადოებაში უცხოდ გრძნობს თავს და განრიდებას ესწრაფვის: სანამ შინ გაიპარებოდა, დიტო თავის ამხანაგებს არ ეკარებოდა, გვერდზე უყურებდა იმათ და მაინცდამაინც იმათში ერია, თორემ ყველა შეატყობდა, რომ ის არ იყო იმათი ამფსონი და ნადირსავით ტყისკენ იყურებოდა (გ. წერეთელი). 2. გაგარეულად, სახლიდან შორს მყოფი ადამიანი: ეს სამი დღეა ნადირივით სუ ტყე-ტყე დავეხეტები (ს. მგალობ-



- ლიშვილი). 3. ვინც საშიშროებას გუმანით გრძნობს: მისე გამოცდილის თვალებისთვის შვილის ერთი დანახვე კმაროდა, რომ მის საქციელში, ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანაჲ კქროდა ნიავი, რომელიც მას, როგორც ნადირს, სუნს აყრიდა და აკრთობდა, — მოხუცი ვერ მიმხედარიყო (აღ. ყაზბეგი).
4. ფრთხილი ადამიანი: მივიდა თუ არა ურმეულებთან, შესდგა ცოტა ხანს, როგორც დამკრთალი ნადირი, და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა (აღ. ყაზბეგი). თავის სამალავიდან, ტყის ნადირსავით, მხოლოდ მაშინ გამოძვრებოდა, როდესაც სხვები, მუშაობით მოღალულნი და დღის სიტკბოებით დამტკბარ-დასუსტებულნი, განსვენებას ეძლეოდნენ (აღ. ყაზბეგი).
5. უცხო, თავისებური გარეგნობის, ან თავისებურად ჩაცმული ადამიანი: ქალაქელები ჯურხას სავალს არ აძლევდნენ და იშვიათ ნადირსავით ათვალთვლებდნენ (მ. ჯავახიშვილი).
6. მშვენიერი, ლამაზი, კოხტა ადამიანი (უბირატესად ქალი): ახალგაზრდა ვეფხი ისევ გაინაბა თავის ალაგას, შეჩერდა, გაუშტერა თვალები იმის [ქალის] წითურ ღოყებს: "ოჰ, რა მშვენიერი ნადირიაო!" (გ. წერეთელი).
7. აღღოგანვითარებული ადამიანი: ნადირის აღლო აქვს და გველის ჭკუა (ჭ. ამირეჯიბი).
8. ვინც უცვბ წამოგარდება ფეხზე: გაათავა ღოცვა, თოფნაკრავ ნადირივით ფეხზედ წამოგარდა (ს. მგალობლიშვილი). აპარეკა დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა (მ. ჯავახიშვილი).
9. დასუსტებული, ძალაგამოლეული, დაუძღურებული ადამიანი: წამოვა ბარბაცით, შედგება კიდევ თოფნაკრავ ნადირივით (ს. მგალობლიშვილი).
10. ვინც წრიალებს, ადგილს ვერ პოულობს: [კუსა] მერე დატყვევებულ ნადირივით მოჰყვებოდა წრიალს (ო. ჭილაძე).
11. ვისი მოსპობაც არ დაენახებათ: ...მზის ჩასვლამდის ჩვენს მხარეში უენი ფეხი აღარ იყოს, თორემ ვინც შეგხვდება, ნადირსავით არ დაგინდობს (აღ. ყაზბეგი).
12. გააფებული, გახელებული, გააფთრებული: სახე გახელებულს მტაცებელს ნადირს მიუგავდა (ს. მგალობლიშვილი).
13. ველური, უკულტურო ადამიანი: ებ უკულტურო ნადირი მეორედ არ ვნახო ჩემს სახლში!

14. უზრდელო, თავზედი, ტუტუცი: ეს რა მაკადრა მაგ უზრდელმა ნადირმა?! მოთვინიერებული ნადირი დროს დაუმორჩილებელი, მაგრამ ახლა უკვე დამორჩილებული ადამიანი, რომელსაც ადრინდელი დაუმორჩილებლობა დროდადრო ემჩნევა: დიანა ისე გაინაბა, როგორც მოთვინიერებული ნადირი, რომელსაც გული ისევე ტყისკენ მიუწევს, მაგრამ იცის, რომ პატრონის მომნუსხველ ძალას ვედარსად გაექცევა (ჯ. ქარჩხაძე).

ნადირობა – 1. ნადირ-ფრინველის ხოცვა. 2. ნადირად ყოფნა. 1. ველურობა, უკულტურობა. 2. უზრდელობა, თავზედობა, სიტუტუცი.

ნადირობს – ნადირ-ფრინველს ხოცავს.

ნადირ-ფრინველი – ნადირი და ფრინველი, ნადირები და ფრინველები.

ნაგარდი – ლაღი, თავისუფალი ფრენა, სიარული, სირბილი, თამაში (ცხოველისა, ადამიანისა).

ნაგარდობს – ლაღად, თავისუფლად ფრენს, დადის, დარბის, თამაშობს (ცხოველი, ადამიანი).

ნათელთვეზა – იგივეა, რაც ზვიგენი.

ნაიალაღარ-ი – იალღიდან, მთის საძოვრიდან დაბრუნებული (საქონელი). მძლე, ღონიერი ადამიანი: ხარს ვგავარ ნაიალაღარს, / რქით მიწასა ვჩხვერ, ებუბუნებ: / “ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!” / მიძინარიც ამას ვდუღუნებ (ვაჟა).

ნაკელი – საქონლის ნეხვი, როგორც სასუქი, პატივი.

ნაკრტენ-ი – ფრინველის ბუმბული.

ნაკრუნაღ-ი – კრუნად ნამყოფი გამხდარი დედალი (კრუხი კვერცხებზე ჯდომისას საჭმელსა და წყალს ნაკლეზად ეტანება). ძალიან გამხდარი, ჩია ადამიანი: საწყალი მთლად ჩამომდნარა, ნაკრუნაღს დამსგავსებია!

ნამამღ-ი – განაყოფიერებული (კვერცხი).

ნამგალა – ნამგლის მოყვანილობის ფრთების მქონე, მე-
რცხლის მსგავსი ფრინველი.

ნამთევი – მთაში ნამყოფი (საქონელი, ადამიანი).

ნანადირევი – ნადირობისას დახოცილი ნადირ-ფრინვე-
ლი, ან მათი ხორცი.

ნანაჯოგიანად – სრულიად, სავსებით, ერთობლივად.

ნარაქლემი // **ნარაქლემა** – ერთკუზიანი აქლემი.

ნარჩიტა – ერთ-ერთი ყველაზე პატარა გარეული ფრინვე-
ლი.

ნასუქი – საგანგებოდ გასუქებული პირუტყვი. 1. ჩასუქე-
ბული ადამიანი: თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ
კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი, –
უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ, – როგორც კარგი
ნასუქი კურატი (ილია). 2. გასუქებული (პირუტყვი, ადა-
მიანი).

ნაფოტა – მდინარის ერთგვარი პატარა თევზი.

ნაშენობს – მრავლდება (ცხოველი, ადამიანი).

ნაშიერ-ი – 1. შთამომავალი, შთამომავლობა. 2. ზრდადამ-
თავრებელი ცხოველი, რომელსაც დედა მფარველობს.

ნაშობ-ი – ვინც, რაც დაიბადა.

ნაცარა – ნაცრისფერი (ფრინველი).

ნახედნი – ვინც, რაც გახედნეს, მათეინიერეს.

ნახირ-ი – მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი.
1. ბრბო: ბაზარში ნახირივით ირეოდა ხალხი. 2. შეუზნე-
ბელი, უინტელექტო ადამიანების ჯგუფი: პოლიტიკოსი ვა-
რო და ნახირი შემოუკრებია ირგველივ.

ნაჯვარ-ი – შეჯვარების შედეგად მიღებული, გამოყვანი-
ლი (ცხოველი, მცენარე). სხვადასხვა ეროვნების დედ-მა-
მის შვილი: ეგ რუსისა და ქართველის ნაჯვარია.

ნებიერ-ი // ნებიერა - იგივეა, რაც დეკეული.

ნეზე-ი - დედალი ღორი, თხა, ცხვარი. სექსუალური პარტნიორი, საყვარელი (ქალი): მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზეი, იგი იყო ჩემი ვაცი (შოთა).

ნეკნ-ი - წვრილი, რკალისებური ძვალი, რომელიც ხერხემლიდან მოდის გულმკერდის ძვალთან (აღამიანისა, ცხოველისა).

ნემსიყლაპია - წვრილ- და გრძელსხეულიანი, ფრთიანი მწერი.

ნერბ-ი - დედალი ცხვარი.

ნერბვა - ცხერის დაგრილება.

ნესტარ-ი - 1. დედალი ფუტკრის ჩხვლეტია ორგანო, რომლითაც ის თავს იცავს და რომლითაც კვერცხებს დებს. 2. გველის ენა, რომლითაც, ხალხის რწმენით, ის იჩხვლიტება და იგესლება. 3. სადასტაქრო, ქირურგიული დანა, ლანცეტი. სიტყვა ნესტარივით ხვდება - სიტყვა მწარედ, მწვავედ ხვდება: მისი ნათქვამი გულზე ნესტარივით მოხვდა // ემწვავა.

ნესტრავს - ნესტრით ჩხვლეტს (ფუტკარი, ბზიკი, კრაზანა). შხამიან, მწარე, მწვავე სიტყვებს ეუბნება, გუნებას უშხამავს: რას მიდიოდი მაგ გველთან, ხომ დაგნესტრა კარგად?!

ნეზე-ი - საქონლის განავალი, პატივი. საზიზღარი, მყრალი, უვარგისი ადამიანი: კაცად არ ვარგა ეგ ნეზეი.

ნიამორ-ი - კლდის თხა. 1. კოხტა და ამაყი გოგო: ნანა ნიამორივით გოგოა. 2. ამაყად და მოხდენილად მავალი გოგო: ეს გოგო ნიამორივით დადის.

ნიანგ-ი - დიდი ზომის მტაცებელი ქვეწარმავალი ცხოველი. 1. წაზიდული ცხვირ-პირის მქონე უშნო, მახინჯი ადამიანი: უყურე ერთი, ნიანგს არ უგავს ცხვირ-პირი?! 2. საშიში, მტაცებელი ადამიანი: მაგას ნიანგივით უნდა უფრთხილდე. ნიანგის ცრემლებს ღვრის - მოჩვენებით “ნა-

ნობს" ჩადენილს: შავ დღეში ჩაგეგადლო და ახლა თურმე
ნიანგის ცრემლებს ღვრის.



ნიბლია - პატარა მგალობელი გარეული ფრინველი.

ნიკორა - 1. პატარა თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე. 2.
შუბლზე პატარა თეთრი ნიშნის მქონე მსხვილფეხა
რქოსანი საქონელი.

ნისკარტი - ფრინველის პირის წინ წამოგრძელებული
რქოვანი ნაწილი, რომლითაც იგი საკვებს მოიპოვებს,
ან იღებს. გრძელი, ან კეხიანი ცხვირი: [მძინარეს] ნისკარ-
ტივით მოხრილი მომცრო ცხვირის ნესტოები მოხშირე-
ბული სუნთქვისაგან უფეთქავდნენ... (ლ. ქიაჩელი). რა-
მოდენა ნისკარტი აქვს მაგ ბიჭს!

ნისკარტა - ნისკარტის მზავსი, გრძელი, ან კეხიანი ცხვირის
მქონე ადამიანი: არ მომწონს მაგ ნისკარტა ქალი.

ნისკარტმარწუხა - მარწუხისებური ნისკარტის მქონე ბე-
ღურაზე დიდი გარეული ფრინველი.

ნისლა - ნისლისფერი საქონელი.

ნიშა - 1. მოდილო თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე.
2. შუბლზე მოდილო თეთრი ნიშნის მქონე მსხვილფეხა
რქოსანი საქონელი.

ნუკი - ირმის, შელის და ზოგი სხვა ცხოველის ნაშიე-
რი. 1. ბავშვი, რომელიც უფროსებს სულ უკან დასდევს:
ნუკრივით სულ დედამისს დასდევს უკან. 2. ვისაც ლა-
მაზი დიდი თვალები აქვს (ბავშვი, ქალი): იმ გოგოს ნუკ-
რის თვალები აქვს. 3. ვისაც უმანკო, უბოროტო გამოსხე-
ვა აქვს: ნუკრივით უმანკო მზერა აქვს. ძუძუთა ნუკი -
ნორჩი, ქორფა, ძალიან პატარა, უსუსური: გასათხოვარი
გოგოები იკბინებოდნენ: / - ოჰო, ძუძუთა ნუკის დამი-
ხედეთ! (გ. ლეონიძე).

ნუკრია - ძვირფასბეწვიანი წყლის მღრღნელი ცხოველი.

ობობა - ფეხსახსრიანი შხამიანი მწერი, რომელიც მსხვერპლს თავის მიერ მოქსოვილ ქსელში აბამს. **ფერაგი** ადამიანი, ვინც სხვას მახვს უგებს: ეგ ობობასავით იმალება და ელოდება, როდის გაებმება მსხვერპლი მის გაბმულ ქსელში.

ოგენა // **ოგენო** - შეძახილი ხბოს გასაგდებად. **ხეპრე, ტლანქი, გაგრია:** რას ჩადიხარ, შე ოგენა, შენა!

ოესად-ი - პატარა გარეული ფრინველი.

ოთხ-ი - რიცხვითი სახელი, სამზე მეტი და ხუთზე ნაკლები. **ოთხზე დგას** - ხელებსა და მუხლისთავებზე დგას: ბავშვი ოთხზე დგას. **ოთხში ამოიღებს** დაკლულ საქონელს გაატყავებს ტყავის გაუჭრელად. **ვისმე დაუზოგავად სცემს:** რას ჰქვია, სხვისი ბალი მოიპარეთო, მამაჩემმა კინაღამ ოთხში ამომიღო.

ოთხფეხ-ი // **ოთხფეხა** - ოთხი ფეხის მქონე ცხოველი, პირუტყვი.

ოღოღ-ი - ბუს მსგავსი მტაცებელი გარეული ფრინველი, ყურებიანი ბუ.

ონაგარ-ი - თავდამსხმელი, მტაცებელი (ფრინველი). **ცეღქი, ანცი (ბავშვი):** ონაგარი ბიჭები კატას აწვალებენ.

ონაგრობა - ონაგრის თვისება: შეეშვი ახლა ონაგრობას და გაკვეთილები ისწავლე!

ორაგულ-ი - ზღვის თევზი, რომელიც ქვირითობისას მდინარის სათავეებს აკითხავს.

ორბ-ი - დიდი მტაცებელი ფრინველი. 1. **მძღე, მტრის დამაფრთხობელი ვაჟკაცი:** ჩვენი ორბივით მეომრების გამოჩენა მტერს აფრთხოდა. 2. **ამაყი და დამფრთხობი, მრისხანე მზუგის მქონე ვაჟკაცი:** მოკრივე ორბივით იყურებო-

და მეტოქისაკენ. 3. ვინც მსხვერპლს მედგრად დააცხრება: ორბივით ეცა და წააქცია.



ორბულ-ი – ორბის შესაფერისი. **ორბული თვალე** – სიამაყის, სიმკაცრის გამომეტყველებელი თვალე: და თურმე ზოგიერთი პატივცემული მანდილოსანიც ველარ იკავებსო თავს თარაშის ახოვანი ბეჭების, დიდრონი ორბული თვალეების, გრძელი და პატარა ფეხების, აფხაზური ჯენტლმენობისა და უცხოური აღნაგობის პირისპირ (კ. გამსახურდია).

ორფეხა: ორფეხა ცხოველი – ადამიანი (უპირატესად ცხოველური თვისებების მქონე): ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხა ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან (ილია).

ოფოფ-ი – ჭრელი, მარაოს მსგავსი ქონრის მქონე ვარეული ფრინველი. 1. თმაანჩილი, თმაგაბურძენილი ადამიანი: რა ოფოფივით გაქვს ეგ თმები?! 2. კოხტა და ამაყი ქალი: ყვარყვარე ... (გულთამზეს დააკვირდება) აჰა, ოფოფივით ქალია (პ. კაკაბაძე). 3. უსაფუძვლოდ ამაყი, ბღენბი: მანდ ოფოფივით რომ წამომჯდარხარ (პ. კაკაბაძე). **ოფოფები** – მეტისმეტი თავდაუჭერლობა, სიგიჟე: მაგისი ოფოფებისა ყველას ეშინია. **ოფოფები ჰყავს** – ვინც გიჟივით ავარდნა, გაცოფება იცის: მაგას ისეთი ოფოფები ჰყავს, მტრისას, თუ გადაირია, ვერავენ დააკავენ! **ოფოფებს (გ)ააფრენს** – გიჟივით ავარდება, გაცოფდება, გადაიწყვეტს: გუშინ ზედმეტი ყლურწა და მერე ააფრინა ოფოფები, ძლივს დავაშოშმინეთ.

ოჩან-ი – 1. ჯიუტი, ურჩი (საქონელი). **ჯიუტი ადამიანი**: ...ყველას ამ უცნობს სიტყვების სწავლაში ტვინი აქვთ აღუღებული, თავი გამეხებული და მეხსიერება შერყეული, მაგრამ ისინი მაინც ოჩან ჯორსავით ზედ აკვდებიან ამისთანა თავის მომბაბეზრებელს სწავლას (გ. წერეთელი). 2. ზარმაცი, ზანტი (საქონელი). **ზარმაცი ადამიანი**: ოჩანი ცხენივით ნუ ზარმაცობ, დროზე ისწავლე გაკვეთილები!

ოჩნობა – ოჩანის თვისება.

ოჩნობს – 1. ჯიუტობს, ურჩობს (საქონელი). 2. ზანტობს, ზანტობს (საქონელი). 1. ჯიუტობს, ურჩობს (ადამიანი): ჩემი ძმა დიდხანს ოჩნობდა, მაგრამ ბოლოს დამიჯერა, რომ მე მართალს ვეუბნებოდი. 2. ზანტობს, ზანტობს (ადამიანი): საქმეში რომ ოჩნობ, ოჯახი რითი უნდა არჩინო, ვაუბატონო?

ოჩოფეხა – საშუალო ზომის მაღალფეხება გრძელნისკარტა გარეული ფრინველი. ბინადრობს წყლისპირა ველებზე.

3

პაღო – მიწაში ჩასასობი, საქონლის დასაბმელი ბოლო-წაწვეტებული მოკლე და მსხვილი ჯოხი. კრუხის პაღო – ტანმომცრო, ჩია ადამიანი: იმ მუტრუკს წელამდეც ვერ სწვდები და როგორ მოერევი, შე კრუხის პაღო?

პანტურ-ი ყურებისა – გრძელი ყურების ქნევა და ცემა (ცხოველისა, ადამიანისა).

პანტურა – ვინც, რაც გრძელ ყურებს აპანტურებს.

პარაზიტ-ი – მწერი, რომელიც იკვებება ადამიანის, ან ცხოველის სისხლით (ტილი, რწყილი, ბაღლინჯო, ტკიპა). 1. ვინც სხვისი შრლმით ცხოვრობს, მუქთახორა: ამ პარაზიტებს ხელი ვერ გავანძრევი, მე ვშრომობ, ეგენი ჭამენ. 2. მავნე, უსარგებლო ადამიანი: ...რაცა ხარ, ჩემსავით პარაზიტი ხარ და იმიტომ აგდიხარ აქ ჩემთან ერთად (ნ. დუმბაძე).

პარაზიტულ-ი – პარაზიტის დამახასიათებელი.

პატიფ-ი – იგივეა, რაც ნეხვი.

პეპელა – ფრთიანი მწერი. 1. სუსტი, გამხდარი, ნაზი გოგო:



პეპელასავით ნაზი და გამხდარი გოგო მოიყვანა ცოლად. 2. სწრაფად მორბენალი: გახარებული ვიყავი და მინისკენ პეპელასავით მოვრბოდი. ჭრელი პეპელა

1. განსაკუთრებული ვინმე, დიდი ვინმე: ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: "მე თუ დამარტყევს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?!" (აკაკი). 2. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი: რა ვქნა მითხარით, ჭრელი პეპელა ხომ არა ვარ, არც გაეფრინდე, არც მოეფრინდე

პეპელა – გაანაყოფიერებს (ფრინველი ფრინველს, მწერი მწერს).

პეპელავს – ანაყოფიერებს (ფრინველი ფრინველს, მწერი მწერს).

პეპელაობა – დედალ-მამალი ფრინველის, ან მწერის განაყოფიერების აქტი.

პეტელ-ი – კიკინი (თხისა), ბლავილი (ცხვრისა). წვრილი ხმის წაგრძელებულად გამოცემა (ადამიანის მიერ).

პეტელობს – კიკინებს (თხა), ბლავის (ცხვარი). წვრილ ხმას წაგრძელებულად გამოსცემს (ადამიანი): რას პეტელობს თხასავით, წესიერად მომიყევი გაკვეთილი!

პინგვინ-ი – ზღვის ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია, მისი ნაშიერი იკვებება მშობლის ჩინახეში ნისკარტის ჩაყოფით ამოღებული თევზეულით. აბიტურიენტი რეპეტიტორისათვის: ერთიანი ეროვნული გამოცდების კომისიის წევრია და პინგვინებიც ბლომად ჰყავს.

პირანია – მტკნარი წყლის მტაცებელი თევზი, რომელიც გუნდად ესევა მსხვერპლს და სწრაფად ჭამს. დაუნდობელი მტაცებელი: რომ დამესივნენ პირანიებივით, კინაღამ ცოცხლად შემჭამეს

პირდაღრენილ-ი – რასაც ღრენისათვის აქვს დაღებული პირი (პაღლი, მკელი).

პირკატა: პირკატა ეცა (ეტიმოლოგიურად: მის პირს, სახეს

კატა ვცა) — მოულოდნელობისაგან თავზარი დაეცა, სახტად
დარჩა: ჩაეყავი ჯიბეში ხელი და პირკატა მეცხრევი
დაცას ჩემი ჯიბე ამოუფხეკია.

პირუტყვი — 1. საქონელი. 2. ცხოველი. 1. მხეცი, ცხოველი, დაუნდობელი ადამიანი: დღეს ის გაბრაზებული პირუტყვივით ჰკლავს თავის მამას, ძმას და მეგობარს (გ. წერეთელი). 2. თავდაუზოგად მშრომელი: გულ-ღვიძლი დაუთუთქა, ნაღველი გაუსივა დედის ცქერამ, მისმა ტანჯვამ არსობითი ლუკმისათვის, რომლისთვისაც ის პირუტყვივით მუშაობდა (ს. მგალობლიშვილი). 3. უფლებო, ღირსებაწართმეული, უფლებააყრილი ადამიანი: რასა ბრძანებთ?... წელში ვერ გაესწორებულვართ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენა და ვინ წიგნი!... (ილია). თავისუფლების შემდეგ დაინახეს, რომ თუმცა დედას შვილისაგან, საქმროს საცოლესაგან, ცოლს ქმრისაგან ვეღარ განაშორებენ, ვეღარ გაყიდ-გამოყიდიან, როგორც პირუტყვებს, მაგრამ ამათ ყველას ჭამა, ცხოვრება უნდა... (ალ. ყაზბეგი). 4. აჩარახობა: ...ჩემო დიდებულო ხელმწიფევე, მე თქვენთვის ცუდი სიტყვა არ მომიხსენებია. მე ამ პირუტყვს ვეუბნები (ილია). 5. გაუნათლებელი, შეუზნებელი, უინტელექტო ადამიანი: ...კაცი რომ დათვრება, გონებას დაჰკარგავს და პირუტყვს დაემსგავსება (აკაკი). კაცი ისაა, ვისაც ეშინია და მაინც მიდის, ვისაც არ ეშინია — პირუტყვია (ნ. დუმბაძე). 6. უსინდისო, ცხოველურ ინსტინქტებს აყლილი ადამიანი: ...იმ ღამეს ბატონი დიამბეგი მოიქცა, როგორც უსვინდისო, პირუტყვი... (ალ. ყაზბეგი). თუ კაცმა ზნეობითი მხარე დასწავრა როგორმე და სინდისი წაიწყმიდა, მაშინ ის ყოველ პირუტყვზედაც უპირუტყვესი შეიქნება ხოლმე (აკაკი).

პირუტყვობა — პირუტყვის თვისება. 1. სისასტიკე, დაუნდობლობა, მხეცობა: ამას სრულიად დაავიწყდა, ბოლო რა იქნებოდა ამის პირუტყვობისა. ეს მხოლოდ ჰხედავდა თავის მსხვერპლს და პირუტყვსავითვე შეუბრალებლად სჯიდა მას (ეკ. გაბაშვილი). 2. შეუზნებლობა, უინტელექ-

ტობა: ...ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რაღა ჰცდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვები ბედნიერი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზე ბალანი აქვთ (ილია).

პირუტყვეული - პირუტყვის დამახასიათებელი. 1. უადამიანო, არაადამიანური, უინტელექტო: რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა "იამშიკის" ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა და პირუტყვეული მიხერა-მოხერა (ილია). 2. ინსტინქტებს დამორჩილებული, ინსტინქტის გამომხატველი: პირსახეზეც რაღაცა პირუტყვეული წადილი უთამაშებდა და ლოყებზედ აღმური ასდიოდა (აღ. ყაზბეგი). ბარბარეში გაიღვიძა ყოველმა იმისმა პირუტყვეულმა გრძნობამ (ეკ. გაბაშვილი).

პირძაღლი - სალანძღავი სიტყვაა: რაო, ჩემს ქონებას იყოფენ ის პირძაღლები?! წადით, უთხარით, თავი თხლეზე არ დამაჭერინონ, თორემ ერთმანეთს ვერ გაასწრებენ (პ. კაკაბაძე).

პრანწია - საშუალო ზომის გარეული ფრინველი. აქვს უკან გადაშვერილი გრძელი ქონორი.

ქ

ქიჟინი - იგივეა, რაც ჟიჟიჟი.

ქიჟინებენ - იგივეა, რაც ჟიჟიჟებენ.

ქირაფი - მცოხნელი გრძელკისერა და მაღალფეხება გარეული ცხოველი. 1. აყლაყუდა, აყლარწული ადამიანი: შენ ჟირაფივით აყლაყუდა ხარ და კი მისწვდები კალათბურთის ფარს. 2. გრძელკისერა ადამიანი: მაგას ჟირაფივით გრძელი კისერი აქვს.

ურიალ-ი - იგივეა, რაც შვილი.

ურიაშულ-ი - ფრინველთა და ადამიანთა ხალისიანი ხმაური; ხვალ ექსკურსიაზე მიმყავხართო, თქვა მასწავლებელმა და კლასში მაშინვე ურიაშული ატყდა.

ურიაშულობენ - ურიაშული გააქვთ (ფრინველებს, ბავშვებს).

ურიაურიაკი - იგივეა, რაც ჭურჭული, ჭიკჭიკი.

ურიაურიაკებენ - იგივეა, რაც ჭურჭულებენ, ჭიკჭიკებენ.

ურუნ-ი - მონაცრისფრო ჭრელი ქათამი.

ურავის - იგივეა, რაც ჩხავის, ყვირის.

ურავილ-ი - იგივეა, რაც ჩხავილი, ყვირილი.

ურავის - იგივეა, რაც შივის.

ურავილ-ი - იგივეა, რაც შივილი.

ურავილ-ჭყვილ-ი - ურავილი და ჭყვილი (ფრინველებისა, ბავშვებისა).

ურურტულ-ი ფრინველის საამო ხმიანობა. ბავშვის საამო ხმიანობა, ტიტინი, ტიკტიკი.

ურურტულა - ვინც, რაც ურურტულებს, სასიამოვნო ხმა აქვს: ძალიან მოუნდა, ვინმე ჰყოლოდა გვერდით, ისეთი ურურტულა გოგონასთვის ხომ, ქალს რომ ახლდა, სიცოცხლის ნახევარს მისცემდა (რ. ინანიშვილი).

ურურტულებს - საამოდ ხმიანობს (ფრინველი, ბავშვი).

- რაში-ი** – 1. ზღაპრული ცხენი, მერანი. 2. მეტად მაღლი ცხენი, ბედაური.
- რახს-ი** – შავ-მოწითალო, წაბლისფერი ცხენი.
- რემა** – ცხენის ჯოგი.
- რემეზ-ი** – წივწივას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.
- როყინ-ი** – კამეჩის ხმიანობა.
- როყინობს** – როყინს გამოსცემს (კამეჩი).
- როჭო** – ქათმის მსგავსი შავი, მოგრძობოლოიანი გარეული ფრინველი. ბინადრობს მაღალ მთებში
- რუკრუკ-ი** – მოკლე, წყვეტილი ხმიანობა (ქათმისა).
- რუკრუკებს** – რუკრუკი გააქვს (ქათამს).
- რუხრუხ-ი** – ზოგი ცხოველის ღრიალი (ვეფხვისა, მამალი მგლისა...).
- რუხრუხებს** – ღრიალებს (ვეფხვი, მგელი).
- რქა** – მაგარი, ბოლოში წაწვეტებული ძვლოვანი წანა-ზარდი ზოგი ცხოველის თავის ქალაზე. **რქებს ადგამს** – ცოლი ქმარს ღალატობს: სანამ ქმარი სხვა ქალებთან ერთობოდა, ცოლმა სამაგიერო გადაუხადა და რქებიც დაადგა.
- რქაბუდიან-ი** – იგივეა, რაც **ქორბუდა**, **ქორბუდიანი**.
- რქადაგრეხილ-ი** – დაგრეხილრქებიანი ცხოველი.
- რქამოტეხილ-ი** – ცხოველი, რომელსაც რქა მოტეხილი აქვს.
- რქენს** – რქას აბგერებს ცხოველი (ვისმე, რამეს).



რქენა – რქის ძგერება (ცხოველის მიერ).

რქენია – რასაც რქენა სჩვევია (ცხოველი).

რქიანი-ი – რქის მქონე, რქოსანი (ცხოველი). **მოდლატე ცოლის ქმარი:** ერთი უყურე, რა ამაყად მობრძანდება ლეილას რქიანი ქმარი!

რქოსანი-ი – იგივეა, რაც **რქიანი:** რქოსან ქმრებს საკუთარი ცოლები უპატიოსნესი ქალები ჰგონიათ და ყველაზე გვიან იგებენ ცოლების ღალატის ამბავს.

რჩოლა – რქის ძგერება

რჩოლია – იგივეა, რაც **რქენია**.

რწყილ-ი – პატარა, უფროთ, ხტუნია პარაზიტი მწერი.
 1. პატარა, ჩია ადამიანი, არაჩაობა: შენისთანა რწყილს ცალი ხელით მოვერევი. 2. **შემაწუსებელი, შემდონებელი ადამიანი:** რწყილივით შემომიჩნდა, მოსვენებას არ მამლევს. 3. **ვინც რეპლიკებით ცდილობს სხვის შეწუსებას:** რწყილივით იკბინება, ათას რამეს მეუბნება. 4. **ხტუნვით მთარული:** კი არ დადის, რწყილივით დახტის. 5. **ვინც უცტად წამოხტება ადგილიდან:** ლებოვი რწყილივით წამოხტა ზეზე (გ. წერეთელი). 6. **გასუსული, გატრუნული:** წყნარად იყავით, რწყილებივით (პ. კაკაბაძე). **რწყილის ნაკბენი** – **უმნიშვნელო საყვედური, უმნიშვნელო ჭორი:** მაგისი მონაჭორი ჩემთვის რწყილის ნაკბენზე მეტს არ ნიშნავს.

რჯულძაღლ-ი – 1. **საღანძღავი სიტყვაა:** რა არის, ეს რჯულძაღლი, რო ასე აგვიანებს და სასაღილოს არ დაუკრავსო? (აკაკი). 2. **ურჯულო, სხვა რჯულის ადამიანი:** მუცალს არა სჭირს, რჯულძაღლო, / ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა... (ვაჟა). ეს რჯულძაღლები ჩვენს ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ.

საბუღარ-ი – შინაური ფრინველის ბუდე.

სადედლე – რაც დედალი გახდება (წიწილი, ვარია).

სავათ-ი – დიდი ზომის გარეული ფრინველი. მამალს გამრავლების პერიოდში ღოყებზე გამოსდის “ულვაშები”.

საკლაფ-ი – დასაკლავი საქონელი.

სალამურა – თევზივით წაგრძელებული სხეულის მქონე წყლის ცხოველი.

სამამლე – რაც მამალი უნდა გახდეს (წიწილი, ყვინჩილა).

სამგლე – რაც მგლის კერძი უნდა გახდეს (საქონელი).
ნუ ატყდი სამგლე გოჭივით! – უშნოდ ნუ ახირდი!

სამგლეთ-ი – მგლების საბინადრო ადგილი. ადგილი, სადაც ბოროტი, დაუნდობელი ადამიანები ჭარბობენ: იმ სამგლეთში როგორ მუშაობ, შე კაცო?

სანსლაფს – ხარბად ჭამს (ცხოველი, ადამიანი): მიადგა საჭმელს და მგელივით სანსლაფდა.

სანსვლა – ხარბად ჭამა (ცხოველის, ადამიანის მიერ): მიადგა საჭმელს და მგელივით სანსვლა დაუწყო.

სარსარაკ-ი – სავათის მსგავსი საშუალო ზომის გარეული ფრინველი.

სატალახო: სატალახო ცხენი – ყოველდღიურად მოსახმარი ცხენი, ჩვეულებრივი, რიგითი ცხენი.

საქონელ-ი – შინაური ჩლიქოსანი ცხოველები. 1. თავდაუზოგად მშრომელი: მთელი დღე საქონელივით ვმუშაობ, თქვენ კი თვალი გართობაზე გიჭირავთ. 2. უფლებო, ღირსებაწართმეული, უფლებააყრილი ადამიანი: თუ ის [ცოლი] მარტო შენი ბუნების მოთხოვნილებისათვის გლო-

მებია, ცხენი კი არა, ცხენზე უარესი დანიშნულება
ჰქონია; ის შენი საქონელი ყოფილა (გ. წერეთელი).
3. ხეპრე, უზრდელი, გაგრია: შე საქონელო, სადაა შენი
ზრდილობა?! 4. უჭკუო, უტვინო, უინტელექტო ადამიანები:
ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყემსე, უჭკუო საქონე-
ლივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს
თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა და-
არტყა... (პ. კაკაბაძე).

სადარ-ი // **სადარა** – შუბლთეთრი ცხენი.

საყოლ-ი – ყოველგვარი შინაური ცხოველ-ფრინველი.

საძაღლეთ-ი – 1. ძაღლების სამყოფელი. 2. ძაღლები ერ-
თიანად. 1. მილიციის, პოლიციის განყოფილების შენობა:
პასპორტი არ მჭირდებოდეს, მაგ საძაღლეთში რა მი-
მიყვანდა. 2. მილიციის, პოლიციის პირადი შემადგენლობა:
ვაა! მთელი საძაღლეთი ქუჩაშია გამოფენილი, ნეტავი
ვის ეძებენ?

საძოფ-ი – იგივეა, რაც საძოვარი.

საძოვარ-ი – მინდორი, სადაც საქონელს აძოვებენ. საძო-
ვარზე მიშვება – უკანონო საშოვრის მოძოვებისათვის ხელ-
საყრელი პირობების შექმნა: ...არიან ადამიანები, რომლებ-
საც ერისა არაფერი სცხიათ, ისინი ქვეყანას მხოლო-
დღა საძოვრად იყენებენ (ჭ. ამირეჯიბი). მთელი მილი-
ცია საძოვარზე იყო მიშვებული და ატყავებდნენ
ხალხს.

საწველ-ი – რაც უნდა მოწვევონ.

სახარე – რაც ხარი გახდება (ხბო). ღონიერი ბიჭი: სახარე
მოზვერავით ღონიერი ბიჭია.

სახედარ-ი – ვირი. 1. ვინც მძიმე საქმეს უსიტყვოდ ასრუ-
ლებს, ვისაც მძიმე საქმეს აკეთებინებენ: და იმის ცქრიალა
ჯეირანა ქეთეს კი აბრანძული კაბა აცვია, ადევს მხარ-
ზე დიდი კოკა ხისა და სახედარივით წყალს ეზიდება
(ს. მგალობლიშვილი). 2. ვინც თავნაქინდრული დადის: ქა-



ლი თაქნალუნული მიდიოდა, სახედარივით... (ო. ჭილაძე). **3. ჯიუტი:** რას გამიჯიუტდი სახედარივით? **4. ზორბა და ღონიერი:** ეგ სახედარივით დიდი და ღონიერია. **5. უტვინო, ბიყვი, შეუგნებელი, ხეპრე:** ამოდენა სახედარი როგორა ხარ, რომ უბრალო რამეები არ გესმის! (ჭ. ამირეჯიბი). **6. უზრდელი, ტუტუცი:** მეორედ არ ჩაიდინო ეგეთი უზრდელობა, შე სახედარო, თორემ მე ვიცი შენი! **7. უხალისო, იმედგადაწურული:** ყურებს ნუ ჩამოყრი სახედარივით, ყველაფერს ეშველება! **8. ვინც გაიბინდუბა:** სეირნობისას უცებ სახედარივით გარინდებოდა, თავს მალლა ასწევდა და სიცარიელეს მიაშტერებოდა (ო. ჭილაძე).

სახედნი - რაც უნდა გახედნონ (ცხენი, ხარი). **მოსაჭკვია-ნებელი, გონს მოსაყვანი, მოსარჯულებელი:** ეს ბიჭი დრო-ზეა სახედნი, თორემ მერე გვიან იქნება.

სახორცე - დასაკლავად ნახუქი (საქონელი, ფრინველი).

საჯდომი: **საჯდომი ცხენი** - ცხენი, რომელზედაც სხდებიან და რომელსაც არ იყენებენ შესაბამელად, ტვირთის ასაკიდებლად.

საჯიშე - კარგი ჯიშის შთამომავლობის მომცემი (პირუტყვი, ფრინველი, მცენარე). **ჯიშინი, გამორჩეული ახალგაზრდა, დასაოჯახებელი ადამიანი:** ოო, ეგ ბიჭი მართლაც საჯიშეა!

სელაპი - წყლის მტაცებელი უბალნო ძუძუმწოვარი ცხოველი. **1. სლიპინა, შეხებისას უსიამო შეგრძნების აღმებრელი ადამიანი:** ფუ, რა სელაპივით სლიპინა კანი ჰქონია მაგ ოხერს! **2. ძნელად მოსახელთებელი, სხარტი ადამიანი:** ეტაცე ხელი, მაგრამ სელაპივით გამისხლტა ხელიდან მაგ მამაძაღლი. **3. ძალიან მსუქანი და დონდლო ადამიანი:** ჩემს გვერდით ერთი სელაპივით სქელი კაცი ძლივს დაჯდა და კინალამ კედელს მიმაჭყლიტა. **4. ვინც ძნელად შედის კონტაქტში სხეასთან, ვინც იოლად არავის უშლის გულს, ვინც არავის იკარებს:** ზოგი პატიმარი სელაპს ჰგავს. გლუვია, გულს ვერ მოუნახავ (ნ. დუმბაძე).

სვაფი - მძორის მჭამელი დიდი მტაცებელი ფრინველი.
1. **სასტიკი, დაუნდობელი მტერი:** ძირს გადაყრული ქუჩები... თვალის დახამხამებაში ამოცვივდნენ... დაათას დააცხრნენ, როგორც სვაეები ლემს, და ყველამ ერთდროულად, დაუნდობლად დასცხეს - რითაც და როგორც შექმლოთ (ჭ. ამირეჯიბი). 2. **გაუმაძღარი, ვინც ჭამაში ზომა არ იცის:** მზარეული (უსხამს წვეწვს გლეხკაცსა) სვაეები ხართ, თქვე არდასაცალეხენო, რა ღმერთი გაგიწყრათ! აქაო და მუქთიაო, ხომ ზედ არ შეასკდებით (ილია). 2. **მოძალადე, ტაცია, გლეჯია:** ...ერთი ახორმაზი ბატონი ჰყავთ, სვაევიით გაუმაძღარი (ს. მგალობლიშვილი). **მუცელში სვაფი ჰყავს // უზის // გაუნდა** - **გაუმაძღრობა სჭირს:** რა სვაფი გაგიჩნდათ მაგ დასადუბავ მუცლებში! გაძლომა კი არ მოგეკიდათ და! (ილია).

სვია - ზუთხის მსგავსი დიდი ზომის თევზი.

სვლეპს - ენის ასმით ჭამს თხიერ რასმე (ძაღლი, კატა). **ულაზათოდ, ხმაურით ჭამს რასმე:** შემოვარდა სახლში, ფეხდგომელამ სუპი უცებ შესვლიბა და სათამაშოდ გაიქცა.

სვლეპა - თხიერი რამის ენის ასმით ჭამა (ძაღლის, კატის მიერ). **ულაზათოდ, ხმაურით ჭამა:** საჭმლის ეგრე სვლეპა უზრდელობაა.

სიასამურ-ი - კვერნის მსგავსი ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი.

სიმხეცე - მხეცური საქციელი: რას ჩადიან? ამისთანა სიმხეცე მტერსაც არ ეკადრება.

სინდიოფალა - იგივეა, რაც **დედოფალა**.

სინეგოგა - კლდოვან ადგილებში მობინადრე პატარა გარეული ფრინველი.

სინსილა - ფრინველის, ან ქვეწარმავლის ახლადგამოჩენილი მართვე (ბარტყი, წიწილი). 1. **ვისიმე მოდგმა, ჯიში,**



ნაშეერთი: კაცობაც ხო არ დაშლილა, ნეხეში დინგწაყოფილებო, თქვენი სინსილა გაწყდა, თქვენი! (რ. ინანიშვილი). მომადგებიან ახლა, გადასახადი რატომ გადაიხადეო, უჰ, მაგათი სინსილა კი ამოწყდეს! **2. ძაღლნე, არაქათი, ქანცი:** ამდენი ჯაფით სინსილა გაუწყდა საცოდავს.

სირ-ი – იგივეა, რაც **ჩიტი**.

სირაქლემა – ყველაზე დიდი, გრძელკისერა და გრძელფეხება ფრინველი. **1. აყლაყუდა:** მაგ სირაქლემას რომელი გოგო შეიყვარებს? **2. აღლაბიჯა, გრძელი ნაბიჯებით მაგალი:** ბიჭო, სირაქლემასავით ნუ მოალაჯებ, წესიერად იარე! **3. ვინც საფრთხის დროს თავს იტყუებს და ისე იტყუვა, თითქოს არაფერი ხდებოდეს:** ნუ ვიქნებით სირაქლემები, თავს ქვიშაში ნუ წავეყოფთ, მუშნი! მივიდოთ და სადავოდ ნუ გაეხდით დებულებას, რომ [სახნოვის წინააღმდეგ] ორივემ ვიმოქმედეთ (ჭ. ამირეჯიბი).

სირკაჭკაჭი – ლაქოს მსგავსი პატარა ფრინველი.

სისფ-ი – ლევა, რუხი (ცხენი, სხვა საგანი).

სისინ-ი – გველის, ბატის, ქარის მიერ გამოცემული ხმა. **1. ავისმომასწავებელი თავისებური დაბალი ხმა:** მაგ გველის მუქარიანი სისინი ახლაც ყურში მესმის და მაურიალებს. **2. ბორტი ჭორები:** მისმა ნათესავეებმა შენზე სისინი უკვე დაიწყეს.

სისინებს – სისინს გამოსცემს (გველი, ბატი, ქარი). **1. ავისმომასწავებელ, თავისებურ დაბალ ხმას გამოსცემს:** ვერ ვიტან მაგის ხმას, გველივით სისინებს. **2. ბორტი ჭორებს ავრცელებს:** დედამისი შენზეც ბევრს სისინებს.

სკვინჩა – იგივეა, რაც **ნიბლია**. **1. მაღალ საგანზე წამომჯდარი (უპირატესად ბავშვი):** რა სკვინჩასავით წამოსკუპულხარ მაგ ტოტზე, არ ჩამოვარდე! **2. მსუბუქი, მჩატე, ჩია, ტანმომცრო ადამიანი:** ეგ ბავშვი სკვინჩასავით ციცქნაა. **3. სწრაფი, მარდი, მოძრაფი:** სკვინჩასავით მარდი ბიჭია. **4. იოლი დასაჯაბნი, ადვილად დასამარცხებელი:** იქით [გა-

იწიქს თორემ თავს სკეინჩასავით წაგწვევებ (პ. კაკაბაძე).



სკინტლი-ი - ფრინველის განაგალი, სკორე. **წეროს სკინტლი**ვით დაკარგული - უკვალოდ გამქრალი, გადაკარგული: რა წეროს სკინტლივით გადაიკარგები ხოლმე!

სკორე - ცხოველთა განაგალი.

სლექა - ღოკვა, ტღეკა (პირუტყვის, ადამიანის მიერ): მიადგა ქვაბს და სლექა დაუწყო.

სლექს - ღოკავს, ტღეკს (პირუტყვი, ადამიანი): ტაფა სულ ერთიანად გასლიქა.

სმუსნა - ტუნების ცმაცუნით ჭამა (ცხოველის, ადამიანის მიერ): ბიჭმა ჩურჩხელას სმუსნა დაუწყო.

სმუსნის - ტუნების ცმაცუნით ჭამს (ცხოველი, ადამიანი): აი, შე ეშმაკო, რას სმუსნი ჩუმჩუმად?

სონღულ-ი - შავარდნის მსგავსი საშუალო სიდიდის მტაცებელი ფრინველი.

სორღ - გარეული ცხოველის სადგომი, მიწაში გათხრილი ხვრელი. 1. **საფრთხისას თავის შესაფარებელი, თავშესაფარი**: ციხეში მათ მეღებს ეძახდნენ და მეღები, რა თქმა უნდა, ამბოხების დაწყებისთანავე სორღებს მიაშურებდნენ (ჭ. ამირეჯიბი). 2. **პატარა, ბნელი ბინა**: იმ სორღში როგორ ცხოვრობს ამხელა ოჯახი? **სორღში ჩაძვრება** - დაფრთხება, შიშისაგან წახდება, გაიქცევა, თავს უშველის: ისეთ საქმეს ვუზამ დღეს იმათ, რომ სორღში ჩაძვრებიან (პ. კაკაბაძე). დღეს ყველა გმირი სორღშია ჩამძვრალი, მარტო თქვენა გყავთ ჯარი... (პ. კაკაბაძე).

სპილო - ხმელეთის ყველაზე დიდი ხორთუმიანი ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. **ზორბა ტანის მქონე**: გაუღებს კარს და შეუშვებს იმ ერთი ციცქნა კაკალაშვილთან იმხელა სპილოსავით დარდაკას... (ჭ. ამირეჯიბი). ეს რამოდენა სპილო ზის იმ მოცუტქნულ მანქანაში! 2. **ზანტი, მთუხეშავი, მთუქნელი** ადამიანი: სპილოსავით ზანტი და მთუ-

ხერხებელი ყოფილხარ. 3. ცხვირა: სპილოსავით დაგ-
გრძელებია ეგ ცხვირი!



სრბოლა - სირბილი, რბენა, სწრაფვა (ცხენისა, ადამიანისა).

სრელა - 1. განსხვავებული ფერის ზოლი. 2. პირუტყვი, რომელსაც ზურგზე სხვა ფერის ზოლი გასდევს.

სტაფრიდა - ზღვის ერთგვარი თევზი.

სტვენია - საშუალო ზომის ბელურასნაირი გარეული ფრინველი.

სულიერ-ი - ცოცხალი არსება (ცხოველი, ადამიანი).

სულკატიანი - ღანძღვა ერთგვარი: უწმინდური სულის მქონე: ოჰ, რა უსამართლო ყოფილა! მეტს რავა გართმევს ის სულ-კატიანი! (გ. წერეთელი). რა შვილია ის სულ-კატიანი კაც, ორშაბათს სამეზავროდ გამოუშვებდა არ-ზაყანს? (კ. გამსახურდია).

სულძაღლ-ი - ღანძღვა ერთგვარი: ძაღლივით ბინძური სულის მქონე: ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულძაღლმა (ილია). ის სულძაღლი დავითი!.. ის ქოფაკი ჩემი რძალი!.. (ილია). კაცი არ ვიყო, ამ სულძაღლის ქელეხი ქორწილად თუ არ ვაქციო (ო. ჭილაძე).

სუნავს - ყნოსავს, ყნოსვით ეძებს (ძაღლი, მგელი..., ადამიანი): ძაღლივით სუნავს ყველაფერს, სადმე სუფრა არ გამო-მეპაროსო.

სუნვა - ყნოსვა, ყნოსვით ძებნა (ძაღლის, მგლის, ადამიანის მიერ): სუნვით მიაგნო ფაცხაში საქეიფოდ ჩამსხდარ ძმაკაცებს.

სუნსული - ზოგი ცხოველის (ძაღლის, მგლის, თაგვის...) აქეთ-იქით ჩქარ-ჩქარი სიარული, სირბილი და ყნოსვით რისამე ძებნა. რისამე ძებნა-ძებნით მსუნავური წანწალი: მაგ ლოთმა უთენია დაიწყო სუნსული, იქნებ ვინმემ არაყი დამალევისოსო.

სუნსულებს – აქეთ-იქით ჩქარ-ჩქარა დარბის და ცნოსვით რამეს ეძებს (ძაღლი, მეღია, თაგვი...). **რისამე შეხანაძე** ნით მსუნაგურად დაწანწალებს: მაგ ლოთი უთენია და სუნსულებს, იქნებ ვინმემ არაყი დამალევინოსო.

სუსლიკი – ერთგვარი მღრღნელი ცხოველი. 1. **მშიშარა, მხდალი, ლაჩარი**: რა სუსლიკივით დამფრთხალი მიყურებ? 2. **სასაცილო გარეგნობის, სასაცილო გამომეტყველების მქონე**: უყურე, რა სასაცილო ბავშვია, ნამდვილი სუსლიკია! 3. **მოქნილი, სხარტი, მარდი**: სუსლიკივით მარდი ბიჭია.

სქესი – ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა გამრავლებისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშნების ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან მამაკაცი და ქალი, დედალი და მამალი.

სქესობრივი – სქესთან დაკავშირებული.

ტ

ტაიჭი – კარგი საჯდომი ცხენი.

ტამაზლუხი – სანაშენო ცხოველ-ფრინველი.

ტანაჯორი – 1. ერთი წლის ჯორი. 2. ზურვით მცურავი მცირე ზომის წყლის მწერი. **დაზრიალებული, მბრუნავი**: კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი (შოთა).

ტარანი – კობრის მსგავსი ერთგვარი თევზი. ძალიან გამხდარი, ჩამომხმარი ადამიანი: რას დამსგავსებია საცოდავი? ტარანივითაა გამხდარი.

ტარაკანი // **ტარაკანა** – შავი, ან ყავისფერი მწერი. 1. ძალიან შავი, შავტუხა ადამიანი: მე ვუთხარი, ეგრე როგორ

იქნება-მეთქი, ამოსაცნობებში ჩვიდმეტი რიყა რუსი იყო, ერთი მე ვიყავი ტარაკანივით შავი სომეხი (ნ. დუმბაძე). 2. ვინც სწრაფად მრავლდება: მაგ გვარის ხალხი ადრე აქ ცოტა იყო, მაგრამ ტარაკანებივით მრავლდებიან და ახლა ჩვენზე მეტნი არიან.

ტარადანა - ზუთხის მსგავსი ერთგვარი თევზი.

ტარბ-ი - შოშიას მსგავსი საშუალო ზომის გარეული, შავ-თეთრი შეფერილობის ფრინველი.

ტარიგ-ი - ბატკანი ერთ წლამდე. მსხვერპლი: ჩვენი წინაპრებიდან სამშობლოს უამრავი შეეწირა ტარიგად.

ტაფელა - მტკნარი წყლის პატარა თევზი.

ტახ-ი - 1. მამალი ღორი. 2. გარეული ღორი. 1. ძალიან ჯანმრთელი კაცი: მამაშენი კია ჩემზე ბევრად უფროსი, მაგრამ ჯერაც ტახივით ჯანსაღია. 2. ჩასხმული, ღონიერი და აგრესიული კაცი: უკვე პატარა აღარ მეჩვენებოდა. იჯდა სავარძელში ტახივით და წერილ თვალებს გახურებული შამფურებივით მიყრიდა თვალელებში (ნ. დუმბაძე). მაგას ტახივით მკვრივი და ღონიერი ბიჭები ჰყავს. 3. ჩასუქებული, ძალიან მსუქანი: ისე გვევიმსე ტანში, რომ გასუქებულს, საშობო ტახს დავემსგავსე (გ. წერეთელი)..

ტიგტივა - წყალ-ჭაობის პატარა გარეული ფრინველი.

ტილ-ი - ადამიანის, პირუტყვის, ფრინველის სისხლით მკვებავი პარაზიტი მწერი. 1. ვინც სწრაფად მრავლდება: ადრე აქ მაგ გვარის ერთი კომლი სახლობდა, ახლა კი ტილებივით მომრავლდნენ. 2. ვინც ვისმე ესევა: მომწყდით თავიდან, რა ტილებივით მომესიეთ?! 3. ვისი მოსპობაც არ ენანებათ: მაგ საზიზღარს ტილივით გავსრეს. ღორის ტილი - გათავხედებული არარაობა: ეგენი [გლეხები], ჩემო დიდებულო ხელმწიფევე, ღორის ტილივით არიან: ფეხზედ რომ დაისვათ, თავზედ აბაცოცდებიან (ილია).

ტილიან-ი - ვისაც, რასაც ტილი ჰყავს. უვარგისი, ღატაკი: მაგ ტილიანებს პურის ღუკმაც ენატრებათ. ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიხტიხ-ი - 1. ზოგი ფრინველის (მაგ., ღაღღის) დამახასიათებელი ძახილი. 2. პერიოდი, როცა ზოგი ფრინველის მამალი დედალს განსაკუთრებული ხმიანობითა და მოძრაობით იწვევს შესაუღლებლად. **ხმაური, ყაყანი (ქალებისა):** ეზოდან ქალების გაუთავებელი ტიხტიხი ისმოდა.

ტიხტიხებს - 1. დამახასიათებელი ხმით იძახის (ზოგი ფრინველი). 2. მამალი ფრინველი დედალს განსაკუთრებული ხმიანობითა და მოძრაობით იწვევს შესაუღლებლად. **ხმაურებს, ყაყანებს (ქალი):** ეზოში ქალები გაუთავებლად ტიხტიხებენ.

ტკვერა - მაგარი რამის კბილით მტვრევა და ჭამა (ძაღლის, მგლის, ადამიანის მიერ): კაცმა ქათმის ხორცი რომ შეჭამა, ახლა ძელებს დაუწყო ტკვერა.

ტკვერს - მაგარ რამეს კბილით ამტვრევს და ჭამს (ძაღლი, მგელი, ადამიანი): გოჭის კანჭი დავითორიე და გავტკვირე.

ტკიპ-ი // ტკიპა - მცირე ზომის ობობასნაირი მწერი. მის სახეობათა უმრავლესობა პარაზიტია. 1. ვისაც იოლაღვერ იშორებენ თავიდან: ბავშვი დედას ტკიპასავით მიეკრა. თუ ეგ აგეკიდა, ტკიპასავით ვეღარ მოიცილებ. 2. პარაზიტი, შემადღნებელი: ...ცუცქია მაწამებს, ტკიპით მწუწნის... (მ. ჯავახიშვილი).

ტლინკ-ი - ტყუპად წიხლის კერა. ტლინკებს ყრის // ისერის უკანა ფეხებს ტყუპად ისერის (ცხენი, ვირი, ჯორი) - 1. ფეხებს იქნევს მისარტყამად: [ჯურხა] ბოლოს რელსებზე გაიშალა, ზედმიმდგარ ვაგონს ტლინკები დააყარა და განწირული მოზვერივით აბღავლდა (მ. ჯავახიშვილი). სახედარივით ტლინკებს ნუ ისერი! 2. ჯიუტობს, ბრაზიანად უარობს: მამამისმა ტლინკები აყარა, მაგ უსაქმურს ქალიშვილს არ გავატანო. 3. ცეკვისას უღაზათოდ იქნევს ხელ-ფეხს: ერთი ვახოს უყურე, რო-

გორ ცეკვავს, ვირივით ისერის ტლინკებს! ჯორის // ვი-
რის ტლინკივით მიაყრის - სხაპასხუპით, სწრაფად, უცეკ-
ვტყვის: კაცო, ნელა მითხარი, რას მომყარე ჯორის
ტლინკივით!

ტლინკავს - 1. იგივეა, რაც ტლინკებს ყრის // ისერის.

ტლინკაობა - 1. ცხენის, ვირის, ჯორის მიერ უკანა ფეხე-
ბის ტყუპად გაქნევა. 1. ფეხების გაქნევა მოსარტყამად:
ფეხებს ნუ იქნევ, შე მამაძაღლო, ახლავე შეწყვიტე
ტლინკაობა! 2. უღაზათოდ ცეკვა, ხელ-ფეხის უშნოდ ქნევა:
გუშინ ქორწილში ვიყავით და სიცილით დავიხოცეთ
ნეფის ტლინკაობაზე.

ტლინკვა - იგივეა, რაც ტლინკაობა.

ტობ-ი - კობრის მსგავსი მცირე ზომის თევზი.

ტობობა - იგივეა, რაც ტოფობა.

ტორ-ი - ზოგი დიდი ცხოველის ფეხი, ტოტი, თათი. დიდი,
ტლანჭი ხელი: თავისი ტორებით ჩაბღუჯა დოქი და მოი-
ყუდა.

ტორავს - ტორებით სცემს, ბეგვავს (დიდი ცხოველი).
1. დიდი, ტლანჭი ხელებით სცემს. 2. დიდი, ტლანჭი ხელე-
ბით ბღუჯავს. 3. ბევრ საჭმელს დაითრევს.

ტოროლა - ბელურას მსგავსი პატარა მგალობელი ფრინ-
ველი. გალობას ადრე დილით იწყებს. 1. ტკბილხმოვნად
მომღერალი: ტოროლასავით ტკბილად მღერის. 2. წკრია-
ლა ხმის მქონე: ამ გოგოს ტოროლასავით წკრიალა ხმა
აქვს. 3. ვისაც ადრიაანად გაღვიძება და ადგომა სჩვევია: მე
ბუ ვარ - გვიანამდე არ ვიძინებ, ეგ ტოროლაა - უთუ-
ნია ღებება.

ტოტი-ი - იგივეა, რაც ტორი.

ტოფობა - ქვირითის ყრა (თევზის, ბაყაყის მიერ).

ტოფობს - ქვირითს ყრის (თევზი, ბაყაყი).

ტრუნუნ-ი – ღორის ერთგვარი ხმიანობა.

ტრუნუნებს – თავისებურად ხმიანობს (ღორი, მამაკაცი).

ტულეს-ი მეჭვავიას მსგავსი მოზრდილი გარეული ფრინველი.

ტურა – საშუალო ზომის მელის მსგავსი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. სჩვევია გაბმული კივილი. 1. ხორცის მოყვარული ადამიანი, მემძლრე: ეს ოხერი ტურასავით მიადგა ქათმის ხორცს და ჩვენ არაფერი დაგვიტოვა. 2. ღამღამობით მავალი: რა ტურასავით ღამით დადიხარ? 3. ვინც დაძრწის საკბილოს, სარჩოს საშოვნელად: რაუა სარჩიმელია კი ტურასავით დაძრწოდა, ეძებდა (ჭ. ამირეჯიბი). 4. ქვეშევეშა, ვერაგი ადამიანი: წადი, ისაკი, ძამიკო, ნახე ბუღუ ნაკაშია, უთხარი ყველაფერი. ტყუილუბრადლოდ გააფუტოს, იქნება, კაცი ამ ტურამ [სარჩიმელიამ] (ჭ. ამირეჯიბი). 5. აღღლიანი ადამიანი: ტურასავით მივხვდი, რასაც აპირებდა. 6. მფრთხალი, შიშისაგან აწრიალებული: ხაფანგში გაბმული ტურისთვის მიცქერიო, სწორედ იმასა ჰგავდა დასტურიძე (ჭ. ამირეჯიბი). 7. ავსული, კუდიანი, წყვეული ქალი: მაგ ქალს ყველა ერიდება, კუდიანი ტურაა! 8. მწითური ადამიანი: მაგას ტურასავით წითელი თმები აქვს. 9. ვინც ტყე-ტყე დაწანწალებს და ადამიანებს ერიდება: ...ფანჩურაშვილი ჰგრძნობდა რა თავის შეცდომას, ჰგრძნობდა რა, რომ ანგარიშში მოტყუვდა, ტურასავით ტყეში იმალებოდა... (ვაჟა). 10. ვინც გაბმით, ამაზრზენად კივის: ქალები ტურასავით გაბმით კიოდნენ.

ტურუნტან-ი – მექვიშიას მსგავსი შაშვზე დიდი გარეული ფრინველი.

ტყისქათამ-ი – ჩიბუხას მსგავსი გრძელნისკარტა მოზრდილი გარეული ფრინველი.

ტყიურ-ი – ტყის ბინადარი ცხოველი. ველური, დაუნდობელი, მხეცი ადამიანი: მაგ ტყიურთან რა გესაქმება, ნორმალურ ამხანაგს ვერ იშოვნის?

უბელო – შეუკაზმავი (ცხენი).

უკულო – რასაც კუდი არა აქვს. **უკულო ამპარტავანი** – ისეთი ამაყი, ამპარტავანი, რომელსაც საამაყო არაფერი აქვს: მაგათ გვარში ყველა ეგეთი უკულო ამპარტავანია. **უკულო აზნაური** – ღარიბი აზნაური, რომელიც აზნაურობით ამაყობდა, შემოდგომის აზნაური: ჩვენში ცოტა არ იყო უკულო აზნაური.

ულაყი – მამალი ცხენი, ვირი. 1. ღონიერი, მოჭარბებული ენერჯიის მქონე კაცი: ულაყივითაა, არ იცის, რა უყოს ენერჯიას. 2. სექსუალურად აღგზნებული კაცი: ეგ ულაყი მარტო ქალებზე ფიქრობს. 3. ხეიხვინა, ხმამაღლა მოლაპარაკე: ბიჭო, ულაყივით ნუ ხეიხვინებ, ბავშვი არ გააღვიძო!

ურუკრუკებს – თავისებური ხმით, რუკრუკით უხმობს (ქათამი ქათამს).

ურქო – რასაც რქა არა აქვს (ცხოველი).

უსუქარი – რაც გასუქებული არ არის, მჭლე, გამხდარი (ცხოველი).

უსხი – დასაკლავად გასუქებული საქონელი, საკლავი.

უფეხურა – პატარა, სუსტი ფეხების მქონე მომცრო ღამის ფრინველი. ფეხების სიმოკლისა და სისუსტის გამო ტოტზე განივად კი არ ჯდება, არამედ გასწვრივად.

უფრთო – რასაც ფრთები არა აქვს (მწერი).

უღლეულო – უღელში შებმული წყვილი ხარი, ან კამეჩი.

უღრენს – ვინმეს, რამის მიმართულებით ღრენას გამოცემს (ძაღლი). **გაბრაზებით, ავად ებუზღუნება**: [გოგი] სულ ცოტა რამეზე უღრენდა პატარა თინიკოს (რ. ინანიშვილი).

უყურო – ვისაც, რასაც ყური არა აქვს (ცხოველი, ადამიანი).

უშობელ-ი – იგივეა, რაც დეკეული. უაზროდ მფუნტრუშობს რას დაკუნტრუშებ უშობელივით?!

უძაღლო – 1. სადაც ძაღლები არ არიან. 2. ვისაც ძაღლი არა ჰყავს. **უძაღლო ქვეყანა** – ადგილი, ქვეყანა, სადაც განუკითხაობა სუფევს: საქართველო ზოგიერთს უძაღლო ქვეყანა ჰგონია და რაც უნდა, იმას აკეთებს.

უჭყავის – ჭყავის მისი (კატა). ჯიბეში კაპიკი არ უჭყავის – ჯიბეში ფული სრულებით არა აქვს.

უხსენებელ-ი – გველის ტაბუირებული სახელი. ბოროტი, ვერაგი, ქვეშქვეშა ადამიანი: წესიერ ოჯახში ერთი თუ გამოვიდა ბოროტი და უხსენებელი, იმ მეორე კაცს არ აქვს უფლება, ერთის ბოროტება მთელი ოჯახისა და მოდგმის სახელად და სალანძღავად აქციოს (ჭ. ამირეჯიბი).

უჯიშო – ცუდი ჯიშისა (საქონელი, ფრინველი). **უვარგისი, უხეირო, ცუდი ადამიანი**: ვის დაემსგავსე, შე უჯიშო, ამისთანა უვარგისი?

უჯიშობა – უჯიშოს თვისება.

ფარა - ცხერისა და ზოგი სხვა ცხოველის (ჯიხვის) ჯოგი. 1. **უნებისყოფი, უინტელექტო და იოლად სამართავი ადამიანების ჯგუფი, ბრბო:** ხალხი ცხერის ფარასავით უჯერებს ...-ის ცრუ დაპირებებს. 2. **ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის სურვილი და უნარი არა აქვს:** მერე ის იყო, ნოვონერკასკი ბოლშევიკებმა აიღეს და გენერალ დენიკინის კორპუსები ფარასავით წინ გაირევეს (კ. გამსახურდია). 3. **ბრბო, რომელიც საშიშროებისას აქეთ-იქით უზო-უკვლოდ გარბის:** ...მერე ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა და მეზღვაურთა რაზმის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალ ფარასავით შეეფინა (ლ. ქიჩელი).

ფარგა - ერთგვარი თევზი. იჭმება დამარილებული და გამხმარი. ძალიან გახდარი, ჩამომხმარი ადამიანი: საწყალი მაგისი ცოლი ფარგასავითაა ჩამომხმარი.

ფარგანა - ღამის პატარა პეპელა, რომელიც სინათლის წყაროს ეტანება და მის გარშემო ფარფატებს. **ფარგანასავით ეტანება** - მისკენ დაუოკებლად ისწრაფვის: ახალგაზრდები ფარგანასავით ეტანებიან პრესტიჟულ სპეციალობებს. **ფარგანასავით თავს ევლება** // **ფარგანასავით თავს დასტრიალებს** - განსაკუთრებით, თავგანწირვით უვლის: დედა შეიღებს ფარგანასავით თავს დასტრიალებს.

ფართქალი-ი - იგივეა, რაც ფართხალი.

ფართქალებს - იგივეა, რაც ფართხალებს.

ფართხალი-ი - მთელი სხეულით (ხელ-ფეხით, ფრთებით) უნებური მოძრაობა (ადამიანისა, ცხოველისა).

ფართხალებს - მთელი სხეულით (ხელ-ფეხით, ფრთებით) უნებურად მოძრაობს (ადამიანი, ცხოველი): ნუ ფართხალებთ თავმოჭრილი ქათამივით!

ფართქუნ-ი - ფრთხილის დროს ფრთების ცემის ხმა (ფრინველისა).

ფართხუნ-ი - ფრთხილის დროს ფრთების ცემის ხმა (ფრინველისა). **ფართო, სრული ტანსაცმლის ფრიალი:** იმხელა შარვალი მეცვა, სულ ფართხუნით დავდიოდი.

ფარფატ-ი - ფრინველის, მწერის ფრთების ნელი ქნევა ფრენისას. **ლასლასი, ბარბაცი:** ნაავადმყოფარი ბერიკაცი ფარფატით მიდიოდა.

ფარფატებს - ფრთებს ნელა იქნევს ფრენისას (ფრინველი, მწერი). **დალასლასებს, ბარბაცებს:** ნაავადმყოფარი ბერიკაცი ძლივს მიფარფატებს.

ფარფატა - ფარფატით მოძრაი (ფრინველი, მწერი). **სწრაფი ფრთხილით, ცქრიალით, კოხტად მავალი (გამხდარი ქალი, გოგონა):** აგერ მოცქრიალებს ჩვენი ფარფატა გოგო.

ფარფლი-ი - წყლის ცხოველთა ხრტილოვანი საცურაო ორგანო.

ფარშევანგ-ი // ფარშევანგ-ი - ჭრელბოლოიანი, გამყივან-ხმიანი მოზრდილი ფრინველი. 1. **ვისაც ჭრელაჭრულა, უგემოვნო სამოსი აცვია:** ვახშმად კვაჭს ერთი მხრით ახალგაზრდა, ტანადი, ქერა ადესელი ფარშევანგი ჰყავდა, მეორე მხრით კი კაპიტანი სიდოროვი (მ. ჯავახიშვილი). ეს რა ფარშევანგივით აჭრელებულხარ? 2. **უსიამო, გამყივანი ხმის პატრონი:** გული გადამიტრიალა მაგისმა ფარშევანგის ხმამ. 3. **ამპარტავნულად მავალი:** სწორედ ამ დროს ხათუთა ფარშევანგივით შემოგოგდა (მ. ჯავახიშვილი).

ფასკუნჯ-ი - 1. ორბის მსგავსი საშუალოზე დიდი მტაცებელი და მძორისმჭამელი გარეული ფრინველი. ბინადრობს დაბლობებსა და გორაკ-ფლატეებიან ადგილებში. 2. ზღაპრული ფრინველი, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილ გმირებს ეხმარება.



ფაფარ-ი - კისრის გრძელი ბალანი (ცხენისა, ლომისა...)
მამაკაცის გრძელი, ხშირი თმები: [იორამი] ლაპარაკისას
 ქულს იხდის და შავ ფაფარს უკან გადაიყრის (გ. ლეონიძე).
შე კაცო, დაივაცხნე მაინც ეს ფაფარი! ფაფარს აიშლის - გამძვინვარდება, განრისხდება, გადაირევა: ახლა შენებურად ფაფარს ნუ აიშლი, მაგ საქმეს მაინც არაფერი ეშველება!

ფაფარაყრილ-ი - რასაც ფაფარი აქვს გაშლილი, უკან გადაყრილი სირბილისაგან, ქარისაგან. **განრისხებული, გადარეული:** სიწყნარე მხოლოდ იალბუზზეა! მერე, განა შენ არა ბრდღვინავდი წინათ, ფაფარაყრილი? (გ. ლეონიძე).

ფაფარაშლილ-ი - იგივეა, რაც **ფაფარაყრილი**.

ფაშატი - დედალი ცხენი, ვირი. **უშნო ქალი:** მაგ ფაშატს არცერთი კაცი არ დაელაპარაკება.

ფაშე-ი - მცოხნავი ცხოველის კუჭის პირველი განყოფილება, რომელშიც ჩადის გაუცოხნავი საჭმელი. **დიდი მუცელი, ღიბი:** ნახე, რამხელა ფაშევი აქვს იმ კაცს! ბიჭო, გაჩერდი-მეთქი, თორემ იმდენს გირტყამ, გაგხეთქავ ფაშეზე!

ფაშეგამობერილ-ი - დიდმუცელა, ღიბიანი: სასაცილო საყურებელი იყო ფაშეგამობერილი კაცების ცეკვა.

ფაშეიან-ი - დიდმუცელა, ღიბიანი: ვერ ვიტან ფაშეიან კაცებს.

ფეიქარა - 1. იგივეა, რაც **ობობა, ბაბაჭუა**. **ვერაგი, ავაზაკი:** დახეთ, დახეთ, სად გადამიბნელა დღე! გამიტეხა ნათელ-მირონი ამ ბაბაჭუა ფეიქარმა! (გ. ლეონიძე).
 2. მთიულასა და ბელურას ოჯახების გარეულ ფრინველთა გამაერთიანებელი სახელი.

ფერდ-ი - აღამიანის, ან ცხოველის გვერდითი მხარე ნეკნებიდან თემამდე.

ფერდებამოვსებულ-ი - რასაც ფერდები აქვს ამოვსებუ-

ლი, გამაძღარი საქონელი. მოსუქებული, გამძღარი: აქამდე კუჭი უხმებოდა, ახლა კაი სამსახური უშინდობდა დადის ფერდებამოვსებული.

ფერდებჩავარდნილ-ი - რასაც ფერდები აქვს ჩავარდნილი, მშიერი, მჭლე საქონელი. **გამხდარი, მშიერი:** რა ფერდებჩავარდნილი დადის მაგ საცოდავი, რომ ვუყურებ, მეცოდება.

ფერდებჩაცვენილ-ი - რასაც ფერდები აქვს ჩაცვენილი, მშიერი, მჭლე საქონელი. **გამხდარი, მშიერი:** მაგ ფერდებჩაცვენილი გოგო რად გინდა, უკეთესი ვერაინ იპოვე?

ფერდელა - ფერდთეთრი საქონელი.

ფერდთეთრ-ი - თეთრი ფერდის მქონე საქონელი.

ფერცხალ-ი - იგივეა, რაც ნეკი.

ფეხბუმბულა - რასაც ფეხზე ბუმბული აქვს (ფრინველი).

ფეხმალ-ი - იგივეა, რაც ფეხმარდი.

ფეხმარდი-ი - სწრაფი, მკვირცხლი, მალი (ადამიანი, ცხოველი).

ფეხსახსრიანებ-ი - მწერები და ზოგი სხვა ცხოველი, რომელთაც ფეხები სახსრებად აქვთ დანაწევრებული.

ფინა // ფინია - ტანმომცრო ძაღლი, გოშია. 1. **პირფერი, სხვისი ხელის შემყურე ადამიანი:** უცნობი მუხლებზე იდგა, ყბა ჩამოვარდნოდა, აბრავს ფინია ძაღლივით აძყურებდა (ჭ. ამირეჯიბი). 2. **ავი, მაგრამ ვერას შემძლე:** ფინიასავით კი იყფება, მაგრამ არაფერი შეუძლია.

ფირფატი-ი - ერთგვარი ფრინველი.

ფისო - იგივეა, რაც კატა. 1. **მყუდროების, სითბოს მოყვარული ადამიანი:** ვზივარ ჩხარტიშვილის პატარა ოთახში და, ოჯახურ სითბოს დანატრული, ღუმელთან გაწოლილ ფისოსავით ვნაბავ თვალებს (ნ. ღუმბაძე). 2. **აღერსიანი მიმართვა საყვარელი ადამიანისადმი:** აბა, ფისო, მოდი ჩემთან, მოგეფერო!

ფისუნია - იგივეა, რაც ფისო.

ფინხულ-ი – იგივეა, რაც **ხრამული**.

ფლამინგო – ერთგვარი მაღალფეხება წყლის ფრინველი.

ფლოქე-ი – ცხენის, ვირისა და მისთანათა ჩლიქი. ადამიანის ფეხი: გასწი ფლოქეი, შე ვირო, შენა, თორემ ერთს ჩაგაფარებ!

ფოცხვერ-ი – კატის მსგავსი საშუალო ზომის მუქხალე-ბიანი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. სწრაფი, მარდი, მთქნელი ვაჟაკაც: [არზაყანი] ისევ მივიდა ხესთან, ისევ შემოჰხვია ხის ტანს მკლავები და ახლა ფოცხვერისებრ სიმარდით მოექცა ზევით (კ. გამსახურდია). 2. საშიში, დაუნდობელი მტერი, ვინც ჩასაფრება და მოულოდნელი თავდასხმა იცის: ფოცხვერივით ჩასაფრებულია და უფრთხილდი!

ფრაშუნ-ი – 1. ფრინველის ფრთების ქნევა. 2. ფრინველის ფრთების ქნევის ხმა.

ფრაშფრაში-ი – იგივეა, რაც **ფრაშუნი**.

ფრენა – 1. ფრთების ქნევით ჰაერში მოძრაობა (ფრინველისა, მწერისა). 2. მეტიმეტად სწრაფი სირბილი (ცხენისა). **სწრაფად წასვლა, გაქცევა**: თვალი მოიგარეულა და შველივით გავარდა და სულ ფრენით წავიდა (ს. მგალობლიშვილი).

ფრენს – იგივეა, რაც **ფრინავს**.

ფრთა – 1. ფრინველის, მწერის საფრენი ორგანო. 2. რქოვანი ბუმბულიანი წარმონაქმნი ფრინველის კანზე. 3. სული, ცალი (ფრინველი). 4. ფარფლი (თევზისა). **პოლიტიკური ორგანიზაციის, სხვა დაჯგუფების განცალკევებული ნაწილი**: მწერალთა ერთი ფრთა არ ეთანხმება უმრავლესობის აზრს. **ფრთები გამოესხმება** – აღფრთოვანდება, შემართებული გახდება: მასწავლებელმა მომიწონა ნახატი და სიხარულისგან ფრთები გამომესხა. **ფრთები შეკვეციება** – მისი ოცნება ძნელად შესასრულებელი გახდება, იმედს დაკარგავს, საქმეში ხელი შეეშლება; დაღონდება, ყუ-

რებს ჩამოყრის: საქმე ჩამიშალეს და ჩემს ოცნებას ფრთები შეეკვეცა. ფრთები შეესხმება - 1. საქმე განსოცოილდება; ჩემს ოცნებას ფრთა შეესხა, კონკურსში გამარჯვებული ვიქნები. 2. იმედი მიუცემა, გამხნვედება, გამხიარულდება: მიუხედავად, რომ წინ ვერავინ დამიდგებოდა და ფრთები შემესხა. ფრთებს ჩამოყრის - იმედი გადაეწურება, დაღონდება, დანადგლიანდება: ფრთებს ნუ ჩამოყრი, შენ მაინც აჯობებ იმათ! ფრთებს გაშლის - გალადდება: დააწინაურეს და ფრთები გაშალა.

ფრთასხმულ-ი - რასაც ფრთები აქვს, ფრთიანი (ფრინველი, მწერი). იგივეა, რაც **ფრთაშესხმული**.

ფრთაგაშლილ-ი - რასაც ფრთები აქვს გაშლილი. **გალადებული**: დააწინაურეს და ფრთაგაშლილი შეუდგა მუშაობას.

ფრთადაშეებულ-ი - რასაც ფრთები აქვს დაშეებული (ფრინველი, მწერი). **მწვენილი**, **დანადგლიანებული**, **გუნებაწამხდარი**: სამსახურში პრობლემები აქვს და ფრთადაშეებული დადის.

ფრთათეთრ-ი - რასაც თეთრი ფრთა აქვს (ფრინველი, მწერი).

ფრთალად-ი - რაც ლალად ფრინავს.

ფრთამალ-ი - რამაც სწრაფი ფრენა იცის (ფრინველი, მწერი).

ფრთამოკვეცილ-ი - იგივეა, რაც **ფრთაშეკვეცილი**.

ფრთამოტეხილ-ი - რასაც ფრთა აქვს მოტეხილი (ფრინველი). **ფრთამოტეხილი არწივი** - ვაჟაკი, რომელსაც გასაქანი შეზღუდული აქვს, დამარცხებული გმირი.

ფრთაფარფატა - რაც ფრთების ფარფატით ფრენს. **ფრთაფარფატა პეპელა** - სუსტი აღნაგობის, ნაზი ცქრიალა გოგონა.

ფრთაშეკვეცილ-ი - რასაც ფრთა აქვს შეკვეცილი, რათა



არ გაფრინდეს (ფრინველი). 1. **გასაქანშეზღუდული ადამიანი:** სამსახურში გასაქანს არ აძლევენ, ფრთაშეკვეცილია. 2. **იმედდაკარგული, იმედგადაწურული:** ფრთაშეკვეცილი დადის, არაფრის იმედი აღარ აქვს.

ფრთაშესხმულ-ი - 1. **განხორციელებული ოცნება:** მე მხოლოდ ერთი ფრთაშესხმული ოცნებაც მეყოფა. 2. **ღამბედებული, იმედმტყეპული, გახარებული:** კონკურსში გაიმარჯვა და ფრთაშესხმული დადის.

ფრთებგამოსხმულ-ი - სწრაფად მიმავალი, მიმქროლავი (ცხენი). **აღტაცებული, ძალიან გახარებული:** ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა და ფრთებგამოსხმული დავდიოდი.

ფრთებგაშლილ-ი - იგივეა, რაც **ფრთაგაშლილი**.

ფრთებდაღლეწილ-ი - რასაც ფრთები აქვს დაღლეწილი (ფრინველი). **დამარცხებული:** დამარცხებული მოჭიდავე ფრთებდაღლეწილი არწივივით გამოიყურებოდა.

ფრთებდაშეგებულ-ი - იგივეა, რაც **ფრთადაშეგებულ-ი**.

ფრთებდაჭრილ-ი - რასაც ფრთები აქვს დაჭრილი, რათა არ გაფრინდეს (ფრინველი). **გასაქანშეზღუდული ადამიანი:** სამსახურს ვერ შოულობს და ფრთებდაჭრილი მტრედისვით აწყდება აქეთ-იქით.

ფრთებშეკვეცილ-ი - იგივეა, რაც **ფრთაშეკვეცილი**.

ფრთებშესხმულ-ი - იგივეა, რაც **ფრთაშესხმული**.

ფრთებჩამოყრილ-ი - რამაც ფრთები ჩამოყარა, დაუშვა (ფრინველი). 1. **მოწყენილი, დაღვრემილი:** რატომ ხარ ფრთებჩამოყრილი და დაღვრემილი, მოხდა რამე? 2. **იმედგაცრუებული:** რა იმედი მქონდა, ტურში გავიმარჯვებ-მეთქი და დამტოვეს ფრთებჩამოყრილი.

ფრთოსანი-ი - რასაც ფრთები აქვს (ფრინველი).

ფრთქიალ-ი - იგივეა, რაც **ფრთხიალი**.

ფრთქიალებს - იგივეა, რაც **ფრთხიალებს**.

ფრთხეობა – შინდობა, ფეთღება (ცხოველი, ადამიანი).

ფრთხის – იგივეა, რაც **ფრთხეობა**.

ფრთხიალ-ი – პატარა ფრინველის, მწერის ფრთების ჩქარი ქნევა.

ფრთხილებს – ფრთებს ჩქარა იქნევს (პატარა ფრინველი, მწერი).

ფრინავს – ფრთების საშუალებით ჰაერში მოძრაობს (ფრინველი, მწერი).

ფრინველ-ი – ბუმბულისა და ფრთის მქონე ხერხემლიანი ცხოველი. აქვს ნისკარტი და ორი ფეხი. **სწრაფი, მარდი და მოქნილი ადამიანი**: ...დახე, თითქო ფრინავსო ეგ დალოცვილი, მალხაზი, მარდი, შავარდენის მსგავსი ყმაწვილი, ხან ძირსა ხტება თავისი ტაიჭიდგან და ხან ფრინველსავით ზედვე ველება... (ეკ. გაბაშვილი). [მიხა] ხეზე როგორც ფრინველი, ისე ავარდებოდა ხოლმე (ს. მგალობლიშვილი).

ფრუტუნ-ი – ცხოველის ნესტოებიდან ერთბაშად გამოსული ჰაერის ხმიანობა. **ნამალევი, ვერშეკავებული, ნაწყვიტ-ნაწყვიტი სიცილი**: გოგოებს ფრუტუნი წასკდათ.

ფრუტუნებს – ფრუტუნს გამოსცემს (ცხოველი). **ნამალევი, ვერშეკავებით, ნაწყვიტ-ნაწყვიტად იცინის**: ჩემს მაიმუნობაზე ბავშვები ფრუტუნებდნენ.

ფსიტი-ი – იგივეა, რაც **არჩვი**.

ფსოფ-ი – ქორის მსგავსი დიდი მტაცებელი ფრინველი. ბინადრობს თევზით მდიდარი წყალსატევების ახლოს.

ფუთფუთ-ი – მრავალი ჭიადუის ერთ ადგილას მოძრაობა და ერთმანეთში არევა. **მრავალი ადამიანის ერთად ყოფნა და ერთმანეთში არევა**: ბაზარში შესვლა მეჯავრება – იქ უამრავი ხალხი ფუთფუთებს და ყაყანებს.

ფუთფუთებენ – მრავალი ჭიადუა ერთ ადგილას მოძრაობს და ერთმანეთში ირევა. **მრავალი ადამიანი ერთად იმ-**



ყოფება და ერთმანეთში ირევა: ქუჩაში ხალხი ფუთფუთებდა.

ფუმფლა - იგივეა, რაც ბურნა.

ფუნა - იგივეა, რაც ნეხვი, ნაკელი.

ფუნაგორია - საერთო სახელი ხოჭოებისა, რომლებიც ნეხვით იკვებებიან, ჭიაფანდურა, ნეხვის ჭია. **სიბინძურის მოყვარული, ბინძური, თხუპნია:** ბიჭო, ფუნაგორიასავით სულ სიბინძურეს რატომ ეძებ?

ფუნდურ-ი // ფუნდურა - იგივეა, რაც **ფუნაგორია**.

ფურ-ი - 1. იგივეა, რაც **ძროხა**. 2. ზოგი მსხვილფეხა დედალი ცხოველი (ფურკამენი, ფურირემი).

ფურბერწი - ბერწი ფური, ბერწი ძროხა.

ფურზაქი - დედალი ზაქი.

ფურირემი - დედალი ირემი. 1. **ჯიშინი, მოხდენილი, მშვენიერი და ამაყი ქალი:** მაგას ფურირემივით ცოლი ჰყავს, ტანადი და ამაყი. 2. **კდემამოსილი ქალი, რომელიც მიძალეზულ მამაკაცს თავს არიდებს:** ქალი ფურირემივით გარბის, მე ხარირემივით მივდევ (მ. ჯავახიშვილი). 3. **მფრთხალი ქალი:** ნინო თამაზის დანახვამ ფურირემივით დააფრთხო.

ფურკამენი - დედალი კამენი.

ფუტკარ-ი - მფრინავი მწერი, რომელიც ყვავილის წვეწვანებს და თაფლს აკეთებს. ცხოვრობს გუნდად. თავს ნესტრით იცავს. 1. **მშრომელი, გამრჯე ადამიანი:** ის იქნებოდა ორმოცი წლისა, მაგრამ ისევ, რასაც კი ხელი მიუწვდებოდა, აკეთებდა, ფუტკარივით დაუდალავად მუშაობდა (ვაჟა). [მაიკო] მთელი დღე ფუსფუსებდა, ფეხნაუდგმელი შრომობდა მეთაფლე ფუტკარივით... (გ. ლეონიძე). 2. **ერთად, გუნდად, შეხმატკბილებულად მომუშავე ადამიანები:** იქ კი, ჯურხანთ-კარში, წიკლაურები ფუტკარივით ფუსფუსებენ (მ. ჯავახიშვილი). 3. **ოჯახზე**



მზრუნველი ადამიანები: დიად, შეპბრუნავდენ გამანსარეს ოჯახს რამდენიმე კაცი, როგორც ფუტკრები, მანდილი-
 მე ცოცხლად გადარჩენილი, დათვისა, ან კვერნისაგან
 გატეხილს მათ სკას (ვაჟა). **4. ერთობლივად მოხმაურე**
ადამიანები: დერეფანში წალკოტებიდან შინ მობრუნე-
 ბულ ფუტკარსავით ზუზუნებდნენ სტუდენტები (კ. გა-
 მსახურდია). **5. გუნდად მიმსევი ადამიანები:** ფუტკრის და-
 სი რომ ყვავილებს შემოესევა და თავს დაბზუის, თბი-
 ლისის კოხტა ვაჟებიც ასე უტრიალებდნენ ლამაზს
 მანდილოსნებს ფეხაკრეფით სეირნობაში (გ. წერეთე-
 ლი). ასტყდა ჟრიამული და ჩოჩქოლი და უნახავ დურ-
 ბინდს ფუტკარივით მოეხვივნენ (მ. ჯავახიშვილი).
6. ენამწარე ადამიანი: მაგას მწარე ენა აქვს, ფუტკარი-
 ვით იკბინება.

ფუჩინა – 1. ხბო, ზაქი (მოფერებით). 2. ძროხა (ბავშვის
 ენაზე).

ფხორვა – ბუმბულის, ბეწვის აშლა და ტანის მაღლა
 წამოწევა. 1. გაბუტვა. 2. გაბრაზება.

ქათამი - მომცრო შინაური ფრინველი. 1. **თავდაცვის უნარს მოკლებული ადამიანი, ვისი მოსპობაც ადვილია:** მაინც კიდევ გზას გიპოვი და შენს უნამუსობას ქათამსავით ზედ წაგაკლაე!.. (ილია). გამისომდა ბჯღალს ქორხორზე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა ბჯღალით (ვაჟა). გამოუშვით, გამოუშვით! თუ ბიჭია, ჩემთან მოჰბედავს! მამაჩემი არ წამიწყდება, ქათამსავით თავს წაგატყრი! (გ. წერეთელი). ...ქათმებივით დაგვწყვეტენ, მარტო ჩვენ თუ დაერჩით მოჯანყე და მემამოხე (ჭ. ამირეჯობი). 2. **გასაქანს მოკლებული ადამიანი:** უმამულოდ კი ფრთა შეკვეცილს ქათამს ვგვევართ, რომელიც ისევ ფრენას გადაჩვეული, ღობეზედაც ვეღარ შეფრინდება... (ს. მგალობლიშვილი). 3. **ჩერჩეტი, შტერი, უტვინო:** ნეტავი იცოდნე, რა ქათამივით უტვინო ვინმეა! 4. **გზაკვალარეული, დაბნეული ადამიანი:** რადგან მრავალნაირი ფიქრებით იყო მოცული და გზა ვერ გაერკვია, ეშინოდა, თავმოჭრილი ქათამივით გაბურბუსალეული არ სჩვენებოდა ესმას (გ. წერეთელი). 5. **ვისაც პატარა სხეულის ნაწილები აქვს:** - რა შეილია! - ტუჩის აბზუებით ამბობდა ღიზა: - ტანდაბალი, ქათამივით პაწაწინა თვალები აქვს, ყურებამდის შავი ბალანი ასხია (ეკ. გაბაშვილი). 6. **ქალი, რომელიც გაუთავებლად ერთსა და იმავეს გაიძახის მკვეთრი ხმით:** თუ ერთი აკაკანდა, საღამომდე არ გაჩუმდება. 7. **ჰომოსექსუალისტი (ქარგონზე)**

ქათამურა - ლაინას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს წყლის ლერწმოვან-ისლიან ნაპირებზე.

ქათმისტვინა - ჩერჩეტი, შტერი, უტკუო, უტვინო, უნიჭო: ეგ ბავშვი ქათმისტვინაა, მაგის თავში არაფერი შედის.

ქამელეონი - ხელიკის მსგავსი ქვეწარმავალი, რომელიც გარემოს შესაფერისად იცვლის ფერს. ვინც ხშირად იცვლის შეხედულებებს: ეგ ქამელეონი ხან ერთ პარტიაში შეიძვრა, ხან მეორეში.

ქარიყლაპია - მტკნარი წყლის დიდი მტაცებელი თევზი.

1. პირღია, ბრყევი: მაგ პირღია ქარიყლაპიასავით ღრმად ლაპიბა. 2. მტაცებელი, ტაცია, გლეჯია, აგრესიული ადაშიანი: თუ ქარიყლაპიასავით გეცა, ველარაფერი გიშველის.

ქარიშხალა - საშუალო ზომის ზღვის გარეული ფრინველი.

ქარსალ-ი // ქარსალა - ზღვის ერთგვარი წვრილი თევზი.

ქასქას-ი - იგივეა, რაც ქაქანი.

ქასქასებს - იგივეა, რაც ქაქანებს.

ქაფშია - ზღვის წვრილი თევზი. ძალიან სწრაფად მრავლდება.

ქაქან-ი - აჩქარებულად, ხმაურით სუნთქვა (ცხოველისა, ადამიანისა).

ქაქანებს - აჩქარებულად, ხმაურით სუნთქავს (ცხოველი, ადამიანი).

ქაშაპ-ი - კობრის მსგავსი მტკნარი წყლის თევზი. მსხვერპლი: ბოქაულმა ეშმაკურად გაიღიმა. იფიქრა, კარგი მოზრდილი ქაშაპია ბადეში შეგდებულიო და როგორც გამოცდილი მეთევზე შეყვა ნელ-ნელა (გ. წერეთელი).

ქაშაყ-ი - ზღვის პატარა თევზი. ჭამენ დამარილებულს.

ქაჩაჩ-ი - ცხენის, ვირის, ჯორის ჩლიქი.

ქედან-ი - გარეული მტრედის ერთ-ერთი სახეობა. მასზე მოზრდილი. 1. კოხტა, ლამაზი, მშვენიერი (ბავშვი, ქალი): თამარი ქედანივით კოხტა გოგოა. 2. უწყინარი, მშვიდი: ქედნებივით მშვიდად ცხოვრობენ. 3. უმანკო: ქედანივით უმანკო გოგოა. 4. ღულუნა, სასიამოვნო ხმის მქონე ადამიანი: აკვანში ბავშვი ქედანივით საამოდ ღულუნებს. 5. ბრძოლის უნარს მოკლებული სუსტი ადამიანი: მაგისგან საშიშროება მოსალოდნელი არ არის, ქედანივით არ შეუძლია ბრძოლა. 6. მშიშარა ადამიანი: კაცი ეწევა, აი,



წუთიც და გულში ჩაიკრავს შეშინებულს, ქედანსავით აკანკალებულს ქალს... (ალ. ყაზბეგი).

ქედ-ი – მუშა საქონლის კისერი, უღლის დასადები ადგილი. 1. კისერი: მე ქედს არავის მოუუხრი. 2. ადამიანის ღონიერი კისერი: ამ ბიჭს ხარის ქედივით კისერი აქვს. **ქედის მოხრა** – ა. პატივისცემის, მოწიწების ნიშნად თავის დახრა. ბ. ვინმესადმი დამორჩილება, დამონება. **ქედს იხრის** – ა. პატივს მიაგებს თავის დახრით: გმირის საფლავთან ქედს ყველა უნდა იხრიდეს. ბ. ემორჩილება, ემონება: მიკვირს, იმ ნაძირალას წინაშე ქედს რომ იხრის.

ქედდალცვილ-ი – იტყვიან სიყვარულით კარგ ხარზე, კამეჩზე.

ქედდახრილ-ი – 1. თავდახრილი, თავჩაქინდრული: კაცი ქედდახრილი იდგა. 2. დამორჩილებული, დამონებული: ერს არ უხდება ქედდახრილად ცხოვრება.

ქედმაღალ-ი – მაღალქედიანი საქონელი. 1. ამპარტაფანი, მედიდური, ყოყონა: ქედმაღალი უფროსი ჰყავდათ. 2. ამაყი, შეუპოვარი, გაუტყხელი: ბიჭი იყო ღონიერი და ქედმაღალი.

ქედმაღლობა – 1. ამპარტაფნობა, მედიდურობა, ყოყონობა: მის უფროსს ქედმაღლობა ახასიათებს.

ქედმაღლურ-ი – ქედმაღლის დამახასიათებელი, ქედმაღლობის გამომხატველი: ქედმაღლური გამოხედვა აქვს.

ქედმოდრეკილ-ი – იგივეა, რაც ქედმოხრილი.

ქედმოუდრეკელ-ი – იგივეა, რაც ქედმოუხრელი.

ქედმოუხრელ-ი – ვინც ქედს არ იხრის, გაუტყხელი, დაუმორჩილებელი, ამაყი: მაგის დამორჩილება შეუძლებელია, ქედმოუხრელი კაცია.

ქედმოუხრელობა – ქედმოუხრელის თვისება: მისი ქედმოუხრელობა ზოგიერთს აღიზიანებს.

ქედმოხრილ-ი – 1. თავდახრილი: ბავშვები ქაქუცას სა-

ფლავთან ქედმოსხრილი იდგნენ. 2. დამორჩილებული, და-
მონებული: ქედმოსხრილს ვერავინ მნახავს!

ეროვნული

ქედუხრელ-ი - 1. ამაყი, შეუპოვარი, გაუტყეხელი: ბუნების
ქედუხრელი კაცია. 2. დაუმორჩილებელი, დაუმონებელი:
საქართველოს პირველი პრეზიდენტი ქედუხრელი კაცი
იყო.

ქედფიცხელ-ი - ისეთი ცხენი, რომელიც ლაგამს არ
ემორჩილება, თავგამწევი. ცხარე, ფიცხი, კერპი ადამიანი:
შენ ცოტა ქედფიცხელი კაცი ყოფილხარ, ნერვებს გა-
უფრთხილდი!

ქედპაღლ-ი - მუშა პირუტყვის სალანძღავი სიტყვაა.

ქედწახრილ-ი - იგივეა, რაც ქედმოსხრილი.

ქევექევი - ცხენის კოხტად ტარება.

ქერნაჭამ-ი - რასაც ქერი აქვს ნაჭამი, ფიცხი (ცხენი). ფი-
ცხი ადამიანი: ნუ ფიცხოვ ქერნაჭამი ცხენივით!

ქერონა - ბელურის მსგავსი პატარა მგალობელი ფრინვე-
ლი. მომღერალი, მოღეჟსე, მოშაიჩე: ქერონა ჩიტი ვარ,
სიმღერების ამომღები, მეტი არაფერი!... (გ. ლეონიძე).

ქერქიჭამია - ტყის მავნებელი ხოჭო.

ქერცლ-ი - პატარ-პატარა რქოვანი ფირფიტები თევზების,
ქვეწარმავალთა სხეულზე, ზოგი ფრინველის ფეხებზე
და ზოგი ძუძუმწოვრის კუდზე. ქერტლი.

ქექავს - აქეთ-იქით ყრის (მიწას, ნაცარს, ნაგავს), ჩხრეკს
(ფრინველი, ადამიანი).

ქექვა - აქეთ-იქით ყრა (მიწისა, ნაცრისა, ნაგვისა), ჩხრეკა
(ფრინველის, ადამიანის მიერ).

ქეჩ-ი - იგივეა, რაც ბოტი.

ქეჩო - ზოგი ცხოველის (მაგ., ღორის) კისრის ზედა ნა-
წილი. ადამიანის კისრის უკანა მხარე: მასწავლებელმა ქე-
ჩოში ჩამაველო ხელი და გარეთ გამომავლო.



ქვებუღანი - (ეტიმოლოგიურად: ქვეშ, მიწაზე დამბუღებელი, ანუ ქვეწარმავალი) ჩუმი ვერაგი, ქვეშქვეშა, გაიძვერა.

ქვემძრომი - იგივეა, რაც ქვეწარმავალი. ვერაგი, ქვეშქვეშა, გაიძვერა, საზიზღარი ადამიანი: შე საზიზღარო ბაღლინჯოვ, ქვემძრომი, არა-კაცო! (ეკ. გაბაშვილი). **პოლკოვნიკი** - ერთი ქვემძრომი დავატუსაღეთ. / **გენერალი** - რა დანაშაული აქვს? / **პოლკოვნიკი** - ომის საწინააღმდეგო ფურცლების გაურცელება (პ. კაკაბაძე).

ქვემძრომობა - ქვემძრომის თვისება. **ვერაგობა, ქვეშქვეშობა, გაიძვერობა**: მაგის ქვემძრომობასაც მალე ფარდა აეხდება.

ქვეწარმავალი - ხერხემლიანი ცხოველი, რომელიც უპირატესად ხოხვით მოძრაობს (გველი, ხელიკი, კუ, ნიანგი). ვერაგი, ქვეშქვეშა, გაიძვერა, საზიზღარი ადამიანი: ეტ ქვეწარმავალი საშინლად ვერაგია და ერიდე!

ქვიქვირი - იგივეა, რაც ჩიხვირი. ჩამოვარდნილი, ჩამოშვებული ქვედა ტუჩი: გაიწი იქით, ქვიქვირი არ ჩაყო მაგ ჭურჭელში!

ქვიშაქვიშა - მექვიშიას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

ქივქივი - ხტომით კოხტად სიარული (ფრინველისა). ბავშვის ხტუნვა-ხტუნვით კოხტად სიარული: პაწია გოგო სულ ქივქივით მიხტოდა სკოლისკენ.

ქინქლა - იგივეა, რაც მუმლი. 1. მრავალი მტერი: საქართველოს მტერი ქინქლასავით ესეოდა. 2. ლთი, სასმლის უგონოდ მოყვარული: ეტ ოხერი ქინქლასავით იხრჩობა დეინოში. 3. იოლად გასამკლავებელი მოწინააღმდეგე: მაგ საცოდავს ქინქლასავით გავსრეს!

ქინი - იგივეა, რაც ქინო: დაეტყო კაი სამსახური, ქინჩი გაუსქელდა.

ქიცინი: კუდის ქიცინი - კუდის ქნევა აქეთ-იქით (ძაღლის მიერ). კუდს აქიცინებს - პირფერობს, ფარისეველობს, მლიქ-

ვნელობს: თავის უფროსთან კუდს აქიცინებს, იქნება
თავი მოვაწონო.

მარცხენა

ქორი — მტაცებელი ფრინველი. 1. დაუნდობელი მობაღაღე, აგრესორი, მტაცებელი, გლეჯია: გზირი სოფლისთვის ქორია (ვაჟა). უშველოს ღმერთმა ნოტარიუსს, ერთი დღით ადრე შემატყობინა ეს ამბავი, მოგეცა სიცოცხლე, ქორივით დავესხი თავზე მეორე დღეს (გ. წერეთელი). 2. დამაფრთხობელი, შიშისმომგვრელი მზერის მქონე ადამიანი: ბეკინამ ქორივით გადახედა შვილს და წელში გაიმართა. — ერიპა! — შესძახა მან, — ერიპა! რა დავარდნილი მე მნახე!... (დ. კლდიაშვილი). ფუფალამ იწყინა მეტოქის ხობბა, ისიც არა გულწრფელი, უმართლო გადამეტყვასება და ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთახედვის ქვეშ მწყერივით გაინაბა (გ. ლეონიძე). რას მომჩერებინარ ქორივით, ვერაფერსაც ვერ დამაკლებ! 3. ანჩხლი, ბრაზიანი, ავი ადამიანი; გაანჩხლებული, გაბრაზებული, გააფებული ადამიანი: ის იყო კაცია მ გალავნის ჭიშკრის კარი გააღო, რომ მას ქორივით დაეტაკა ცოლი, ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია (დ. კლდიაშვილი). ეგ წყეული ქორივით კაპასი ქალია. 4. სწრაფი, მარდი ადამიანი: [ყმაწვილმა] ერთი-ორჯელ ჩამოუარა თავისი აქაფული ცხენით აივანს, შემდეგ ქორივით ეძგერა კიბეზე თასით მდგარ ყმაწვილს, სწვდა თასში და წართმეული თასით გავარდა ისევ ეზოდან მოახლოებულ მაყრიონთან შესაერთებლად (დ. კლდიაშვილი). გახარებული ვიყავი და ქორივით გაეფრინდი სახლისკენ. 5. ქურდი, ავაზაკი: — ჰო, ეს შენა ხარ, მუცელავ, ქორო, ბორიაქარო, სოფელი რომ გააციე! — შეუცეცხლა ფუფალამ. ქორია ხომ განთქმული ქურდი იყო, მტაცებელი! (გ. ლეონიძე). ოთოთანთ ქორი — გინც გარეშეებთან ვერაფერს ხდება და შინაურებს დაერევა, გარეთ ტკბილი და შინ ანჩხლი ადამიანი: აი, ამიტომაც უყვარდათ ოთარი გარეთ ყოველგან, მაგრამ მაგიერად შინ არ გაიცდიდენ მეზობლები, რადგან ოთარი ოთოთანთ ქორივით ირჯებოდა: როცა გარეთ ლუკმა შემოაკლდებოდა, შინაურებს დაუტრიალდებო-

და (გ. წერეთელი). მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი -
წყველა: კიტრიპარია ბიჭი თავქვე გარბოდა. / - მგლის
პირი შენ და ქორის კლანჭი! - გაადევნა ფუფალამ (გ.
ლეონიძე).

ქორბუდა - იგივეა, რაც ქორბუდიანი.

ქორბუდიანი - დატოტვილრქებიანი (ირმის ეპითეტი).

ქორვაჭარი - ჩარჩი, ვინც საქონელს მამასისხლად ყიდის.

ქორვაჭრობა - ქორვაჭრის საქმიანობა.

ქორულ-ი - ქორისებური. **ქორული თვალები // მზერა** -
მრისხანე თვალები // **მზერა**: ...უფრო უკეთესი იქნებოდა,
რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხა-
ნედ არ გამომეტყველებდნენ (ილია).

ქორცქვიტა - ქორის მსგავსი მცირე ზომის მტაცებელი
ფრინველი.

ქორ-შავარდენ-ი // ქორ-შვევარდენ-ი - ქორი და შავარდენ-
ი, სანადირო ფრინველები.

ქორჭილა - ზღვის ერთგვარი თევზი.

ქოსმან-ი // ქოსმენ-ი - ნახუქი ცხვარი, ღორი. **ძალიან მსუ-
ქანი აღამიანი**: - რაო, ოთარაანთ ქერივო, გემართა მა-
გისი, თუ რა არის? - ჰკითხა ქოსმანსავეთ გათხვი-
რულმა მეღუქნემ (ილია).

ქოფაკი - დიდი, ბანჯგელიანი, ავი ძაღლი. 1. ვისიმე ერ-
თგული მცველი: მცველად ჰყავს, მართლა კარებში უზის
ქოფაკივით (ჭ. ამირეჯიბი). 2. ავი, ანჩხლი, კაპასი, მონხუ-
ბარი: აჰყუფდი ქოფაკივითა, / აბდაუბდაობ შტერადა...
(ვაჟა). გაიგო ქოფაკმა სახლის პატრონმა, ის ბიჭი რომ
ორ-სამჯერ იყო [მოსული], შევიდა გოგოებთან და
მკაცრად უთხრა: ...დღესვე აიბარგეთ აქედანო (რ. ინა-
ნიშვილი). მაგას ისეთი ქოფაკი სიდედრი ჰყავს, მტერს!
3. **საღანძღავი სიტყვა**: ეს რაღა ამბავია, შე ქოფაკო!
ოცი თუმნის თამასუქი იმისათვისაც დაგიტყუნია!
(ილია).

ქრცინი - კვერნის მსგავსი მომცრო ძვირფასბურთიანი მტაცებელი ცხოველი.

ქსუ შეუჩვეველი, მფრთხალი (პირუტყვი, ფრინველი). მიუკარებელი, უკარება ადამიანი: ეგ ქსუ კაცი გარეთაც კი არ გამოდის.

ქსუობს - ქსუსავით, გარეულივით იქცევა, ყველას უფრთხის: თქვენი პატარძალი რაღაც ზედმეტად ქსუობს, მიაჩნევთ ხალხს!

ქუნქლა - იგივეა, რაც ქინქლა.

ქურანი // ქურანა - წაბლისფერი ცხენი.

ქურციკი - ჩლიქგაყოფილი გარეული მძოველი ცხოველი.

1. ტანადი, კოხტა ქალიშვილი: გუშინ ქურციკივით უხვართი გოგო გავიცანი. 2. მოხდენილად მავალი გოგონა: რა ამშვენებს ამ არსებას?... თეთრმწყახარი სახე, იისფერი თვალები, მარწყვისფერი ტუჩები, წაბლისფერი თმა, შვლისსუკრისებრი სინორჩე, ქურციკივით კოხტა რონინი, სირინოზის ხმა... (გ. გეგეშიძე). 3. სწრაფად მორბენალი: ბავშვები ქურციკივით სწრაფად გარბოდნენ.

ქუცუნა // ქუცუნია - გოჭი (ბავშვის ენაზე). პუტკუნა, საყვარელი ბავშვი: აბა, მოდი, ქუცუნა, ვითამაშოთ!



ღ

ღაბუა - ფრინველი, რომელსაც ნისკარტქვეშ, ყელზე ბლომად აქვს ბუმბული.

ღადუნ-ი - იგივეა, რაც კატუნი.

ღაღდაფ-ი - ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა (ძაღლისა, მგლისა).

1. გაუთავებელი ხმამაღალი და უგვანო ლაპარაკი: მაგათი სახლიდან სულ ღაღდაფის ხმა ისმის. 2. ჩხუბი, ლანძღვა, ჩხუბის ხმა: მშობლებმა დამიწყეს ღაღდაფი, რას დაეთრევი უსაქმოდო.

ღაღდაფებს - ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყეფს (ძაღლი, მგელი). ჩხუბობს, იღანძღება: რას ღაღდაფებს ნეტავი ეს კაცი მთელი დღე?

ღაღლა - ლაინას მსგავსი, მწყერზე დიდი გარეული ფრინველი.

ღამურა - პატარა მფრინავი ძუძუმწოვარი მტაცებელი ცხოველი. აქტიურობს ღამით, დღისით ცუდად ხედავს.

1. ვისაც ღამით ცოტა სძინავს, ან გვიან იძინებს: ზის ნაშუალამევაბდე ღამურასავით და ტელევიზორს მისჩერებია. 2. ვინც ღამით დაწანწალებს საკბილოს საძებრად: ღამურაკაცია, ღამურა! ღამურასავით დაძვრება ჭაღებში (ს. მაგალობლიშვილი). 3. ვინც ნებით ცდილობს გადაჯიშებას, ვინც საკუთარ ენას, ეროვნებასა და სარწმუნოებას იცვლის (სახელს ეს მნიშვნელობა აკაკი წერეთლის პოემა "ღამურას" გამოქვეყნების შემდეგ დაუმიკვიდრდა): ეს ღამურები ორი თვით წაველენ უცხოეთში და მერე აღარაფერი უნდათ ეროვნული. ღამურა კაცი - ვინც ღამით აქტიურობს: ხვედია ღამურა კაცი იყო; როცა ღამე გაიწონებოდა, მაშინ ადგებოდა, შემოივლიდა თავის პატარა კარ-მიდამოს, ეზო-ბოსტანს, კალოს, ვენახს, სადაც იგი თვითმპყრობელადა გრძნობდა თავს (გ. ლეონიძე).

ღაჟო - მომცრო გარეული ფრინველი. წვრთნიან სანადირო ფრინველთა დასაჭერად.



დაფლაფი - ბოხი ხმით ყეფა (ძაღლისა).

დაფლაფებს - ბოხი ხმით ყეფს (ძაღლი).

დაღანი - დედლის თავისებური ხმიანობა კვერცხის დადების წინ. ჩვილი ბავშვის ხმიანობა, ღუღუნა.

დაღანებს - თავისებურად ხმიანობს კვერცხის დადების წინ (დედალი). ჩვილი ბავშვი ხმიანობს, ღუღუნებს: აკვანში პაწია დაღანებს.

ღდინძაღლი - საღანძაღვი სიტყვაა: საქონელი თუ დაჰპარეს ი ღდინძაღლმა ოსებმა (ს. მგალობლიშვილი).

ღელატუა - ერთგვარი მწერი.

ღერღერ - // **ღერღერტი** - იგივეა, რაც ბატი. 1. უტვინო, შტერი, ჩერჩეტი: სად დაეთრევი მთელი ღღე, შე ღერღერტი? 2. უზო-უკვლოდ, უჭკუოდ სიარული: მაგან მასე იცის უტვინოდ ღერღერტი.

ღვატა // **ღოტა** - ერთგვარი პატარა თევზი.

ღვინია - ღვინისფერი საქონელი: ღვინიასავით კინაღამ ხრამში გადავიჩეხე.

ღვლიაპი - ტიტველა ბარტყი.

ღვლიაპი // **ღვლიაპინა** - შიშველ-ტიტველი.

ღვლიაპა - თავის ახლადდაბადებული ტიტველა ნაშიერი (იმერულში. შდრ. სალიტერატურო: **ღვლიაპი** // **ღვლიაპინა** შიშველ-ტიტველი). უსუსური ბავშვი: მაგ თავის ღვლიაპას ვერ უნდა მოერიო, შე ლაყე?

ღინღლი - ფრინველის სხეულზე ამოსული ნაზი ბეწვი, ბუსუსი. 1. ახლადამოსული წვერ-უღვაში, გინგლი: ჩვენს ბიჭს უკვე ღინღლი ამოსვლია. 2. აქა-იქ შემორჩენილი ბეწვი, თმა: რა ქონორი ჰქონდა და ახლა ორი ღერი ღინღლი აქვს შერჩენილი.

ღინღლიანი - ღინღლის მქონე (ფრინველი, ადამიანი).



დიღველი - // **დიღველა** - შეუბუძბლაღი ბარტყი.

ღლაბუტა - პატარა ლოქო.

ღლაგ-ი - იგივეა, რაც **ლოქო**. 1. ვინც პირს ძალიან აღებს: აბა, ღლაღიღით დამიღე პირი, კაკა უნდა გაჭამო! 2. დიღი, დონიერი, ძლიერი: ღლაღიღით ღონიერი ბიჭი ყოფიღხარ. 3. მსხვიღი მტაცებელი, გაღღენიანი მოძალადე: ეს პოღიციღა ღიფსიტიებს დასღვეს, ღლაღებს ვერაფერს აკღებენ.

ღლაპ-ი - 1. ახღადგამოჩეკიღი, შეუბუძბლაღი ბარტყი. 2. ზოგი ცხოვეღის (მაგ., თაგვის) ახღღობიღი ნაშიერი. ჩეიღი, პატარა ბაგშეი: ამღენს ვმუშაობ და ღლაპებს რა ვაჭამო, არ ვიცი. გუშინღელი ღლაპი - მეტად ახღღაზრდა, გამოუცღელი აღამიანი: მაგ საქმისა შენ რა გაგეგება, გუშინღელი ღლაპი ხარ.

ღმუთუნებს - იგივეა, რაც **ღრინავს**.

ღმუის - ღმუიღს გამოსცემს (ძაღღი, მგელი, ვეფხვი...). გაბმით მოთქვამს, ტირის: - აღე, რას ჰღმუი უპატრონო ძაღღსაღით! - დასციღა მოხუცს ახღღაზრდა გღეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხაროდ (იღია). ეს ბაგშეი მთელი დღე ღმუოღა, ვერაფრით გაეაჩერეთ.

ღმუიღ-ი - გაბმული ხმიანობა (ძაღღისა, მგღისა, ვეფხვისა...). გაბმით მოთქმა, ტირიღი: ამ მამაძაღღმა მოაღლო პირი და მორთო ღმუიღი.

ღნავაღა - რასაც ღნავიღი სჩევეიღა (კატა, ბაგშეი).

ღნავიღ-ი - სუსტი ხმით უიღაჯღო ხმიანობა (კატიღსა, ბაგშეიღსა): თამარი შეზარა [ახღღღობიღი] ბაგშეღების ხორაღღურმა ღნავიღმა (კ. გამსახურდიღ). შეეშეი მაგ ბაგშეღს, თორემ თუ მორთო ღნავიღი, კარგად მეყოღე!

ღნავის - ღნავიღი გაუღის (კატას, ბაგშეღს): რა საზიზღარი ბაგშეიღა, სულ ღნავის!

ღობემძღვრღაღა - ბეღურის მსგავსი ერთ-ერთი ყვეღაზე პა-

ტარა ფრინველი, ჭინჭრაქა. პატარა ტანის მოქნილი ბავ-
შე: იმ ვიწრო ხერხელში როგორ გაძვერი, შეეღობე
ძერაღა? შენსულირთუქს

ღმა - 1. ერთგვარი თევზი, რომელსაც გამრავლების პე-
რიოდში თავზე უჩნდება ღომის მარცვლის ოდენა წანა-
ზარდები. იგივეა, რაც კვირჩხლა. 2. იგივეა, რაც ციმო-
რი.

ღონა - იგივეა, რაც ღორჯო.

ღორი - წყვილჩლიქოსანი დინგიანი ცხოველი. 1. **უსუფ-
თაო, ჭუჭყიანი, ჭუჭყის მოყვარული**: სად ამოითხუპნე ასე,
შე ღორო? 2. **უწმინდური სულის მქონე**: თქვენ ღორის
სული და ვირის ჭკუა გაქვთ (ჭ. ამირეჯიბი). 3. **შეუზნე-
ბელი ადამიანი**: გიორგი, უთხარი მაგ ღორებს რამე,
თვარა ჩემი არ ესმით (გ. წერეთელი). როგორ, მინდორ-
ში იყავით და ვერ გაიგეთ! ცოლები ხომ შინა გყავ-
დათ, ღორებო, იმათაც ვერ გაიგეს, იმათაც არაფერი
გითხრეს, თქვენმა კნენებმა? მაგრამ ღორები ხართ,
კისერდასუქებული ღორები, ცისკენ ველარ ავიხედიათ...
(რ. ინანიშვილი). 3. **ვისაც თავის დაცვა არ შეუძლია, ვისი
მოსპობაც არ ენანებათ**: უადგილო ადგილას რომ ძილს
მინდობიხარ, ხომ ღორივით გადაგაგორებდნენ, რომ მე
არ მოგსწრებოდი და მტერს წინ არ გადავლობებოდიო
(აკაკი). დიამბეგიც... გამოათრია გლახამ, გაუყარა იდ-
ლიის ქვეშ ხანჯალი და დასძახა: / - შენ კი ღორი
ხარ და ღორსავით მოგკლამ (ალ. ყაზბეგი). მიქელგაბ-
რიელის საყდარში საკურთხეველზე დაგაკლავ ღორი-
ვით (ნ. დუმბაძე). 4. **ღრუტუნა ხმის მქონე**: წესიერად
ილაპარაკე, ნუ ღრუტუნებ ღორივით! 5. **ძუნწი, მსუნავი**:
მაგ თხილი შენს ძმასაც მიეცი, მარტო შენ რომ ჭამ,
შე ღორო! 6. **წამოშვერილი ტუჩ-ნიკაპის მქონე**: მაგ ბიჭს
ღორის დინგივით ცხვირ-პირი აქვს. 7. **ვინც სხვის ამაგს
არ აფასებს**: შენისთანა უმადური ღორი სუფრიდან უნდა
გააგდოს კაცმა, მაგრამ, მადლობა მითხარი, რომ არ
გააგდებ... (ნ. დუმბაძე). **ღორის დასმული** - საღანძღავი
შესიტყვებაა, უჯიშო: მე ისედაც მწყუროდა არზაყანის



სისხლი, ძია გვანჯ. მაგას შეეჭამ, მაგ ღორის დასმულს (კ. გამსახურდია).

ღორისთვალეობა – ღრმად ჩამჯღარი წვრილი თვალეობის შქონე: პო, ღორისთვალეობა ხალხი მართლაც არ მიყვარს (კ. გამსახურდია).

ღორისშვილი-ი – საღანძღავი სიტყვაა, უჯიშო: დაჯექი, რომ გეუბნებიან, ღორის შვილო (ნ. დუმბაძე). მისი შვილების ბედი და მომავალი თუ გალაპარაკებს, მაშინ აქეთ უნდა მეხვეწებოდეს მოკალი ეს ღორის შვილიო (ჭ. ამირეჯიბი).

ღორისვა – გარეული იხვის მსგავსი დიდი წყლის ფრინველი.

ღორმუცელა – ვინც, რაც ბევრს ჭამს, მსუნაგი, გაუმამღარი: – ბაყბაყ, შე ღორმუცელა! – ახლა ზაზა უტევს, – საჭმელი საიდან? (ზ. სამადაშვილი).

ღორმუცელაობა // ღორმეცელობა // ღორმუცლობა – ღორმუცელას თვისება, მსუნაგობა, გაუმამღრობა: საშვილიშვილო ვალდებულება რომ მე მოვსპო ძროხის გულისათვის, ეს ღორმუცელობა იქნება... (აკაკი).

ღორობა – ღორის თვისება. 1. მსუნაგობა, გაუმამღრობა: ლუარსაბივით ღორობას გადაჰყვა. 2. სულმდაბლობა, უსინდისობა: მე რომ სამსახურიდან დამითხოვონ, ეს ღორობა იქნება.

ღორტავი // ღორტავა – კიბოს მსგავსი წყლის პატარა ცხოველი.

ღორული-ი – 1. ღორის შესაფერისი: შენი ღორული ქცევა მასწავლებელსაც არ მოსწონებია. 2. უწესოდ გამარჯვება ჭიდაობაში: – არ ითვლება, არა... ღორული იყო, – წამოიშლებიან გოგოებიც. / – ღორული კი არა, სუფთა იყო, – თავისაზე დგას უფროსი (ჯ. მონიავა).

ღორ-ხბო – ნახირიდან გამოყოფილი წვრილფეხა საქონელი (ღორი, ხბო, თხა...).

ღორჯო - მტკნარი წყლის პატარა მსხვილთაგა თევზი.
ღოდაგს - ნელა, ან ძლივს დადის (ცხოველი, ადამიანი).
ღოდვა - ნელი, ან გაძნელებული სვლა (ცხოველისა, ადამიანისა).

ღოდო - იგივეა, რაც ზაქი.

ღრატა - მცენარეულის მავნებელი ხოჭო.

ღრენს - იგივეა, რაც ღრინავს.

ღრენა - თავისებური დაბალი ხმის გამოცემა და ამით შეტევა (ძაღლისაგან, მგლისაგან). **ბუზღუნი, ლანძვია:** ...აქ [საკნის იატაკზე] წოლაც მხოლოდ გვერდზეა შესაძლებელი. ძილის დროს ყოველი გადაბრუნება მეზობლების გაღვიძება-შეწუხებას იწვევდა - ერთი ღრენა და ჯაჯღანი ატყდებოდა ხოლმე (ჭ. ამირეჯიბი).

ღრენია - ვისაც, რასაც ღრენა სჩვევია (ძაღლი, ადამიანი).

ღრიალი - გაბმული ხმამაღალი ხმიანობა (ცხოველისა).

1. ხმამაღალი გაბმული ყვირილი: დათვმა დაიღრიალა და პასუხად მეც მოვრთე ღრიალი. 2. ხმამაღალი გაბმით ტირილი, ბღაგის: ბავშვმა შექნა ღრიალი, აბღავლდა მეორე იქვე მყოფი უფროსი გოგოც... (დ. კლდიაშვილი). შეშინებულმა ბავშვმა ღრიალი მორთო და გაიქცა.

ღრიალებს - გაბმულად ხმამაღლა ხმიანობს (ცხოველი).

1. ხმამაღლა გაბმულად ყვირის: დატორილი მონადირე ხმამაღლა ღრიალებდა, რომ დათვი დაეფრთხო. 2. ხმამაღლა გაბმით ტირის, ბღაგის: ბიჭს ცრემლები ღვარად მოსდიოდა და ხმამაღლა ღრიალებდა.

ღრიანკალი - // ღრიანკელი - იგივეა, რაც მორიელი.

ღრინავს - განსაკუთრებულ დაბალ ხმას გამოსცემს და ამით უტევეს (ძაღლი, მგელი). **ბუზღუნებს, ჩხუბობს, ბრაზობს:** ბერიკაცი ცუდ გუნებაზე იყო და ღრინავდა.

ღრუბელი - უდაბლესი მრავალუჯრედიანი ზღვის ცხოველი.

ღრუტუნ - ღორის თავისებური ხმიანობა. ადამიანის ნა-

წყვეტ-ნაწყვეტი თავისებური ხმიანობა: ნუ დაიწყე ღრუტუნნი, მორჩი ტირილს და წესიერად მითხარი, რა გინდა!

ღრუტუნა - 1. ვინც, რაც ღრუტუნებს. 2. ღორის ეპითეტია.

ღრუტუნებს - ღრუტუნს გამოსცემს (ღორი). ნაწყვეტ-ნაწყვეტად თავისებურად ხმიანობს: კუდში დამდეგდა და ღრუტუნებდა, ნაყინი მიყიდეო.

ღრუნუნ-ი - იგივეა, რაც ღრუტუნნი.

ღრუნუნებს - იგივეა, რაც ღრუტუნებს.

ღრღნა - კბილებით რისამე წვრილად დაქუცმაცება (ზოგი ცხოველის, ადამიანის მიერ).

ღრღნის - კბილებით რასმე წვრილად აქუცმაცებს (ზოგი ცხოველი, ადამიანი): ბავშვი სათამაშოს ღრღნის.

ღურკანა - ორაგულის მსგავსი თევზი.

ღურღუნ-ი - ზოგი ფრინველის ხმა (მტრედისა, ქედნისა, გვრიტისა...). ტკბილი ხიმღერა, ღიღინი, საამის ხმა: ელი გვრიტის ღურღუნით ეუბნებოდა ქმარს: / - გული ცუდს მეუბნება, კარგათ არ გათავდება [საქმე] (ნ. ლორთქიფანიძე). ოთახიდან ჩვილი ბავშვის ღურღუნი ისმოდა.

ღურღუნა - ვინც, რაც ღურღუნებს.

ღურღუნებს - ღურღუნს გამოსცემს (ფრინველი, ადამიანი): ბავშვი აკვანში ღურღუნებს.

ყავყავი - იგივეა, რაც **ღაფღაფი**. 1. გაუთავებელი ხმამაღალი და უგვანო ლაპარაკი: მაგათი სახლიდან სულ ყავყავის ხმა ისმის. 2. ჩხუბი, ღანძღვა, ჩხუბის ხმა: მოშობლებმა დამიწყეს ყავყავი, რას დაეთრევი უსაქმოდო.

ყალყი: **ყალყზე დგება** - უკანა ფეხებზე დგება (ცხენი). 1. აღელდება: დედაჩემმა რომ უთხრა, რაც მოხდა, გადაირია, ყალყზე დადგა. 2. საწინააღმდეგოდ განწყობა: ჩემს წინადადებაზე ყალყზე დადგა, არაფრით არ დამთანხმდა. **თმა ყალყზე უდგება** - თმა ებურძენება: გველის დანახვაზე თმა ყალყზე მიდგება.

ყანაჭრია - იგივეა, რაც **კალია**.

ყანჩა - წყლის დიდი გარეული ფრინველი. აქვს გრძელი კისერი და ნისკარტი, მაღალი ფეხები. 1. აწოწილი, აყლაყუდა: მაგ ყანჩა იმსიმაღლეა, მე მასთან ლილიპუტივით ვჩანვარ. 2. გრძელკისერა: რა ყანჩასავით გრძელი კისერი გაქვს!

ყაპყაპი - საშუალო ზომის კვირიონის მსგავსი გარეული ფრინველი.

ყარანა - ასპუჭაკის მსგავსი, ბელურაზე პატარა მგალობელი ფრინველი.

ყარაულა - ყარყატის მსგავსი პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს ლერწმოვან და ტყიან ადგილებში.

ყარყატი - მოზრდილი გარეული ფრინველი. აქვს გრძელი კისერი და ნისკარტი, მაღალი ფეხები. 1. აწოწილი, აყლაყუდა: ყარყატივით აწოწილი ბიჭია. 2. გრძელკისერა: ყარყატივით გრძელკისერა კაცია.

ყარყუმი - მომცრო ტანის კვერნის მსგავსი ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი. ტანმომცრო, ჩია ადამიანი: ტახტზე ყარყუმივით იჯდა პაპას მეუღლე, ცხრა შვი-

ლისა და თორმეტი შეილიშეილის ბებო მარადია, სიბერით გადაღწეული, შრომაში გამდნარი, გაცვეთილი (გ. ლეონიძე).



ყაყაში-ი – არწივის, ორბისა და მისთანათა ხმაური, ყივილი. **ყაყაცური, ომახიანი ხმიანობა:** აღარ ისმოდა ციციკორეს მჭექაჟ ხმა, არწივული ყაყაში! (გ. ლეონიძე).

ყაყაშებს – ხმაურობს, ყივის (არწივი, ორბი...).

ყაჭი-ი // ყაჭის ჭია – იგივეა, რაც **აბრეშუმის ჭია**. 1. ვინც ძალიან იცვლის აზრს, ქცევას, გარეგნობას: ყაჭის ჭიასავით გამოვიცვალე ძველი კანი და მოვემზადე (აკაკი). 2. **უცოდველი, უმანკო, ძალიან პატიოსანი:** – ხომ იცი, მაზლო, ჩემი კაცი უცოდველი, პატიოსანია! / – დიამც, უცოდველია, უცოდველი როგორც ყაჭივით გამოსული ჭია! – დაცინვით მიაგებებდა ციციკორე, – იქ მკვდრებს აკლია, აქ ცოცხლებს აწუხებს! (გ. ლეონიძე).

ყაჯირი-ი – იგივეა, რაც **ქერქერუკი**.

ყვეარ-ი – ორი უღველი ხარ-კამეჩი. **ღონიერი, ძლიერი:** ყვეარი ხარივით ღონიერი ბიჭია.

ყეფა – 1. თავისებური ხმის ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოცემა (ძაღლის, არწივის, ყორნის მიერ). 2. გალობა (ბულბულისა). **ღანძღვა, ჩხუბი:** მაგისი ქმარი სულ მცირე მიზეზის გამოც ყეფას იწყებს.

ყეფს – ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოსცემს თავისებურ ხმას (ძაღლი, არწივი, ყორანი...; ბულბული). 1. **იღანძღვა, ჩხუბობს:** მაგისი ქმარი სულ მცირე მიზეზის გამოც ყეფს. 2. **ხმამაღლა ფიჭის:** – ეი, თქვენ, რას ყეფთ მანდ?! – ამოგებახა პარხომენკომ (ნ. დუმბაძე).

ყვაგ-ი – შავი, ან რუხი ფერის მტაცებელი ფრინველი. 1. **შავტუხა, შავგვრემანი:** რა ყვავივით შავტუხა ქალი შეურთავს მაგ უბედურს! 2. **უსიამო ხმის მქონე, ჩხავილა, ყრანტალა:** ეგეც იტყვის მომღერალი ვარო, ყვავის ხმა აქვს. 3. **ვისაც მუსიკალური სმენა არა აქვს:** შენ რა უნდა

იმდერო, შე საწყალო, ყვავევით უსმენო ხარ! 4. **თარსი**, ნავსი ადამიანი: ეგ ყვავე თუ შეგხვდა, იმ დღეს უმჯობესად დაითარსები. 5. **ვინც სხეებისაგან შავი ნაშროსით გამოიჩრევა**: შავებში ჩაცმული დედაკაცები ყვავებივით ერივნენ ხალხში (ნ. ღუმბაძე). **ყვავეის ხნისაა** — ძალიან ბებური: ბებიაშისი ყვავეის ხნისაა, აღარც ახსოვს, როდის დაიბადა. **ყვავევით თავს დასჩხავის** — თარსავს, ნავსავს: ...დედაჩემო, რა ამბავია; ყვავევით მუდამ თავს დასჩხავი ამ ჩემს ბედნიერებას! (გ. წერეთელი). **ყვავე ჩხიკვის მამიდა** — შორეული ნათესავი, ან ვითომ ნათესავი: ეგ შენი ნათესავი კი არა, ყვავე ჩხიკვის მამიდაა.

ყვავე-ყორანი — ყვავეები და ყორნები. **მტრები, მრავალი მტერი**: საქართველოს მტერი მუდამ ყვავე-ყორანივით ესეოდა.

ყვანჩალა — იგივეა, რაც ყვავე.

ყვერულ-ი — დაკოდელი მამალი, რომელსაც წიწილებს აზრდევინებენ. კარგად სუქდება. **ქალაჩუნა**: ბიჭო, ყვერულივით სულ სახლში რომ გდისხარ, გადი, ხალხში გაერიე!

ყვინთია — საშუალო ზომის გარეული იხვი.

ყვინჩილა — იგივეა, რაც მამალაყინწა. **ჩხუბისთავი, ყოყლოჩინა ჭაბუკი**: ეს მამაძაღვები სულ ყვინჩილებივით ეძიბვილავეებიან ერთმანეთს.

ყვირილობა — როდესაც ხარირეში ყვირილით მოუხმობს ფურირემს, ირმების გამრავლების პერიოდი.

ყვიტყვიტ-ი — ზოგი ფრინველის (ორბის, იხვის) ხმიანობა. **ბავშვის თავისებური ხმიანობა**.

ყვიტყვიტებს — თავისებურად ხმიანობს (ორბი, იხვი, ბავშვი): ეს ბავშვი რას ყვიტყვიტებს, ვერ გაიგებ.

ყვიდი-ი — მამლის და ზოგი სხვა ფრინველის გაბმული ხმიანობა. **ხმამაღლა მკვეთრად ძახილი, ყიჟინა**: [უჯუშმა] ამხანაგებს ახლა სულ სხვა თვალებით გადახედა და

შეკავებული ყივილის მსგავსი ხმით მიმართა... (ლ. ქიაჩელი). ბრძოლის ველზე ვაჟკაცთა ყივილი ისმოდა.



ყივის - გაბმულად ხმიანობს (ფრინველი). **ხმამაღლა იბახის, ყიჟინებს:** აგერ ყოტი მღვდელი გლეხებს დაჰყიოდა, - ხომ დაგსეტყვათ, დაგსეტყვათო! ეს იმიტომ, რომ უქმე დღეებსა სტეხავთო! (გ. ლეონიძე). რას დამყივი თავს ამ უთენია, მაცალე ძილი!

ყიყიფი - ზოგი ფრინველის (არწივის, წეროს, იხვის) თავისებური ხმიანობა.

ყიყიფებს - თავისებურად ხმიანობს (არწივი, წერო, იხვი).

ყიპყიპი - შავარდნისა და გავაზის ხმიანობა.

ყიპყიპებს - თავისებურად ხმიანობს (შავარდენი, გავაზი).

ყიყინი - ბაყაყის, ბატის, იხვის ხმიანობა. **ადამიანის მიერ თავისებური ხმის გამოსცემა:** ქალებმა ერთი ყიყინი ატყეს.

ყიყინა - ვინც, რაც ყიყინებს.

ყიყინებს - ყიყინს გამოსცემს (ბაყაყი, ბატი, იხვი). **თავისებურ ხმას გამოსცემს:** ბავშვებო, ნუ ყიყინებთ!

ყიყლიყო - მამლის ძახილი.

ყმუილ-ი - მგლის, ძაღლისა და მისთანათა გაბმული ხმიანობა. **გაბმული ხმიანობა, მთქმა, ტირილი:** ეს მამაძაღლი ერთი თუ ატირდა, მერე მთელი დღე ყმუილს არ მორჩება.

ყმუის - ყმუილს გამოსცემს (მგელი, ძაღლი, ადამიანი): ოღონდ ნუ ყმუი და კიდევ მოგცემ კამფეტს.

ყმუყუნ-ი - ცხვრის (ყოჩის) მიერ გამოცემული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმიანობა.

ყმუყუნებს - ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმიანობს (ყოჩი).

ყორან-ი - შავი ფერის მოზრდილი მტაცებელი ფრინვე-

ლი. 1. შავტუნა, შავგერემანი: ვისია ეს ყორანივით შავი ბავშვი? 2. უსიამო ხმის მქონე, ჩხავილა, ყრანტაღა: იმ ქალს ყორანივით ხმა ჰქონია. 3. ავის მოწინასწარმეტყველე: ...[კვაჭი] სივრცეში ვიღაცას თითით დაემუქრა და ყორანივით იწინასწარმეტყველა... (მ. ჯავახიშვილი). 4. ხორცეულის მოყვარული ადამიანი, მემბორე: გაიცანით მუცელდმერთა თლოშიაური; სუფრის მუსუსი, ლემის მოყვარე ყორანი! (გ. ლეონიძე). ყორნის ბოლოსავით // ყორნის ფრთასავით თმა, წვერი, უღვაში – შავი, მზინავი თმა, წვერი, უღვაში: მცველი გაუძღვა წინა, სადაც ერთი კაცი იჯდა დასიებულ-გაწითლებულის ცხვირით და სქელის, გრძელის, ყორნის ფრთასავით გაშავებულის უღვაშებით (აღ. ყაზბეგი). ქალს სახეზე ეხურა წმინდა აბრეშუმის ბადური დაღბანდი, სქელი შავი თმები მის ლამაზ სახეს ყორნის ბოლოებათ შემოსდგომოდენ (გ. წერეთელი).

ყორანა – ძალიან შავი კამეჩი, ცხენი.

ყორნისფერი – ძალიან შავი (თმა, წვერ-უღვაში, წარბ-წამწამი): კონ ფერანსიე და / ინდოელი ბენ-საიდ: / ჭრელი ხალათი; / თეთრი დოღბანდი; / და თითქოს შეღებილი ყორნის ფერი შავი უღვაშები (ნ. ლორთქიფანიძე).

ყოყინი – კამეჩის ხმიანობა.

ყოყინებს – თავისებურ ხმას გამოსცემს (კამეჩი).

ყოჩი – იგივეა, რაც ვერძი, ერკემალი. 1. თავდაჯერებული, ყოყინი კაცი: ომარ მაან და ტატაშ მარშანია ყორებსავით მიიწვედნენ [სადვინე] ჯამებისაკენ (კ. გამსახურდია). მაგ ყოჩს თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. 2. ბელადი, წინამძღოლი: ბიჭებს ყოჩივით სულ წინ მიუძღვის. 3. ჩხუბისთავი: მაგ ყოჩი სულ მუშტებზე იყურება. 4. კარგად ნაკვები: მაძღარი თუშები, თავიანთი ნასუქი ყორებივით რომ გაფუეებულან (მ. ჯავახიშვილი).

ყოჩაობა – ყორების ჭიდილი. ჭიდაობა, ბღლარძუნი: ბიჭებმა ეზოში ყოჩაობა გააჩაღეს.



ყონობა - ფალანობა, ჩხუბისთაობა: შენმა ბიჭმა უკვე ყონობა დაიწყო და დროზე მიხედე!

ყონობს - მკლავებზე იყურება, ფალანობს, ჩხუბისთავია: შენი ბიჭი უკვე ყონობს და დროზე მიხედე!

ყრანტალ-ი - ყვავის, ყორნისა და მისთანათა ხმიანობა. ადამიანის უსიამო ხმიანობა: ვერ ვიტან მაგის ყრანტალს.

ყრანტალებს - ყრანტალს გამოსცემს (ყვავი, ყორანი, ადამიანი): ქუჩაში ვიღაცა ღოთი ყრანტალებს.

ყრანტალა - ვისაც, რასაც ყრანტალი სწევია (ყვავი, ყორანი, ადამიანი): მოდის შენი ყრანტალა მეზობელი.

ყრიალ-ი - ყვაგ-ყორანთა, წეროთა და მისთანათა ხმიანობა.

ყრიტინ-ი - იგივეა, რაც ყრიალი.

ყრიყინ-ი - ზოგი ფრინველის ხმიანობა.

ყროყინ-ი - ვირისა და ზოგი სხვა ცხოველის ხმიანობა.
1. უღაზათო ხმა: ყოველ დღე ვუსმენ ამ მოლას ყროყინს (ნ. დუმბაძე). ყროყინით ლაპარაკობს. 2. უღაზათო ხმამაღალი სიმღერა: საშინლად დათვრა და ყროყინი დაიწყო, ვითომ ვმღერო.

ყროყინა - ვინც, რაც ყროყინებს (ვირი, ადამიანი).

ყროყინებს - ყროყინს გამოსცემს (ვირი). 1. უღაზათო მაღალი ხმით ლაპარაკობს: ნუ ყროყინებ, წესიერად თქვი, რა გინდა! 2. უღაზათო მაღალი ხმით მღერის, ბღაგის: რომ დათვრება, ერთსა და იმავე სიმღერას ყროყინებს.

ყურბელა - ერთგვარი მოწაბლისფრო ჭია.

ყურყუმელა - გარეული იხვის სახეობა.

ყურშა - შავყურებიანი ძაღლი.

ყურცქვიტა - კურდღლის ეპითეტი.

ყუბყუბი - მწყრის ხმიანობა.

ყუბყუბის - ყუბყუბის გამოსცემს (მწყერი).



უ

უბარდუხი - ქორის მსგავსი დიდი მტაცებელი ფრინველი.

უვარდენი // **შევარდენი** - საშუალო ზომის მტაცებელი, სანადირო ფრინველი. 1. **სწრაფი, მარდი, მოქნილი (უპირატესად ჭაბუკი)**: რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჩყვეტდა, შევარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ... (ილია). ...დახე, თითქო ფრინავსო ეგ დალოცვილი, მალხაზი, მარდი, შავარდენის მსგავსი ყმაწვილი, ხან ძირსა ხტება თავისი ტაიჭიდგან და ხან ფრინველსავით ზედვე ველება... (ეკ. გაბაშვილი). გიორგიმ მარდად მოაველო მარგილს ხელი, შავარდენსავით გაფრინდა თხებთან... (ს. მგალობლიშვილი). 2. **წარმოსადევი, ტანადი ჭაბუკი**: -ყმაწვილია, წარმოსადევი... / -შავარდენსა ჰგავს (ალ. ყაზბეგი). 3. **უშიშარი, მხნე მებრძოლი**: "...აბა, ჰე, წინ! წინ! ჩვენთან არს ღმერთით" და შევარდენივით მიაშურებს თათრებს (აკაკი).

უვლევი // **უვლევა** - ძალიან მუქი ლევა (ცხენი). **უვგერემანი** (ადამიანი).

უვრა - შავი ფერის ცხენი.

უაკი - ძერაბოტის მსგავსი გარეული მტაცებელი ფრინველი.

უამაია - კობრის მსგავსი თევზი.

უანავარი - ჭკვიანი საქონელი.



შაქი - იგივეა, რაც **შიშავი** // **შიშაქი**.

შაშვი - ბელურას მსგავსი შავი, ან ჭრელი მგალობელი ფრინველი. 1. პირდია, დოყლაპია: რას დაგიღია პირი შაშვივით, თუ გცემეს, შენც რატომ არ გაანძრევ ხელს? 2. კარგი მომღერალი: ეს ბიჭი შაშვივით გალობს.

შებუმბვლა - ბარტყის, წიწილის ბუმბულით დაფარვა.

შებუმბლული - რაც შეიბუმბლა.

შეიბუმბლება - ბუმბულით შეიმოსება (ფრინველის ნაშიერი).

შენაგარდებს - ნაგარდით, ლაღად ამოძრავდება (ფრინველი, ცხენი, ადამიანი).

შენაგარდება - ნაგარდით, ლაღად ამოძრავება (ფრინველისა, ცხენისა, ადამიანისა): [ხანმა] ...უბრძანა მოჭიდავეს მესამედ კიდევ წრეში შენაგარდება და გასვლა წრიდან (აკაკი).

შესანსვლა - ხარბად შეჭმა (ცხოველის, ადამიანის მიერ).

შესანსლავს - ხარბად შეჭამს (ცხოველი, ადამიანი): ბავშვმა კამფეტები შესანსლა.

შეუღრენს - მისკენ დაიდრენს (ძაღლი). წყრომით, ბუზღუნით ეტყვის: - ჰო, ჰო, ჩაიცვით თეთრი ხელთათმანები და დავინახავ, რაღაცა ამბოხებას მოაწყობთ, - შემოგვიღრინა კლასიონმა... (ჭ. ამირეჯიბი). - თქვენ გგონიათ, მე მცალია?... - შეუღრინა... [ჰანტემ ბიჭებს] (ნ. წულეისკირი).

შეღრენა - ვისიმე, რისამე მისამართით ღრენა (ძაღლის მიერ). ვინმესათვის წყრომით, ბუზღუნით თქმა.

შექიკტიკდება - შეთერება და ალაპარაკდება: უცებ შექიკტიკდა და ენა აღარ გაუჩერებია.

შექიკტიკება - შეთრობა და ალაპარაკება: მაგის შექიკტიკებას ორი ჭიქა ღვინო ჰყოფნის.

შესტიკტიკებს – ჭიკტიკებს მისკენ (ფრინველი). **ტაბილად,** ალერსით ესაუბრება: ჩემს ბაღებს რა ბოდიშები გავუხადებ ხდა შეეძლოთ. ისინი “ფუჩინას” შესწერებოდნენ სტიკტიკებდენ, შეჭხაროდენ (ვაჟა).

შეტიკტიკებულ-ი – შემთვრალი და ალაპარაკებული: ...ამბობდა საკმაოდ პათეთიურად ეს საკმაოდ შეტიკტიკებულთამადა (კ. გამსახურდია). გუშინ კარგად იყავი შეტიკტიკებულ-ი.

შველ-ი – ირმის მსგავსი საშუალო ზომის გარეული მცოხნელი ცხოველი. 1. **კოხტა, მოხდენილი, ტანადი ახალგაზრდა (უპირატესად ქალი):** მაგას შველივით ქალიშვილი ჰყავს. 2. **დიდრთნი, ლამაზი მუქი თვალების მქონე ქალი, ბავშვი:** ამ ბავშვს შველის თვალები აქვს. 3. **სწრაფი, მარდი ახალგაზრდა:** თვალი მოიგარეულა და შველივით გავარდა და სულ ფრენით წავიდა (ს. მგალობლიშვილი). ბავშვმა გამოართვა დოქი და დედის დამტკბარ სიტყვაზე შველივით მოჰკურცხლა (დ. კლდიაშვილი). იგი შველივით დარბოდა ჩოხის კალთებზეაკეცილი (კ. გამსახურდია). 4. **მფრთხალი, მორცხვი ადამიანი:** თამრო გაიღიმებდა, შველივით გაუხტებოდა და თაქაღუნული შევარდებოდა საკუჭნაოში, რომელიც დარბაზს ჰქონდა მოდგმული (ს. მგალობლიშვილი). 5. **ლადი, თავისუფალი ადამიანი:** აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე სოფელი ბავშვი და მეორე მხრით “დაჩანჩურებული” ქალაქელი ყმაწვილი!.. (აკაკი).

შეინდა – შინდის ფერისა, მუქი წითელი, მურა (საქონელი). **ჯიუტი:** თუ ძალაზედ მივარდა, ასე გავიბოტები, როგორც ჩვენი შეინდა მოზვერი (ილია).

შიშაგ-ი // შიშაქ-ი – დედალი ცხვარი ერთიდან ორ წლამდე.

შოშია – მომცრო მგალობელი ფრინველი. 1. **პირღია, დოჟლაპია:** რას დაგიღია პირი შოშიასავით, თუ გცემეს, შენც რატომ არ გაანძრევ ხელს? 2. **სხვისი ხელის შე-**

მყურე, სხვისი სარჩენი, ვინც დამოუკიდებლად თავს ვერ ირჩენს: შოშიასავეთ სხვისი სარჩენი გახდა მაგ საცოდავი. 3. კარგი მომდევრალი: ეს ბიჭი შოშიასავეთ გაღრბნ. შოშიას ბარტყი - სხვისი ხელის შემყურე, სხვისი სარჩენი, ვინც დამოუკიდებლად თავს ვერ ირჩენს: შოშიას ბარტყივით რომ სხვას შეჰყურებ ხელებში, იქნებ შენც გეცავდა თავის რჩენა!

შროშან-ი - იგივეა, რაც შოშია.

შუნ-ი - დედალი ჯიხვი.

შურთხ-ი - დედალი ინდაურის მსგავსი მთის დიდი გარეული ფრინველი. 1. კოხტა, მოხდენილი, ცქრიალა გოგონა: შურთხივით გოგოა, მაგას ვინ გამოგატანს, შე ჩანჩურა? 2. წკრიალა, სუფთა და მაღალი ხმის მქონე ქალიშვილი: იმ გოგოს შურთხივით ზარიანი ხმა აქვს.

შხამ-ი - ზოგი ცხოველის მიერ გამოყოფილი ძლიერი მომწამლაგი ნივთიურება, გესლი. შხამს ანთხევს - ბორტად ლაპარაკობს, ცუდ ხმებს აგრცელებს: მაგას კარგი რამ არ წამოსცდება, თავისი დღე და მოსწრება სულ შხამს ანთხევს. შხამის მდენელი - ბორტად მოლაპარაკე, ღვარძლიანი: ბორგი, უსმინარი, აღმართი-კაცი იყო ხეულია. ვის არ ახსოვს ჩვენს სოფელში უკეთური, გულღორღიანი, ღვარძლი, ჭინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი! (გ. ლეონიძე).

შხერო - კაკბის მსგავსი გარეული ფრინველი.



ჩააბულბულებს – 1. სხაპასხუბით წაიკითხავს: თუმცა ბახვა ფულავა ამგვარ ყვედრებაში იყო ყოველთვის, როცა ბანკის განცხადებებს ჩააბულბულებდა... (გ. წერეთელი). 2. დაზეპირებულს სხაპასხუბით იტყვის: საზეპირო როცა ჰკითხეს, იმათაც ჩააბულბულეს (აკაკი).

ჩააფრინდება – ხელს მაგრად ჩააფლებს, ჩაებლაუჭება: ის იყო კაციამ გალაენის ჭიშკრის კარი გააღო, რომ მას ქორივით დაეტაკა ცოლი, ჩააფრინდა ჩოხის კალთაში და უკან დასწია (დ. კლდიაშვილი). გოგო ბიჭს თმებში ჩააფრინდა.

ჩააძაღლებს – ძაღლივით დაუნანებლად მოკლავს, დაუნდობლად მოკლავს: მომეცალეთ, ერთი დამანახვეთ ეგ რუხი მგელი, ბარემც ჩავაძაღლო და მოვასვენო ქვეყანა მაგის ტაციობისაგან (გ. წერეთელი). ჯოტო ბიჭო, რა ღმერთი გაუწყრა იმ ცვედან ლომკაცია ტარბას, შვიდმა ძმამ რომ ვერ ჩააძაღლეს ი გველის წიწილი? (კ. გამსახურდია).

ჩაიმუმლება – მუმლი დაესევა. სასიცოცხლო ძალა წაერთმევა, დაუძღურდება, დასუსტდება, დაიღვევა: [ჩორეხი] ბოლოს ლოგინში ჩაწვა. სულის დროშა დაკეცა... ჩუმად დნებოდა, ჩაწვა, ჩაიმუმლა. ვერ შეებრძოლა უცნაურ სენს, არც უნდოდა (გ. ლეონიძე).

ჩაიფრუტუნებს – ნესტოებიდან ჰაერს უცებ გამოუშვებს ხმაურით (ცხენი). სიცოცხლის შეკავების მცდელობისას სიცოცხლი მაინც წასკდება: იქვე მჯდარმა მეველე რეხვიამ ჩაიფრუტუნა (გ. ლეონიძე).

ჩაკლაკი – იგივეა, რაც ყანჩა.

ჩაკურატებულ-ი – კურატეით მსუქანი, ჩასუქებული, ჩაპურტუნებული: ლუარსაბი ერთი ჩაკურატებული კაცი ყოფილა.

ჩანისკარტება - ნისკარტის ჩაკვრა რამისთვის. გადაკვრით, მინიშნებით თქმა: ეგ პირდაპირ არაფერს გეტყვის, ჩანისკარტება კი იცის.

ჩარბ-ი - მტაცებელი ფრინველის ნისკარტი. ადამიანის ტუჩი, ბაგე, ლაშა.

ჩასაძაღლებელი-ი - ვინც უნდა ჩაძაღლდეს.

ჩასახავს - 1. გაანაყოფიერებს კვერცხუჯრედს, ან ბუტკოს (ცხოველი, მცენარე, ადამიანი). 2. წარმოშობს, შექნის განაყოფიერებით (ცხოველი, მცენარე, ადამიანი).

ჩასახვა - კვერცხუჯრედის, ან ბუტკოს განაყოფიერება.

ჩასახული-ი - ვინც, რაც ჩაისახა.

ჩაუნისკარტებს - ნისკარტს ჩაჰკრავს. გადაკვრით, მინიშნებით ეტყვის: გუშინ დედაჩემმა ჩამინისკარტა და მიმანიშნა, მაგ გოგოს რას გადაეკიდეო.

ჩაქვირითებულ-ი - ქვირითით სავსე (თევზი). 1. ჩასუქებული, ჩაპუტკუნებული, მსუქანი: გუშინ კაი ჩაქვირითებული გოგო გავიცანი. 2. მდიდარი, შეძლებული: ეგ კაი ჩაქვირითებული ოჯახის პატრონია, კარგად ცხოვრობს.

ჩაქჩაქი - რყევით სიარული (ცხენისა, ვირისა, ჯორისა, ადამიანისა): პაპამისი ჩაქჩაქით დადის.

ჩაქჩაქა - რყევით მოსიარულე (ცხენი, ვირი, ჯორი, ადამიანი): მეც ბებერი ვარ, მაგრამ ჩაქჩაქა პაპაშენს მაინც ვჯობივარ!

ჩაღრძეება - სადმე მოკვდება (პირუტყვი). ჩაძაღლდება: უცხოეთში წასულა და ჩაღრძეება იქ უპატრონოდ.

ჩაღრძობა - ჩაკვდომა სადმე (პირუტყვისა). ჩაძაღლება.

ჩაყუნტდება - უკანა ფეხებზე ჩაჯდება (ძაღლი, კურდღელი). ჩაცუცქდება: ბიჭო, რას ჩაყუნტებულხარ მანდ?

ჩაყუნტება - უკანა ფეხებზე ჩაჯდომა (ძაღლისა, კურდღლისა...). ჩაცუცქება.

ჩაყუნტებულ-ი - უკანა ფეხებზე ჩამჯდარი (ძაღლი, კურ-
დღელი...), ჩაცვცქებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაცვცქდება - იგივეა, რაც ჩაყუნტდება.

ჩაცვცქება - იგივეა, რაც ჩაყუნტება.

ჩაცვცქებულ-ი - იგივეა, რაც ჩაყუნტებულ-ი.

ჩაძაღლდება - ძაღლივით უპატრონოდ მოკვდება: ჩაძაღლდა,
როგორც სჩანს (კ. გამსახურდია).

ჩაძაღლება - 1. ვისიმე დაუნდობლად, დაუნანებლად, ძაღლი-
ვით მოკვლა: მისი ჩაძაღლება ბევრს უნდოდა, მაგრამ
ვერ შეძლეს. 2. ძაღლივით უპატრონოდ სიკვდილი: ეგ ისე-
თი ყვავია, ვინ მოესწრება მაგის ჩაძაღლებას.

ჩაძაღლებულ-ი - 1. დაუნდობლად, დაუნანებლად, ძაღლივით
მოკლული. 2. ძაღლივით უპატრონოდ მკვდარი.

ჩაწიწილებულ-ი - კვერცხი, რომელშიც წიწილაა ჩასახუ-
ლი.

ჩაწიხვლა - 1. წიხლით ცემა (პირუტყვის, ადამიანის მიერ).
2. ფეხქვეშ გათელვა, ღირსების შელახვა, დამცირება, შეუ-
რაცხყოფა.

ჩაწიხლავს - 1. წიხლით სცემს (პირუტყვი, ადამიანი): საწყა-
ლი ბიჭი ხულიგნებმა ჩაწიხლეს. 2. ფეხქვეშ გათელავს,
ღირსებას შეულახავს, დაამცირებს, შეურაცხყოფს: მაგათ
შეურაცხმევს, ჩამწიხლეს და არ ვაპატიებ.

ჩაწიხლულ-ი - 1. წიხლით ნაცემი (პირუტყვის, ადამიანის მი-
ერ). 2. ფეხქვეშ გათელილი, ღირსებაშელახული, დამცირე-
ბული, შეურაცხყოფილი.

ჩგამა - ვარხვის მსგავსი წყლის მოზრდილი გარეული
ფრინველი.

ჩიბუხა - ტყისქათამის მსგავსი ჭაობის გრძელნიკარტა
გარეული ფრინველი. ბინადრობს ჭაობებში, ბუჩქნარებ-
ში და ტყის ნაპირებზე.

ჩიბუხელა – ჩიბუხაზე მომცრო გარეული ფრინველი.

ჩინდრიკი – იგივეა, რაც **ჩაქჩაქი**: აღარ უნდა გაათავსო აქეთ-იქით ჩინდრიკი?

ჩინდრიკობს – ჩინდრიკით, ჩაქჩაქით, რყევით დადის (ცხენი, ვირი, ჯორი, ადამიანი): რას ჩინდრიკობ წაღმა-უკუღმა? ხომ ხელავ, აღარ შეგიძლია?!

ჩინჩი – იგივეა, რაც **ჩრჩილი**.

ჩინჩახე-ი // ჩინჩახე-ი – ფრინველის საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი, სადაც საკვები ღბება კუჭში ჩასვლამდე. **ადამიანის ხორხი**: მაგას ნამდვილად ჩიყვი სჭირს, ისე აქვს გამობერილი ჩინჩახე.

ჩიორა – პატარა ჩიტი. **აღერსიანი მიმართვა პატარა ბავშვი-სადმი**: აბა, ჩემო ჩიორა, დღეს რა ლექსი გასწავლეს საბავშვო ბაღში?

ჩიტი – 1. პატარა გარეული ფრინველების (ბელურას, მერცხლის, ბულბულისა და სხვათა) საერთო სახელი. 2. იგივეა, რაც **ბელურა**. 1. **პატარა ლამაზი, საყვარელი ბავშვი**: ეს ჩიტვით საყვარელი ბავშვი შენია? 2. **ტანმომცრო, ჩია ადამიანი**: ამ ჩიტვით კაცს ამისიქე ქალი ვინ გაატანა ნეტავი?! 3. **მკვირცხლი, მარდი, სწრაფი, მოქნილი ადამიანი**: მერე დაუპირა ქალს წელზე ხელის მოვლება, რომ მოხმარებოდა შესაჯდომათ, მაგრამ ვალიდამ მოასწრო, ჩიტვით შეფრინდა უნავირზე და ამით ჩაუფუშა პოლკოვნიკს ვნება-აღტკინებული განზრახვა (გ. წერეთელი). მარინემ უცბად კრიალა ხმით გაიცინა და, თითქოს ჩიტი ყოფილიყოს, ისე ჩაფრინდა კიბეზე და გაიქცა საჯალაბოსკენ (გ. წერეთელი). ...რამდენიმე ხნის შემდეგ [ეზოში] ჩიტვით შემოფრინდა იარაღში ჩამჯდარი, თავზე უკან მოქცეული კოხტა ქუდით ყმაწვილი... (დ. კლდიაშვილი). ჩიტვებით დაენავარდობდით ტოტებზე ბაღლები... (გ. ლეონიძე). 4. **მშიშარა, მხდალი**: ს...ს ქალი, ...თუ მხიარული იყო, სულ იცინოდა და თუ რამე შეაკრთობდა, მაშინ ჩიტვით თავის ბუდეში იმა-

ლებოდა (გ. წერეთელი). 5. თავისუფალი, ლალი, მხიარუ-
 ლი ადამიანი: ბავშვები ჩიტივით ლაღად თამაშობენ.
 6. სწრაფადმზარდი ადამიანი: ...ახალშობილს შიშვლასა
 დაარქვა და ღვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მარ-
 თლა ჩიტივით წამოეზარდა (აკაკი). 7. უდარდელი, უზ-
 რუნველი ადამიანი: ჩიტივით უდარდელი კაცია, სულ არ
 დარდობს არაფერზე. 8. სასიამოვნოდ, სხარტად და წკრია-
 ლა ხმით მელაპარაკე: ელვირა ჩიტივით ჭიკჭიკებდა ჩემს
 საყვარელ იტალიურს (კ. გამსახურდია). 9. სუსტი ადამი-
 ანი, ვინც ძლიერს თავისი სიცოცხლის რისკის ფასად ემსა-
 ხურება და ამით ირჩენს თავს: პატარა კაცი იმ საოცარ
 ჩიტსა ჰგავსო, ამბობდა თარაშ, ნილოსის ნიანგებს ჭა-
 მის გათავეების შემდეგ რომ პირში ჩაუძვრება და კბი-
 ლებს უწმენდს, კბილსა და კბილს შორის ჩარჩენილ
 ნამუსრევით რომ იკვებებო (კ. გამსახურდია). 10. სა-
 ბრალს, საცოდავი ადამიანი: კუსას დედა მკვდარი ჩიტი-
 ვით ეცოდებოდა (ო. ჭილაძე). 12. ვისაც თავის დაცვა არ
 შეუძლია, ვისი მოსპობაც არ ენანებათ: თავიც კი ვერავის
 გამოუყვია გარეთ. ხომ ჰხედავთ, ჩიტებივით ჰხოცავენ
 (მ. ჯავახიშვილი). 13. პატარა ბიჭის სასქესო ორგანო. ჩი-
 ტის გული აქვს - ა. გულჩვილია: მაგას ჩიტის გული
 აქვს, ყველა ეცოდება. ბ. მშიშარაა, მხდალია: ჩიტის გუ-
 ლი აქვს, თავისაც კი ეშინია. რა ჩიტია? - ა. ვინ
 არის? რას წარმოადგენს? ბოლოს რომ ხმაც არ გაგვეცეს,
 ჩვენ გულმა აღარ მოგვითმინა, გვინდოდა, შეგვეტყო,
 თუ რა ჩიტები იყვნენ და პირიქით წავედით მათ სანა-
 ხავად (აკაკი). ბ. ეშმაკია, იოლი მოსატყუებელი არ არის:
 რა ჩიტი იყო, სახლში მისულიყო, იცოდა, რაც ელოდა.
 ეს რა ჩიტი მოფრენილა?! - ეს ვინ მოსულა?! ჩიტის რძე არ
 აკლია - რჩეული საჭმლით იკვებება. ჩიტი ბრდღვნად არ
 ღირს - წვადლებად არ ღირს: ჯერ უნდა გამოვიცნო, ენა-
 ხოთ, რა ბიჭები არიან, იქნებ ჩიტი ბდღვნადაც არ
 ღირდესო (ო. ჭილაძე). ჩიტის ჭკუა - ჭკუამოკლე, თავქა-
 რიანი, უტვინო: ჩიტის ჭკუავ, როდის იყავი თვალსაზრი-
 ანი? ვის რათ უნდა შენი ფეხმოკლე აზრები? (გ. ლეო-
 ნიძე).



ჩიტბატონა – გარეული მგალობელი ფრინველი.

ჩიტირეკია – ცერცეტი, ქარაფშუტა ადამიანი: მაგ ჩიტირეკიას ორ ბატს ვერ ანდობ.

ჩიტუნა // ჩიტუნია – პატარა ჩიტი. ალერსიანი მიმართვა ბავშვისა და ქალისადმი: – გამარჯობა, ჩიტუნია! – მიესიყვარულა კუსა ზიარას (ო. ჭილაძე).

ჩიქე-ი – ერთგვარი თევზი.

ჩიქჩიქი – იგივეა, რაც ჩაქჩაქი.

ჩიჩვირ-ი – ცხენის, ვირის, ჯორის ოდნავ ჩამოგრძელებული ქვედა ტუჩა. 2. გრძელი, ბიბილოსებური წანაზარდი ინდაურის ნისკარტზემოთ. უშნოდ წაშვერილ-ჩამოვარდნილი ქვედა ტუჩი: გასწიე იქით მაგ ჩიჩვირი!

ჩიჩხინაკ-ი – მოკლენისკარტა მომცრო შაში.

ჩლიქი – რქოვანი წანაზარდი ზოგი ძუძუმწოვარი ცხოველის (ძროხის, ხარის, ცხენის, ვირის...) ფეხის ბოლოზე. უშნო, უხეში ფეხი: გასწი იქით ეგ შენი ტურტლიანი ჩლიქები!

ჩლიქ[ებ]იანი-ი – ჩლიქის მქონე (ცხოველი).

ჩლიქოსანი-ი – იგივეა, რაც ჩლიქ[ებ]იანი.

ჩლოინა – იგივეა, რაც ჩოჩორი, მუტრუკი.

ჩოჩორიკ-ი – კენტჩლიქიანი ცხოველების (ცხენის, ვირის, ჯორის) განაგალი.

ჩორთ-ი – ცხენის ისეთი სირბილი, როცა ფეხებს ისევე ადგამს, როგორც სიარულისას.

ჩოჩორ-ი – 1. ვირის ნაშიერი, მუტრუკი. 2. მწყრის ბარტყი. 1. უზრდელი ახალგაზრდა: შე უზრდელო ჩოჩორო, დიდი და პატარა ვერ უნდა გაარჩიო? 2. ღონიერი უტვინო, ხეპრე, გაგზია: ღონე გაქვს და ტვინი – არა, შე ჩოჩორო!

ჩრჩილ-ი – პატარა პეპელა, რომლის მდილი ქსოვილებისა და ბეწვეულის დამზიანებელია.

ჩხაველი-ი – ზოგი ცხოველ-ფრინველის (ტურის, ყვავის, კატის...) ყურთასმენის წამლები გაბმული ხშიანობა. **უხაველი** შვის უსიამო, ხმამაღალი ტირილი: გიამ თავის დას უჩქმიტა და იმანაც ჩხაველი მორთო.

ჩხავის – ჩხაველს გამოსცემს (ტურა, ყვავი, კატა...). **უსიამოდ, ხმამაღლა ტირის**: თამარი შეზარა [ახალშობილი] ბავშვების ხორალურმა ღნაველმა. ზოგი ჩხაოდა ისე, როგორც კატებს სჩვევიათ მარტში... (კ. გამსახურდია).

ჩხამა – წითელფორეჯებიანი წვრილი თევზი.

ჩხართვი – შაშვის მსგავსი გარეული ფრინველი.

ჩხივის – იგივეა, რაც ჩხავის.

ჩხივილი-ი – იგივეა, რაც ჩხავილი.

ჩხიკე-ი – ფერადზოლიანი ფრთების მქონე გარეული ფრინველი. 1. **ენაჭარტალა, ლაქლაქა**: მაგ ქალი ჩხიკე-ვით ლაქლაქაა. 2. **აბეზარი ადამიანი**: ისე მეხვეოდნენ გარს, როგორც ჩხიკეი ბუს (აკაკი). 3. **არამკითხე მოამბე**: სხვის საქმეში ჩხიკე-ვით ნუ ყოფ ცხვირს! 4. **ვისაც სხვისი ხმის, ლაპარაკის მიბაძვა ეხერხება**: –ქა, რა უბედურებაა, [ცომი] არ იზილება და არც ხელიდან მშორდებაო! – კიდევ გასცინა [ქეთოს] ლიზიკომ, რომელსაც შინაურები მიმბაძველი ლაპარაკისათვის “ჩხიკეს” [ვ]უძახდით (ნ. ლორთქიფანიძე).

ცალუღელა – უღლეულისაგან ერთი, ცალი (ხარი, კამე-
ნი). წყვილიდან ერთი ადამიანი (უპირატესად დაქვრივებული
მეუღლე): საწყალს ცოლი მოუკვდა და დარჩა ცალუღე-
ლა ხარივით.

ცანცალ-ი – იგივეა, რაც **ცუნცული**.

ცანცალა – ვისაც, რასაც **ცანცალი** სჩვევია.

ცანცალებს – იგივეა, რაც **ცუნცულებს**.

ცანცარ-ი – მალ-მალე ნძრევა (თავისა, წვერისა, ყური-
სა...).

ცანცარა – 1. ვისაც, რასაც **ცანცარი** სჩვევია. 2. ცეტი, დაუ-
ფიქრებელი, **ცუნდრუკა** ადამიანი: ნუ ხარ ცანცარა, ჯერ
დაფიქრდი და მერე იმოქმედე!

ციკან-ი – იგივეა, რაც **თიკანი**. 1. ხუჭუჭთმიანი ბავშვი: დახე
ამ ციკანს, რა ხუჭუჭი თმები აქვს! 2. ბავშვი, რომელიც
უფროსს უკან დასდევს მოუშორებლად: გოგო, რა ციკანი-
ვით დამდეუ უკან, მაცალე საქმის კეთება! 3. უზრუნვე-
ლი, ლაღად მითამაშე, ცელქი ბავშვი: ბავშვები ციკნები-
ვით ცელქობდნენ. 4. ვინც კუნტრუშებს: ციკანივით აქეთ-
იქით დაკუნტრუშობს. 5. ვინც კიკინა ხმით ლაპარაკობს:
ციკანივით ნუ კიკინებ!

ციმორ-ი – 1. მდინარის პატარა თევზი. 2. იგივეა, რაც
წვერა.

ციმფა // ციმფია – მსუნაგი, წუწკი (ცხოველი, ადამიანი): კა-
ტასავით ციმფიაა, ყველი უყვარს ძალიან.

ცინდალ-ი – იგივეა, რაც **კნუტი**. 1. შვილი: თვითონაც
უთაებოლოდ დაწანწალებს და თავის ცინდალსაც თან
დაათრევს. 2. სუსტი, უძლური, უმწეო ადამიანი: – უი, შენ
ცინდალო, ცინდალო! – მიაძახა კირილემ, დაავლო

სტაქანს ხელი და, რაც შიგ ღვინო იყო, სულ ერთი-
ნად ცხვირ-პირში შეასხა ყმაწვილს (დ. კლდიაშვილი).
ძალიან არ ვსდევით [ვურტყით] იმ ცინდალას, კოსტაა
თუ პროსტა! ხა, ხა, ხა! (დ. კლდიაშვილი). ეს ბიჭი
ცინდალივით უღონოა, ჭიდაობაში ყველა მაგას სჯობ-
ნის. 3. **საცოდავი, საბრალე ადამიანი:** უი, შე საცოდავო,
შე ცინდალო, სანამ უნდა იყო ასეთი საწყაალი?! 4. **სუს-
ტი, საცოდავი ხმის პატრონი:** გარეთ გამოსულ წინოს თა-
ვი სძულდა, ეჩვენებოდა, რომ დირექტორთან ცინდალი-
ვით კნაოდა (რ. ინანიშვილი). რაგა ცინდალივით საცო-
დავად კნავის ეს ბავშვი!

ცისფერგულა – პატარა ბუღბუღლის მსგავსი გარეული
მგალობელი ფრინველი. მამალს ყელი, ჩინახვი და
მკერდი მკვეთრი ცისფერი აქვს, დედალს – თეთრი.

ციყვი – პატარა მღრღნელი გრძელ-, ფუმფულაკუდიანი
ცხოველი. 1. **სწრაფი, მარდი, მოქნილი:** ...მე კი ჩემი ციყ-
ვივით მოეხტი (მ. ჯავახიშვილი). ეს ბავშვი ციყვივით
მარდი და მოქნილია. 2. **ენერგიული, მოუსვენარი:** ციყვი-
ვით დაუდღეული კაცია. 2. **ვისაც მაგარი და მჭრელი კბი-
ლები აქვს:** მაგას ციყვის კბილები აქვს, ყველაფერს
კბილით ამტვრევს. 3. **ვისაც წინ გადმოყრილი კბილები და
მოკლე ზედა ტუჩი აქვს:** ეგ გოგო სულაც არ არის ლამა-
ზი – კბილები ციყვივითა აქვს გადმოყრილი. 4. **ვისაც
თხილი და კაკალი უყვარს:** თხილი ძალიან უყვარს ციყ-
ვივით. 5. **ვინც აქეთ-იქით აწყდება გამოსავლის ძიებაში:** გა-
ლიაში დამწყვდეული ციყვივით წრიალებს, მაგრამ
გამოსავალს ვერ პოულობს. 6. **ცელქი, მოუსვენარი:** გო-
გო, ციყვივით ნუ დახტი, მოისვენე! 7. **ვისაც რამეზე მარ-
დად აცოცება ეხერხება:** ბიჭი ციყვივით აძვრა ხეზე და
კენწეროზე მოექცა. 8. **საიდანმე ცნობისმოყვარედ მაცქერა-
ლი ადამიანი:** ბავშვები ჭუჭრუტანიდან ციყვებივით იც-
ქირებიან. 9. **რამეში შეყუჟული ადამიანი:** პატარა საწნახე-
ლივით ვიწრო სახელოსნოებში ციყვებივით შეყუჟული
ოქრომჭედლები ვითომ ზედაც არ უყურებდნენ გაოცე-
ბულ უცხოელს... (ო. ჭილაძე). 10. **ვინც სანოვაგეს, ან
სხვა საგნებს მაღაფს, საგულდაგულოდ ინახავს:** ეს ბავ-
შვი ყველაფერს ციყვივით მაღაფს.



ციცა - კატა, ფისო.

ციცარ-ი - თეთრკოპლებიანი მუქი ნაცრისფერი ბუჩქნაობით დაფარული ქათმის მსგავსი ფრინველი. მკვეთრი ხმის მქონე ადამიანი: მაგას ციცარივით მჭახე ხმა აქვს.

ციცინათელა - მანათობელი პატარა, ფრთიანი მწერი.

ციცუნა // ციცუნია - კატის კინობით-ალერსობითი სახელი.

ცოფავს - ცოფს გადასდებს (ცხოველი). მეტისმეტად უჯაგრდება: ნეტავი სულ არ დაგლაპარაკებოდი, ისე დამცოფა, გონს ვერ მოვსულვარ.

ცოფდება - 1. ცოფი შეეყრება (ცხოველს, ადამიანს). 2. მეტისმეტად ბრახდება, აფდება: იმ კაცის საზიზღარი ქცევის გახსენებაზე ცოფდება.

ცოფიანი-ი - 1. ვისაც, რასაც ცოფი შეეყარა (ცხოველი, ადამიანი). 2. ბრახიანი, ანხელი, ავი, აგრესიული ადამიანი: მაგ ცოფიან ძაღლთან ურთიერთობა შეუძლებელია.

ცოფმორეული-ი - მეტისმეტად გაბრაზებული, გადარეული, გააფიქებული: ცოფმორეული მეცა და ლანძღვა დამიწყო.

ცოცია - წიგწივასა და სინეგოგას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს მთის ნაძვნარებში.

ცოხნა - უკან ამობრუნებული საკეების ხელახლა დეჭვა (ზოგი ცხოველის მიერ). უხალისოდ, ზანტად ჭამა: შეწვიტე ცოხნა და საჭმელი წესიერად ჭამე!

ცოხნის - უკან ამობრუნებულ საკეებს ხელახლა დეჭავს (ზოგი ცხოველი). უხალისოდ, ზანტად ჭამს: ცუდი მჭამელია ეს ბავშვი, ლუკმას ერთ საათს ცოხნის.

ცუბა // ცუბო - იგივეა, რაც ფინია. პირფერი, ფარისეველი, მდიქვნელი: თავის უფროსს ცუბოსავით ხელს ულოკავს.

ცუბრია // ცუბრია - იგივეა, რაც ცუბა, ცუბო.

ცუნცულ-ი – მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით სირბილი (ცხოველი-
სა, ბავშვისა).

ცუნცულა – ვინც, რაც ცუნცულებს (ცხოველი, ბავშვი).

ცუნცულებს – ცუნცულით დარბის (ცხოველი, ბავშვი).

ცურ-ი – მეწველი საქონლის ძუძუ, ჯიქანი. ქალის დიდი
მეგრდი.

ცკვრინ-ი // ცკვრინა – ზუთხის სახეობა.

ცხენ-ი – დიდი შინაური, ჩლიქაუყოფელი მორბენალი
ცხოველი. 1. ჯიშინი, ტანადი, მოხდენილი ადამიანი: [მძი-
ნარეს] ნისკარტივით მოხრილი მომცრო ცხვირის ნეს-
ტოები მოხშირებული სუნთქვისაგან უფეთქავდნენ –
ეშლებოდნენ და ეკეცებოდნენ, როგორც ნატიფად ნა-
ზარდ ჯიშინ ცხენს მძიმე, შეუფერებელი ტვირთს
ქვეშ... (მ. ქიაჩელი). მაგათი დასაწუნი რა სჭირს, ჯი-
შინი ცხენივით ბიჭია! 2. ახმახი, ზორზოხა, უშნო ტანის
მქონე ადამიანი: მაგას ცხენივით ახმახი ცოლი ჰყავს.
3. დიდი ზომის, გადმოყრილი კბილების მქონე ადამიანი:
როცა [ჯაღილა] კვაჭს ან იმის მეგობრებს თვალს მო-
ჰკრავდა, ქუდს მოიშველებდა და ცხენის კბილებს გაა-
ვლევებდა ხოლმე (მ. ჯავახიშვილი). მაგისი სილაბაზე
რა ვთქვი, ცხენის კბილები აქვს! 4. ვისაც წაგრძელებუ-
ლი სახე აქვს: მებორნე უკვე შეფაკულიყო ღვინისა-
გან, ცხენის თავსავით წაგრძელებულ სახეზე მსხვი-
ლად ნაკეცი და ღაროვანი ნაოჭები გაღრმავებოდა
(კ. გამსახურდია). 5. ვინც აქეთ-იქით დარბის: მთელი დღე
დოღის ცხენივით დაურბივარ, მაგრამ მაინც არაფერი
გამომდის. 6. ვისაც აქეთ-იქით არბენინებენ: მოხუცებული
დედაკაცი ფოშტის ცხენსავით მათრივ, ქვეყანაში თავი
შევირცხვინე, საქმე საქმეზედ მოვიყვანე და ეხლა მა-
გას მეუბნები?! (ილია). 7. ჯიუტი, დაუმორჩილებელი ადა-
მიანი: მაგრამ კვაჭი არ იდრიკებოდა და თავგამწვევი
ცხენივით დაოთხებული მიჰქროდა თავის საბედო ვარ-
სკვლავისკენ (მ. ჯავახიშვილი). 8. ვისაც ხმამაღალი და
უშნო სიცილი სჩვევია: მე ცხენივით ვიციანი (მ. ჯავახიშ-



ვილი). ნუ ხეიხინებ ცხენით, სირცხვილია! 9. **ვინც გაჯგიმული, მუხლების ზომაზე მეტად აწვეით დაღის:** მღდის სხვა კაციც. აღლუმზე გამოყვანილი ცხენით მოადგამს ნაბიჯებს, თითქმის მუცლამდე ააქვს მუხლები და მერე ისე უშვებს ძირს (რ. ინანიშვილი). **ცხენის კუდი – ქალის კეფაზე თავისებურად შეკრული თმა:** [გოგოს] სწორი, ქერა თმა “ცხენის კუდად” ჰქონდა შეკრული უკან (რ. ინანიშვილი).

ცხენირემი – ერთდროულად ცხენისა და ირმის მსგავსი დიდი გარეული ცხოველი.

ცხვარი – 1. შინაური წვრილფეხა ბეწვიანი რქოსანი ცხოველი. 2. ცხვრის ფარა. 1. **უწყინარი, წყნარი, უპრეტენზიო ადამიანი:** მამამისი ცხვარივით მშვიდი კაციცა. 2. **მორჩილი, სხვის ნებაზე მავალი ადამიანი:** რასაც უბრძანებენ, ცხვარივით ემორჩილება. 3. **ვისაც თავის დაცვა არ შეუძლია, ბრძოლის უნარს მოკლებული ადამიანი:** ამ სოფელს გამოთხოვებისხართ, დღეს თუ ხვალ აღარც ერთი აღარ იქნებით და ცხვრებსავით კი დაგიდვიათ თავი (აკაკი). ცხვარი კი არა ვარ, მაგას რომ შევაჭმევინო თავი! 4. **თავგზაბნეული, გზაკგაღარეული, დაბნეული:** გზა არეულს ცხვარსავით უპატრონოდ, უდაბურს ტყეში დარჩენილს ქართველებს ვეღარ გაეგოთ, საით წასულიყვნენ (აღ. ყაზბეგი). 5. **უაზროდ სხვისი წამხედური:** ის მხოლოდ წამხედურობით ბლავის ცხვარივით და რად ბლავის და რას, თვითონაც არ იცის (აკაკი). 6. **საცოდავი, საბრალო, საწყალობელი:** ფარეხის კარებთან მიყრილ ცხვრებსავით მოკუნტულიყვნენ გლახები (კ. გამსახურდია). 7. **ვერგასამეტებელი, ძნელად შესაღვეი:** რატომ და იმიტომ, რომ ნაამაგდარევი... კაცს თუნდა შვილი გაუსყიდია და თუნდა ცხვარი (აღ. ყაზბეგი). 8. **საწყალობელი ხმის მქონე:** ცხვარივით საცოდავად ნუ ბლავი! **ცხვრის ქურქს წამოისხამს – თავს უცოდველ კაცად მოაჩვენებს, შეინიღბება:** იასონსაც ცხვრის ქურქი უნდა ჩაეცვა, თავი ჩაელუნა და მორიდებით დაეკიკინებინა თავისი გასაჭირი, იქნებ ასე მაინც მოეგო გული ამ მრისხანე მეფისთვის (ო. ჭილაძე). ცხვრის ქურქს ისხამს ეგ მტე-



ლი, მაგრამ ვის მოატყუებს?!

ცხვარ-ბატკანი - ცხვრები და ბატკნები.

ცხვარ-ძროხა - ცხვრები და ძროხები.

ცხოველი - ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც აქვს მოძრაობისა და შეგრძნების უნარი, სულიერი არსება (ადამიანის გამოკლებით). **ადამიანურ ღირსებას მოკლებული, გაპირუტყვებული ადამიანი:** აი, ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი ლამაზისეულს ეძახდა (ილია). ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხა ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან (ილია).

ცხოველური - არაადამიანური (თვისება): მე მხოლოდ სქემა დავხატე იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ცხოველური შიშიდან თავზე ხელაღებამდე მივიდეს (ჭ. ამირეჯიბი).

ცხრაფეხა იგივეა, რაც კიბორჩხალი.

ძაღლი-ი – მგლის მოდგმის შინაური ძუძუმწოვარი ცხოველი. 1. **ერთგული, სხვისთვის თავდადებული ადამიანი:** ეგ ძაღლივით ერთგული კაცია, არასოდეს გიღალატებს. 2. **სხვისი ხელის შემყურე, სხვის მიგდებულ ლუკმას დაჩეხული უთავმოყვარეო ადამიანი:** დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშავო, შენა და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულ ძეაღს გადმომიგდებენო (ილია). ასე უნუგეშოდ მიდიოდნენ დღენი ლევანისათვის, რომელიც ძაღლსავით შესწვეოდა თავის პატრონს, ითმენდა ყოველსავე უსამართლობას, დამცირებას, სატანჯველს და მაინც ძაღლსავითვე ერთგულად იქცეოდა (აღ. ყაზბეგი). 3. **ვისაც არსებობის საშუალებას უზღუდავენ:** შინ ლუკმას გვაცლიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს გვიყრიან ძაღლებსავით (აკაკი). 4. **ვისაც არაფრად აგდებენ, ვისაც ქედმაღლურად ეყრბობიან, ზემოდან დასცქერიან, აბუჩი ადამიანი:** ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?... ძაღლი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა?!... (დ. კლდიაშვილი). ...გამომადგო დუქნიდან იალქანიძემ ძაღლივით (ჭ. ამირეჯიბი). 5. **ვისაც ზიზღით ეყრბობიან და სდვენნიან:** რას ჩააცივდით კვაჭი კვაჭანტირაძეს! რად დასდევთ მეძებარე ვით! რად ერეკებით ჭირიან ძაღლსავით? (მ. ჯავახიშვილი). 6. **ვაჟკაცის ღირსებებს მოკლებული ადამიანი:** აი, ძაღლებო!.. ოცი ერთზედ გულადები ხართ, განა?... აბა, თუ ვაჟკაცები ხართ, თითო-თითოდ მოდით და ნახავთ, ვისი დედა ატირდების!.. (აღ. ყაზბეგი). 7. **უსირცხვილო, უნამუსო, უზრდელი:** ამ ბავშვმა სირცხვილი არ იცის, ძაღლივით მიადგა ხეს და მიაშარდა. 8. **სიყვარულში ერთგულების უარმყოფელი:** – მეხი კი დავაყარე დღევანდელ ქალებსა და ვაჟებს, – ამბობდა მაიკო. – ძაღლებივით ადვილად აეკიდებიან ერთმანეთს და მეორე დღესვე კატებივით ივიწყებენ ყველაფერს (კ. გამსახურდია). 9. **დაუნდობელი, შეუბრალებელი, სასტიკი ადამიანი:** ძაღლს მი-

ურბის საწყალი და ზედ კი შეეყრება კაცსა, რომელიც
ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და
დაუნდობელი (ილია). აი, შე დაუნდობელო ძაღლო, შე-
ნა... (აღ. ყაზბეგი). 10. **არდასანდობი, ვისი მოსპობაც არა-**
ვის დაენანება: უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემ სანეხვეში
ჩავარჩობ მურა ძაღლსავითა! (ილია). იმ დროს ღმერ-
თსაც ნუ ექნა, რომ მახამეთას ოდნავადაც არის, ცხენი
გაებრუნებინა და გზის იქით გადაეყენებინა – ელგუჯა
იმას ძაღლსავით მოჰკლავდა და გადააგდებდა (აღ.
ყაზბეგი). ...შენი ჭირი წაუღია! ძაღლი იყო და ძაღლსა-
ვით გადაათრევდენ... (გ. წერეთელი). ...თუ გამოვედი
[ციხიდან], მოვკლავ, ძაღლივით მოვკლავ... (ნ. დუმბაძე). 12. **ვისი ნდობაც არ შეიძლება, ვერაგი ადამიანი:** სანებას
ოსები დგანან, ისინი ვერე არ დაინდობებიან, როგორც
ძაღლი... (აღ. ყაზბეგი). კაპიტან, მე შენი მეზღვაური
ძმასავით ვიტირე. მით ძმობა შემოგფიცე... შენ კი უჯუ-
ში მომიკალი. ძაღლი ყოფილხარ, კაპიტან... (ლ. ქიან-
ლი). 13. **ვინც ვისმე, რასმე თავს არ ანებებს, არ ეშვება:** ე
მაგის ბრალთა, პირში რომ გჩრავ [იგულისხმება ჩიბუ-
ხი] და, როგორც ძაღლი ვერ ეშვება ძვალს, რაც უნდა
გამოხრული იყოს, ისე შენ ვერ მაჰშვებიხარ, შე გადა-
ყრუებულო! (ვაჟა). ხელი ჩააგლო და ძაღლივით აღარ
ეშვებოდა. 14. **გუნდად შემტევნი:** იაგო წამოხტა და პირ-
ველისავე დამბაჩის სროლით მიაწვინა იქვე ერთი კაცი,
მერე მოიკრა ხმაღს ხელი და შეიქნა მწარე და ფიცხე-
ლი ბრძოლა, მაგრამ რა გაუვიდოდა ერთს ოცდაათამ-
დინ კაცთან, რომლებიც ძაღლებსავით გარს ეხვეოდნენ
(აღ. ყაზბეგი). 15. **ვისაც არაფრად აგდებენ, უპატიოდ**
ეყრბიანი: შენი ნებაა, წაველ და კარებს უკან ძაღლსა-
ვით მივეგდები (ილია). ემანდ ეგდე ძაღლსავით, სანამ
არ ამოვალ (აღ. ყაზბეგი). 16. **ბრაზიანი, ავი, ანჩხლი:** მა-
გას ძაღლივით ავი მამა ჰყავს. 17. **გამძლე, ამტანი:** ძაღ-
ლია, მაგას რაი მოჰკლავს... მაგრამ მიეც, ბატარაი კი
დააღვეინე (აღ. ყაზბეგი). 18. **ვინც უცნობსაც კი იოღად**
ენდობა და გაეკიდება: ინათა თუ არა, მედვამ უკვე იცო-
და, უცხოელს რომ უშველიდა და თუ უცხოელი ხელს
დაუქნევდა, ძაღლივით გაეკიდებოდა კიდევ (ო. ჭილა-



ბე). 19. საცოდავად, საწყალობლად გამომზირადი ადამიანი: მას უკვე აღარ ჰქონდა უფლება, მიეტოვებინა ეს საცოდალო ბრალე ქალი, ძაღლის თვალებით რომ ემუდარებოდა შეველას (ო. ჭილაძე). 20. საბრალე, საცოდავი, საწყალობელი: პოპინა დატუქსული ძაღლივით მოიბუზა (ო. ჭილაძე). 21. ვისაც აწამებენ, სტანჯავენ: ბიჭო, მაგ ბავშვს ძაღლივით ნუ აწვალებ, ცოდო! 22. მსუნაგი, წუწკი: შემდეგ გააცმაცუნა მსუნაგ ძაღლსავით პირი, მოილოკა ტუჩები და განკარგულება მოახდინა, რომ სატუსალოში შეეგდოთ და ფრთხილად მოქცეოდნენ (ალ. ყაზბეგი). ხინკლის ხსენებაზე ძაღლივით ნერწყვი მოადგა. 23. მაწანწალა: რას დაეთრევი მაწანწალა ძაღლივით?! 24. აღლიანი: კვაჭს ყნოსვა და აღლო ჯიშინ ძაღლსავით ჰქონდა დაგეშილი (მ. ჯავახიშვილი). 24. ცუდ საქმეში გაწვრთნილი: შვილი ძაღლივით გამოწვრთნა ქურდობაში. 25. მილიციელი, პოლიციელი (ჟარგონზე): - რა ხდება ნეტავი აქ? - იკითხა მან. / - ძაღლები თარეშობენ, - თქვა ჩემმა "ბიძამ" (ჭ. ამირეჯიბი). 26. უკუდო ამპარტავანი, უსაფუძვლოდ ამავი, უკადრისა: მეტი თუ ვუთხარი, ვაი თუ იუაროს, გაუინდეს, უგვარო ძაღლივით კუდი ჯოხზე გადვას და აღარ ჩამოიღოს? (ბ. წერეთელი). ძაღლი ცხოვრება // ძაღლური ცხოვრება - გაწამებული, გატანჯული ცხოვრება: როგორც იქნება, ჩემ ძაღლ ცხოვრებას ბოლომდის გავატრევე (ს. მგალობლიშვილი). ძაღლის ნაშენი // ძაღლის გაგდებული // ძაღლის დასმული // ძაღლის გაგარდნილი // ძაღლის ნაშობი // ძაღლის გაჩენილი - საღანძღავი შესიტყვებება, უჯიშო: უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემ სანახევში ჩავარჩობ მურა ძაღლსავითა! (ილია). [მითხრა,] ასეო, ისეო, თქვენ ვინა ყრისხართო. მერე ვისთან მითხრა? ოთახი სავსეა იმ ძაღლის გავარდნილებითა (ილია). ჯონჯოლიამ გესროლა, აგერ გდია ძაღლის ნაშობი! (ჭ. ამირეჯიბი). შე ძაღლის გაჩენილო, ამ ფრიად საიდუმლო ქალადებში ნუ იყურები. ხანდახან რევოლუციონერიც კი მგონიხარ, - რა ვიცი (პ. კაკაბაძე). ბაზრის ძაღლივით გდია - ყველას ფეხებში ედება, სულ არის, სულ ტრიალებს: კინაღამ ვთქვი, [ეს კაცი] მინახავს რომელია, ბაზრის ძაღლივით ერთთავად აქა

გდია-მეთქი! (ჭ. ამირეჯიბი). ძაღლი ხსენებაზეო — იტყვი-
ან, როცა ვინმე მისი ხსენებისთანავე გამოჩნდება: საცდელს
წყველიც შემოვა და თხოვნას დამიწყებს. აი, ძაღლიც
ხსენებაზედ (ილია). ძაღლი ხსენებაზე! თავს მოვიჭრი,
თუ მე ახლა ამაში ვცდებოდე! სიკოია გლახაკი დეთ-
რევა მაგაზე!... ე, რავა მოათრევს თავის რაშს... (დ.
კლდიაშვილი). ძაღლის ნათრევი — სალანძღავი გამოთქმაა:
რაო, რისთვის მოეთრივე, შე ძაღლის ნათრევეო! (ილია).
ძაღლის ბედი აქვს — იღბლიანია, უმართლებს: რა კარგ
დროს შემოგვესწარი სუფრაზე, შენ უნდა თქვა, ძაღ-
ლის ბედი მაქვსო! მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს — ბედნი-
ერია, კარგად გრძნობს თავს: სახელმწიფო კარგად იყო
და ხელმწიფის ბედსაც ძაღლი არ დაყეფდა (აკაკი).
ძაღლადაც არ აგდებენ — არაფრად თვლიან, არ აფასებენ,
პატივს არ სცემენ, ზედაც არ უყურებენ: ვეუბნები, — ვინ
გითხრა, საიდან იცი, მაგისი გაცემულები არიან, თუ
სხვისი და რას ერჩი, რათ უნდა მოკლა-მეთქი. ძაღლად
ვინ ჩამაგდო (ჭ. ამირეჯიბი). ძაღლი მიაკვდეს სულში —
სული წაუწყდეს: “ძაღლი მიგაკვდეს სულშიო”, — მიაძა-
ხა კუსამ სიმამრს (ო. ჭილაძე). ძაღლის გუნებაზეა — ავ
გუნებაზეა, გაბორბტებულია: მამაშენი ძაღლის გუნებაზეა
და გირჩევნია, არ დაენახვო! ძაღლის ღეკვი — იტყვიან
ბავშვზე აგდებით, ზიზღით: მაგ ძაღლის ღეკვის ფეხი არ
იყოს აქ! ძაღლი პატრონს ვერ სცნობს — არეულობაა,
განუკითხალობა: ბაზარში იმდენი ხალხი იყო, ძაღლი
პატრონს ვერ იცნობდა. ნაცემი ძაღლივით იყურება — და-
თრგუნულის გამოხედვა აქვს, საწყლად იყურება: რას მიყუ-
რებ ნაცემი ძაღლივით, გამოფხიზლდი და საქმეს უშ-
ველე! ნაცემი ძაღლივით კუდამოძუებული — გაწბილებული,
გუნებაწამხდარი: ტიგრან გულოიანი ნაცემი ძაღლივით
კუდამოძუებული და ყურებჩამოყრილი დაბრუნდა
(ნ. დუმბაძე). ძაღლი მიაკვდა // ძაღლი ჩააკვდა სულში —
სული წაუწყდეს: ასე გადაეცით, სახრჩობელაზე რომ გა-
ყავდათ, იქიდან შემოგითვალა, ძაღლი ჩაგაკვდა მაგ
სულში-თქვა (პ. კაკაბაძე). ძაღლის იღბალი // ბედი აქვს
— იღბლიანია, უმართლებს, გასაჭირი გვერდს უვლის: და
ახლა რომ არ მომკლან, ძაღლის იღბალია საჭირო



(პ. კაკაბაძე). ტყემალნაჭამი ძაღლი - აწრიალებული, კა-
ლაპოტიდან ამოვარდნილი ადამიანი, ვინც არაბუნებრივად
იქცევა: იმათმა იციან ჩემი ამბავი, - უფრო მეტიც, რსტ
მოხდა, მოხდა: ისინი ამას არც გააცხადებენ და ვერც
გააცხადებენ. ჩემი შვილი დაწრიალებს ტყემალნაჭამი
ძაღლივით, ჩემია მკვდარი და რა ვქნა? (ნ. წულეისკი-
რი). ძაღლის ყბას გამოიბამს - ძაღიან ბევრს ილაპარაკებს:
კაცმა ამდენი იწანწალა, იდავიდარაბა, ძაღლის ყბა
გამოიბა იმდენი ლაპარაკით, ხან ერთი შეჯერია [დაი-
თანხმა], ხან მეორე... (დ. კლდიაშვილი). ძაღლის სული
ამოიღო - სიქა გასძვრა, დაიქანცა, გადაიღალა: გუშინ იმ-
დენი ვიძუშავე, ძაღლის სული ამოვიღეო! (გ. ლეონიძე).
ძაღლივით ახველებს - ძაღიან ახველებს: - გახველებს? /
- ხანდახან და ძაღლივით ... (ნ. დუმბაძე).

ძაღლობა - ძაღლად ყოფნა. მილიციელები, პოლიციელები
(გარგონზე): ნეტავი რა ხდება, მთელი ძაღლობა ქუჩაში
რომ გამოყრილა?

ძაღლთაპირი - ავი, ბორბტი ადამიანი: რა მესაქმება მაგ
ძაღლთაპირთან, ეგდოს თავისთვის და იღრინოს!

ძაღლი(ს)შვილი - საღანძღავი სიტყვაა, უჯიშო: ეს რა
იკადრა, მოვკლავ მაგ ძაღლისშვილს!

ძაღლკატურად - მტრულად: ვიყავით ასე ძაღლკატურად
გარემოების ძაღლით ერთად დაბმულნი, ერთმანეთს ვერ
გამოველაპარაკებოდით, ერთმანეთისათვის აზრი ვერ
გაგვეზიარებინა (გ. წერეთელი).

ძაღლუმაღური - ძაღზე ცუდი, უკეთური, არაადამიანური:
ნუთუ მთელი ჩემი სიცოცხლე აქ უნდა გავატარო? აქ
ამომხდეს ასე ძაღლუმაღურად სული? (ალ. ყაზბეგი).
ვწვალობთ და გადის ასე ეს ძაღლუმაღური ცხოვრება.

ძაღლური - ძაღლისათვის დამახასიათებელი. ცუდი, არა-
ადამიანური: რაისი ღირსი იყო, ლომისამაც ისე მოუმარ-
თა ხელი... ძაღლს ძაღლური სიკვდილი მიერგების!
(ალ. ყაზბეგი). - როგორა ხარ, კვაჭი? - გაპბედა ბო-
ლოს ბესომ. / - ძაღლურად (მ. ჯავახიშვილი).

მელქორი - შავარდნის მსგავსი მოზრდილი მტაცებელი ფრინველი.

ძერა - შავარდნის მსგავსი დიდი მტაცებელი ფრინველი.

1. **მრისხანე, აგრესიული, მოძალადე ადამიანი**: - ჰაი, შე გულმკვდრის შეილო! ეგებებიც შეიძელ თითის ტოლა გომბიომა, ჰა? - დააცხრა როგორც ძერა წიწილას და წაჰკრა წიხლი (ს. მგალობლიშვილი). 2. **ძლიერი, დაუმარცხებელი მოწინააღმდეგე**: მერე ის, რომ მე და ჩემმა გაზრდილმა გიპატივეთ, თორემ ძერასავით გაგგლექდა ჯამლეთ ტარბა (კ. გამსახურდია). 3. **მტაცებელი, გლეჯია**: - დღე არ გავა ისე, ...როგორც მშიერი ძერა, გიპურები ისე არ დაეცნენ ჩვენს მიწებს, არ მოგვტაცონ ჩვენი ნამუშავარი და იმით არ მოიბრუნონ გაუმაძღარი ლეში (ალ. ყაზბეგი). **ფრთამოტეხილი ძერა** - **დასუსტებული, ერთ დროს ძლიერი, გავლენიანი ადამიანი**: უკან მოიხედა არზაყანმა და ფრთამოტეხილ ძერასავით მომბობლავ ნათავადარს რა თვალი ჰკიდა, გაეცინა (კ. გამსახურდია).

ძერაბოტი - ძერის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

ძერძერუკი - ერთგვარი მტაცებელი ფრინველი.

ძიბა // ძიბო - წიწილი (ბავშვის ენაზე).

ძიღვუდა - მომცრო მღრღნელი ცხოველი. აქტიურობს ღამით.

ძიძგილაობა - ჩხუბი, ერთმანეთისთვის ნისკარტის ცემა (მამლების მიერ). **ულაზათოდ ჭიდაობა, ბღლარძუნი**: [ბიჭები] სატრიალოში [მორეუში] ერთმანეთს შეხედნენ, დაიწყეს ძიძგილაობა, ერთმანეთის დაოსება, ყველა ცდილობდა, მეორესთვის ჩაეყოფინებინა თავი წყალში (რ. ინანიშვილი).

ძიძგილაობენ - ჩხუბობენ, ერთმანეთს ნისკარტს სცემენ (მამლები). **ულაზათოდ ჭიდაობენ, ბღლარძუნობენ**: დიდხანს იძიძგილავეს, იბრძოლეს, მაგრამ ამ ბრძოლას აქლდა ის გააფთრებული ძალის დაძაბვა, ძველად რომ სჩვეოდათ ტარიელებს (კ. გამსახურდია).

ძიძგნა – ნისკარტით წვრილ ნაწილებად გლეჯა (ფრინველთა მიერ). **ხორცის კბილებით დანაწევრება წვრილ ნაწილებად:** მშიერი იყო და ნახევრად მოხარშულ ხორცს წიროთქვა ძიძგნა დაუწყო.

ძიძგნის – ნისკარტით წვრილ ნაწილებად გლეჯს (ფრინველი). **ხორცს კბილებით დანაწევრებს წვრილ ნაწილებად:** აცალე მაგ ხორცს მოხარშვა, რომ ძიძგნი!

ძლოკე-ი – იგივეა, რაც ანკარა: 1. მოქნილი ადამიანი: ეს ბავშვი ძლოკევიით მოქნილია. 2. კარგი მოცურავე: ძლოკევიით კარგად ცურავს. 3. ვინც იკლაკნება: ბებიამისმა წკეპლა შემოსცხო და სულ ძლოკევიით იკლაკნებოდა.

ძოვა – ბალახის პირით წიწკნა, გლეჯა და ჭამა (ცხოველის მიერ). 1. მცენარეული საკვებისკენ ღტოლვა: ხორცს რატომ არ ჭამ, არ მოგწყინდა ბალახეულის ძოვა? 2. ფულის უკანონოდ, უსამართლოდ შოვნა: მაგან მალე ისწავლა ხალხის ხარჯზე ძოვა.

ძოვს – ბალახს პირით წიწკნის, გლეჯს და ჭამს (ცხოველი). 1. მცენარეულ საკვებს ეტანება: ვეგეტარიანელი ვარო და სულ მწვანეღეულებს ძოვს. 2. უკანონოდ შოულობს ფულს: კაი ხელფასი აქვს, მაგრამ არ სჯერდება და “ლევადაც” ბლომად ძოვს.

ძროხა – შინაური მეწველი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ფური. 1. ვინც ბღავის: ...მის ყვირილზე მე სიცილი ვეღარ მოვიჭირვე, მინდოდა, ის სულელი შემეშინებია და ერთი ძროხასავით შევბღავლე (აკაკი). 2. ხმამაღლა და გაბმულად მოტირალი ადამიანი: შენს საცოდაობას ვეღარ გავეუძელ, ტირილი ყელთ მომეუჯინა და, არც მე მინდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბღავილს მოვეყე ეს ოხერტიალი (ილია). 3. ვისაც დაუნანებლად სპობენ: [კუსამ] სიმამრი ძროხასავით აჩეხაო (ო. ჭილაძე). 4. ზორზოხა, უშნო ადამიანი: საუკეთესო ქალს ეძებდა და ბოლოს ის ძროხასავით გოგო შეირთო. 5. უზრდელი, ტუტუცი, მორიდებული ქალი: უჰ, შე უზრდელო

ძროხა, სტუმარი და მასპინძელი არ უნდა იცოდეს?
6. ქალი, რეჟორც სექსუალური პარტნიორი: არც მგელი
მოდგემის შეილი ვარ, რომ საჭმლის შოვნისთვის ვი-
ცხოვრო მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი
და ძროხები მჭირდებოდეს მარტო (ჭ. ამირეჯიბი). ძრო-
ხის თვალები - უაზრობის, უგონობის გამომეტყველი დიდი
თვალები: "იამშჩიკმა" თავისი ძროხის თვალები ჩემკენ
მწყრაღად მოაბრუნა... (ილია). მეწველი ძროხა - იოლი
გამდიდრების წყარო: ...სახელმწიფო შენ, რა, მეწველი
ძროხა გგონია? თუ არ მეცოდებოდეს, შობელძაღლი
ვიყო! (ნ. დუმბაძე). ზოგიერთები სახელმწიფოს მეწველ
ძროხად თვლიან და წველიან კიდევ.

ძუ - ხორციმჭამელი ცხოველის დედალი (ძუ მგელი, ძუ
ლომი, ძუ ვეფხვი...). 1. ქალი: ამოვუდექი გვერდით
[ქალს]. ხომ წარმოგიდგენიათ, ორი უცხო მამრი და
მათ შორის ლამაზი, ვნებიანი ძუ! თან ერთი მამრი, ის
ბიჭი, ოცის იქნება, ან ოცდაერთის... გოგო კიდევ ხან
მე მომიბრუნდება, ხან იმას (რ. ინანიშვილი). 2. მშენიფა-
რე, საშიში, გამბედავი, თავგანწირვით მებრძოლი ქალი:
ისევ ივაჟკაცა ძაბულიმ, ძუმგელსავეთ გაბოროტებით
მისწვდა შავფაფახიანის განიერ მაჯას და უკბინა
(კ. გამსახურდია). ამ წუთებში ელეონორა ემსგავსებო-
და ძუ ვეფხვს, რომელიც თავის ტოტებქვეშ დამორჩი-
ლებულს მსხვერპლს ჰგრძნობდა და მის უღონო შემაძ-
რწუნებელს თრთოლას აღტაცებაში მოჰყვანდა
(აღ. ყაზბეგი). ქერივი ისეთი გააფთრებული შეიქნა ნა-
თელაზე, როგორც ძუ ლომი თავის ლეკვებზე (გ. წერე-
თელი). 3. არავაჟკაცური საქციელის მკადრებელი კაცი: ჰა-
იბ, რა დიაცურად მოქცეულან ის ძუ ძაღლები...
(ლ. ქიაჩელი).

ძუა - ცხენის კუდის გრძელი და მაგარი ბეწვი.

ძუკნა - ძუ ძაღლი. 1. კახა, მეძავი, მრუში ქალი: სად იპოვა
ამ უტვინომ ის ძუკნა ქალი, მთელი სოფლის კაცებს
რომ უჟუჟუნებს თვალებს? 2. ძაღლიან გამხდარი ქალი: ჩე-
მი ძაბუნიასთანა ქალს ამ სამურზაყანოში მეორეს ვერ



ნახავდა ადამიანის თვალი. ბოდიში და, ძუკნა ძაღლს დაამსგავსა დარღმა და შიმშილმა... (ჭ. ამირეჯიბი)

ძუნძულ-ი – ზოგიერთი ცხოველის (ძაღლის, მგლის, დათვის...) ნელი, მძიმე სირბილი. 1. ადამიანის ნელი, მძიმე სირბილი: კუს ტბაზე ძუნძულით ვვარჯიშობ. 2. უშნოდ ცეკვა: სასაცილო სანახავია მაგისი ძუნძული.

ძუნძულებს – ნელა, მძიმედ რბის (ძაღლი, მგელი, დათვი...). 1. ნელა, მძიმედ მირბის, დარბის (ადამიანი): ეგერ შენი მეზობელი მიძუნძულებს. 2. უშნოდ ცეკვავს: შენს ძმას ცეკვა არ სცოდნია, სასაცილოდ ძუნძულებს.

ძუძუმწოვარ-ი // ძუძუმწოვარა – 1. ხერხემლიანთა უმაღლესი კლასის ცხოველი, რომელიც თავის ნაშიერებს რძით კვებავს, ადამიანის ჩათვლით. 2. ძუძუს მწოველი, ძუძუს წოვის ასაკისა.



წაგ-ი – კვერნის მსგავსი ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი. ბინადრობს წყლის ნაპირებზე. კარგად, სწრაფად მოცურავე: ეს ბიჭი წავევით სწრაფად ცურავს.

წალ-ი – ორი წლის დედალი თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუვია.

წამოაყრანტალებს – დაუფიქრებლად, გაუაზრებლად წამოიძახებს, წამოსცდება, წამოროშავს: ბატონო, რაღაცას უჭკუო, გონებადაკარგული კაცი წამოაყრანტალებს, რა გასაგონარია, თუ ღმერთი გწამთ!... (დ. კლდიაშვილი).

წამოიჩიტება – წამოიზრდება (ბავშვი): შენი შვილი უკვე კარგად წამოიჩიტა.

წამოფრენა – უცბად აფრენა (ფრინველისა). სწრაფად წამოვარდნა, წამოსტომა.

წამოფრინდება - უცბად აფრინდება (ფრინველი). **სწრაფად წამოფარდება, წამოხტება:** ე რატომ ეგრე წამოფრინდა? რა ეკალმა უჩხვლიტა, ნეტა ვიცოდე (ილია).

წამოყრანტალება - ყრანტალის უეცრად გამოცემა (ზოგი ფრინველისაგან). **დაუფიქრებლად, გაუზრებლად რისამე წამოძახება, წამოცდენა, წამორთშეა** რაც იცი, ყველაფრის წამოყრანტალება კი არ შეიძლება!

წამოჩიტული-ი - ვინც, რაც წამოჩიტა: მათ ვერასოდეს დაჯიჯგნიდათ სინდისის ქენჯნა წამოჩიტული ვაჟიშვილების დანახვისას (ო. ჭილაძე).

წაულა - კვერნის მსგავსი ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი. ბინადრობს წყლის ნაპირებზე.

წერო - ჭაობის მიმომფრენი დიდი ფრინველი. აქვს მაღალი ფეხები და გრძელი, სწორი ნისკარტი. 1. **აწოწილი, აყლაყუდა:** ...ჩიკოტელა ქოსა იყო და თანაც გრძელი, ყინულის ანხხარივით გამხმარი, გამხდარი, გაყინწული, ჯოყარივით ცრიატი, წეროს მიჰგავდა. წოპწოპა ქუდი ეხურა (გ. ლეონიძე). მაგ წერო იმსიმაღლეა, მე მასთან ლილიპუტივით ვჩანვარ. 2. **გრძელკისერა:** რა წეროსავით გრძელი კისერი გაქვს! 3. **გრძელცხვირა ადამიანი:** ის შენი გულთამზე, როგორც ვატყობ, ხრონჩებიანია, ცხვირი წეროსავით ექნება (პ. კაკაბაძე). 4. **მწკრივად მავალი, ან მწკრივად მდგომი ადამიანები:** თანახმად ჩვეულებისა, ცოდაოდენი მანძილი ქვეითად გაიარეს, მერე შესხდნენ ცხენებზე და გასწიეს წეროებივით გამწკრივებულმა კახეთისაკენ (ვაჟა). ჩავცვივდით მდინარეში და წეროებივით დავმწკრივდით. კასრებმა სწრაფად დაიწყეს ხელიდან ხელში გადასვლა (ნ. დუმბაძე).

წეროტურფა - წეროს მსგავსი დიდი გარეული ფრინველი.

წველა - ცურზე ხელის მოჭერით რძის გამოღენა.

წველის - ცურიდან რძეს აღენს. ვისიმე ნღობის, გულუბრყვილობის ბოროტად გამოყენებით სარკებელს იღებს: ბიძამისს კარგად წველის, ხან რას გამოსტყუებს და ხან - რას.

წვერა – მდინარის პატარა უღვაშიანი თევზი.

წვრთნა – მონადირე ძაღლის, სანადირო ფრინველის მოვლიერება. **აღამიანის დაოსტატება რაიმეში**: მაგრამ მართო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა (აკაკი).

წვრთნის – ათვინიერებს (მონადირე ძაღლს, სანადირო ფრინველს). **აოსტატებს რაიმეში**: ჩვენი სკოლის ბავშვებს ცნობილი ფეხბურთელი წვრთნის.

წვრილფეხი – წვრილფეხა საქონელი.

წვრილფეხა – წვრილი საქონელი (ცხვარი, თხა, ღორი). **ნაკლები სტატუსისა და ნაკლები ქონების პატრონი**: წვრილფეხა თავადები.

წვრილფეხობა – იგივეა, რაც წვრილფეხი. 1. პატარა ბავშვები: მეორე დღით, ადრე, ციციკორე თუბალაურის ყანაში ჩავიდა, თან წვრილფეხობა წაიყოლა! თვითონ მკიდა, ბაღლობა ხელეწურებს უკრეფდა, ულოს უგრებდა (გ. ლეონიძე). ეზოში წვრილფეხობა გამოეფინა. 2. მცირე სარბიელის, დაბალი თანამდებობის მქონე **აღამიანები**: ზოგჯერ წვრილფეხობა უფრო აწუხებს ხალხს, ვიდრე დიდი ჩინოსნები.

წიაგწიაგ – წიწილების ხმიანობა. **ბავშვების ვრიაშული**: რაღა კრუხ-წიწილა და რაღა ზურაბა პაპა თავისი შვილიშვილებით. საითაც არ უნდა გაიწიოს ამ დროულმა კაცმა, წიაგ-წიაგით აედევნება ონავრობა (ჯ. მონიავა).

წიალა – იგივეა, რაც მუმლი, ქინქლა.

წიაქი – 1. იგივეა, რაც წივილი. 2. იგივეა, რაც წიოკობა: ბავშვების წიაქისგან ყურთასმენა აღარ არის.

წიაქობს – 1. იგივეა, რაც წივის. 2. იგივეა, რაც წიოკობს: – მიხსენით იმ არაწმინდისაგან! – შესჩიოდა იგი [გალაქტიონი] ყველას და უმეტესად ვასილ ივანიჩს და ალექსანდრეს. / ამგვარად წიაქობდა ზენათიც (დ. კლდიაშვილი). ეზოში ბავშვები წიაქობენ.

წივის - წივილს გამოსცემს (წიწილი, ქარი...). **წვრილი**, **მაღალი**, **გაბმული ხმით იახის**: ნეტავი რატომ წივის ის ბავშვი?

წივილი-ი - 1. წვრილი გაბმული ხმა (ფრინველისა, ბავშვისა...).
2. წვრილი, მაღალი, გაბმული ხმის გამოცემა.

წივილა - 1. ვინც, რაც წივის. 2. ერთგვარი ფრინველი.

წივწივი - ზოგი ფრინველის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმიანობა.

წივწივა - პატარა გარეული ფრინველი.

წივწივებს - ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმიანობს (ზოგი ფრინველი).

წითლა - წითელი ფერის ცხენი.

წინტალა - მეჭვავიას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი. ბინადრობს წყლის ნაპირებზე.

წიოკი-ი - იგივეა, რაც წიოკობა.

წიოკობა - წვრილი ხმით ყვირილი (ფრინველისა, ადამიანისა), **წივილ-კივილი**: ქალებმა წიოკობა ატეხეს.

წიოკობს - წვრილი ხმით ყვირის (ფრინველი, ადამიანი): მართო შენი მასწავლებელი წიოკობდა, სხვები ჩუმად იყვნენ.

წიპრანა // წიპრია - იგივეა, რაც ჭიჭვავი.

წიფლისჩიტა - პატარა მაგალობელი ფრინველი.

წიწილ-ი // წიწილა - ფრინველის (ქათმის), გველისა და ზოგი სხვა ქვეწარმავლის ნაშიერი. 1. **ბავშვი**, **შვილი**, **შვილები**: ...ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენ!. წიწილას რა უჭირს, მაგრამ როგორ აიტანოს და როგორღა გასძლოს კრუხი-მა უიმისობით? (აკაკი). მგელიკა ჩვენს იჯახში კრუხით ზის, ჯურხა კი წიწილებს გარშემო უვლის (მ. ჯავახიშვილი). სოფლის ბოლოში მასწავლებელი ისე მილაჯებს, როგორც კრუხი წიწილებში (ნ. დუმბაძე).



2. გამოუცდელი, ჯერაც დაუღვინებელი ახალგაზრდა: ჰმ, ვის უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას! კვერცხის ნაჭურჭიში ამბოხებულა პირტიტველა წიწილი და კრუხს შეპკამათებია (კ. გამსახურდია). 3. ვისი მოსპობაც იოლია და არ ენანებათ: იქით-მეთქი, გეუბნები! ცოდვაში არ ჩამაგდო, წიწილასავით არ წაგახრჩო! (ეკ. გაბაშვილი). ...ერთი გზობა აიეგმა მართლა გადაწყვიტა, იქვე, სუფრასთან დაეხოცა ყველანი, წიწილებივით წაეგლიჯათავი შვილიშვილებისათვის (ო. ჭილაძე). 4. მშიშარა, მხდალი, მფრთხალი, ლანჩხი: ჯგუფად რომ გლექსაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნაეად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე – ნაცვალი თუ მამასახლისი – და ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალაღმა დაჰქროლა წიწილებსაო (ილია). 6. ბორტი ახალგაზრდა ადამიანი: როცა გულის მოუვიდოდა, იტყოდა: “მე თუ იმ გველის წიწილს თავი არ გა[კ]უტეხე, ისე არ მოვეშვებიო” (გ. წერეთელი).

წიწინ-ი – ფრინველის წვრილი ხმა. ქალის უკმაყოფილო ხმიანობა წვრილი ხმით: ნახვამი თუ მივედი სახლში, ჩემი ცოლი მაშინვე წიწინს იწყებს.

წიწინებს – წვრილ ხმას გამოსცემს (ფრინველი). უკმაყოფილოდ ხმიანობს წვრილი ხმით (ქალი): კაი, ქალო, ნუ წიწინებს!

წიწიკანა – წიწივას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

წიხლ-ი – ფეხის კერა, ფეხის ჩარტყმა (საქონლის, ადამიანის მიერ): ამისთანა ბედი მომადგა კარზე და მეც წიხლი არ მიკრავს (აკაკი).

წიხლაგს – ფეხს ჰკრავს, ფეხს ურტყამს (საქონელი, ადამიანი): ეგ ყოყლოჩინა ბიჭებმა ერთი კარგად დაწიხლეს.

წკაფწკაფი – წვრილ ხმაზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმიანობა (ცხოველისა).

წკაფწკაფებს – წვრილ ხმაზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმიანობს (ცხოველი).

წამუტუნ-ი - წერილი ხმის გამოცემა (ცხოველის, ბავშვის მიერ): სათამაშოდ არ გიშვებ და შენი წამუტუნი არ გამოგონო!

წამუტუნებს - წერილ ხმას გამოსცემს (ცხოველი, ბავშვი): ვერ გავიგე, რა უნდა ამ ბავშვს, მთელი დღე ასე წამუტუნებს.

წოტ-ი - პატარა ბუ.

წრიპა - შაშვის მსგავსი მომცრო გარეული ფრინველი.

წრომი - იგივეა, რაც ჭოტი.

წრუწუნ-ი - თაგვის, ბავშვის ხმიანობა.

წრუწუნა - თაგვის ეპითეტი.

წრუწუნებს - წრუწუნს გამოსცემს (თაგვი, ბავშვი).

წუა - ერთგვარი პატარა ფრინველი.

წუილ-ი - წერილი, გაბმული ხმიანობა (მწერისა).

წუის - წერილად, გაბმულად ხმიანობს (მწერი).

წუნკალ-ი - წუწკი, უჯიშო (ძაღვი, ღორი...). **ზნედაცემული**, **გათახსიერებული** ადამიანი: მართლა ჩემს თავს უნდა დავაბრალო... თქვენისთანა მუდრეგებთან და წუნკლებთან რომ საქმეში შევები!.. (დ. კლდიაშვილი). მაგ წუნკალს ოჯახში ვინ შეუშვებს?!

წუნკლიან-ი - იგივეა, რაც წუნკალი.

წუპაკ-ი - იგივეა, რაც წუნკალი.

წურბელ-ი // **წურბელა** - სისხლისმწოველი წყლის ბინადარი ჭია. 1. **სისხლისმწოველი**, **ექსპლოატატორი**, **ვინც სხვის ხარჯზე მდიდრდება**: აღარ ეტევა მის გულში უსამართლობა, მიყენებული ბატონისა, მღვდლისა, მოხელისა და ათასი სხვა მტარვალისაგან, რომელნიც მთავრობამ კისერში წურბელასავით დაასხა (ს. მგალობლიშვილი). სოფლის ეტიკი [ციციკორე], უანგარო

და მამობრივი მზრუნველობით აღსავსე, ვითარცა გმულეშაპს წმიდა გიორგი, ასე ებრძოდა ვაჭრებს, ჩარჩებს, სოფლისყლაპიებს, – გლეხის სისხლის წურბულებს (გ. ლეონიძე). 2. **გაუმაძღარი, ხარბი:** ეს, გმირისწულთან შედარებით, ბატონის სახლში ცხენის წურბულა იყო, რომელსაც ძლომა არ ეკიდებოდა... (ს. მგალობლიძე). 3. **მუქთახორა:** ბერებს კარიძე არ უყვართ, ზურგს უკან წურბულასა და მუქთამჭამელს ეძახიან (ჭ. ამირეჯიბი). 4. **ვინც ამოჩემებულ პირს არ ეშვება:** ეს ბავშვი დღეს წურბულასავით მომეწება და აღარ მშორდება.

წუწკი – მსუნაგი, ჭამაზე სულწასული (ცხოველი, ადამიანი):
ეს წუწკი ბავშვი უკამფეტოდ სახლში აღარ მიშვებს.

წყალწყალა – პატარა გარეული ფრინველი, ბოლოქანქარას ერთ-ერთი სახეობა.

წყლის ბუდა – წყლის დიდი ფრინველი. წყალში ყოფს
ნისკარტს და ჰაერის გამოდევნით აბუყბუყებს წყალს.

წყლის ქათამი – ლაინას მსგავსი საშუალო ზომის გარეული ფრინველი. ბინადრობს წყლის ღერწმოვან-ისლიან, ბუჩქნარიან და ტყიან ნაპირებზე.

წყლის შაშვი – ერთგვარი ფრინველი.

წყლისჩიტა – იგივეა, რაც წყლის შაშვი.

წყრომი – ბუს მსგავსი გარეული ღამის ფრინველი.

ჭაფჭაფი - იგივეა, რაც **ჭიფჭაფი**.

ჭაკი - იგივეა, რაც **ფაშატი**. 1. არასერიოზული, ცერცეტი, ცეტი **ჭალი**: ეგ სულ ასე დაკუნტრუშობს ჭაკი ცხენით. 2. **ჭალი**: შენს დაბადების დღეზე ჭაკებიც იქნებიან?

ჭანი - ცუდად დაკოდლი ცხოველი.

ჭანარ-ი - მდინარის საშუალო ზომის თევზი.

ჭანგი - ბრჭყალი, კლანჭი. **ჭანგს** გამოაჩენს - თავის მანამდე დაფარულ ძაღას აჩვენებს, ნამდვილ სახეს წარმოაჩენს: უმეცარმა და უწყინარმა პატარძალმა მალე გამოაჩინა მიმალული ჭანგები (გ. ლეონიძე).

ჭარღ-ი - ერთგვარი ფრინველი.

ჭარო - თოლის მსგავსი ფრინველი.

ჭაფალა - ნაფოტას მსგავსი თევზი.

ჭახჭახ-ი - ზოგი ფრინველის (შაშვის...) მაღალი და მკვეთრი ხმიანობა.

ჭახჭახებს - მაღალ და მკვეთრ ხმას გამოსცემს (შაშვი...).

ჭედილა - დაკოდლი მამალი ცხვარი.

ჭერემა - ვეფხვივით ჭრელი საქონელი, ვეჟანა.

ჭერეს-ი - მდინარის თევზი.

ჭვინტა - ბელურას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

ჭვინტაკა - ბელურას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.

ჭვინტასპუჭაკა - ასპუჭაკას მსგავსი პატარა გარეული ფრინველი.



ჭია – მოგრძო უხერხემლო ცხოველი. 1. **არაობა:** თუ წელან ჩემს უფროსთან ჭია ვიყავი, ახლა ხომ ამ ჩემს ხელქვეითთან ბობოლა ვარო (აკაკი). “ლექსი მოლექსემ უნდა თქვას, ვაჟმა, ვინც იზამს სახელსაო!” – და არა შენსავით ჩანწურამ, ჭიასავით რომ დასცოცავ! ვის რად უნდა შენი ლექსი, შე ბუხუნძელავ! (გ. ლეონიძე).

2. **განცალკევების მოწადინე, განცალკევებისკენ მიდრეკილი:** ევერიას მოწაფეებს ყოველს გაზაფხულზე დაუდგებოდათ ბედნიერი დროება, რადგან ამ დროს ისინი აგდებდნენ მყრალს, ნამიანს თავის ფაცხას და ჭიებსავით გაიბნეოდნენ მახლობელს ტყეებში (გ. წერეთელი).

3. **შინ ყოფნის მოსურნე, თავშესაფრის მაძიებელი:** ...ევერიას მოწაფეები შეიმალებოდნენ თავის ფაცხაში შემოდგომის ჭიებსავით... (გ. წერეთელი).

4. **სუსტი, მაგრამ დიდგულა:** მაგ საცოდავს არაფერი შეუძლია და ჭიასავით კი იჭიმება.

5. **ძალზე გამხდარი, სუსტი აღნაგობის ადამიანი:** ...პატარა რეზო ჭიასავით წერილი, ფერგამქრალი, უჭმელ-უსმელი ბიჭი იყო, ხშირად ავადმყოფობდა (ნ. წულუისკერი).

6. **ვინც იკლაკნება:** ბებომ წნელი შემოჰკრა და ბავშვი ჭიასავით დაიკლაკნა.

7. **ადამიანის გრძელი და წვრილი კისერი:** – საშინელი მხეცი ხალხი გახლავსთ ეს მთის ხალხი... – დაიწყო დიამბეგმა და ჭიასავით მსგავსი გრძელი კისერი გადაიგდო გვერდზე (ალ. ყაზბეგი). **გახაჭყლეთი ჭია // გასასრესი ჭია** – ყველას დასაჩაგრავი, ყველაზე სუსტი, უპატრონო, უქომავო. ჭიასავით გასრესა – იოლად მოსპობა, განადგურება: ...აშკარად ეშინოდა, რომ სახლის პატრონს არ მოეწადინა იმის ჭიასავით გასრესა, მიწასთან გასწორება, რომელიც ადვილად შეეძლო იმ დროს იმ ადგილების დმერთს (ალ. ყაზბეგი).

ჭია-ბუჭყები-ი – იგივეა, რაც ჭიაღუა.

ჭიამაია // ჭიამარია – კომლებიანი პატარა მრგვალი ხოჭო.

ჭია-მატლებ-ი – ჭიები და მატლები.

ჭიამკვდარ-ი // ჭიამკვდარა – სუსტი, უძლური ადამიანი.

ჭიანჭველა - პატარა მწერი. ცხოვრობს დიდ გუნდად.

1. **მშრომელი, გამრჯე:** მისი ქმარი ჭიანჭველასავით მრჯე კაცია. 2. **ერთად მოფუსფუსე ბევრი ადამიანი:** იმ ქედის თავზე კვაჭმა ჭიანჭველასავით აფუსფუსებულის მოპირდაპირე დაინახა დურბინდით (მ. ჯავახიშვილი). მაგრამ ვინ იქნებოდა ისეთი გამბედავი, რომ თავს შადლო იმ ტყეში გასვლა, სადაც ჭიანჭველასავით ირეოდა ფრთხილი და გამოჩენილი მებრძოლი ჩენჩები? (ალ. ყაზბეგი). ფოთში უცხო ტომის კაცები იმ დროს ჭიანჭველასავით ირეოდენ (გ. წერეთელი). 3. **ერთად მისეული ადამიანები:** მგელიკას გვარეულობა უკვე ქედზე იყო ასული, როცა არაბულები იმათ სახლს ჭიანჭველასავით მიესივნენ (მ. ჯავახიშვილი). **ჭიანჭველას გორასავით დაედება - მიესევა, წაესევა:** ტატეს საფლავს ჭიანჭველას გორასავით დაედო ხალხი (ს. მგალობლიშვილი). **ჭიანჭველასავით გასრესს - იოლად და დაუნანებლად მოსპობს, გაანადგურებს.**

ჭიაფანდურა - იგივეა, რაც **ფუნაგორია**. **სიბინძურის მოყვარული, ბინძური, თხუანია:** გუშინ ჭიაფანდურასავით ნეხეში იქექებოდა.

ჭიაყელა - მრგვალი, გრძელი, მოწითალო ფერის მიწის ჭია, რომელსაც პირთან ახლოს შესქელება აქვს. 1. **სუსტი, მაგრამ დიდგულა:** მაგ საცოდავს არაფერი შეუძლია და ჭიაყელასავით კი იჭიმება. 2. **ვინც იკლაკნება:** ბებომ წნელი შემოჰკრა და ბავშვი ჭიაყელასავით დაიკლაკნა.

ჭიაღუა - სხვადასხვა ჭია, ჭიები.

ჭიაჭუა - იგივეა, რაც **ჭიაღუა**.

ჭივჭავი - ბელურას მსგავსი პატარა ფრინველი. **უსუსური, უძალი და მფრთხალი:** რამდენს ეუყვარდი... რამდენი სისხლი მოიღვარა ჩემთვის! დამფრთხალ ჭივჭავივითღა ვარ! ეჰე, შიოლა... შიოლა... (გ. ლეონიძე).

ჭიკვარა - გარეული იხვის ერთ-ერთი სახეობა.

ჭიკტიკი - ზოგი ფრინველის (მაგ., მერცხლის) ხმიანობა, ჟღერტული. 1. ტკბილად, საამოდ ღაპარაკი, ტიკტიკი: მხარეთუხუცესი ტარა ბაეშის ჭიკტიკზე უკეთესი მოსასმენი რა უნდა იყოს?! 2. ღაპარაკი, საუბარი: ახლა ხომ ამას ამბობს, ხვალ სულ სხვანაირად დაიწყებს ჭიკტიკს. ორ ჭიქას დაღევენ და იწყებენ ჭიკტიკს.

ჭიკტიკა - ვისაც, რასაც ჭიკტიკი სჩვევია.

ჭიკტიკებს - ჟღერტულებს (მერცხალი). 1. ტკბილად, საამოდ ღაპარაკობს, ტიკტიკებს: ქალი თუ არ ჭიკტიკებს და გალობს, ისე რა ქალია (რ. ინანიშვილი). ეს პატარა გოგონა ძალიან საყვარლად ჭიკტიკებს. 2. ღაპარაკი, საუბარი: ჭიკტიკობდა შეზარხოშებული წუნკალა და თან ეხვეოდა ბახვას (გ. წერეთელი). დიდხანს იჭიკტიკეს ისე, როგორც შეყვარებულთა რიგია (აკაკი).

ჭილყვაფი - ყვავის მსგავსი საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი. 1. ვისაც გუნდად მისევა სჩვევია: ნუ დამესიეთ ჭილყვაფებით, მაცალეთ სულის მოთქმა და ყველაფერს გაამბობთ! 2. მოლაყბე, ენაჭარტალა, ღაპარაკის მოყვარული: ჰეი, არ გესმით, ჭილყვაფებო, რას დადუმებულხართ? (ლ. ქიაჩელი).

ჭინჭორი - ჩიხვირის მსგავსი წანაზარდი ინდაურის ნისკარტის ზემოთ.

ჭინჭრაქა - იგივეა, რაც ღობემგვრალა. ტანმომცრო და მარდი, მოქნილი ადამიანი: ბიჭი ჭინჭრაქასავით მარდად გაძვრა ღობეში. ეს ჭინჭრაქა ვის უნდა მოერიოს?!


ჭიჭყინა - 1. ზოგი თევზის (წვერას, მურწას, კობრის...) ნაშიერი. 2. იგივეა, რაც ქარსალი // ქარსალა.

ჭიხენი - ცხენის თავისებური ხმიანობა. უშნო სიცილი: მორთავს ახლა ჭიხენს!

ჭიხენა - ვისაც, რასაც ჭიხენი სჩვევია (ცხენი, ადამიანი).

ჭიხენებს - ჭიხენს გამოსცემს (ცხენი). უშნოდ იცინის: მთელი დღე რომ ჭიხენებთ, საქმე როდის უნდა გააკეთოთ?

ჭკა - ყორნის მსგავსი საშუალო ზომის გარეული ფრინველი.



ჭნაფი - გამხდარი, მჭლე (ცხოველი).

ჭოფილი - ჭაობის გრძელნიკარტა და მაღალფეხება გარეული ფრინველი.

ჭოტი - ბუს მსგავსი მომცრო ღამის მტაცებელი ფრინველი. 1. ვინც ღამით აქტიურობს: ეგენი ჭოტებივით არიან - დღისით სძინავთ, ღამით დაწანწალებენ. 2. ვინც მკვეთრი ხმით გაჰკივის: ჭოტის ხმა აქვს ამ ოხერს. 3. ვინც რისამე კარგად დასანახად კისერს იგრძელებს: დუდაკაცები წამოყუყუდნენ, ჭოტებივით წაიგრძელეს კისრები და გადაჰყვეს თავები საცრისაკენ, თითქო შიგუნდა ჩაძვრენაო (ს. მაგლობლიშვილი).

ჭრიახი - იგივეა, რაც კრიახი.

ჭრინაფს - ჭიკჭიკებს, უღურტულებს.

ჭრინვა - ჭიკჭიკი, უღურტული.

ჭრიჭინა - მწერი, რომელიც ფრთებით გამოსცემს ჭრიჭინს. არასერიოზული, ცერცეტი, ცეტი ადამიანი, ვინც დროს გართობაში ატარებს: ნეტავი როდის დაჭკვიანდება ეს ჭრიჭინა?

ჭრიჭინებს - ჭრიჭინს გამოსცემს (ჭრიჭინა, უსულო საგანი).

ჭრიჭინობელა // ჭიჭინობელა - იგივეა, რაც ჭრიჭინა.

ჭრხიალ-ი - ხოხბისა და მისთანათა ხმიანობა.

ჭუა - 1. წვრილი მწერი, ჭიადუა. 2. იგივეა, რაც ტილი.

ჭუკი - 1. ინდაურის ნაშიერი. 2. იგივეა, რაც ჭუჭული. 1. შტერი, ჩერჩეტი, უტვინო: როდემდე უნდა იყო ჭუკივით ჩერჩეტი, შე უბედურო? 2. დაბნეული, გულმაგიწვი: რამ დაგავიწყა, რაც დაგაბარე, შე ჭუკო? 3. ვინც იოლად, მალე თვრება: ორ ჭიქაში ჭუკივით თვრება. 4. უგზო-უკ-

ვლოდ მაგალი, მოხეტიალე: რა ჭუკივით უბო-უკვლოდ დაეხეტები?!



ჭუკია – იგივეა, რაც **ჭუკი**.

ჭუკჭუკი – ზოგი ფრინველის (მწყურის, ინდაურის...) ხმიანობა. 1. დაბალი ხმით ტკბილად საუბარო: ბავშვები ცალკე დასხდნენ და ჭუკჭუკი დაიწყეს. 2. სმა და წვნარად მუსაიფო: არ მიყვარს დიდი სუფრები, წნარად ჭუკჭუკი მირჩენია.

ჭუკჭუკებენ – თავისებურ ხმას გამოსცემენ (მწყურები, ინდაურები...). 1. დაბალი ხმით ტკბილად საუბრობენ: ბავშვები თავისთვის ჭუკჭუკებენ. 2. სვამენ და მუსაიფობენ: გუშინ ფაცხაში ჩავსხედით და ვიჭუკჭუკეთ.

ჭუბრი – მწერი განვითარების იმ პერიოდში, როდესაც მატლის მდგომარეობიდან სიმწიფეში გადადის. ამ დროს იგი ზოგჯერ პარკშია მოთავსებული.

ჭუჭუკალია – შავი კალია, რომელიც ღამით ჭრიჭინებს.

ჭუჭულ-ი – 1. ბატის, იხვისა და მისთანათა ნაშიერი. 2. იგივეა, რაც **წიწილი**.

ჭყაფანა – ვისაც, რასაც ჭყაფილი სჩვევია, მჩხაფანა (კატა, ტურა, ჭოტი, ბავშვი).

ჭყაფილ-ი – წვრილი, უსიამო ხმის გამოსცემა (კატის, ტურის, ჭოტის, ბავშვის მიერ).

ჭყაფის – წვრილ, უსიამო ხმას გამოსცემს (კატა, ტურა, ჭოტი, ბავშვი): ეს უნირო ბავშვი სულ ასე ჭყაფის.

ჭყვირილ-ი – იგივეა, რაც **ჭყვიტინი**: ...ბავშვმა ტირილი დაიწყო და ერთი წამის შემდეგ ისეთი ყურთახმენის წამლები ჭყვირილი მორთო, რომ ნუჩია იძულებული შექნა, ამდგარიყო... (დ. კლდიაშვილი). ამ ბავშვმა ჭყვირილით ყურები წაიღო, წაიყვანეთ და ბუას შეაჭამეთ!

ჭყვირის – იგივეა, რაც **ჭყვიტინებს**: ბავშვები კი ისევ ღრი-ალებდნენ ბოსტანთან; ერთი მიწაზე ფართხალებდა და

გოჭივით ჭყვიროდა (დ. კლდიაშვილი). ეს ბავშვი სულ ასე ჭყვიროს.



ჭყვიტინი-ი – თავისებური მაღალი წვრილი ხმიანობა (ღორისა, გოჭისა...). უსიამო წვრილი ხმით ტირილი: ბიჭო, ნუ შემაწუხე შენი ჭყვიტინით, მომწყდი თავიდან!

ჭყვიტინა – ვინც, რაც ჭყვიტინებს.

ჭყვიტინებს – თავისებურ მაღალ წვრილ ხმას გამოსცემს (ღორი, გოჭი...). უსიამო წვრილი ხმით ტირის: არავინ აქცევს ყურადღებას, მაგრამ ეს ბიჭი მაინც ჭყვიტინებს.

ჭყვიელი-ი – 1. თავისებური მაღალი წვრილი ხმიანობა (ზოგი ფრინველისა და ბარტყებისა). 2. იგივეა, რაც ჭყვიტინი. მაღალი წვრილი ხმით ყვირილი: ბავშვებმა ჭყვიელით ყურები გამოგვიჭედეს.

ჭყვიეს – 1. თავისებურ მაღალ წვრილ ხმას გამოსცემს (ზოგი ფრინველი და ბარტყი). 2. იგივეა, რაც ჭყვიტინებს. მაღალი წვრილი ხმით ყვირის: შენი გოგო სულ ასე ჭყვიეს?

ჭყვიმპო – ჭაობის გრძელნისკარტა ფრინველი.

ჭყვიპინი-ი – ჩიტის, ბარტყის ჭყვიელი. ბავშვის, ქალის წვრილი ხმით ძახილი (უპირატესად, უკმაყოფილოდ, მთხონებით): თქვენი ჭყვიპინი აღარ გავიგონო!

ჭყვიპინა – ვინც, რაც ჭყვიპინებს.

ჭყვიპინებს – ჭყვიელს გამოსცემს (ჩიტი, ბარტყი). წვრილი ხმით იძახის (უპირატესად, უკმაყოფილოდ, მთხონებით): რას ჭყვიპინებენ ეგ ბავშვები, რა უნდათ?

ხაგილი-ი – ყრუ, თითქოს ჩახლენილი ხმის გამოცემა (მელიისა, შველისა). **ჩახლენილი, ჩახშობილი ხმის გამოცემა:** შენი ხაგილი აღარ გამაგონო!

ხაგის – ყრუ, თითქოს ჩახლენილ ხმას გამოსცემს (მელა, შველი). **ჩახლენილ, ჩახშობილ ხმას გამოსცემს:** საწყალს ხმა ჩაეხლიჩა და ძლივს ხაგის.

ხამანწკა – ერთგვარი ბრტყელი ლოკოკინა.

ხამსა – იგივეა, რაც ქაფშია.

ხარ-ი – მამალი შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელსაც უღელში აბამენ. 2. ზოგი გარეული ცხოველის მამალი (ირემი, შველი, ჯიხვი...). 1. **გამრჯე, მშრომელი კაცი:** ქმარი ხარივით შრომობს (კ. გამსახურდია). 2. **ჯანმრთელი და ტანბრგე მამაკაცი:** მამამისი ხარივით ჯანსაღი კაცია. 3. **ვინც ბევრს სვამს:** როცა ჩაირბინა ზაქარამ დაღმართი, ძირს დახვდა მშვენიერი წყარო; ხარბად დაეწაფა კალოს ხარივით, გაძღა, მერე ხელ-პირი გაიგრილა და ხეობით წამოვიდა სახლისაკენ (ს. მგალობლიშვილი). ფრიქსეს ვაჟები ხარებივით სვამდნენ (ო. ჭილაძე). 4. **ვინც ბღავის, ღრიალებს, ხმამამაღლა გაჰყვირის:** იმას აქვს ძალიან შორს გაკეთებული კარავი და, შვევა თუ არა შიგ, გაშლის რუსულ გრამატიკას და მოჰყვება ხარივით ღრიალს (გ. წერეთელი). 5. **გაგიჟებული, გადარეული, აწყვეტილი, ვისი შეკავებაც შეუძლებელია:** ამ დროს პირზე წამოჭეხებული ბაიყუში [კაცის მეტსახელია] მართლაც რომ წითელ პერანგით გაგიჟებულ ხარს ჰგავდა (გ. წერეთელი). აღარაფერი არ მახსოვს, გაცოფებული ხარივით დავრბოდი, ხან ვის ვართმევდი კასრს, ხან ვის (ნ. დუმბაძე). **ხარის ქედი** – მამაკაცის ღონიერი კისერი: ამ მოჭიდავეს ხარის ქედით კისერი აქვს. **ბებერი ხარის ქედი** – მამაკაცის ღონიერი, დანაოჭებული კისერი: თამარს თვალში ეცა მისი გაპარსული,

კრიალა თავი და ბებერი ხარის ქედსავით დანაოჭებულ
ლი კისერი (კ. გამსახურდია). ბუზანკალიანი ხარივით და-
რბის - აქეთ-იქით გადარეულივით დარბის, უმიზნოდ და-
რბის: ბუზანკალიან ხარსავით დარბის, ერვეს ყოველ
საზოგადო საქმეში და უნდა ყოველგან თავი გამოიჩინ-
ნოს (გ. წერეთელი). გამოშვებული ხარივითაა - უდარდე-
ლია, არაფერი ანადგვლებს, საქმე გააკეთებული ჰგონია:
გამოშვებული ხარივით რომ წამოწოლილხარ მხართე-
ძობზე, საქმეს ვინ გაგიკეთებს?

ხარაბუზა - იგივეა, რაც ხარაბუზა.

ხარაბუზა - ერთგვარი დიდი ფუნაგორია ხოჭო. ბინძურ
საქმეებში გარეული ადამიანი: "მამათა" და "შვილთა" და-
პირისპირების დროს აკაკი წერეთელმა გრიგოლ ორბე-
ლიანს "ხარაბუზა ღენერალი" უწოდა, რადგან მიაჩნდა,
რომ რუსეთის იმპერიის ერთგულ პოეტ-გენერალს სა-
მშობლოსათვის ბოროტების მეტი არაფერი მოჰქონდა.

ხარირემი-ი - მამალი ირემი. ღონიერი, მამაკაცური ენერგიით
საესე კაცი: ქალი ფურირემივით გარბის, მე ხარირემი-
ვით მივდევ (მ. ჯავახიშვილი).

ხარკამენი-ი - მამალი კამენი. 1. ღონიერი, ტანბრვე და ლაღი
მამაკაცი: ხარკამენივით ღონიერი და ლაღი კაცი. 2. გა-
მრჯე, მშრომელი მამაკაცი: ხარკამენივით მშრომელია.
3. ახლბელი, ძვირფასი: ძმა ხომ ძმა არის, მაგრამ კაი
ხარკამენიც ძმა და შვილია (ს. მგალობლიშვილი).

ხარ-კამენი-ი - ხარი და კამენი.

ხარლად-ი - 1. ხარირემი. 2. მამალი ჯიხვი, ხარჯიხვი.
ღონიერი, ტანბრვე და ლაღი მამაკაცი: ხარლადივით ღო-
ნიერი და ამაყი კაცი.

ხარ-ძროხა - ხარები და ძროხები.

ხატაურა - ჭრელი, თეთრ-შაუყვითელი ბეწვის მქონე კატა.

ხაფანგ-ი - იგივეა, რაც მახე. ხრიკი, მისატყუარი რამ: [ხალ-
ხის] უფრო გამჭრიახი ნაწილი დარწმუნდა, რომ მანი-

ფესტი მხოლოდ ხაფანგია... (ჭ. ამირეჯიბი). **ხაფანგს დაუგებს – ხრიკებს მოუწყობს:** ცხადი და ნათელი იყო, რომ მან დათა თუთაშხიას უკვე დაუგო რაღაც ჯოჯოხეთური ხაფანგები (ჭ. ამირეჯიბი). **ხაფანგში გაებმება – მოწყობილი ხრიკების მსხვერპლი გახდება:** ფრთხილად კი იყო, მაგრამ მაინც გაება ხაფაგში.

ხაშალ-ი – 1. მჭლე, გამხდარი (საქონელი). 2. ავადმყოფი (საქონელი).

ხაჯალია – იგივეა, რაც ღაფო.

ხბო – ძროხის ნაშიერი ერთ წლამდე. 1. **უზრუნველი ადამიანი (უპირატესად, ბავშვი):** ბავშვები ხბორებივით უზრუნველად თამაშობდნენ. 2. **დედამონატრებული ბავშვი:** ეს ბავშვი მთელი დღე გზას გაჰყურებს, დედაჩემი როლის გამოჩნდებაო. 3. **სხვას ადევნებული, სხვის კვალდაკვალ მავალი უნებისყოფო ადამიანი:** ...ეს ყმაწვილი მაშინვე სწავლასაც უკლებდა, თამაშობითაც აღარ თამაშობდა და მუდამ ხბოსავით ადევნებოდა ამ უშველებელ მოწაფეს... (გ. წერეთელი). 4. **ვინც უმიზეზოდ, დაუფიქრებლად მხიარულობს:** მხოლოდ ციციკორე არ იზიარებდა საერთო სიხარულს: / – ხბოსავით კი ნუ კუნტრუშობთ! ჯერ დაფიქრდით, გაზომეთ და მერე ისე სთქვით, მართლა ეგრე რიგად სჭირდება ხალხს რკინიგზა თუ არა! (გ. ლეონიძე). ნეტავი ვიცოდე, რა გიხარია უჭკუო ხბოსავით? 5. **მფრთხალი, განწირული მზერის მქონე:** მოშია ამასობაში თავის ქანდარაზე აძვრა და იქიდან იყურებოდა დასაკლავ ხბოსავით დამფრთხალი (ნ. დუმბაძე).

ხბოყვირია – ვისაც არაფრის დამალვა არ შეუძლია: ყველაფერი კი არ უნდა გაამხილო, შე ხბოყვირია.

ხედნა – ცხენის, ხარის, კამეჩის გაწვრთნა შესაბამელად, ან შესაჯდომად. **ჭკუის სწავლება:** მაგ მამამაღლის ხედნა უკვე გვიანია!

ხედნის – ცხენს, ხარს, კამეჩს წვრთნის შესაბამელად, ან შესაჯდომად. **ჭკუას ასწავლის:** მამამისი კი ხედნიდა, მაგრამ ამან მაინც არ უშველა!

ხეკაკუნა – იგივეა, რაც კოდალა: რას უკაკუნებ ხეკაკუნა-სავით, თავი ნუ ამბტკივე!

ხვად-ი – ხორცისმჭამელი ცხოველის (ძაღლის, მგლის, მელის, ვეფხვის, ლომის...) მამალი. **შეკალთანე** კაცი: იმ გოგოს ხვადივით აედევნა, მაგრამ იმან ახლოსაც არ გაიკარა.

ხვადაგ-ი – რქოსანი საქონლის ზოგადი სახელი იმერეთ-გურიაში. 1. **პირუტყვი**, **უზრდელი**, **თახვადი**: ზრდილობა სახლში დაგრჩა, შე ხვადაგო? 2. **უნამუსო**, **უსინდისო**, **შეუზნებელი**: ვაი, სირცხვილო, გლახუნა. როგორ ვერ მოასწრო ხურჯინთან მისვლა, მაგრამ გვერდით არ მოცილებია ხვადაგი [მანუჩარა], ანდა მაგას სროლას დაასწრებს კაცი? (ნ. დუმბაძე).

ხვასტაგ-ი – მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

ხვატარ-ი – მუქი ფერის ღამის პეპელა.

ხვიხვინ-ი – ხმადაბალი ჭიხვინი (ცხენისა). **თავშეუკავებელი** ხმამაღალი, **უშნო** სიცილი: ბიჭებმა თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს და ხვიხვინი ატეხეს.

ხვიხვინებს – ხმადაბლა ჭიხვინებს (ცხენი). **თავშეუკავებლად ხმამაღლა**, **უშნოდ** იცინის: რას ხვიხვინებლით წელან?

ხვლიკ-ი – მცირე ზომის ოთხფეხა, გრძელკუდა ქვეწარმავალი. 1. **სწრაფი**, **მარდი** და **მოქნილი**: ბიჭები ხვლიკებით გაძვრნენ ხერელში. 2. **ვინც ადვილად ცოცავს კლდეზე**, **შეეულ კედელზე** და **მისთანებზე**: ხვლიკივით დაძვრება კლდეებზე.

ხვრა – კბილებით, ყბებით წვრილად დაქუცმაცება, **დაღრღნა** (ცხოველის, ადამიანის მიერ).

ხივილ-ი – ერთობლივი ხმიანობა (ჩიტებისა).

ხიოჭ-ი – გამხდარი, მჭლე.

ხონთქრისქათამ-ი – ლაინას მსგავსი კაშკაშა მოლურჯო-მომწვანო მოზრდილი გარეული ფრინველი.



ხორთუმ-ი – წაგრძელებული ცხვირი, ან სხეულის წინა ნაწილი (სპილოსი და სხვა ძუძუმწოვარი ცხოველის ფუტკრისა...). **გრძელი ცხვირი:** გაჩერდი, თორემ მოგხედავს იმითაა ბა მაგ ხორთუმში!

ხორცისმჭამელ-ი – ვინც, რაც ხორცით იკვებება (ცხოველი, ადამიანი).

ხოჭო – მწერი, რომელსაც აქვს მაგარი ზედა ფრთები და საღრღნელად მოწყობილი პირი. 1. ძალიან პატარა, ტანდაბალი ადამიანი: მაგ ხოჭომ შენ რა უნდა დაგაკლოს?! 2. ძალიან შავი, შავტუხა, ზანგელა: ამ ბამბასავით თეთრ ქალს ხოჭოსავით შავი ბავშვები ჰყავს.

ხოხავს – 1. რამეზე **გართხმით მოძრაობს** (ცხოველი, ადამიანი): უყურე ამ ციდამტკაველას, რა სწრაფად ხოხავს?! 2. ვინმეს წინაშე **მლიქვნელობს, ეპირფერება, ფეხქვეშ ევაება:** თავისი უფროსის წინაშე მიწაზე ხოხავს და სხვებთან თავაწეული დადის.

ხოხვა – 1. რამეზე **გართხმით მოძრაობა** (ცხოველისა, ადამიანისა). 2. ვინმეს წინაშე **მლიქვნელობა, პირფერობა, ფეხქვეშ ევაება.**

ხოხობი – ქათამზე მომცრო ლამაზბუმბულიანი გარეული ფრინველი. 1. **ლამაზი და ამაყი ქალი:** გულთამზე მოსულა და ხოხობივით ზის თავმჯდომარის ოთახში (პ. კაკაბაძე). უყურე, რა ხოხობივით გოგო მოდის! 2. **მორიდებული, მოკრძალებული ადამიანი, ვისაც დამფრთხალი გამომეტყველება აქვს:** [ქალი] მიიღულეობოდა დიდ სავარძელში, თითქოს დამფრთხალ ხოხობივით ვისმე ემაღეობაო (ნ. ლორთქიფანიძე).

ხრავს – **კბილებით, ყბებით წვრილად აქუცმაცებს, ღრღნის** (ცხოველი, ადამიანი): რაღა ძვალს ხრავ, შე კაცო, ხორცი ჭამე!

ხრამულ-ი – მდინარის წვრილი თევზი, ფიჩხული.

ხრამუნ-ი – 1. მაგარი, ხმელი რამის ჭამის ხმა (გამოცემული ცხოველის, ადამიანის მიერ). 2. გემრიელად, მაღიანად ჭამა (ადამიანის მიერ).

ხრო – იგივეა, რაც **ხროვა**.

ხროვა – მტაცებელ ცხოველთა გუნდი. ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საძრახის საქმეს ჩადის: ხულიგნების ნროვან ერთი კაცი ცემით კინაღამ მოკლა.

ხუნდ-ი – მტრედის ბარტყი.

ხურაობა – იგივეა, რაც **მძუნობა**: მაგ გოგოს, ეტყობა, ხურაობის დრო დაუდგა და პატრონი სჭირდება.

ჯ

ჯაგარ-ი – ღორის ქეროსა და ზურგზე ამოსული უხეში ბაღანი. ადამიანის (მამაკაცის) უხეში თმა, ბაღანი: ლუარსაბის ტანისა რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა (ილია). ღორის ჯაგარის მსგავსი თმა კისრამდის ეყარა (გ. წერეთელი). შენს ჯაგარს რომელი სავარცხელი დავარცხნის?! ...ლიას მზერას ყოველთვის შუბლს ზემოთ ჯაგარზე ვგრძნობდი, სწორედ ეს მაგიუებდა და მაცოფებდა (ა. სულაკაური).

ჯაგარა – იგივეა, რაც **ჯაგრიანი**: გასწიე იქით ეგ შენი ჯაგარა თავი!

ჯაგარაშლილ-ი – რასაც ჯაგარი აშლილი აქვს (მაგ., ღორი). ადღევებული, გაბრაზებული, განრისხებული: მამაშენი ჯაგარაშლილია და გირჩევნია, არ დაენახვო!

ჯაგლაგ-ი // **ჯაგლაგა** – გამხდარი, დავარდნილი, უხეირო (ცხენი). უღონო, დონეგამოღეული, დავარდნილი, ბებერი: სად არის შენი ჯაგლაგი პაპა?

ჯაგრიან-ი – ვისაც, რასაც ჯაგარი აქვს (ცხოველი, ადამიანი).

ჯაგჯაგ-ი – იგივეა, რაც ჩაქჩაქი.



ჯანდაგ-ი – გამხდარი, მჭლე (საქონელი). **სუსტი**, უღონო
ადამიანი: ეგ ჯანდაგი მე ვერ მომერევა, თუ გინდას,
 ცალი ხელით ვეჭიდავები.

ჯარბ-ი – მძვინვარე ასპიტი.

ჯაფარა – იგივეა, რაც **ჩხიკვი**.

ჯაჭვედა – ჭრელი, შავ-თეთრი (ქათამი).

ჯახრაკ-ი – იგივეა, რაც **ჯაგლაგი**: ამ ჯახრაკ ბერიკაცს
 სადღა შეუძლია მუშაობა.

ჯაჯა – იგივეა, რაც **ძერა**.

ჯეირან-ი – იგივეა, რაც **ქურციკი**. **კოხტა**, **მშვენნიერი**, **ტანა-**
დი, **ყელმოდერებული და ამაყი ქალი**: იმას, შენი ჭირიმე,
 იქნება მარტო ჩემს საუბედუროდ, ერთი ახირებულად
 მაღლიანი, ჯეირანივით ლამაზი გოგო ჰყვანდა (ილია).
 ბევრი თავადისშვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირან-
 ნივით მოდერებულ ყელსა, იმის გიშრის თვალსა, იმის
 გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა... (ილია).

ჯიღღაო – ერთგვარი შავი მელია და მისი ბეწვი.

ჯინიბ-ი – მარქაფა ცხენი, სამარქაფო, სათადარიგო ცხენი.

ჯინხვა – იგივეა, რაც **ღაჟო**.

ჯიქ-ი – დიდი ძუძუმწოვარი მტაცებელი გარეული ცხოვე-
 ლი. აქვს წინწკლებიანი ბეწვი, ბაბრი. 1. **გამბედავი**, **გუ-**
ლადი, **უშიშარი და მარდი ვაჟკაცი**: იმ დღიდან ხეესურებ-
 მა ჯიქი დამარქვეს (მ. ჯავახიშვილი). ჯიქივით ბიჭია.
 2. **ჯიუტი**, **თაგნება**, **დაუმორჩილებელი ადამიანი**: ამბობენ,
 მეტად ჯიქი ქალი მოიყვანა ცოლად, მაგრამ სახრით
 მოარბილაო (გ. ლეონიძე). დიდი ჯიქი ბავშვია, არაფ-
 რით არ დამიჯერა.

ჯიქანი – იგივეა, რაც **ცური**: შეხედე იმ ქალს, რა ჯიქანი
 აქვს!

ჯიქობს - ჯიუტობს, თავნებობს: ნუ ჯიქობ, თორემ მიიღებ
საკადრისს!

ეროვნული
პროცესი

ჯიქურ // ჯიქურად - შეუპოვრად, მოურიდებლად, პირდაპირ
(თქმა, შეხედვა, შეტევა...): შარდინ აღშობაია პათეთიურ-
რად მიესაღმა თარაშ ემხვარს, ვილაც ჩოხიანები მია-
ტოვა, ჯიქურ წამოვიდა (კ. გამსახურდია). ...თვალეში
შეხედა ჯიქურად ძაბულის (კ. გამსახურდია).

ჯიქურ-ი - 1. შეუპოვარი, მოურიდებელი, პირდაპირი (თქმა,
შეხედვა, შეტევა...): კაროლინას მაღალ მკერდსა და თა-
მარის ლელისებერ ტანს მაინც შეხედა ჯიქური მზერით
(კ. გამსახურდია). 2. ამაყური: "გვიბოძესი" არა გვინდა
რარო! - [თაღრია] ჯიქური სიამაყით ითმენდა სიღარი-
ბეს (გ. ლეონიძე).

ჯიხვი - კავკასიის გარეული თხა. ცხოვრობს მაღალ
მთებში. 1. ტანადი, ღამაზი და ამაყი ადამიანი: გამოიარა
ვილაც ხალიანმა, ჯიხვივით გოგონამ (კ. გამსახურდია).
2. უხეში, გაუთლელი, საკმაოდ თავხედი და შეუგნებელი
ადამიანი: რაც გინდა უთხარი, ჯიხვია და ვერაფერს გა-
გიგებს. ჯიხვის რქასავით - ა. მოხრილი, მოდრეკილი (სხე-
ულის ნაწილი): მირბოდა ლუკაია, აცაბაცა მიჰქონდა
ჯიხვის რქასავით მოდრეკილი ფეხები (კ. გამსახურ-
დია). ბ. დამოხრილებული, დამონებული (ადამიანი): უდი-
დეს მთავარსარდლებს და დესპოტებს ჯიხვის რქასა-
ვით მოუდრეკიათ ხოლმე უშესანიშნავესი გენიოსი თა-
ნადროული (კ. გამსახურდია).

ჯიხოლა - იგივეა, რაც ღაფი.

ჯიჯგნა - უღაზათოდ გლეჯა, ძიძგნა და ისე ჭამა (ცხოვე-
ლის, ადამიანის მიერ): კაცმა მოხარშულ ხორცს ჯიჯგნა
დაუწყო.

ჯიჯგნის - უღაზათოდ გლეჯს, ძიძგნის და ისე ჭამს (ცხოვე-
ლი, ადამიანი): წესიერად ჭამე, ნუ ჯიჯგნი საჭმელს!

ჯიჯღ-ი - საშუალო ზომის გარეული ფრინველი, შაშვის
ერთ-ერთი სახეობა.



ჯლიხაობა – რქოსანი პირუტყვის ჭიდილი.

ჯოგ-ი – გროვა, გუნდი (ზოგი ცხოველისა). **ადამიანთა ჯგუფი, ბრბო, ხროვა:** მისი ბრწყინვალეობა თავის თხევადობაშია, მისი ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს (ილია).

ჯორ-ი – ფაშატი ცხენისა და ულაცი ვირის ნაჯვარი ძუძუმწოვარი ცხოველი. **1. ვირგლა, დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრიყვი ადამიანი:** პალტო ისე ამოგანგლოდა მტვერში, რომ ვინც შეხედავდა, ყველა იკითხავდა, ამ ჯორს რომელ სანახევრზე უკოტრიალებიაო?... (გ. წერეთელი). ამოდენა ჯორია და პატარა ბავშვებს ეჭიდავება, მაგ ვირგლას ტვინი სულ არა აქვს. **2. ჯიუტი, თავისნათქვამა, ახირებულნი:** ეგრე არ შეიძლება, ნუ იცი ეახირებაი შენა... ტყუილად კი არ დაგარქვა სოფელმა ჯორ-ზაქარაი! რასაც ახირებ გაქირ ჯორსავითა, უკან აღარ დაიხვევ (ს. მგალობლიშვილი. სწორედ “ჯორ-ზაქარა” ჰქვია ამ მწვერლის ციტირებულ მოთხრობას). ნუ მეჯიუტები, შე ჯორო, თორემ მე ვიცი შენი წამალი! **3. სხვადასხვა ეროვნების მშობელთა შვილი.**

ჯორა – იგივეა, რაც ჯორი.

ჯორაბუზი-ი – ერთგვარი მოზრდილი ბუზი.

ჯორაკა – იგივეა, რაც ჯორი.

ჯორ-აქლემ-ი – ჯორები და აქლემები.

ჯორცხენ-ი // ჯორცხენა – იგივეა, რაც ჯორი.

ჯორ-ცხენ-ი – ჯორები და ცხენები.

ჯორჯ-ი – მსხვილი, ტლანქი, უხეში. **ჯორჯი ძაღლი** დიდი ეზოს ძაღლი.

ჯოჯო – ხელიკის მსგავსი ქვეწარმავალი. **1. ტანდაბალი და გონჯი, უშნო ქალი:** ეს ჯოჯო რამ შეართვევინა მაგ

უბედურს? 2. ბოროტი ადამიანი: მაგ წყვეული ჯოჯოს ხე-
ლიდან კარგი საქმე არ გამოვა.



ჯუჯუკალია – იგივეა, რაც **ჯუჯუკალი**.

ჯუჯულა – ქათამი (ბავშვის ენაზე).

ჯუჯუკალი-ი – ერთგვარი კალია.

ჯღიბა – 1. ბოქვენის მკბენარი. 2. იგივეა, რაც ტკიპი.

1. ვისი თავიდან მოცილებაც ჭირს, აბეზარს: დიდი მომა-
ბეზრებელი ვინმეა, ჯღიბასავით თუ აგეკიდა, ვერ მოი-
ცილებ! ვისი მისპობაც იოლია და არ ენანებათ: ჯღიბასა-
ვით გავსრეს მაგ უბედურს!

ჟ

ჰიპოპოტამი – წყლის დიდი ძუძუმწოვარი ბალახისმჭამე-
ლი ცხოველი. **ზორზონა**, **ტანზორბა** და **ზანტი** ადამიანი:
ნახე, რამოდენა ჰიპოპოტამი მოიზლაზნება!

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა თ. გაბრეშვილი

6
მედიის

n⁷/604



<



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

285.226
3
საქართველოს
საბავშვო ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-12-820-2



9 789941 128202